

ქალაქობის აღმოფხვრა სკოლებში:



როგორ  
შევცვალოთ  
გარემო?



ქალაქობის აღმოფხვრა სკოლებში:

როგორ  
შევცვალოთ  
ბარემო?





© ევროპის საბჭო



© თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი.  
თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოსთან შეთანხმებით და  
თარგმანზე პასუხისმგებელია გაეროს ბავშვთა ფონდი

<b>შესავალი</b> .....	5
<b>თავი 1 - როგორ დავიწყოთ</b> ძალადობასთან ბრძოლა სკოლებში: ევროპული ხედვა <i>პიტერ კ. სმიტი</i> .....	15
<b>თავი 2 - გავიგოთ მეტი</b> სკოლის აუდიტის როლი ძალადობის პრევენციასა და აღმოფხვრაში <i>პიტერ გალვინი</i> .....	33
<b>თავი 3 - პოლიტიკის ჰარმონიზაცია და მისი გამოყენება</b> კონვივენსიის გარემოს შექმნა სკოლებში ერთიანი სასკოლო პოლიტიკის მეშვეობით <i>ჯული შოგნესი</i> .....	57
<b>თავი 4 - რა უნდა ისწავლებოდეს?</b> სკოლის კურიკულუმის გამოყენება ძალადობის აღმოფხვრის მხარდასაჭერად <i>ჯული კეისი</i> .....	73
<b>თავი 5 - მოსწავლეთა ჩართვა</b> მოსწავლეთა წინამძღოლობით ძალადობის აღმოფხვრის სტრატეგიის შემუშავება <i>ჰელენ კოუი</i> .....	95
<b>თავი 6 - ბავშვთა დაცვა</b> უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა <i>მონა ო'მური და სტივენ ჯეიმს მინტონი</i> .....	113
<b>თავი 7 - მხარდაჭერა სკოლის პერსონალს</b> ტრენინგის ჩარჩო: “მშვიდობის ვირუსის” დანერგვა – კონვივენსიის გარემოს ხელშეწყობა <i>ჯორჯ რობინსონი, ბარბარა მაინსი, რობინ ჰრომეკი</i> .....	137
<b>ბიბლიოგრაფია</b> .....	157
<b>ავტორების შესახებ</b> .....	169
<b>დანართი – ბავშვები და ძალადობა</b> .....	171



## ვისთვის არის განკუთვნილი ეს წიგნი?

ეს წიგნი დაინერა იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს ევროპის საბჭოს მიზნის მიღწევას და დაეხმაროს გადანყვეტილების მიმღებ პირებსა თუ სხვებს, გაატარონ თანმიმდევრული პოლიტიკა ცოდნის გაღრმავების, პრევენციისა და სამართალდაცვის კუთხით, რათა წინ აღუდგნენ ძალადობას ყოველდღიურ ცხოვრებაში. კერძოდ კი, ეს არის ხორცშესხმა ევროპის საბჭოს გაცხადებული განზრახვისა, მოემზადებინა სახელმძღვანელო სკოლებში ძალადობის პრევენციის სტრატეგიათა განხორციელების შესახებ. ამის საფუძველი გახდა 2002 წლის 2-4 დეკემბერს ჩატარებული კონფერენციის – “ადგილობრივი თანამშრომლობა სკოლებში ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის” - დასკვნები, რომლებიც კარგი პრაქტიკის რამოდენიმე კონკრეტულ მაგალითს მოიცავდა.

ეს სახელმძღვანელო შექმნილია ყველა ტიპის სკოლისათვის – იქნება ეს დანყებთი, საშუალო თუ სპეციალური. იგი დაინერა განათლების სფეროში მომუშავე ყველა პროფესიონალისათვის. არა მხოლოდ მასწავლებლებისა და დირექტორებისათვის, არამედ იმ პროფესიონალთათვის, რომლებიც სულ უფრო და უფრო ინტენსიურად თანამშრომლობენ სკოლებთან ბავშვების მხარდაჭერის მიზნით. მართლაც, ეს წიგნი შეიძლება დაეხმაროს ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სურს რომ სკოლა გახდეს უსაფრთხო და მზრუნველი ადგილი, სადაც ბავშვები რეპრესიებისაგან, მუქარისა და ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში ისწავლიან.

## რატომ იქნება ეს წიგნი სასარგებლო სხვა ადამიანებისათვის, რომლებიც სკოლაში ჰარმონიული გარემოს შექმნით არიან დაინტერესებულნი?

| თავში განმარტავთ სიტყვას “ძალადობა”, რომელიც წიგნში ხშირად იქნება ნახსენები, როგორც ესპანური სიტყვის - “კონვიენსიის” – ანტონიმი, რომელიც ერთად ჰარმონიულ ცხოვრებას ნიშნავს. ეს განსაზღვრება განმარტავს სკოლებში ძალადობის აღმოფხვრის სტრატეგიათა ორ ძირითად მიმართულებას:

- ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა და შენარჩუნება, სადაც ძალადობა დაუშვებელია, სადაც მუდმივად არსებობს ერთად ჰარმონიული თანაარსებობის ეტოსი;

- ძალადობის ფაქტების შემთხვევაში მათზე იმგვარი რეაგირება, რომ დაცული იქნას ჰარმონიული თანაარსებობის ეთოსი;

ორივე ამ მიმართულების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლა ადგილობრივ თემთან ითანამშრომლებს. ამ სახელმძღვანელოში მოყვანილი კვლევის შედეგების მიხედვით, ევროპის სკოლების უმეტესობა სამოთხეა ბავშვებისათვის უსაფრთხოებისა და მშვიდობის თვალსაზრისით. მაგრამ სადაც ძალადობის შემდგომი შემცირებაა საჭირო, პასუხისმგებლობა უნდა გაიზიაროს იმ საზოგადოებამაც, რომელშიც ბავშვები ცხოვრობენ და იზრდებიან.

აქედან გამომდინარე, ამ სახელმძღვანელომ უნდა დააინტერესოს სკოლის გარშემო თემის ყველა წევრი, მათ შორის, თემის ლიდერები და ადმინისტრატორები. მათი ადგილობრივი ინიციატივებისა და მოქმედების გარეშე ბავშვები ორმაგი სტანდარტების წინაშე აღმოჩნდებიან სკოლაში და სკოლის მიღმა და პრაქტიკაში ვერ გამოიყენებენ ნასწავლს. ასეთ შემთხვევაში მათი სკოლები იქცევა “კონვივენსიის” კუნძულებად იმ საზოგადოებაში, რომელშიც ძალადობის დონე სულ უფრო და უფრო იზრდება.

როგორც აღვნიშნეთ, წინამდებარე წიგნი დააინტერესებს სკოლის ფართო საზოგადოების ყველა წევრს. ანალოგიურად, ყველა სკოლას დააინტერესებს ამ წიგნის “პარტნიორი” სახელმძღვანელო სათაურით: “ძალადობის პრევენცია სკოლებში: სახელმძღვანელო ადგილობრივი პარტნიორობისათვის” (ევროპის საბჭო, 2005). ეს ორივე სახელმძღვანელო შეიძლება ერთდროულად იქნას გამოყენებული მაშინ, როდესაც სკოლაში “კონვივენსიის” გაუმჯობესების მიზნით რაიმე პროგრამის განხორციელება იგეგმება.

## როგორ შეიძლება დაეხმაროს ეს წიგნი სკოლებს?

სკოლებში ძალადობის მასშტაბებისა და დონის კვლევამ (იხ. თავი I) არ აჩვენა ძალადობის საერთო დონის ზრდა ევროპის სკოლებში მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ყველა ქვეყანაში მედიის მომზადებული სიუჟეტები ხშირად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ტოვებენ. ასე რომ, წინამდებარე სახელმძღვანელო არ შექმნილა რაიმე კრიზისულ მდგომარეობაზე რეაგირების მიზნით.

რჩევა და მხარდაჭერა, უდავოდ, ყველას სჭირდება, თუმცა, განსხვავებულია საჭიროების ხარისხი. არსებობს რეგიონალური და ადგილობრივი განსხვავებებიც, რაც ართულებს განზოგადებას. ერთი სახელმძღვანელოს ფარგლებში შეუძლებელია ყველა ტიპის საჭიროების გათვალისწინება, მაგალითად, ისეთ სიტუაციებზე საუბარი, სადაც ბავშვებზე გავლენას ახდენს სერიოზული კონფლიქტები საზოგადოებაში, მათ შორის, ომის საშინელება, რასაც შედეგად ძალადობა მოჰყვება.

სკოლას, როგორც წესი, სოციალური ცვლილებების მამოძრავებელ ძალად აღიქვამენ, რაც მისგან იმაზე მაღალი სტანდარტებისა და იდეალების დანერგვას მოითხოვს, ვიდრე გარემომცველ თემშია. აქედან გამომდინარე, კარგი სკოლები “კონვიენსისი” (ჰარმონიული თანაცხოვრების) მისაღწევად შედეგზე ორიენტირებულ მიდგომებს ირჩევენ (თავი 4) მაშინაც კი, როდესაც ერთადერთი მდგრადი და ხანგრძლივი გამოსავალი თავად საზოგადოების შეცვლაა. ეს სახელმძღვანელო შეიძლება დაგეხმაროთ ამ საკითხისადმი რეალისტური მიდგომის გამომუშავებაში. ძალადობა საზოგადოებაში ყველგან ხდება. სკოლებმა ყურადღებით და ფრთხილად უნდა შეარჩიონ ის ღონისძიებები, რომლებიც მათ გამოკვეთილი პრობლემის გადაჭრაში დაეხმარებათ, თან, არ გადააჭარბონ თავიანთ შესაძლებლობებს და შეუძლებელს არ შეეჭიდნონ.

ეს სახელმძღვანელო გვთავაზობს ისეთ ქმედებებზე აქცენტირების საშუალებებს, რომლებიც უფრო ეფექტიანი იქნება მომხმარებელთა კონტექსტში; კონკრეტული მაგალითებისა და პირადი გამოცდილები-სა თუ კვლევათა შედეგების მეშვეობით, გვიზიარებს გამოცდილებას, რომელმაც იმუშავა სხვა ადგილებში.

ევროპაში ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოიკვეთა მთელი წყება ნაციონალური და ადგილობრივი ინიციატივებისა, რომლებიც ძალადობის პრობლემის გადაჭრისა და სკოლების მხარდაჭერისაკენ არის მიმართული. რა თქმა უნდა, ამ სახელმძღვანელოში ვერ მოხერხდებოდა ყველა ამ ინიციატივის აღწერა და მოხსენიებაც კი. თუმცა, ჩვენ სახელმძღვანელოში შევიტანეთ კარგი პრაქტიკის რამოდენიმე მაგალითი ევროპიდან, რამაც, შესაძლოა, დამატებითი სტიმული მისცეს სკოლის პერსონალს, მეტი ინფორმაცია მოიძიოს ამ თემებზე. მაგალითად, მათ რეგიონში არსებული გამოცდილების შესახებ, აგრეთვე ინტერნეტ გვერდებიდან და წიგნის ბოლოს დასახელებული წყაროებიდან.

## **რა დახმარებას გვთავაზობს სახელმძღვანელო?**

სახელმძღვანელოს სხვადასხვა თავში საუბარია იმ ძირითად საკითხებზე, რომელთა გადაჭრაც სკოლას მოუწევს, თუ არსებული პრაქტიკის გადასინჯვასა და გაუმჯობესებას აპირებს. რა თქმა უნდა, არ არსებობს ძალადობის “სწრაფად აღმოფხვრის” რეცეპტი. მთელი ევროპიდან მიღებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ძალადობის ეფექტიანად აღმოფხვრისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შემდეგს:

- ერთიანი და თანამიმდევრული სასკოლო მიდგომის შემუშავებას, რომელიც სკოლაში ყველასათვის მისაღებ რწმენასა და პრინციპებს დაეფუძნება;



- აუდიტის ჩატარებას იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად კარგად არის ორგანიზებული სკოლა, რომ შეძლოს კონვივენსიის გარემოს შექმნა და შენარჩუნება;
- სხვადასხვა ტიპის სიახლეთა დაგეგმვას – ერთი მარტივი გამოსავალი იშვიათად თუ არსებობს;
- მდგომარეობის გაუმჯობესების გეგმის განხორციელებასა და მონიტორინგს, მათ შორის, სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარ-ჩვევების სწავლებას;
- ძალადობის ინციდენტის შემთხვევაში მასზე ეფექტიან რეაგირებას გამეორების თავიდან ასაცილებლად.

გარდა ამისა, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ “კონვივენსიის” გაუმჯობესებაზე მუშაობისას, ეფექტიანია ის სკოლა, რომელიც ყველა ეტაპზე უსმენს მოსწავლეებს და უზრუნველყოფს მათ ჩართულობას. მოსწავლეები, გრძნობენ რა თავიანთ მნიშვნელოვნებას, პოზიტიური ცვლილებების ყველაზე გავლენიანი და ძლიერი ელჩები ხდებიან ნებისმიერ სკოლაში. გარდა ამისა, ეფექტიან სკოლებში თავად სკოლის თანამშრომლები არიან მოსწავლეთათვის მისაბაძნი: თავიანთი მოქმედებითა და სიტყვებით სწორედ ისინი ქმნიან ქცევის სტანდარტებს სკოლაში.

## როგორ გამოვიყენოთ ეს სახელმძღვანელო?

ამ სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს სკოლებს, იყვნენ თანმიმდევრულნი და დაგეგმონ ერთიანი სასკოლო მიდგომები ძალადობის აღმოსაფხვრელად. ეს არსებითად მნიშვნელოვანია საიმისოდ, რომ მოსწავლეებმა გამოიმუშავონ სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარები ისეთ მოქალაქეებად ჩამოსაყალიბებლად, რომლებსაც ეცოდინებათ, როგორ გადაჭრან კონფლიქტები ძალადობის გარეშე.

ეს სახელმძღვანელო, რა თქმა უნდა, ვერ შემოგთავაზებთ ყველა პრობლემის გადაჭრის გზას. იგი მიზნად ისახავს, დაეხმაროს სკოლებს, კონვივენსიის გაუმჯობესებისა და ძალადობაზე სათანადო რეაგირების პროგრამების დაგეგმვაში. სახელმძღვანელოს თავებში განხილულია ის სფეროები, რომლებიც უთუოდ გასათვალისწინებელია. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია თითოეული თავის ცალკე წაკითხვა და გამოყენება, ნაკლებად მოსალოდნელია რომ სკოლამ წარმატებას მიაღწიოს ყველა თავის თანმიმდევრულად დამუშავებადღე მანამ, სანამ შეარჩევს მისი კონკრეტული პრიორიტეტების შესაბამის საქმიანობებს.

## როგორია თემების თანამიმდევრობა და როგორ უკავშირდება ისინი ერთმანეთს?

პირველ თავში, სათაურით “დავინყოთ”, პიტერ სმიტი გვესაუბრება ძალადობის ცნების განმარტების შესახებ და, თანამედროვე კვლევების საფუძველზე, განსაზღვრავს სკოლაში ძალადობის აღმოფხვრის ნებისმიერი პროგრამის უმთავრეს კომპონენტებსა და ფუნდამენტურ პრინციპებს.

მე-2 თავში - “გავიგოთ მეტი” - პიტერ გალვინი აღწერს, როგორ უნდა დაიგეგმოს სასკოლო ძალადობის აუდიტი, რომელიც გამოავლენს, რაოდენ კარგად არის სკოლა ორგანიზებული ამ პრობლემასთან გასამკლავებლად. შემდეგ ავტორი გვიხსნის, როგორ განვმარტოთ აუდიტის შედეგები და შევექმნათ სამოქმედო გეგმა ჩარევისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი საშუალო სკოლის მაგალითს განიხილავს, ეს პროცესი თანაბრად მიესადაგება ნებისმიერი ტიპის სკოლას.

მე-3 თავში - “პოლიტიკის ჰარმონიზაცია და მისი გამოყენება” - ჯული შოგნესი აღწერს, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს სასკოლო პოლიტიკა იმისათვის, რომ მთელ სკოლაში დამკვიდრდეს “კონვივენსიის” ეთოსი. ავტორი ხაზს უსვამს სკოლების მშობლებთან თანამშრომლობის, აგრეთვე პროგრესის მონიტორინგის აუცილებლობას, რათა სამოქმედო გეგმები იყოს მაქსიმალურად ეფექტიანი.

მე-4 თავში, სათაურით “რა უნდა ვასწავლოთ?”, ჯული კეისის მაგალითად მოჰყავს ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტის ნაციონალური პროგრამა, რომელიც განკუთვნილია ინგლისში სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების სასწავლებლად. ამ მაგალითით ავტორი აღწერს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისათვის უმთავრეს საკითხებს, რითაც მოსწავლეები გამოიმუშავენ უნარ-ჩვევებს, კონფლიქტების ძალადობის გარეშე გადასაჭრელად რომ არის საჭირო. ამ თავში ნიმუშად აღებულია დანყებითი სკოლა, მაგრამ იგივე ნებისმიერ სხვა სკოლაზეც ვრცელდება.

მე-5 თავში, სათაურით “მოსწავლეთა ჩართვა”, ჰელენ კოუი ახსენებს კარგი პრაქტიკის ევროპულ მაგალითებს, რომლებიც ძალადობის საწინააღმდეგო ღონისძიებებში მოსწავლეთა ჩართვას ითვალისწინებს. ამასთან, ავტორი მიმოიხილავს კვლევების შედეგებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტიანია მოსწავლეთა ჩართვა ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართულ ღონისძიებებში. მოსწავლეთა ჩართვა ხომ ნებისმიერი სასკოლო სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი და საკვანძო ელემენტია. კონკრეტულად კი ეს თავი განიხილავს ყოჩობის საწინააღმდეგო სტრატეგიებს.

ამის შემდეგ მოდის მე-6 თავი - “ბავშვების დაცვა”, რომელშიც მონაო“მური მეტ ყურადღებას უთმობს უსაფრთხო სკოლებისა და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის სტრატეგიაში მოსწავლეთა ჩართვის მნიშვნელობას. საინტერესოა ის, რომ უსაფრთხო გარემოს შექმნა არ გულისმობს სკოლის მხოლოდ ფიზიკური გარემოს შეცვლას. ამ სახელმძღვანელოში “კონვიენსიის” შექმნის სტრატეგიებია გაანალიზებული, ეს კონკრეტული თავი კი, უმთავრესად, განიხილავს შემდეგ საკითხს: როგორ შეიძლება მოსწავლეთა ჩართვა ურთიერთმორის უსაფრთხო გარემოს შექმნის პროცესში? გარდა ამისა, ამ თავში სიღრმისეულად არის განხილული ყოჩობის პრობლემა და მისი გადაჭრის შესაძლო მეთოდები.

ბოლო თავში - “მხარდაჭერა სკოლის პერსონალს” - ჯორჯ რობინსონი განიხილავს სკოლის პერსონალის მომზადების საკითხს. იგი საუბრობს იმ თემებზე, რომლებიც უნდა შედიოდეს განვითარების გეგმაში და გვთავაზობს იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა ჩაერთოს სკოლის პერსონალი ძალადობის აღმოფხვრის საქმეში. ქვესათაურით “მშვიდობის ვირუსის დანერგვა” ავტორი ასრულებს ყველა იმ ეტაპის მიმოხილვას, რომელიც სკოლამ უნდა გაიაროს ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართული სტრატეგიების სრული სპექტრის დასანერგად.

## **როგორ გამოვიყენოთ თითოეულ თავში განხილული სავარჯიშოები?**

თითოეულ თავში სავარჯიშო ხაზგასმულია იმგვარად, რომ მკითხველს შეუძლია საკვანძო საკითხების გაანალიზება. მკითხველს აქვს საშუალება, ცოტა ხნით შეჩერდეს და გაიაზროს, რამდენად რელევანტურია ამა თუ იმ თავის შინაარსი და რამდენად მიესადაგება ძირითადი საკითხები თავიანთ სკოლაში არსებულ მდგომარეობას. სავარჯიშოები განსაკუთრებით სასარგებლო იქნება თითოეული თავის ჯგუფური შესწავლის შემთხვევაში, რადგან ასეთი მიდგომა საშუალებას აძლევს კოლეგებს, ერთად იმსჯელონ და ერთმანეთს გაუზიარონ პოზიციები ამა თუ იმ თავის შინაარსის მნიშვნელობისა და რელევანტურობის შესახებ.

სკოლებმა, შესაძლოა, დაინახონ, რომ სავარჯიშოების მასალები სასარგებლო იქნება სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის. სახელმძღვანელოში წამოწეული საკითხები, სხვადასხვა კომბინაციაში, შეიძლება გამოდგეს, როგორც სტიმული პერსონალის დისკუსიებისა და ტრენინგისათვის. მათი გამოყენება შესაძლებელია აგრეთვე სკოლის შიგნით შეთანხმების მისაღწევად იმის შესახებ, თუ რა ეტაპებსა და ელემენტებს უნდა ექცეოდეს ყურადღება გაუმჯობესების გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ამა თუ იმ თავში განხილულ საკითხთა თანამიმდევრობის მიხედვით.

## როგორია სამომავლო გაკვეთილები?

პირველი გაკვეთილი გვკარნახობს კვლევასა და პრაქტიკას შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებისა და მთელ ევროპაში გამოცდილებათა გაზიარების აუცილებლობას. პიტერ სმიტი აღნიშნავს, რომ კვლევებს სკოლებზე თვალსაჩინო გავლენა ნამდვილად არ მოუხდენია მიუხედავად ბევრი სასარგებლო კვლევითი პროგრამისა, რომლებიც კარგად არის ორგანიზებული ევროპული თუ დიდი ბრიტანეთის ობსერვატორიების მიერ, სკოლებში არაძალადობრივი გარემოს შექმნას რომ იკვლევენ, აგრეთვე მიუხედავად მრავალი პუბლიკაციისა (მაგალითად, პიტერ სმიტი: “ძალადობა სკოლებში: რეაგირება ევროპაში” (2003)).

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ევროპაში მკვლევარები და პრაქტიკოსები ერთმანეთს დავაკავშიროთ, როგორც ამას ევროპის საბჭო აკეთებს, რათა სკოლებმა პირდაპირი სარგებელი მიიღონ კვლევების შედეგად მიღებული დასკვნებისაგან. თუმცა, მკვლევარებმა აქცენტი უნდა გააკეთონ იმაზე, რაც პრაქტიკოსებს ძალიან სჭირდებათ: იმ სტრატეგიების ანალიზსა და გადამოწმებაზე, რომლებიც ეფექტიანი აღმოჩნდა პრაქტიკაში და მათ მისადაგებაზე კონკრეტულ სიტუაციებთან.

მაგალითად გვსურს მოვიხმოთ დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს “სკოლებში ძალადობის აღმოფხვრის პროგრამა” (Violence Reduction in Schools Programme - ViRiS), რომელსაც ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტი ახორციელებს. მუშაობის პროცესში ითვალისწინებენ ევროპაში არსებულ გამოცდილებათა ძალიან ფართო სპექტრს, ხოლო საფრანგეთის განათლების სამინისტროსთან სამთავრობოთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის წყალობით, გაზიარებულია საფრანგეთის პოლიტიკა და პრაქტიკაც. “სკოლებში ძალადობის აღმოფხვრის პროგრამა” სწავლობს იმ კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც ინგლისის ან ევროპულმა სკოლებმა, როგორც ჩანს, წარმატებას მიაღწიეს ძალადობის აღმოფხვრის საქმეში. კვლევის პროცესში ანალიზებენ, რატომ აღმოჩნდა ესა თუ ის მიდგომა ეფექტიანი. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს მიზეზ-შედეგობრიობის ანალიზს, რომლის გარეშეც ოდენ ტენდენციების შესწავლა პრაქტიკოსებისათვის ნაკლებ სასარგებლო იქნებოდა. ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ, ინგლისში გამოქვეყნდება შესწორებული სახელმძღვანელო სკოლებისათვის, ყველა საფეხურის თანამშრომელთა მოსამზადებელ მასალებთან ერთად. ამ კვლევამ უკვე გამოავლინა ევროპული პრაქტიკოსი კოლეგების საერთო პრობლემები და საჭიროებანი. მუშაობის პროცესში მუშა ჯგუფმა აღმოაჩინა ისიც, რომ ძალიან ცოტა რამ იციან სხვა ქვეყნებში არსებული წარმატებული გამოცდილების შესახებ. “სკოლებში ძალადობის აღმოფხვრის პროგრამისა” და გაერთიანებული სამეფოს სხვა ინიცია-

ტივათა შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია განათლებისა და უნარების დეპარტამენტის “ქცევისა და დასწრების გაუმჯობესების” (Improving Behaviour and Attendance) განყოფილების ინტერნეტ გვერდზე: <http://www.dfes.gov.uk/behaviourandattendance>.

მეორე გაკვეთილი შეეხება მრავალმხრივ კავშირებსა და შესაძლებლობებს, კოლეგებმა ერთმანეთს გაუზიარონ კარგი პრაქტიკა შეხვედრებისა და აზრთა მიმოცვლის მეშვეობით. ამ სახელმძღვანელოში მოცემული ინფორმაცია შეიძლება შევადაროთ აისბერგის მხოლოდ ნევრს ევროპაში ნაცადი ეფექტიანი პრაქტიკის შესახებ ინფორმაციის ნაკადში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოში ცალსახად ჭარბობს მაგალითები ინგლისისა და ირლანდიის რესპუბლიკიდან, ავტორებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს იმისათვის, რომ თავიანთი სამუშაო ევროპის სკოლებთან დაეკავშირებინათ. გვსურს, განსაკუთრებით დიდი მადლობა გადავუხადოთ პიტერ სმიტს, ჰელენ კოუისა და მონა ო'მურს ამჟამინდელი ევროპული მიდგომის ღრმა ანალიზისათვის, რომელიც ევროპაში მათი მუშაობის საფუძველზე გაკეთდა. თუმცა, მათ ცალსახად აღნიშნეს ის საკითხებიც, რომლებიც სახელმძღვანელოში არ შესულა, მაგალითად, ძალიან შთამბეჭდავი და რელევანტური სამუშაო, რომელსაც ჩვენი შოტლანდიელი მეგობრები ახორციელებენ (იხ.: [www.ltscotland.org.uk](http://www.ltscotland.org.uk)).

მრავალმხრივი კავშირები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ სკოლები ვერ მოითმენენ, თუ იგი დარჩება მხოლოდ აკადემიური მსჯელობის ასპარეზად. ამასთან, თუ მრავალმხრივი კავშირები შემოიფარგლება პრაქტიკულ გადანაცვლებათა ურთიერთგაცვლით, მაშინ ვერ მოხერხდება მეცნიერთა, ადმინისტრატორთა და პრაქტიკოსთა თავმოყრა. იდეალური იქნება თუ მოხდება ევროპის მასშტაბით ჩატარებული სემინარებისა და კონფერენციების კომბინირება, სადაც დამყარდება პირადი კონტაქტები, ხოლო მეცნიერები, მასწავლებლები და ადმინისტრატორები ძალადობის აღმოფხვრის შესახებ ერთობლივ ხედვას შეიმუშავენ და უნივერსალურ გზებს დასახავენ. გარდა ამისა, ასეთი ურთიერთგაცვლის შედეგები და კონკრეტული ევროპული მაგალითები აუცილებლად გამოქვეყნდება სპეციალურ ინტერნეტ გვერდზე.

იმავედროულად, გაერთიანებული სამეფოს ქცევისა და დასწრების ნაციონალურმა პროგრამამ (National Behaviour and Attendance Exchange) ყველა მნიშვნელოვანი ბმული დადო თავის ინტერნეტ გვერდზე, მათ შორის ისინიც, რომლებიც ამ სახელმძღვანელოშია მოხსენიებული. ინტერნეტ გვერდის მისამართია: [http://www.teachernet.gov.uk/whole-school/behaviour/npsl\\_ba/exchange/](http://www.teachernet.gov.uk/whole-school/behaviour/npsl_ba/exchange/). ასე რომ, ამ ინტერნეტ გვერდზე შეიძლება ინფორმაციის ნახვა ყველა იმ საკითხზე, რომელიც ამ სახელმძღვანელოშია მოცემული. იგი მთელი ევროპის სპეციალისტებს დაეხმარება ცოდნის გაღრმავებაში არსებული დადებითი გამოცდილების შესახებ.

უეჭველია, რომ ევროპულ სკოლებსაც აქვთ მსგავსი საჭიროება, გადაჭრან ძალადობის ანალოგიური პრობლემები თავიანთ სკოლებში, რისთვისაც არსებობს მსგავსი გზები და მეთოდოლოგიები. არა ერთ სამთავრობო თუ ადგილობრივ ინიციატივას ბევრის სწავლება შეუძლია. უნდა გავიზიაროთ ისინი. ინფორმაციის უწყვეტი ცვლა და თანამშრომლობა მთელ ევროპაში აუცილებელია, ევროპის საბჭომ კი უნდა განაგრძოს თავისი როლის შესრულება, კერძოდ, ერთად შეკრიბოს მკვლევარები და პრაქტიკოსი სპეციალისტები, სკოლებში ძალადობის აღმოსაფხვრელად გამოყენებული ქმედითი გამოცდილების გასაზიარებლად. ეს სახელმძღვანელო სწორედ ამ პროცესის დასახმარებლად არის განკუთვნილი.



### ძალადობასთან ბრძოლა სკოლებში: ევროპული ხედვა

პიტერ კ. სმიტი

ეს თავი სკოლებს დაეხმარება:

- ძალადობის კონცეფციისა და განსაზღვრების სწორად გააზრებაში;
- ევროპული ინიციატივების შესახებ ინფორმაციის მიღებაში;
- იმის გააზრებაში, თუ რა ფაქტორები ზემოქმედებენ ძალადობრივ გარემოზე სკოლაში;
- იმის დანახვაში, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლეებზე;
- იმ ღონისძიებათა მიმოხილვაში, რომელთაც ამჟამად ახორციელებს თქვენი სკოლა ძალადობის აღმოფხვრის მიზნით.

### ევროპული კონტექსტი

არსებობს მიზეზები, რომელთა გამოც ძალადობა სკოლებში შეშფოთებას იწვევს. უპირველეს ყოვლისა, ძალადობა მაშინვე აყენებს ზიანს იმ ადამიანებს, რომლებიც ძალადობის ობიექტნი ხდებიან ან ზიანს აყენებს სასკოლო გარემოს ვანდალიზმის შემთხვევაში. მეორეც, სკოლაში ძალადობრივი გარემოს არსებობამ შეიძლება დაუცველობისა და შიშის განცდა დაბადოს მოსწავლეებში, რაც თავად სკოლის მიზნების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ძალადობრივი გარემო სკოლაში პირდაპირ ეწინააღმდეგება მოქალაქეობის სწავლებას, რაც ჩვენი საბოლოო მიზანია. ამასთან, ძალადობა სკოლაში არღვევს მოსწავლეთა და ახალგაზრდების უფლებას, იცხოვრონ შიშისა და მუქარისაგან თავისუფალ გარემოში (გაეროს კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ).

სკოლებს შესწევთ უნარი, პოზიტიური ნაბიჯები გადადგან ძალადობისა და ძალადობის აღბათობის შესამცირებლად. სახელმძღვანელოში მოცემულია ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი უმთავრესი პროცესები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სახელმძღვანელოში ძალადობას კი განვიხილავთ სკოლის კონტექსტში, მაგრამ ეს



არ გახლავთ მხოლოდ სკოლების პრობლემა. მათზე, ვინც სკოლაში დადის, გავლენას ახდენს მედია, ძალადობისადმი დამოკიდებულება უფრო ფართო საზოგადოებაში და საერთაშორისო მოვლენებშიც კი. მედია ძალიან ბევრ ძალადობრივ ქმედებას აჩვენებს, ხანდახან ისეთი ფორმით, რომ ძალადობა მიმზიდველი და წარმატების მომტანიც კი ჩანს. ძალადობის შემთხვევები ხშირია საზოგადოებაში სკოლის გარეთ და ზოგჯერ გამართლებულიც. მშობლების მხრიდან შვილებზე ძალადობა (როგორცაა ფიზიკური დასჯა) კანონიერად ითვლება და საკმაოდ გავრცელებულია ბევრ ევროპულ ქვეყანაში, მაგრამ არა ყველგან. უმრავლესობა ამართლებს ძალადობას, როგორც საპასუხო ქმედებას კრიმინალების (დამსჯელი ძალადობა) ან ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ. ასე რომ, სკოლაში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების ეფექტიანობასა და ლეგიტიმურობაზე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენენ სკოლის გარეთ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები და დამოკიდებულებანი. დემოკრატიულ საზოგადოებაში პასუხისმგებლობა ყველა მოქალაქემ უნდა გაიზიაროს.

ამკარაა, რომ სწორედ ამ დისკუსიისას იკვეთება, თუ რას ვგულისხმობთ ძალადობაში.

### სავარჯიშო 1.1 – ინფორმაციის ზოგიერთი ძირითადი წყარო

პირველი სავარჯიშო გულისხმობს ძალადობის აღმოფხვრის შესახებ ინფორმაციის რამოდენიმე ძირითადი წყაროს დასახელებას და იმ ინტერნეტ გვერდების მითითებას, რომლებიც, შესაძლოა, საინტერესო იყოს სკოლებისათვის.

სკოლაში ძალადობის საკითხზე ბევრი გამოსადეგი წყარო არსებობს, მაგრამ ევროპულ ხედვას, განსაკუთრებით, შემდეგი წყაროები ასახავს:

- ევროპის საბჭოს პროექტის – “ძალადობაზე რეაგირება დემოკრატიული საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში” (Response to violence in everyday life in a democratic society) – ინტერნეტ გვერდი: <http://www.coe.int/T/E/Integrated-Projects/Violence/>
- დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთი ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ობსერვატორია არაძალადობის ხელშეწყობისათვის. ამ ინტერნეტ გვერდზე განთავსებულია სახელმძღვანელოსთვის რელევანტური ყველა ბმული, რომლებიც რეგულარულად განახლდება. <http://www.ukobservatory.com>
- სკოლებში ძალადობის ევროპული ობსერვატორია: <http://www.obsviolence.com>;

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული CONNECT-ის პროექტი სახელწოდებით: “სკოლებში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ევროპის მასშტაბით” (Tackling violence in schools on a European-wide basis) – 1998-2002, რომელიც ერთმანეთს უდარებს ევროკავშირის 15 წევრი სახელმწიფოს, აგრეთვე, ორი ასოცირებული სახელმწიფოს (ნორვეგიისა და ისლანდიის) ვითარებას. ეს ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტ გვერდზე: <http://www.gold.ac.uk/connect>.
- CONNECT-ის ფარგლებში დაფინანსებული 5 სხვა პროექტი სკოლებში ძალადობის შესახებ: [http://europa.eu.int/comm/education/index\\_en.html](http://europa.eu.int/comm/education/index_en.html);
- ICCRM-ი წყნარი გზის პროგრამისათვის (ICCRM for Pacific Pathway Program) – კონფლიქტის გადაჭრის პროგრამა სკოლებისათვის, ინგლისური და ფრანგული ვერსიები კანადიდან: <http://www.iccrm.com>
- სკოლებში ძალადობის ჟურნალი: <http://genesislight.com/JSV.htm>
- გაერთიანებული სამეფოს განათლებისა და უნარების დეპარტამენტის პროგრამის – “სკოლებში ძალადობის აღმოფხვრა” – ინტერნეტ გვერდი: <http://www.dfes.gov.uk/behaviourandattendance>;
- დიდი ბრიტანეთის ინტერნეტ გვერდი “ყოჩობის წინააღმდეგ”: <http://www.dfes.gov.uk/bullying>;
- ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინტერნეტ გვერდი, კერძოდ, სარჩევში იხილეთ fi – 006 სამოქმედო გეგმა სკოლაში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის: <http://www.health.fi/connect>;
- ყოჩობის საწინააღმდეგო ცენტრი (Anti-bullying center), ტრინიტი კოლეჯი, დუბლინი, სადაც შეგიძლიათ ნახოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საიტებთან დამაკავშირებელი ბმულები – <http://www.abc.tcd.ie>;
- აღდგენითი მართლმსაჯულება – სასარგებლო ინფორმაციას იხილავთ შემდეგ გვერდებზე: <http://www.transformingconflict.org> და <http://www.realjustice.org>

## ძალადობის განმარტება

რა არის “ძალადობა”? ინგლისური სიტყვის “violence” მონათესავე სიტყვები ლათინურ ენებში არის: ესპანური *violencia*, პორტუგალიური *violencia*, იტალიური *violenza*, ფრანგული *violence*, მაგრამ სხვა ტერმინები ევროპულ ენებში აბსოლუტურად განსხვავებული ლინგვისტური წარმოშობისაა. მაგალითად, გერმანული *gewalt*, ბერძნული

ბია, ან ისლანდიური ofbeldi. სხვას რომ თავი დაეხანებოთ, ინგლისური “violence”-იც სხვადასხვაგვარად განიმარტება. თავად ბავშვები სკოლებში ძალადობას სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ, ასაკის, ენისა და კულტურული თავისებურებების მიხედვით (სმიტი და სხვები, 2002). მოდით ვნახოთ, ძალადობის სამი განმარტება, ზრდასრულ ადამიანთა ხედვით.

ენკარტას ინგლისური ენის მსოფლიო განმარტებითი ლექსიკონი (Encarta, 1999) ძალადობას ასეთნაირად განმარტავს – ძალადობა არის: (1) ფიზიკური ძალის გამოყენება ვინმესთვის და რაიმესათვის ზიანის მიყენების მიზნით; (2) გაუმართლებელი ძალის არაღელგალური გამოყენება ან ასეთი ძალის გამოყენების მუქარა;

ოლვეუსის (ოლვეუსი, 1999, გვ. 12) განმარტებით კი, ძალადობა ან ძალადობრივი ქმედება გახლავთ: აგრესიული ქმედება, როდესაც ასეთი ქმედების ჩამდენი იყენებს საკუთარ სხეულს ან რაიმე საგანს (იარაღის ჩათვლით) იმისათვის, რომ შედარებით სერიოზული ზიანი ან დისკომფორტი მიაყენოს მეორე პირს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრების მიხედვით, ძალადობა არის: ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედების ან ძალის განზრახ გამოყენება, იქნება ეს ფაქტობრივი გამოყენება, თუ გამოყენების მუქარა, საკუთარი თავის, სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ან თემის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს დაზიანება, სიკვდილი, ფსიქოლოგიური ზიანი, არასრულფასოვანი განვითარება ან დანაკარგი (WHO fi-006).

ზემოთ მოყვანილი და ბევრი სხვა განმარტება ერთმანეთს ემთხვევა რამოდენიმე საკითხში, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდება კიდევც. ამ განმარტებებს საერთო აქვთ ის, რომ ძალადობა:

- ზიანის მომტანი და მავნებელია, ან, სულ მცირე, ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს შეიცავს; და
- ჩადენილია განზრახ (შემთხვევით მიყენებული ზიანი, როგორც ნესი, ძალადობად არ ითვლება);

მაგრამ მოდით, დავაკვირდეთ განსხვავების ფარგლებს. არსებობს, სულ მცირე, ხუთი ასპექტი:

1. ძალადობა აუცილებლად ფიზიკური უნდა იყოს? ენკარტას პირველი განსაზღვრებისა და ოლვეუსის განსაზღვრების მიხედვით, იგი აუცილებლად ფიზიკური უნდა იყოს, მაგრამ ოლვეუსის მეორე განმარტების ან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტების მიხედვით, ეს ასე არ არის. ეს, ალბათ, ყველაზე გადამწყვეტი საკითხია. ფიზიკურ ქმედებამდე ძალადობის დაყვანა მას მკაფიო ფოკუსს ანიჭებს და, შესაძლოა, აადვილებს მის შეფასებას, რადგან ფიზიკურ

ზემოქმედებათა მონიტორინგი უფრო ადვილია, ვიდრე სიტყვიერი თუ ურთიერთობისას გამოვლენილი ძალადობისა. სწორედ ეს განასხვავებს ძალადობას აგრესიისაგან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყველა მკვლევარი არ იწონებს ძალადობის ასეთ შეზღუდულ განმარტებას, რადგან იგი ამკარად გამორიცხავს ისეთ მიზანმიმართულ საზიანო ქმედებებს, როგორებიცაა სიტყვიერი შეურაცხყოფა, სოციალური გარიყვა, ბინძური ჭორების გავრცელება და სხვ. (Underwood, 2002);

2. ძალადობა აუცილებლად პიროვნების წინააღმდეგ უნდა იყოს ჩადენილი, თუ არა? ენკარტას მიხედვით, ეს აუცილებელი არ არის, მაგრამ ოლვეუსისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ეს ასეა – ანუ ძალადობა აუცილებლად პიროვნების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩაითვლება თუ არა ძალადობად ვანდალიზმი? (“სხვისი ქონების ბოროტგანზრახული ან წინასწარ დაგეგმილი დაზიანება ან განადგურება” – ენკარტა, 1999). უნდა ჩაითვალოს თუ არა ძალადობად სკოლის კედლებზე წარწერების გაკეთება ან სასკოლო წიგნების თუ ტექნიკის განზრახ განადგურება?

3. რა ჩაითვლება ძალადობად: ქცევა, რომელიც აზიანებს ვინმეს ან რაიმეს, თუ მხოლოდ მუქარაც საკმარისია, რომ ქმედება ძალადობად ჩაითვალოს, როგორც ეს ენკარტას მეორე ან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრებაშია მოცემული? ფაქტობრივი ძალადობის მსგავსად, ძალადობის მუქარაზე აქცენტის გაკეთება ამართლებს შეფასების ისეთი საზომების შემოტანას, როგორცაა, მაგალითად, დაუცველობის შეგრძნება.

4. ითვლება თუ არა ძალადობა ძალადობად, თუ იგი კანონიერი (იხ. ენკარტა (2))? თუ ეს ასეა, მაშინ ის მშობელი, რომელიც შვილს ფიზიკურად სჯის, მოძალადედ უნდა ჩაითვალოს. მაშინ იქნებ მოძალადეა ისიც, ვინც მოსწავლეებს დისციპლინის გამო სჯის, ან პოლიციელი, რომელიც კრიმინალის შეკავებას ცდილობს, ან მოსამართლე, რომელიც დამნაშავეს სასჯელს უსჯის? მაგრამ თუ ეს ასე არ არის, გამოდის რომ ჩვენთვის მისაღებია საზოგადოების მიერ განსაზღვრული ძალადობის კანონიერება? შეიძლება კი ამ მიდგომის წინააღმდეგ გამოსვლა?

5. ძალადობა აუცილებლად პიროვნებამ უნდა ჩაიდინოს (ოლვეუსი), თუ შეიძლება მას სოციალური ჯგუფი ან რაიმე ინსტიტუტი ჩადიოდეს? ტერმინი “ინსტიტუციონალური ძალადობა” სწორედ მეორე შესაძლებლობას გულისხმობს და საშუალებას გვაძლევს, ვიმსჯელოთ ალბათობაზე, რომ სკოლა ძალადობს მოსწავლეებზე გარკვეულ ქმედებათა თუ პოლიტიკის მოტივით.

დაბოლოს, როდესაც ამ განსაზღვრებას ვიყენებთ, იქნება ეს ფაქტების აღნუსხვის მიზნით თუ რეაგირებისათვის, აუცილებელია გადავწყვი-

ტოთ, რა დონეზე იქცევა ესა თუ ის ქმედება ძალადობად? რამდენად სერიოზული უნდა იყოს ზიანი, რომ მისი გამომწვევი ქმედება ძალადობად ჩაითვალოს? ყოველდღიურად თითოეული ჩვენგანი იღებს გარკვეულ ტკივილს. რა უნდა ჩავთვალოთ ძალადობად, მხოლოდ საკმაოდ სერიოზული დარტყმები, შეურაცხყოფა ან სოციალური პროვოკაციები? თუ ძალადობად ჩავთვალოთ ისეთი ქმედებები, რომელთაც ფრანგმა მკვლევარებმა “მიკრო-ძალადობა” ან “არაცივილურობა” უწოდეს ანუ შედარებით მცირე უზრდელობა და ნესების დარღვევა? (დეზარბიუ და სხვ., 2003). განსაზღვრებების უმეტესობა ასეთ ქმედებებს ძალადობად არ თვლის, მაგრამ მათ მაინც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს უფრო სერიოზული სასკოლო ძალადობის წარმოშობის მიზეზების გააზრებისა და შესაბამისი რეაგირებისათვის.

## კონვიენსია

ეს განსხვავებები შეუძლებელია გადაიჭრას პროფესიონალთა დიდ, საერთაშორისო ჯგუფში, რადგან უამრავი პიროვნული, კულტურული, დისციპლინარული და ლინგვისტური განსხვავება არსებობს. თუმცა, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია აბსოლუტურად ცხადად წარმოიდგინოს, რას ვგულისხმობთ ამა თუ იმ კონკრეტულ სკოლაში ან რაიმე კვლევის ჩატარებისას. ასე რომ, განსაზღვრებაზე შეთანხმება და ამ საკითხში სიცხადის შეტანა მიზანშეწონილია კონკრეტულ სკოლასთან და კონკრეტულ ადგილთან მიმართებით.

როცა ვცდილობთ სკოლისათვის შესაფერ განსაზღვრებაზე შევთანხმდეთ, შესაძლოა, გამოსავალი იყოს არა ძალადობის, არამედ მისი საპირისპირო ცნების – ესპანური კონვიენსიის გამოყენება, რაც ერთად ჰარმონიულ ცხოვრებას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, მოდი, შევეცადოთ გავაუმჯობესოთ კონვიენსია სკოლებში და განვიხილოთ, რა ტიპის ძალადობა მოქმედებს კონვიენსიის საწინააღმდეგოდ.

კონვიენსია, რომელიც “ერთად ჰარმონიულ ცხოვრებას” ნიშნავს, ამ სახელმძღვანელოში გამოყენებული იქნება არაძალადობის აღნიშვნისა და აღწერისათვის.

### სავარჯიშო 1.2: ძალადობრივი ქმედებანი, რომლებიც შეშფოთებას იწვევენ და კონვიენსიის წინააღმდეგ მოქმედებენ

ძალადობის ზემოთ მოცემული განმარტებების შესაბამისად, ჩამოთვალეთ ის ძალადობრივი ქმედებანი, რომლებიც თქვენს სკოლაში შეშფოთებას იწვევს. შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს სიის შედგენა შემდეგი სათაურებით:

ძალადობრივი ქმედება	ინიციატორი	მისი ზეგავლენა კონვივენსიაზე

ამ სიის შედგენის შემდეგ, ცხადად გაიაზრებთ, როგორია “ძალადობის” თქვენეული განმარტება.

### ინფორმაცია სკოლებში ძალადობის შესახებ

ცხადია, ძალადობის ჩვენეული განმარტება გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ მოვაგროვებთ ინფორმაციას მის შესახებ მაკრო დონეზე. კონკრეტულ სკოლაში მონაცემების შეგროვებისას, ძალადობის განსაზღვრების გარდა, კიდევ სხვა მნიშვნელოვანი საკითხებია გასათვალისწინებელი. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი სტატისტიკა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს (სმიტი, 2003), ბევრი მათგანი არასრული ან ირიბია. მაგალითად, კვლევები ყოჩობის შესახებ (და არა ძალადობის შესახებ); ოფიციალური სტატისტიკა ძალადობით გამოწვეულ უბედურ შემთხვევებზე; კრიმინალური სტატისტიკა, რომელიც ასოციალური ქცევის, არასრულწლოვანთა დამნაშავეობისა და ვანდალიზმის სამართლებრივ განმარტებებს ეფუძნება და მონაცემები სკოლიდან გარიცხვების შესახებ.

ზოგადად, არ არსებობს სისტემატური მონაცემები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ფართო მასშტაბით გროვდებოდა. სკოლებში ძალადობის სტატისტიკა სხვადასხვა მეთოდს ეფუძნება. მე-2 თავში, რომელიც აუდიტს ეძღვნება, განხილულია, როგორ უნდა დაინახონ სკოლებმა ძალადობა თავიანთ კონკრეტულ სიტუაციაში.

ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების უმეტესობა მოსწავლის მიერ მეორე მოსწავლის მიმართ ძალადობას ეხება. ძალადობაში ჩართული სხვა “წყვილები” იშვიათად თუა ნახსენები. ეს ფაქტი, ალბათ, ზუსტად ასახავს ძალადობის პრობლემის აღქმის თავისებურებას და, შესაძლოა, იმასაც, რომ ზოგიერთ სკოლასა თუ პერსონალს არ სურს, ღიად ისაუბროს მათი მხრიდან გამოვლენილ ძალადობაზე. აშკარაა, რომ ქონების მიმართ ძალადობისა და ინსტიტუციონალური

ძალადობის გარდა, ამგვარმა ქმედებებმა, შესაძლოა, თავი იჩინოს სკოლაში ნებისმიერ პირებს შორის. გარდა მოსწავლის მხრიდან მეორე მოსწავლის წინააღმდეგ მიმართული ძალადობისა, შესაძლებელია მოსწავლეთა ძალადობა სკოლის პერსონალის წინააღმდეგ, სკოლის პერსონალის მხრიდან – მოსწავლეების წინააღმდეგ და თავად პერსონალს შორის.

## **ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ სასკოლო ძალადობაზე**

მიუხედავად სხვადასხვა განმარტებისა და წყაროებისა, ჩვენ საკმაოდ ბევრი ვიცით იმ ფაქტორთა შესახებ, რომლებიც სკოლაში ძალადობის დონეზე ახდენს გავლენას. ამ ფაქტორებს შორისაა: სკოლის ტიპი და სკოლაში არსებული გარემო; თანატოლთა ჯგუფების მახასიათებლები, მოსწავლეთა მახასიათებლები, როგორებიცაა ასაკი, სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, ოჯახი და განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებანი, აგრეთვე, ისტორიული ტენდენციები.

## **სკოლის მახასიათებლები**

ცოტაა მონაცემები იმის შესახებ, რომ სკოლის ან კლასის ზომა მნიშვნელოვანი ფაქტორებია სკოლაში ძალადობის დონის პროგნოზირებისათვის (ოლვეუსი, 1999, სმიტი, 2003). თუმცა, სკოლის გარემოს ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა კლასის მართვის უნარი, მნიშვნელოვანი ფაქტორია რამდენიმე კვლევის შედეგების მიხედვით (ნორვეგიაში, როლანდი და გალოუეი, 2002), მაგრამ არა ყველგან (გერმანია, ჰანევიცკელი, 2004). ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფილადელფიაში, ჩატარებულმა კვლევამ (ველში და სხვ.) გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები უფრო უკეთესი პროგნოზირების საშუალებას იძლევა, ვიდრე სკოლისა და თემის დამახასიათებელი ფაქტორები. ამისგან განსხვავებით, ბენზენიშტმა და ასტორმა (პრესა) ისრაელის სკოლებში ჩაატარეს ფართომასშტაბიანი კვლევა და შეისწავლეს თემის, სკოლის, კლასისა და ოჯახის ცვლადები. საინტერესოა მათი აღმოჩენა, რომ აღნიშნული ფაქტორები განსხვავებულ ზეგავლენას ახდენენ სხვადასხვა ტიპის ძალადობაზე. სკოლის მახასიათებლები, როგორიცაა, მაგალითად, სკოლის გარემო, ფაქტობრივად, განსაზღვრავს ძალადობის მსხვერპლად გახდომის ალბათობას, განსაკუთრებით კი, ზომიერი დევნის შემთხვევაში. უფრო ნაკლებ ძალადობაზე – სიტყვიერ დევნაზე კი სკოლის გარემოს ნაკლები ზეგავლენა აქვს. აღმოჩნდა, რომ სკოლის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მახასიათებლებს მეტი გავლენა აქვთ უფრო სასტიკ ძალადობაზე. როგორც ჩანს, ძალიან ბევრი გარემოება ახდენს გავლენას თემის, სკოლისა და ცალკეულ ფაქტორთა შედარებით მნიშვნელობაზე, თუმცა, ცხადია, რომ თითოეული ფაქტორი გარკვეულ როლს თამაშობს.

### სავარჯიშო 1.3: რა ფაქტორები ახდენს გავლენას სკოლაში კონვივენსიის გარემოზე?

სკოლაში კონვივენსიის შექმნის ან შენარჩუნების მიზნით, აუცილებელია იმ ფაქტორთა განხილვა და შესწავლა, რომლებიც გავლენას ახდენს კონვივენსიაზე. მსჯელობის საფუძველზე, შეადგინეთ ასეთ ფაქტორთა სია და განალაგეთ ისინი კონვივენსიაზე გავლენის ხარისხის მიხედვით. შესაძლოა, გამოსადეგი აღმოჩნდეს ამ ფაქტორების დაჯგუფება ოთხი ქვესათაურის ქვეშ:

- მოსწავლეებთან დაკავშირებული;
- მონიფულ ადამიანებთან დაკავშირებული;
- შენობებთან / ობიექტებთან დაკავშირებული;
- სკოლის გარეთ / თემთან დაკავშირებული.

### თანატოლთა ჯგუფის მახასიათებლებია

მოსწავლეებზე გავლენას ახდენს თანატოლთა ის ჯგუფი, რომელშიც ისინი იმყოფებიან. ამგვარი გავლენის არსებობას ადასტურებს ის კვლევებიც, რომლებიც ჩაატარეს არასრულწლოვანთა დანაშაულის გარშემო. დანაშაულებების შესახებ არსებული თეორიის მიხედვით, ადამიანები, რომლებიც დანაშაულებრივ ქმედებას ადრეულ ასაკშივე იწყებენ, ასოციალურ და ძალადობრივ საქციელს პუბერტატის ასაკამდე ამჟღავნებენ (ალბათ, ამაზე გავლენას ახდენს ინდივიდუალური და პიროვნების დამახასიათებელი ფაქტორები) და, შესაძლოა, ამგვარი ქმედება დიდი ხნის განმავლობაში გააგრძელონ. ამისაგან განსხვავებით, ბევრი მოსწავლე დამნაშავე მოგვიანებით ხდება და ასოციალური ქცევას მხოლოდ რამდენიმე წელს აგრძელებს. ეს, როგორც წესი, პიკურ ასაკს (13-დან 16 წლამდე) ემთხვევა. ამ ეტაპზე თანატოლთა ჯგუფს ძალიან დიდი გავლენა აქვს. როგორც ჩანს, თანატოლთა ჯგუფის გავლენა უფრო ძლიერია ზომიერად “რთულ” ბავშვებზე, მაგრამ უფრო დაბალია “ძალიან რთულ” ბიჭებზე (რომლებიც იმ დროისათვის, შეიძლება, უკვე იყვნენ ასოციალური ბანდების ლიდერები) ან მონესრიგებულ მოსწავლეებზე (რომლებიც სწავლაში წარმატებაზე არიან მოტივირებულნი და თავს არიდებენ ასოციალურ თანატოლთა ჯგუფებს). (პატერსონი და სხვ., 1989; ვიტარო და სხვ., 1997).

### მოსწავლეთა მახასიათებლები

სტატისტიკური მონაცემების უმრავლესობა გვიჩვენებს, რომ სკოლაში ძალადობის მსხვერპლად გახდომის შემთხვევები ასაკის მატებასთან ერთად მცირდება (სმიტი, 2003). ეს, შესაძლოა, იმიტომ ხდება,



რომ პოტენციური მსხვერპლი ასაკთან ერთად უფრო ძლიერდება და მეტად იძენს უნარებს, რომლებიც მას თავდასხმისაგან თავის არიდების საშუალებას აძლევს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის შემთხვევები იზრდება ასაკის მატებასთან ერთად და მოძალადეების რიცხვიც იზრდება მოზარდობის საშუალო ასაკიდან მოზარდობის ზედა ასაკისაკენ. ნორმების დარღვევა და სარისკო ქცევა უფრო ხშირდება და მეტად მიღებული ხდება მოზარდობის ასაკში შესვლასთან ერთად (არნეტი, 1992). გარდა ამისა, ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა სექსუალური ძალადობა ანდა სექსუალური ორიენტაციის გამო დაცინვა ან დაშინება, ნაკლებად გავრცელებულია დაბალ კლასებში – მოსწავლეთა საშუალო სკოლაში გადასვლამდე.

ბევრი ქვეყნის სტატისტიკური მონაცემები ცალსახად გვიჩვენებს განსხვავებას სქესის მიხედვით (სმიტი, 2003). განსაკუთრებით მაშინ, როცა ვსაუბრობთ ძალადობის ფიზიკურ ფორმებზე – ძალადობა ბიჭებს შორის ბევრად ხშირია, ვიდრე გოგონებს შორის. როგორც წესი, ბიჭები ფიზიკურად უფრო ძლიერები არიან, ვიდრე იმავე ასაკის გოგონები და ფიზიკური ძალა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სტატუსს თანატოლთა ჯგუფში. თუმცა, თუ გამოვიყენებთ ძალადობის უფრო ფართო განსაზღვრებას, აღმოვაჩინებთ, რომ ურთიერთობითი ძალადობის ისეთ ფორმებში, როგორიცაა სოციალური გარიყვა, ჭორების გავრცელება და სიტყვიერი ძალადობა, გოგონებს შედარებით მაღალი, ხანდახან კი აბსოლუტური მაჩვენებელი აღენიშნებათ.

ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით სწრაფად იზრდება სკოლებში ემიგრანტ მოსწავლეთა რიცხვი. ბევრ ქვეყანაში შესამჩნევია რასობრივი დაძაბულობა და ეს სკოლებზეც აისახება. ემიგრანტი და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა მოსწავლეებმა, შესაძლოა იწვნონ რასობრივი დამცირება. თავის მხრივ, ახალგაზრდები სკოლაში შეიძლება მოვიდნენ განსხვავებული მოლოდინებით, ფრუსტრაციისა და დეპრივაციის განსხვავებული გამოცდილებით. თუმცა, რამდენადაც მონაცემები არაერთგვაროვანი და განსხვავებულია, ნაკლებად დასაშვებია ძალადობის ხარისხის დაკავშირება რომელიმე კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან (სმიტი, 2003; ბენბენისტი და ასტორი, პრესაში).

კვლევები გვიჩვენებს, რომ ოჯახური კონტექსტი ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ძალადობის წარმოშობაზე (ოლვეუსი, 1993). უფრო აგრესიული, ძალადობისა და დაშინებისაკენ მიდრეკილი ბავშვები იზრდებიან ისეთ ოჯახებში, სადაც მშობლები თავად არიან მოძალადეები, არ გამოხატავენ სითბოს და ვერ აკვირდებიან და აკონტროლებენ თავიანთი შვილების ქცევას. იმავდროულად, არსებობს იმის მაგალითებიც, რომ ზედმეტად მზრუნველი მშობლების შვილები უფრო ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი.

ძალადობის მსხვერპლად გახდომის უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვები (ნაბუზოკა, 2000). ამ ბავშვების ქცევა, შესაძლოა, დამამცირებელი და ძალადობრივი მოპყრობის საბაზი გახდეს. ხშირად მათ თანატოლი მეგობრები არ იცავენ. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები ხანდახან თავადაც აგრესიული ქმედებით წყვეტენ თავიანთ პრობლემებს (იხ. სავარჯიშო 1.4).

### სავარჯიშო 1.4: რა ფაქტორებმა შეიძლება იქონიონ გავლენა მოსწავლეებზე?

თუ განვიხილავთ თითოეულ ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს კონვიენსიაზე მოსწავლეებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, შესაძლოა, მოვისურვოთ 1.3 აქტივობით გათვალისწინებული სიის გადაახედვა. ხომ არ შევცვალოთ თანმიმდევრობა თითოეული ფაქტორის გავლენის სიძლიერის მიხედვით? ამის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, თუ სკოლის პოლიტიკა და მოქმედებათა დაგეგმვა (თავი 3) ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეზე.

### ისტორიული ტენდენციები – იზრდება თუ არა ძალადობის შემთხვევები?

საერთოდ, გავრცელებულია მოსაზრება, რომ ძალადობა იზრდება, მათ შორის, სკოლაშიც. თუმცა, ჭეშმარიტება უფრო რთულია. ამა თუ იმ მოვლენის აღქმა რეალობას ყოველთვის არ შეესაბამება. ძალიან ხშირად, ასაკოვანი ხალხი წარსულს მისტირის, მისტირის იმ “ოქროს ხანას”, როდესაც ყველაფერი უკეთესად იყო, როდესაც ნაკლები იყო ძალადობა ან არასრულწლოვანთა დანაშაული. თუ გადავხედავთ ერთი-ორი თაობის წინ არსებულ მდგომარეობას, აღმოჩნდება, რომ ასაკოვანი ადამიანები მაშინაც ზუსტად ასე მისტიროდნენ წარსულს (პირსონი, 1983)..

ცალკეულ ქვეყნებში ჩატარებული კვლევები არ იძლევა საკმარის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორია ძალადობის ტენდენცია დროთა განმავლობაში. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, ნორვეგია) ასეთი მონაცემები არსებობს და ეს მონაცემები სკოლებში ძალადობის ოდნავ ზრდაზე მიანიშნებს. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, იტალიაში) ძალადობის დონე დროთა განმავლობაში მცირდება; სხვებში კი ზოგი ტიპის ძალადობა იზრდება, ზოგი ტიპის - მცირდება.

## სკოლაში ძალადობის აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებები

### ნაციონალური მოთხოვნები, ინიციატივები და პროგრამები

სმიტის ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ არსებობს გარკვეული ღონისძიებები, რომლებიც ყველა ქვეყანას აქვს ნაცადი. ესენია ნაციონალური ინიციატივები, რეგიონალური ან ადგილობრივი ან, თუნდაც, ცალკეული სკოლების მიერ გატარებული ღონისძიებები. უფრო ფართომასშტაბიანი მოქმედებები, უმეტესად, კარგად შემუშავებული პროგრამების საფუძველზე ხორციელდება და შეიძლება მოიცავდეს კურიკულუმში ახალი თემების შეტანას, რისკის ჯგუფს მიკუთვნებულ მოსწავლეებთან ინდივიდუალურ მუშაობას და სხვა ღონისძიებებს. მაგალითად, ოლვეუსის ყოჩობის წინააღმდეგ მიმართულ პროგრამას ფართოდ იყენებენ ნორვეგიაში (სხვა ინიციატივებთან ერთად), იყენებდნენ ავსტრიაში, ფინეთსა და გერმანიაში, ამჟამად განიხილავენ ისლანდიაშიც. პორტუგალიასა და გაერთიანებულ სამეფოში ფართოდ იყენებენ უსაფრთხო სკოლების პროგრამას. ესპანეთის ანდალუზია/სევილიის რეგიონში შეიმუშავეს გადარჩენის პროგრამა, ხოლო შვედეთში ხშირად იყენებენ “ფარსტა პროგრამას”. ეს პროგრამები კარგად არის აღწერილი ბუკლეტებსა და სხვა მასალებში როგორც მოსწავლეების, ასევე მასწავლებლებისათვის და მათ მეტ-ნაკლებად სტანდარტული ფორმა აქვთ. როგორც წესი, არსებობს მათი ეფექტიანობის შეფასების საშუალებებიც.

განათლების სამინისტროები უმეტეს ქვეყნებში სკოლებისაგან მოითხოვენ ისეთი გარემოს შექმნას, სადაც პატივს სცემენ სხვა ადამიანებს. თუმცა, ორი წლის წინ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ევროპის ქვეყნების მხოლოდ ნახევარზე ნაკლებს (ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, ლუქსემბურგი, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო) ჰქონდა კონკრეტული და სამართლებრივი მოთხოვნები სკოლებში ძალადობისა და დაშინების პრევენციისათვის (ანანიადუ და სმიტი, 2002). ხანდახან სხვადასხვა შტატში (მაგალითად, გერმანულ ლანდებსა ან გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში) განსხვავებული წესები და მოთხოვნები აქვთ. ზოგიერთი ქვეყნის სამართლებრივი ბაზის მიხედვით, სკოლებს, შესაძლოა, მოეთხოვებოდეთ კომპლექსური მიდგომის ან პოლიტიკის შემუშავება ძალადობასა ან ყოჩობასთან გასამკლავებლად; შესაძლოა, არსებობდეს შესაბამისი ნაციონალური სამეცნიერო ბაზაც, რომელიც სკოლებს ამაში დაეხმარება.

ბევრი სხვა ინიციატივა, რომელიც ძალადობის აღმოფხვრას წარმატებით ახერხებს, ნაკლებად სტანდარტიზებულია ან მხოლოდ ლოკალურად გამოიყენება. ასეთი ინიციატივები აშკარად მხარდაჭერის ღირსია და მათ საფუძველზე შესაძლებელია ძალიან სასარგებლო

პროცედურების დანერგვა. მუხა რკოსაგან იზრდება! თუმცა, დროისა და რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ საჭიროა როგორც შეფასება, ასევე ინფორმაციის გავრცელება (იხ. სავარჯიშო 1.5).

### **სავარჯიშო 1.5: ნაციონალური ინიციატივა – როგორ ეხმარება იგი სასკოლო პოლიტიკისა და წესების შექმნას?**

სკოლებს, რომელთაც სურთ მუშაობის დაწყება ძალადობის აღმოსაფხვრელად, უპირველეს ყოვლისა დასჭირდებათ იმ ადგილობრივი და ნაციონალური ინიციატივების გარკვევა, რომლებიც მათ შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებაში დაეხმარება (იხ. თავი 3), ამასთან, იმ ინტერნეტ გვერდების გაცნობა, რომლებიც 1.1 სავარჯიშოშია ჩამოთვლილი.

#### **სასკოლო პოლიტიკა და საკლასო წესები**

მიუხედავად იმისა, ნაციონალური სამართლებრივი მოთხოვნების მიხედვით ვიმოქმედებთ, თუ სტრუქტურული პროგრამების (როგორცაა ოლვეუსის ყოჩობის წინააღმდეგ მიმართული პროგრამა), მთავარი სტრატეგიაა ისეთი სასკოლო პოლიტიკისა და საკლასო წესების შემუშავება, რომ გავუმკლავდეთ ძალადობას და ჩამოვყალიბოთ სწორი ქცევა. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, აქცენტი კეთდება მთლიანად სასკოლო პოლიტიკის შემუშავებაზე, მაშინ, როცა სხვა ქვეყნებში (ავსტრია, ნიდერლანდები) ყურადღება საკლასო წესების შემუშავებაზეა გამახვილებული. ასეთი პროცედურების დადებითი მხარე ისაა, რომ ისინი სკოლის პერსონალსა და მოსწავლეებს შორის კონსულტაციების ჩატარების საშუალებას იძლევა. საკლასო წესების შემუშავების პროცესი მაქსიმალურად ამაღლებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ ჩართულობას, იმავდროულად, მათულობს ფრაგმენტული მიდგომის რისკიც, რაც არ ახასიათებს სასკოლო მიდგომას. სკოლის თანამშრომლები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საკლასო წესების თუ სასკოლო პოლიტიკის შემუშავებაში მოსწავლეების ჩართვით. სწორად შემუშავებული სასკოლო მიდგომა მკაფიოდ გამოკვეთს სკოლის პერსონალისა და მშობლების როლს (იხ. თავი 3).

#### **ზოგადი პრევენციული ღონისძიებანი**

ზოგიერთი ინიციატივა აქცენტს პირდაპირ ძალადობაზე კი არ აკეთებს, არამედ ცდილობს გააძლიეროს პრევენციული ფაქტორები. მაგალითად, დანიასი არსებობს ბავშვთა საპარლამენტო დღე, როდესაც ბავშვებს ეძლევათ საშუალება, გამოხატონ (და ხმა მისცენ) წუხილი და შემოფოთება სკოლებთან დაკავშირებით, განაცხადონ,

რის გაუმჯობესებას ისურვებდნენ და როგორ. ასეთმა ღონისძიებამ, შესაძლოა, გააძლიეროს მონაწილეობისა და მოქალაქეობის აღქმა და პრაქტიკული წინადადებებიც კი მივიღოთ სკოლაში ძალადობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ანალოგიური “საპარლამენტო დღეები” საფრანგეთსა და შვედეთშიც მოსინჯეს.

ზოგიერთი პროგრამა ისეა შექმნილი, რომ სასკოლო გარემოს გაუმჯობესებას აპირებს სკოლის პერსონალის განათლების და მოსწავლეთა პიროვნული თუ სოციალური განათლების გაძლიერებით. ამის მაგალითია ისლანდიაში განხორციელებული პროგრამა უსაფრთხო ცხოვრების უნარების შესახებ. ზოგიერთი ტენდენცია ნორვეგიასა და ნიდერლანდებში გვიჩვენებს, რომ ასეთი პროგრამები უფრო იმედისმომცემია, ვიდრე კონკრეტულად ძალადობის ან ყოჩობის წინააღმდეგ მიმართული პროგრამები (როლანდი და გალოუეი, 2004). ძალადობის აღმოსაფხვრელად სხვა ღონისძიებებსაც განიხილავენ. კერძოდ, უფრო მცირე კლასების, უფრო პატარა სკოლებისა და მეტი სპორტული დარბაზის (არა შეჯიბრებებისთვის) არსებობა, თუმცა, კვლევების შედეგები ბევრს არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ მცირე ზომის კლასი ან სკოლა გავლენას ახდენს ძალადობის დონეზე. ზოგად კურიკულუმში ისეთი მიდგომის ჩართვა, როგორცაა, მაგალითად, ჯგუფური კოორდინირებული მუშაობა (კოუი და სხვ., 1994), კიდევ უფრო აძლიერებს მოსწავლეებს შორის პირად ურთიერთობებს (იხ., აგრეთვე, თავები 5 და 6).

### **სასკოლო გარემოს გაუმჯობესება ძალადობის აღმოფხვრის მიზნით**

ძალადობრივი ინციდენტების აღბათობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სკოლის ფიზიკური გარემო. ძალადობის ხელშემწყობ ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება იქცეს მცირე გაღიზიანებაც კი. მაგალითად, კორიდორში ერთმანეთთან შეჯახება, ფრუსტრაციის შეგრძნება ბუფეტში რიგში დგომის გამო და ა.შ. კარგი იქნება სხვადასხვა დანიშნულების, თან მეტად მიმზიდველი სათამაშო მოედნების მოწყობა, რათა მოსწავლეებს მოწყენილობა არ დაეუფლოთ და იმის გამო, რომ უკეთესს ვერაფერს აკეთებენ, უბრალოდ “გართობისთვის” არ ჩაიდინონ ძალადობრივი ქმედება. თუმცა, მოსწავლეთა შორის ძალადობის აღმოსაფხვრელად, სკოლის ფიზიკურ გარემოში, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია უფროსების მხრიდან მეთვალყურეობის გამარტივება და გაზრდა. სასარგებლო იქნება, თუ კარგად გამოჩნდება ის ადგილები, სადაც მოსწავლეები იმყოფებიან, ან გამოიყოფა ზედამხედველები სადილის დროს მეთვალყურეობისათვის, თუ ამას თანამშრომლები არ აკეთებენ (იხ. თავი 6).

## სასწავლო პროგრამები და აქტივობები

ძალადობისა და ყოჩობის შესახებ საინფორმაციო და ცოდნის გასაღწეველი მასალები ფართოდ გამოიყენება ამ მოვლენებისადმი დამოკიდებულების შეცვლისა და ძალადობის აღმოფხვრის მიზნით. ასეთ საინფორმაციო მასალებს შორისაა სპეციალისტთა ჯგუფების მიერ შექმნილი ლიტერატურა, დრამა და თამაში, ფილმები და ვიდეო-მასალები. უკანასკნელ წლებში ძალიან განვითარდა მულტიმედია საშუალებები, როგორებიცაა კომპაქტ-დისკებზე ჩანერილი მასალა და ვირტუალურ სამყაროში ურთიერთობათა საშუალებები. სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევების სწავლებისათვის რამოდენიმე პროგრამა შეიქმნა, მაგალითად, წყნარი დანყებითი სკოლის პროგრამა (Pacific Primary Programme), რომელიც ფრანგულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი, აგრეთვე, SEBS-ის პროგრამა ინგლისში. არსებული მონაცემების მიხედვით, ეს პროგრამები საკმაოდ ეფექტიანია ძალადობის წინააღმდეგ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩარევის უფრო ფართო პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს შეადგენენ (იხ. თავი 4).

## ცალკეულ მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც, საფრთხეა, გახდნენ მოძალადეები

ზოგიერთი პრევენციული ხასიათის ჩარევა ფოკუსირებულია ცალკეულ მოსწავლეზე, რომლებიც რისკის ქვეშ არიან. ამ ღონისძიებათა შორისაა “პოზიტიური ინფორმაციის ბარათის” სქემა (ბელგიაში), ტრენინგი სოციალურ კომპეტენციებსა და უნარებში, ტრენინგი მოსწავლეთა თვითდამკვიდრებასა და თვითშეფასების ამალგებაში (Pathway-ს პროგრამა ირლანდიაში). ისეთი პროგრამები, როგორებიცაა “No Blame – ბრალდების გარეშე” (მეინსი და რობინსონი, 1992) ან “Method of Shared Concern –საერთო შემოფოტების მეთოდი” (პიკასი, 2002) ისეა აგებული, რომ აგრესიულ ბავშვებს თავიანთი ქცევის შეცვლის სტიმული ეძლევათ (იხ. თავი 5).

## დახმარება ძალადობის მსხვერპლთათვის

ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სხვადასხვა საშუალება და ფორმა არსებობს. ზოგადი კურიკულუმი, შესაძლებელია, მოსწავლეებს დაეხმაროს ისეთი მიდგომების ჩამოყალიბებაში, რომელიც ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლთა დახმარებას თვითმხილველთა ან თანატოლთა მხრიდან. ამის ერთ-ერთი მაგალითია ნუტინენის სლაიდების ჩვენება (ფინეთი) – Nuutinen Slide Show, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეებში ძალადობის მიმართ დამოკიდებულების შოკურ ცვლილებას. უფრო ფართო დონეზე არსებობს თანატოლთა მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის, დამეგობრების, მედიაციისა და კონფლიქტების გადაჭრის თუ რჩევების გაცემის სქემები (იხ. კოუი და ველესი, 1998 და ამ სახელმძღვანელოს სხვადასხვა

თავი). ეს მეთოდები ბოლო ათწლეულში ჩამოყალიბდა. თანატოლთა მხარდაჭერის მეთოდის არსებული შეფასება გვიჩვენებს, რომ ამგვარ მიდგომებს შეუძლიათ გააუმჯობესონ ზოგადად სკოლის გარემო, რადგან უბიძგებს ძალადობის თვითმხილველებს, დაეხმარონ თანატოლს და დაიცვან დაუცველი მოსწავლეები. ასეთი სქემები რამოდენიმე ქვეყანაში იქმნება და ვითარდება (იტალია, გაერთიანებული სამეფო). იხ. აგრეთვე, თავი 5.

### **სასკოლო უსაფრთხოებისა და უშიშროების ორგანიზება**

ზოგიერთი ინიციატივა აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ გაერკვას ძალადობის ფაქტში მხოლოდ მისი ჩადენის შემდეგ ან ნაკლები შესაძლებლობა შეუქმნას მის განვითარებას. რამოდენიმე ქვეყანაში (ავსტრია, ესპანეთი და გაერთიანებული სამეფო) მოსწავლეებისათვის შექმნილია სპეციალური ცხელი ხაზი, სადაც დახმარებას ანონიმურად მიიღებენ. უსაფრთხოებას უზრუნველყოფს შემდეგი ღონისძიებებიც: მოსწავლეთა დაუცველი ჯგუფებისათვის ე.წ. “განგაშის სამაჯურის” გაკეთება, რაც მათ საშუალებას აძლევს, დახმარება მოითხოვონ თავდასხმის ან მუქარის შემთხვევაში (ფინეთი); სწრაფი რეაგირების სისტემების შექმნა ძალადობრივი ინციდენტების საპასუხოდ; სკოლაში დაცვის დაქირავება (პორტუგალიის უსაფრთხო სკოლების პროგრამა) და სკოლაში საერთო უსაფრთხოების გარემოს გაძლიერება (იარაღის ტარების ან სკოლის შენობაში შესვლაზე კონტროლი, შესაძლოა, ვიდუო-თვალთვალის სისტემის გამოყენებაც). რეაგირების ასეთი საშუალებები, შესაძლოა, აუცილებელი იყოს ზოგ სიტუაციაში, მაგრამ არსებობს რისკი, რომ ამგვარი ღონისძიებები უარყოფითად იმოქმედებს სასკოლო გარემოსა და კონვივენსიის გაუმჯობესებაზე. პორტუგალიის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე ორიენტირებული “უსაფრთხო სკოლების პროგრამა” ამჟამად გზას უთმობს უფრო პედაგოგიურ პრინციპებზე დაფუძნებულ მიდგომას და ორიენტირებულია მოსწავლეთა თვითშეფასებისა თუ პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებაზე. ანალოგიურად, დიდი ბრიტანეთის ზოგიერთ სკოლაში არსებული მიდგომა, რომელიც რეაბილიტაციაზეა ორიენტირებული და სარეაბილიტაციო სამართალს ეფუძნება, ძალიან კარგ შედეგებს იძლევა, როგორც ძალადობის მსხვერპლთა, ასევე ძალადობის ჩამდენებისათვის.

### **სკოლის პერსონალის მომზადება**

მასწავლებელთა მხარდაჭერა ძალადობის წინააღმდეგ მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის პრობლემა სკოლაში მომუშავე ყველა ადამიანს ეხება, სწორედ მასწავლებლები დგანან წინა ხაზზე მოსწავლეთა შორის ძალადობის აღმოფხვრისა და მასზე რეაგირების თვალსაზრისით. ამდენად, აუცილებელია მასწავლებელთა შესაბამისი მომზადება. უკეთესი შედეგების

მიღება შეიძლება, თუ მომზადებას გაივლის სკოლის დანარჩენი პერსონალიც: სათამაშო მოედნის ზედამხედველები, სკოლის ყარაული, მზარეული და ექთნები, რომლებიც, შესაძლოა, ძალადობის მოწმენი გახდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, როგორ მოახდინონ რეაგირება. მეტის მიღწევა შეიძლება, თუ სკოლის პერსონალს ეცოდინება, როგორ ჩართონ მშობლები სკოლაში ძალადობის აღმოფხვრის ღონისძიებებში. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მასწავლებლები სპეციალურ ტრენინგს გადიან ძალადობაზე რეაგირების თემაზე (მაგალითად, ირლანდია და ესპანეთი); არსებობს ბევრი საინფორმაციო მასალა მასწავლებლებსათვის (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში “ყოჩობის სანინააღმდეგო პაკეტი”); ხშირად საქმეში ჩართულნი არიან და მასწავლებლებს ეხმარებიან სპეციალური განათლების ასისტენტებიც (საფრანგეთი) ან მენტორები (დიდი ბრიტანეთი).

**სავარჯიშო 1.6: რას აკეთებს ამჟამად სკოლა? – შესამოწმებელ მაჩვენებელთა ნუსხა**

როგორც ამ თავშია აღწერილი, ძალადობის აღმოფხვრა კომპლექსური პროცესია. არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, რომ სკოლებმა შეიმუშაონ მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული სტრატეგიები, რათა დაამკვიდრონ კონვივენსია და, ძალადობის შემთხვევაში, სწორად უპასუხონ მას.

რა მიდგომები, სისტემები და პერსონალის უნარები არსებობს თქვენს სკოლაში კონვივენსიის დასამკვიდრებლად, როგორც ეს ამ თავშია აღწერილი? კიდევ რისი დახვეწა და გაუმჯობესება შეიძლება მომავალში? ქვემოთ მოცემული ნუსხა დაგეხმარებათ არსებული მდგომარეობის განსაზღვრაში, აუდიტის დაწყებამდე.

სავარჯიშო / რეაგირების სახე	მიდგომები / სისტემები / უნარები
<p>ნაციონალურ დონეზე არსებულ მოთხოვნებზე, ინიციატივებსა და პროგრამებზე რეაგირება</p>	
<p>სასკოლო პოლიტიკა და საკლასო წესები</p>	
<p>ზოგადი პრევენციული ღონისძიებანი</p>	



სასკოლო გარემოს გაუმჯობესება ძალადობის აღმოფხვრის მიზნით	
სასკოლო პროგრამებისა და სავარჯიშოების სწავლება	
ცალკეულ მოსწავლეთა დახმარება, რომლებიც, საფრთხეა, გახდნენ მოძალადეები	
ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა	
უსაფრთხოებისა და უშიშროების ორგანიზება	
პერსონალის მომზადება	

### სკოლის აუდიტის როლი ძალადობის პრევენციასა და აღმოფხვრაში

პიტერ გალვინი

ეს თავი სკოლებს დაეხმარება:

- სწორად დაგეგმონ აუდიტის პროცესი, სკოლაში ძალადობის დონის გამოვლენის მიზნით;
- გაარკვიონ, რამდენად კარგად არის სკოლა ორგანიზებული ძალადობის აღმოფხვრისა და მასზე რეაგირებისათვის;
- მონაცემების სწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე, დაადგინონ სკოლაში არსებული ნებისმიერი სახის ძალადობის მახასიათებლები;
- შექმნან სამოქმედო გეგმა არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

### რას ნიშნავს სკოლის აუდიტი?

სკოლებში ძალადობის ბოლოდროინდელმა კვლევებმა ორი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი გამოავლინა, რომელზე მუშაობაც მომავალ მკვლევარებსა და სპეციალისტებს მოუწევთ. ორივე სკოლაში აუდიტის როლს უკავშირდება. პირველი საკითხი ითვალისწინებს სკოლაში ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ეფექტიანობის კვლევას და იმის დადგენას, რა მუშაობს და რა ვერა. მეორე საკითხი კი ითვალისწინებს სკოლებისა და მისი ორგანიზაციული სტრუქტურის მნიშვნელობისა და როლის გამოკვლევას ძალადობის პრევენციასა და აღმოფხვრაში.

პირველ საკითხთან დაკავშირებით, შაფერი და კორნი (2003) ამბობენ: “უამრავი საინტერესო წინადადება, პროექტი და პროგრამა არსებობს სკოლებში ძალადობის აღმოსაფხვრელად, მაგრამ სანამ არავინ ინტერესდება მათი სამეცნიერო შეფასებით, ნებისმიერი წარმატება “სასწაულია”.

ამ თავში აღწერილია აუდიტის პოზიტიური მხარეები. აუდიტის ერთ-ერთი დადებითი მხარე ის არის, რომ იგი სამეცნიერო შეფასებას მოითხოვს. აუდიტი გულისხმობს სკოლებში არსებული სირთულეე-

ბის ბუნებისა და დონის გაზომვასა თუ კვლევას, ამ ანალიზის საფუძველზე, სამოქმედო გეგმის შექმნას და შემდეგ სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს. გამოკვეთილი პრობლემის გადასაჭრელად მრავალგზის გამოყენებულ საშუალებათა მონიტორინგი კარგი დასაწყისია სამეცნიერო შეფასებისათვის, რომელიც შეეხება სკოლაში გატარებულ ზომებსა და კომპლექსურ გარემოს, სადაც რთულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა.

გარდა ამისა, თუ ევროპის ქვეყნებში აუდიტი ჩატარდება დაახლოებით მსგავსი ფორმატით (ადგილობრივი გარემოებების სათანადო გათვალისწინებით), შევძლებთ ქვეყნების გონივრულ შედარებას და პრობლემის სინერგიულ გადაჭრას. ამგვარად, აუდიტით უკვე დაიწყება ძალადობის მეორე ასპექტზე მუშაობა, რომელსაც სმიტი (2003) “ფართომასშტაბიან და მრავალდონიან” კვლევას უწოდებს. ძალადობის გაზომვა მრავალდონიანია, რამდენადაც აუდიტის პროცესში სკოლა განიხილება, როგორც ორგანიზაცია, თემისა და მშობლების გავლენის კონტექსტში; როგორც ორგანიზაცია, თავისი ეთოსით, პოლიტიკითა და პრინციპებით, პერსონალითა და მოსწავლეებით და, ზოგადად, პიროვნებებით.

რაც შეეხება ამ თავის დასაწყისში ჩამოყალიბებულ მე-2 პუნქტს, ელტონის ანგარიშზე დაყრდნობით (DFES, 1989), კოუი და სხვ. (2003) ასკვნიან: “სკოლები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოსწავლეთა ძალადობის მსხვერპლად გახდომის რისკის შემცირებაში. ავტორები კიდევ უფრო განავრცობენ ამ თემას და აცხადებენ, რომ: “ძალადობა არ გახლავთ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით გამოწვეული სოციალური გარდაუვალობა, ხოლო სკოლის ორგანიზაციულმა მოწყობამ შეიძლება თავად გააღვიძოს ძალადობა.”

ამ თავის კონტექსტში, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია ის იდეა, რომ სკოლამ, როგორც დანესებულებამ, შეიძლება თავისი ორგანიზაციული მოწყობით ხელი შეუშალოს ძალადობის გამოვლენას. ამ თავის ძირითადი არსი ის არის, რომ გონივრულად აგებული აუდიტი საშუალებას მისცემს სკოლებს, უპასუხონ კითხვას: რამდენად კარგად არის ორგანიზებული სკოლა ძალადობის პრევენციის, მინიმუმამდე შემცირებისა და მასზე რეაგირებისათვის?

## რატომ არის აუდიტი აუცილებელი?

შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი არასდროს არის იმდენად კარგი ან იმდენად ცუდი, როგორი რეპუტაციაც აქვს. წინამდებარე თავის კონტექსტში ეს კომენტარი ასე გაიჟღერებდა: საკმარისი და სანდო მონაცემების გარეშე სკოლები სათანადოდ ვერ შეაფასებენ ძალადობასთან დაკავშირებულ სიტუაციას ან, პირიქით, ზედმეტად მძიმედ

ალიქვამენ არსებულ მდგომარეობას და ვერ გაატარებენ რელევანტურ ღონისძიებებს.

აუდიტი არის პროცესი, რომელიც სკოლას აძლევს საშუალებას, უკეთ გაიაზროს მდგომარეობა სკოლის ცხოვრების რომელიმე კონკრეტულ სფეროში. მას შემდეგ, რაც სკოლა ცხადად დაინახავს რაიმე პრობლემის ბუნებას და/ან სიმძიმეს, იგი უკეთ შეძლებს როგორც პრევენციული, ასევე მდგომარეობის გამოსასწორებელ ღონისძიებათა გატარებას. შეიძლება აუდიტმა აჩვენოს, რომ არავითარი პრობლემა არ არსებობს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიზომოს და რაოდენობრივად გამოიხატოს ისეთი კომპლექსური მაჩვენებელი, როგორცაა ადამიანის ქცევა და მისი კონკრეტული ასპექტი – ძალადობა სკოლებში, რომელიც ამ სახელმძღვანელოს თემაა.

პირველი თვალსაზრისის თანახმად, თუ რაიმეს გაზომვა შესაძლებელია, ეს ნიშნავს, რომ მისი მართვაც შესაძლებელია. მეორე თვალსაზრისი, რომელსაც ხანდახან მაკნამარას პრინციპს ეძახიან, აცხადებს: როცა სკოლის მსგავსი ორგანიზაცია ცდილობს გაზომოს კომპლექსური სფეროს ასპექტები, არსებობს საფრთხე, რომ გაზომავს მხოლოდ ადვილად საზომ ასპექტებს და ჩათვლის, რომ უმნიშვნელოა ის, რისი გაზომვაც რთულია. აქედან გამომდინარე, მიღებული მონაცემები, საუკეთესო შემთხვევაში, არასრული იქნება, ხოლო უარეს შემთხვევაში - არასწორი და შეცდომაში შემყვანი.

თუ აუდიტის მიზანია სკოლებში ძალადობის კომპლექსური საკითხის გაზომვა, მაშინ უფრო პირველ თვალსაზრისს უნდა დავეთანხმოთ, ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ დროში შეზღუდულობა და კვლევის მეთოდოლოგია იმ თვალსაზრისით, თუ რისი გაზომვაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, რეალური და გამოსადეგი აუდიტი, ალბათ, სადღაც ამ ორ შეხედულებას შორის უნდა ვეძიოთ – იგულისხმება აუდიტი, რომელიც მიზნად ისახავს არსებული თუ პოტენციური პრობლემის შინაარსისა და ბუნების ცხადად გააზრებას, რომელიც უპასუხებს კითხვებს: რა მოხდა ან რა შეიძლება მოხდეს, სად და ვის შეიძლება მოუვიდეს და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს. ასეთ შემთხვევაში გამოირიცხება შესასწავლი სფეროს ზედმეტად გამარტივების საფრთხეც და აუდიტი არც იმდენად რთული გამოჩნდება, რომ შეუძლებლად ჩათვალონ მისი ჩატარება და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი ზომების მიღება.

## აუდიტის მახასიათებელი ნიშნები

ეფექტიან აუდიტს უნდა ახასიათებდეს შემდეგი ნიშნები:

- აუდიტის ჩატარების შედეგად უნდა მივიღოთ ფართო, ყოვლის-მომცველი და დეტალური ინფორმაცია სკოლებში ძალადობის შესახებ;
- აუდიტის პროცესში მონაცემები უნდა შეგროვდეს რამოდენიმე წყაროდან, სხვადასხვა გზით და საშუალებით, ხოლო სადაც ეს შესაძლებელია, სასარგებლო იქნება ამ მონაცემების ტრიანგულაცია;
- აუდიტი პრაქტიკულად შესრულებადი უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ სირთულის გამო სკოლებმა მისი ჩატარება შეუსრულებელ ამოცანად არ უნდა დასახონ;
- აუდიტის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს და წარმოდგენილი ადვილად გასაგები ფორმით;
- აუდიტის შედეგები უნდა იქცეს მაღალი ხარისხის სამოქმედო გეგმების საფუძვლად;
- აუდიტის ამა თუ იმ ასპექტის რეგულარული გამოვლენა, როგორც მონიტორინგის ფორმის, საშუალებას მოგვცემს, ადვილად განვსაზღვროთ, რამდენად ეფექტიანია სამოქმედო გეგმა.

### სავარჯიშო 2.1: ზუსტი დასკვნების გაკეთება

თუ უკვე განახორციელეთ I თავის 1.2 და 1.3 სავარჯიშოებით გათვალისწინებული ღონისძიებები, შემდეგი სავარჯიშოს დანყებამდე, ალბათ, სასარგებლო იქნება მათი შედეგების შესწავლა.

კოლეგების ჯგუფში, თითოეულმა ინდივიდუალურად შეაფასეთ თქვენი სკოლა ძალადობის შემდეგი სახეების თვალსაზრისით, შეფასების სკალის მიხედვით, სადაც 1 = საერთოდ არ არის პრობლემა, ხოლო 10 = ძლიერი პრობლემაა.

ძალადობის სფერო	რეიტინგი 1-10
მოსწავლეების მხრიდან მასწავლებლებზე ფიზიკური თავდასხმა	
მოსწავლეების მხრიდან სხვა მოსწავლეებზე ფიზიკური თავდასხმა	
მოსწავლეთა შორის ყოჩობა და დაშინება	

სიტყვიერი აგრესია მასწავლებლების მხრიდან მოსწავლეების მიმართ	
სიტყვიერი აგრესია მოსწავლეების მხრიდან მასწავლებლების მიმართ	
სიტყვიერი აგრესია მოსწავლეებს შორის	

შეადარეთ ერთმანეთს ამ სამუშაო ჯგუფის თითოეული წევრის პასუხები.

- რამდენად მსგავსი იყო თქვენი შეფასებები?
- თითოეულმა თქვენგანმა რომელი სტანდარტების მიხედვით მიანიჭეთ ქულები?
- როგორ გამოიტანეთ დასკვნა?
- რამდენად დარწმუნებული ხართ თქვენი დასკვნის სისწორეში?
- რამდენად თავდაჯერებულად გაუზიარებდით ამ დასკვნებს სხვებს?
- რატომ არის შესაძლებელი ამ სფეროში ასეთი ცხადი დასკვნის გამოტანა?

## სკოლა, როგორც ორგანიზაცია

სკოლა კომპლექსური და რთული ორგანიზაციაა, რადგან იგი რამდენიმე ფუნქციას ასრულებს. უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, უნდა აღინიშნოს სკოლის აკადემიური და საგანმანათლებლო ფუნქცია, მაგრამ, გარდა ამისა, სკოლებისაგან სოციალიზაციის ფუნქციის შესრულებასაც მოელიან. სკოლებს მოეთხოვებათ, რომ დაამყარონ ბალანსი თანამშრომლობასა და კონკურენციას შორის, მხარი დაუჭიროს გამონწევებსა და ინდივიდუალურ მიღწევებს. აკადემიური მიღწევების სტიმულირების გარდა, სკოლამ უნდა დააკმაყოფილოს მოსწავლეთა ბევრი სხვა საჭიროება, დაწყებული კომპლექსური სოციალური და ემოციური საჭიროებებიდან, დამთავრებული სიტბოსა და თავშესაფრის მიღების ელემენტარული მოთხოვნილებით. ფაქტობრივად, სკოლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ დააკმაყოფილონ მასლოუს “მოთხოვნილებათა პირამიდის” ყველა საფეხური, დაწყებული საფუძვლიდან – ცოდნის მიღების, კვლევისა და გააზრების მოთხოვნილება, დამთავრებული იერარქიის მწვერვალით – თვითრეალიზაციის მოთხოვნილება. საკითხი კიდევ უფრო რომ გავართულოთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანები მასლოუს პირამიდაში გამოყენებულ ტერმინებს ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებულ ინტერპრეტაციას უძებნიან. განსხვავებები იარსებებს ჯგუფებს შორის.

რის – პერსონალსა და მოსწავლეებს შორის; დამხმარე პერსონალსა და მასწავლებლებს შორის; ზედა რგოლის მენეჯერებსა და შუა რგოლის მენეჯერებს შორის; გარდა ამისა, თავად ამ ჯგუფებში უეჭველად იქნება დიდი განსხვავება გამოცდილებებსა და მიდგომებს შორის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასკოლო აუდიტი, რომელმაც უნდა შეაფასოს სკოლის ორგანიზაციული მონყობის ეფექტიანობა ბავშვის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ხოლო ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ძალადობის პრევენციის, შემცირების და მასზე ადეკვატური რეაგირების თვალსაზრისით, უფრო სასარგებლო იქნება, თუკი დაეფუძნება კარგი ორგანიზაციის მკაფიოდ გამოკვეთილ და თანამიმდევრულ მოდელს. ეს ისეთი მოდელია, რომელიც ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულ კომპლექსურობასა და სირთულეს, მაგრამ ამ სირთულეს გადაულახავ ბარიერად არ აქცევს. მათთვის, ვისაც სკოლის აუდიტის დაგეგმვა და განხორციელება ეკისრება, შესაძლოა, ყველაზე დიდ სირთულედ იქცეს ისეთ მოდელზე შეთანხმება, რომელიც მოსწავლეების ყველა საჭიროებას ითვალისწინებს ანუ იმ კარკასის შექმნა, რომელზეც შემდეგ აუდიტის დეტალები “დაიდება”.

## **A საშუალო სკოლის მოდელი ძალადობის პრევენციისა და აღმოსაფხვრელად**

შემდეგ გვერდზე წარმოდგენილია კარგად ორგანიზებული საშუალო სკოლის მოდელი. ეს არის “ზედაპირული მოდელი, რომელიც ეფექტიანია ძალადობის პრევენციისა და აღმოსაფხვრელად”. ეს მოდელი მოყვანილია იმის მაგალითად, თუ როგორ უნდა აიგოს აუდიტი სტრუქტურულად და სკოლის ფუნქციონირების რომელი ასპექტები უნდა შემოწმდეს.

საშუალო სკოლები ხშირად უფრო კომპლექსური ორგანიზაციული მონყობით ხასიათდებიან, ვიდრე დაწყებითი სკოლები, თუმცა, მოდელი მსგავსი პრინციპების საფუძველზე უნდა შეიქმნას, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს თავი დაწყებითი სკოლებისთვისაც უაღრესად სასარგებლო იქნება.

ამ მოდელში გამოიყოფა სამი ძირითადი დონე:

- რიგი 1: სკოლის საერთო დონე;
- რიგი 2: ჯგუფის დონე;
- რიგები 3, 4, 5: ინდივიდუალური დონეები.

თითოეული ეს დონე მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს, რომლებიც მათი საყრდენია. ეს კომპონენტები ოთხ სვეტად არის მოცემული:

- კომუნიკაცია;
- მოტივაცია;
- კორექცია;
- ორგანიზაცია.


ეს მოდელი ითვალისწინებს თითოეული ასპექტის რეგულარულ მონიტორინგსა და განხილვას და მიღებული მონაცემების გამოყენებას პრობლემების გადასაჭრელად, სწორ ინფორმაციაზე დაფუძნებული ღონისძიებების მეშვეობით (როგორც ეს 6 ვერტიკალურ ჩარჩოშია მოცემული).

ერთი შეხედვით, ეს მოდელი ორგანიზაციული თვალსაზრისით, საკმაოდ რთული ჩანს, სინამდვილეში კი საშუალებას გვაძლევს, დავსვათ რამოდენიმე აბსოლუტურად პირდაპირი შეკითხვა სკოლის მუშაობის ეფექტიანობის შესახებ. სწორედ ამ მოდელში წარმოდგენილი კითხვები ქმნის სასკოლო აუდიტის საფუძველს. მაგალითად:

- იციან მოსწავლეებმა და სკოლის პერსონალმა, როგორ უნდა მოიქცნენ?
- შეტყობინება ამ მოლოდინების შესახებ არის თუ არა გასაგები და ეფექტიანი ყველა დონეზე?
- სკოლის პერსონალს და მოსწავლეებს აქვთ თუ არა საკმარისი მოტივაცია და მხარდაჭერა ძალადობის აღმოფხვრისა და კონვიენსიის ხელშეწყობისათვის?
- სწორდება თუ არა მათი შეცდომები და არასწორი ქცევა ეფექტიანად და ღირსების შენარჩუნებით? არის თუ არა სკოლა და მისი ყველა ასპექტი, მაგალითად, საკლასო ოთახები, იმგვარად ორგანიზებული, რომ ხელი შეეწყოს ძალადობის აღმოფხვრასა და კონვიენსიის გარემოს შექმნას?
- აწარმოებს თუ არა სკოლა მონიტორინგს მასზე, რაც ხდება და რეაგირებს თუ არა მიღებულ ინფორმაციაზე?



**დიაგრამა: კარგად ორგანიზებული სკოლის მოდელი**



## სავარჯიშო 2.2: კარგად ორგანიზებული სკოლის მოდელის განხილვა

ქვემოთ მოცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა დაგეხმარებათ ზემოთ მოცემული მოდელის გააზრებაში.

- რამდენად კარგად აღწერს ეს მოდელი თქვენი სკოლის ორგანიზაციულ მოწყობას?
- თქვენი სკოლის ორგანიზაციულ მოწყობაში ხომ არ არის ისეთი ასპექტები, რომლებიც ამ მოდელშია გამორჩენილი?
- ამ მოდელში ხომ არ არის რომელიმე ისეთი ასპექტი, რომელიც თქვენს სკოლაშია გამორჩენილი?
- რას გეუბნებათ ეს მოდელი სკოლის ორგანიზაციული მოწყობის იმ სფეროების შესახებ, რომელთა აუდიტიც აუცილებელია იმის გასარკვევად, რამდენად ეფექტიანი არიან ისინი ძალადობის აღმოფხვრისა და კონვივენსიის დამკვიდრებაში.

### აუდიტის ფასეულობანი

მათთვის, ვინც აუდიტის შექმნას ნულიდან იწყებს, ალტერნატიული საწყისი წერტილი ან დამატებითი პერსპექტივაა იმ ღირებულებებზე საუბარი, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს აუდიტს ან მასში აისახოს. ვერც ერთი აუდიტი, რამდენად ობიექტური ან სამართლიანიც უნდა იყოს, ვერ იქნება ღირებულებებისაგან თავისუფალი. მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი აუდიტი, მისი დაგეგმვის პროცესში, ცდილობს სიტუაციის მაქსიმალურად ობიექტური სურათი დახატოს, აუდიტის სტრუქტურა მაინც იმ სფეროებს დაეფუძნება, რომლებიც მნიშვნელოვანია მისი შემქმნელის თვალსაზრისით. სასარგებლო იქნება, თუკი აუდიტის შემქმნელები, საკუთარი თავისა და აუდიტში მონაწილე სხვა პირების წინაშეც მკაფიოდ გამოკვეთენ, რა ღირებულებები დაუდეს აუდიტს საფუძვლად. პირველ და მესამე თავებში მოცემულია სასარგებლო იდეები იმ ღირებულებების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უდევს კონვივენსიის გარემოს მქონე სკოლების ფუნქციონირებას.

აუდიტის შესაქმნელად მომზადებისათვის სასარგებლო იქნება შემდეგი სავარჯიშოს განხორციელება.

## სავარჯიშო 2.3: იმ ღირებულებების გამოკვეთა, რომლებიც აუდიტს უდევს საფუძვლად

რამდენიმე წუთით წარმოიდგინეთ ისეთი სკოლა, სადაც კონვივენსიის გარემოა.

- თვალები რომ დაგეხუჭათ, რას წარმოიდგენდით?

- ასეთ სკოლაში რას გააკეთებდნენ სკოლაში მყოფი ადამიანები – როგორ დაელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და იურთიერთებდნენ?
- როგორ უნდა ყოფილიყო სკოლა ორგანიზაციულად მონყობილი ისეთ ძირითად სფეროებში, როგორებიცაა კურიკულუმი, მხარდაჭერის სისტემები და სივრცე – სკოლის შენობის შიგნით და გარეთ?

მიღებული სურათის დეტალებიდან შეეცადეთ ამოარჩიოთ ძირითადი სიტყვები და ფრაზები, რომლებსაც გამოიყენებთ აუდიტის პროცესში, ასევე იმ ღირებულებების ასაღწერად, აუდიტს რომ დაეძგება საფუძვლად.

ქვემოთ მოცემულია აუდიტის სტრუქტურის შექმნის მაგალითი. ამ კონკრეტული აუდიტის ძირითადი ღირებულებანი დაკავშირებულია კარგად ორგანიზებული სკოლის ზემოთ მოყვანილ მოდელთან. შესაბამისად, იგივეა საყურადღებო სფეროები. ამ აუდიტის შექმნას საფუძვლად უდევს ისეთი ღირებულებები, რომლებიც მიზნად ისახავენ კონვიენენსიის გარემოს შექმნას შემდეგი საშუალებებით:

- სიცხადე;
- ჰარმონიულობა;
- კარგი ორგანიზაციული მონყობა;
- პრევენცია და რეაგირება;
- ყველას მხარდაჭერა;
- უნარებით აღჭურვა და მიღწევები.

ამ ღირებულებებიდან სკოლამ, შესაძლოა, მოისურვოს შემდეგი სფეროების აუდიტის ჩატარება:

- სკოლის ეთოსი, როგორც ეს სკოლის მისიის განაცხადსა და წერილობით ჩამოყალიბებულ პოლიტიკაშია განსაზღვრული. არის თუ არა ამ დოკუმენტების ტექსტი ისეთი ტონით გამსჭვალული, რომელიც შეესაბამება სკოლაში ძალადობრივი ქმედების პრევენციისა და მინიმუმამდე შემცირების მიზანს?
- დანერგილი პოლიტიკის გავლენა სკოლის პერსონალისა და მონაწილეთა ქცევაზე/ურთიერთობებზე საკლასო ოთახებში, კორიდორებში, სათამაშო მოედნებსა და ა.შ. რამდენად ინფორმაციულია ეს დოკუმენტები და რა გავლენას ახდენს სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაზე?
- ძალადობის აღმოფხვრის ორგანიზაცია. ცხადი და დაბალანსებული სისტემა ეხმარება თუ არა სკოლის პერსონალს, რომ მიაღწიონ ამ დოკუმენტებში აღწერილი ქცევის დონეს?
- ყოჩობა. სკოლაში დანერგილია თუ არა ისეთი სისტემა, რომ ყოჩობის ან ყოჩობის საფრთხის შემთხვევაში დაეხმარონ მსხვერპლსა და ყოჩსაც უფრო პოზიტიური ქცევის გამომუშავებაში?

- მონიტორინგი და შეფასება. უნევს თუ არა სკოლა რეგულარულ მონიტორინგს ორგანიზაციულ ფაქტორებს, როგორებიცაა: კურიკულუმი; მშობლის/მეურვის და თემის გავლენა; განხორციელების განრიგი; ზედამხედველობის დონე სკოლის შენობების გარეთ; გარდა ამისა, ატარებს თუ არა სკოლა შესაბამის ღონისძიებებს იმისათვის, რომ შეცვალოს უარყოფითი ეფექტის მქონე ფაქტორები ან გააძლიეროს დადებითი შედეგის მომტანი ფაქტორები?
- მონაცემები. როდესაც სკოლა ცდილობს, გახდეს კარგად ორგანიზებული, აგროვებს თუ არა შესაბამის მონაცემებს და უპასუხებს თუ არა მათ? ამის ერთ-ერთი მაჩვენებელი იქნება ყოველწლიური აუდიტი, ასევე, შერჩეული სფეროების რეგულარული მონიტორინგი.

## აუდიტის მონაცემების სხვადასხვა ტიპები

რომელიმე კონკრეტული სფეროს შესაფასებლად აუდიტის ჩატარებისას, ძალიან მნიშვნელოვანია იმ მონაცემთა სწორად შერჩევა, რომლებიც უნდა შეგროვდნენ ამ სფეროს დასახასიათებლად. მონაცემები შეიძლება ორ ასპექტად გაიყოს – რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემები.

რაოდენობრივი მონაცემები ენოდება იმ მონაცემებს, რომელთა რიცხვობრივად გამოსახვა ან დათვლა შედარებით მარტივია. ეს შეიძლება იყოს სკოლიდან გარიცხვის სიხშირე, მუქარისა და ძალადობის შემთხვევების რაოდენობა, სკოლაში დასწრების დონე, აკადემიური მოსწრება და ა.შ.

ხარისხობრივია მონაცემები, რომლებიც გროვდება ადამიანების აზრისა და გამოცდილების გამოკითხვის შედეგად. ხარისხობრივ მონაცემთა რაოდენობრივი გამოსახვა შესაძლებელია მაშინ, თუ კითხვარებს, ინტერვიუებს ან კვლევის სხვა ფორმებს ერთვის რიცხობრივი სკალა.

აუდიტის განხორციელებისას მონაცემთა შეგროვების ორივე მეთოდი გამოიყენება. როგორც სმიტი (2003) აღნიშნავს, საჭიროა ისეთი კვლევის ჩატარება, რომელშიც კომბინირებული იქნება რაოდენობრივი “პრე” და “პოსტ” შეფასებები და ამას დაემატება ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაც “საშუალებას მოგვცემდა, გავგეაზრებინა ძალადობის რეალური არსი, როგორც ამას ძალადობის აქტის სხვადასხვა მონაწილე აღიქვამს”.

## აუდიტის ადამიანური მხარე

სანამ შემდეგი საკითხების განხილვაზე გადავიდოდეთ, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ აუდიტის ჩატარების ე.წ. “ადამიანურ მხარეზე”. სკოლაში აუდიტის ჩატარებამ, შესაძლოა, ამ სკოლაზე მნიშვნელოვანი

გავლენა მოახდინოს. არსებითია, რომ აუდიტის სტილმა და სტრუქტურამ ასახოს აუდიტის მიზანი და იგი პოზიტიურ გამოცდილებად იქცეს სკოლის თითოეული წევრისათვის. აუდიტის მიზანია, გამოკვეთოს სკოლის ძლიერი მხარეები და ის სფეროები, რომელთა შემდგომი გაუმჯობესებაც შესაძლებელია. შედეგად, სტიმული მისცეს სკოლას, გამოასწოროს არსებული ხარვეზები და გააუმჯობესოს მდგომარეობა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლის ძლიერი მხარეების აღიარება. აუდიტში ამ ელემენტის ჩართვის გარეშე ადამიანები ვერ გაითვითცნობიერებენ თავიანთ წარმატებას და წარმატებით გამონვეულ სიხარულს. შესაბამისად, შეუმცირდებათ შემდგომი გაუმჯობესების სტიმული და მოტივაცია. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ წარმატებული მუშაობის აღიარებისა და სათანადოდ დაფასების შემთხვევაშიც, აუდიტი იმდენად დეტალურ და სკრუპულოზურ შემოწმებას გულისმობს, რომ სკოლის თანამშრომელთა ნაწილმა ის, შესაძლოა, საფრთხედ და სტრესად აღიქვას, განსაკუთრებით, თუ შეშინდებიან, რაიმე ბრალი არ დასდონ მათ, რადგან ძალადობა მათი პასუხისმგებლობის სფეროში მოხდა. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია რომ მათ, ვინც აუდიტს ატარებს, მუშაობის დაწყებამდე სერიოზული ყურადღება მიაქციონ სკოლაში საუკეთესო ემოციური გარემოს შექმნას.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლის პერსონალს, მოსწავლეებს, მშობლებსა და პროცესში ჩართული საზოგადოების წევრებს ცხადად განემარტოთ, რომ აუდიტის მიზანი პოზიტიურია და სულაც არ გულისხმობს ვინმეს ბრალეულობის გარკვევას ან დადანაშაულებას. აუდიტის პროცესში განსაკუთრებით დაფასდება გულწრფელობა და გახსნილობა, ყურადღება გამახვილდება ძალადობის აღმოფხვრის სფეროში მიღწეულ წარმატებებზე. ამ გზავნილის გაცხადება შესაძლებელია მოსწავლეთა კრებებზე ან გაკვეთილების დროს, მასწავლებელთა კრებებზე, დეპარტამენტის კრებებსა და არაოფიციალური დისკუსიების დროსაც. მშობელთა ინფორმირებისათვის შეიძლება ერთგვარი საინფორმაციო ფურცლის გამოყენებაც, გარდა ამისა, შეიძლება კრებებზე საზოგადოების წარმომადგენლების მონვევაც.

აუდიტის ჩატარებაზე თანამშრომელთა რეაქცია დამოკიდებულია იმაზეც, თუ რა დროს წაართმევს აუდიტი მათ. სკოლაში ბევრი სამუშაო და მასწავლებლებს შეიძლება თხოვონ კითხვარების ან სხვა ფორმების შევსება. თანამშრომლებსა და მოსწავლეებს კითხვარების შევსების გარდა არც არაფერი უნდა თხოვნონ. შეიძლება დაესწრონ რამდენიმე გაკვეთილსაც. ზოგიერთი თანამშრომლისათვის ეს, შესაძლოა, აუდიტის ყველაზე სტრესულ მომენტად იქცეს. ამიტომ აუცილებელია აუდიტის ობიექტების ფრთხილად შერჩევა და მათთვის იმის განმარტება, რომ დაკვირვების შედეგებს ინდივიდებთან დასაპირისპირებლად როდი გამოიყენებენ, არამედ შესაჯამებლად

და, ზოგადად, სიტუაციის შესაფასებლად. აუდიტის ეს ნაწილი ნაკლებად სტრესული აღმოჩნდება იმ თანამშრომელთათვის, რომელთაც აქვთ გაკვეთილზე დასწრების უკვე დანერგილი პროცედურა.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანები მეტად მოისურვებენ აუდიტის პროცესში მონაწილეობას, თუ ისინი საწყის ეტაპზევე ჩაერთვებიან, ანუ მაშინ, როცა თანხმდებიან აუდიტის მიზანსა და პროცესზე და გაიაზრებენ აუდიტის სარგებელს ყველასათვის სკოლაში.

### სავარჯიშო 2.4: ადამიანების მომზადება აუდიტისათვის

აუდიტის მომზადების დაწყებამდე, სკოლამ აუცილებლად უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

- თქვენი აზრით, როგორი რეაქცია ექნება სკოლის პერსონალს, მოსწავლეებსა და მშობლებს აუდიტის ჩატარებაზე?
- რა იქნება მათი უმთავრესი შეშფოთების მიზეზი და როგორ შეიძლება მათი გადაჭრა?

ამ თავში აქამდე მოცემული რჩევების გათვალისწინებით, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ აუდიტის ჩატარებას მხარი დაუჭიროს:

- სკოლის ზედა რგოლის პერსონალმა?
- საერთოდ სკოლის პერსონალმა (იქნებ საჭიროა პერსონალის ქვეჯგუფებად დაყოფა, მაგალითად, მასწავლებლების ჯგუფი, დამხმარე პერსონალი და ასე შემდეგ)?
- მოსწავლეებმა?
- მშობლებმა?
- სკოლით დაინტერესებული ფართო საზოგადოების წევრებმა?

### რისი აუდიტი უნდა ჩატარდეს და ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა?

ნებისმიერი აუდიტის მიზანია დროის მოცემული მომენტისათვის სკოლაში არსებული სიტუაციის მაქსიმალურად ზუსტი სურათის დანახვა. ამ მიდგომას ხანდახან სიტუაციის სტოპ-კადრს უწოდებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ აუდიტის დროს, ხანმოკლე ვადაში (და არა დროში გაწელილად), როგორც წესი, ერთ კვირაში, აგროვებენ და შეისწავლიან მონაცემთა ყველა წყაროს. აბსოლუტურად შესაძლებელია (და ხანდახან გონივრულიც) მონაცემთა შეგროვება დროის უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ეს ამცირებს შესაძლებლობას, აუდიტის პროცესში ერთმანეთს შეუდარდეს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია და მონაცემები. აუდიტის ეს მოდელი ითვალისწინებს დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში სხვადასხვა წყაროდან მიღებულ მონაცემთა ურთიერთშედარებას.

სკოლებისათვის ყოველთვის პრობლემაა დროის გამონახვა აუდიტის ჩასატარებლად. აქედან გამომდინარე, შეიძლება აუცილებელი გახდეს კარგად ორგანიზებული სკოლის მოდელიდან რამოდენიმე სფეროს ამორჩევა და მხოლოდ მათი აუდიტი. თუ დროში შეზღუდულები ვართ, ბევრად უკეთესი იქნება სკოლის ორგანიზაციულ მონაცემებში რამოდენიმე სფეროს შერჩევა და სრული აუდიტი, ვიდრე შესაგროვებელ მონაცემთა და აუდიტში ჩართულ ადამიანთა რაოდენობის შემცირება.

მონაცემების შეგროვება უნდა მოხდეს ოთხი ძირითადი წყაროდან:

- იმ წერილობითი დოკუმენტების შესწავლა, რომლებიც სკოლებში (ამ შემთხვევაში) ძალადობის პრევენციასა და ძალადობაზე ეფექტიან რეაგირებას შეეხება;
- სხვადასხვა სიტუაციაზე დაკვირვება – საკლასო ოთახებში, კრებებზე, კორიდორებში, ბუფეტებსა და სოციალური თავშეყრის ადგილებში, როგორებიცაა, მაგალითად, სკოლის ეზო და სათამაშო მოედნები;
- კითხვარების შევსება და გასაუბრება სკოლის ყველა წევრთან – მასწავლებლებსა და დამხმარე პერსონალთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან/მეურვეებსა და სკოლის დირექტორებთან;
- სკოლასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება, ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორებიცაა სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობა, ყოჩობა და დაშინება;

ზემოთ მოყვანილი სიიდან ცხადია, რომ თვალსაზრისის გაზიარება უნდა ვთხოვოთ სკოლაში არსებული ყველა ჯგუფის წარმომადგენელს. ხანდახან საჭიროა ერთი და იგივე შეკითხვის დასმა სხვადასხვა ჯგუფისათვის, მაგალითად, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს შედარება. შედარების შედეგად უნდა გამოვლინდეს მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომელთა გამოკვლევაც საჭიროა ზუსტი სამოქმედო გეგმების შესაქმნელად. გარდა იმ კითხვარებისა, რომლებიც სკოლის ყველა წევრმა უნდა შეავსოს, საჭიროა სპეციალური კითხვარების გამოყენებაც, რომლებიც მხოლოდ ცალკეულმა ჯგუფებმა უნდა შეავსონ ანუ მათ, ვინც კონკრეტულ როლს ასრულებს, ან იმ ბავშვებმა თუ სკოლის სხვა თანამშრომლებმა, რომელთაც სკოლის ცხოვრების ყოველდღიური გამოცდილება აქვთ. მათ შორის იმ მოსწავლეებმა, რომლებიც ძალადობის მსხვერპლად გახდომის რისკის ზღვარზე დგანან და მათმა მხარდამჭერმა პერსონალმა. ორივე ამ ჯგუფს სრულიად განსაკუთრებული ხედვის შემოთავაზება შეუძლია.

პირველ ჯგუფში შევლენ:

- მმართველი გუნდის წარმომადგენლები;
- განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მომუშავე პერსონალი;

- დამხმარე სისტემის წევრები, როგორებიც არიან წლის ან კლასის რეპეტიტორთა ხელმძღვანელები
- კლასის მასწავლებლები.

მეორე ჯგუფში შევა დამხმარე პერსონალი, მაგალითად:

- მასწავლებელთა ასისტენტები;
- სადილის ორგანიზატორები და ზედამხედველები;
- მოსწავლეები, რომლებმაც, შესაძლოა, დახმარება მიიღონ ამ ადამიანებისაგან (ზრდასრულებისაგან). ეს, შესაძლოა, სწორედ ის ბავშვები იყვნენ, რომლებიც მარგინალიზაციის ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ არიან (როგორებიცაა მაგალითად განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, მოგზაურები, თავშესაფრის მაძიებელი და სხვ.) და ამის გამო, მეტი ალბათობაა, გახდნენ ძალადობის მსხვერპლი ან მოძალადეები;
- მშობლები, რომლებმაც შეიძლება საკუთარი შვილებისაგან იცოდნენ გარკვეული პრობლემების არსებობის შესახებ.

**სავარჯიშო 2.5: რისი და ვისი აუდიტი უნდა ჩატარდეს**

ქვემოთ მოყვანილი ნიმუშის ანალოგიური ცხრილის შექმნა და შევსება, შესაძლოა, დაეხმაროს სკოლებს გადანყვეტილების მიღებაში, თუ რისი და ვისი აუდიტი უნდა ჩატარდეს. გარდა ამისა, იგი დაეხმარება მათ, განსაზღვრონ თითოეული სფეროსა თუ ჯგუფის აუდიტის ყველაზე შესაფერისი გზა. თუნდაც ორგანიზაციული მოწყობის ყველა სფერო არ შეირჩეს, შევსებული ცხრილი დაგვანახებს, ჩართულია თუ არა აუდიტში სკოლის ყველა ჯგუფი. ამ ცხრილის შევსებით დაიწყება იმაზე ფიქრიც, როგორ ვთხოვოთ პერსონალსა თუ მოსწავლეებს საკუთარი აზრის გამოხატვა და რის შესახებ დავუსვათ მათ კითხვები.

<b>აუდიტის ფოკუსირების სფერო (მაგალითები)</b>	<b>აუდიტის მეთოდი (მაგალითები)</b>	<b>ვისი ან რისი აუდიტის ჩატარებაა საჭირო (მაგალითები)</b>
ურთიერთობები მოსწავლეებს შორის და	კითხვარი	შემთხვევითად შერჩეული მოსწავლეები და სკოლის პერსონალი;
მოსწავლეებსა და უფროსებს შორის	დაკვირვება	გაკვეთილების 10% ერთ-კვირიან პერიოდში;



კურიკულუმის ზეგავლენა მოსწავლეთა თვითშეფასებაზე	და სხვა	და სხვა
ურთიერთობები სკოლასა და მშობლებს შორის	და სხვა	და სხვა
და სხვა	და სხვა	და სხვა

### როგორ ჩავატაროთ აუდიტი – აუდიტის ჩატარების საშუალებები

მას შემდეგ, რაც გადაწყდება სასკოლო ცხოვრების რომელ ასპექტთა აუდიტი ჩატარდეს, სკოლის რომელი წევრები გამოიკითხოთ და რის შესახებ, შემდეგი ეტაპია აუდიტის საშუალებების მომზადება, როგორებიცაა კითხვარები, გაკვეთილებზე დასწრების, დაკვირვებისა და ინტერვიუების განრიგები და ა.შ. შესაძლებელია ისეთ კითხვართა გამოყენება, რომლებიც სხვა მიზნებით შეიქმნა, მაგალითად, იმ პროფესიონალთა სამუშაოდ მონვევისათვის, რომლებიც მუშაობენ ძალადობისა და მისდამი დამოკიდებულების გაზომვაზე. თუმცა, უკეთესი იქნება სკოლებმა დრო დახარჯონ და თავად შეიმუშაონ ისეთი კითხვარები, რომლებიც კარგად შეესაბამება კონკრეტულ სკოლაში არსებულ სიტუაციას და მიზნად ისახავს იმის შესწავლას, რისი ცოდნაც, სკოლა თვლის, რომ აუცილებლად სჭირდება. თუმცა, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს სხვადასხვა სკოლიდან, თუნდაც, სხვადასხვა რეგიონიდან და ქვეყნიდან მიღებულ მონაცემთა ერთმანეთთან შედარება, კარგი იქნებოდა ამ კითხვართა შინაარსი მეტ-ნაკლებად მსგავსი იყოს.

ქვემოთ მოყვანილი რჩევები შეეხება როგორც დაკვირვების განრიგებს, ასევე კითხვარებს, მაგრამ მაგალითად აღებულია იმ კითხვარის შექმნის პროცესი, რომელზეც სკოლის პერსონალმა უნდა გასცეს პასუხი.

#### კითხვარების შექმნის ეტაპები

ეტაპი 1. განიხილეთ, რომელი ფართო სფეროები უნდა მოიცვას კითხვარმა: ურთიერთობების ხარისხი მოსწავლეებსა და სკოლის პერსონალს შორის, თავად მოსწავლეთა შორის, თანამშრომლებს შორის; მათი თვალსაზრისი ძალადობის ტიპებისა და დონეების შესახებ; რამდენად გრძნობენ ისინი მხარდაჭერას; როდის გრძნობენ თავს ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი რისკის ქვეშ; რამდენად ცხადად ესმით, თუ ვის უნდა მიმართონ მხარდაჭერის მისაღებად და ა.შ.

**ეტაპი 2.** შეიმუშავეთ კითხვები შერჩეული სფეროს შესახებ ხარისხიანი ინფორმაციის მისაღებად. სასარგებლო იქნება საცდელად კითხვარის წინასწარი გამოცდა, რათა შეკითხვებმა სწორედ ის ინფორმაცია მოგვცეს, რომლის მიღებაც სკოლას რეალურად სურს.

**ეტაპი 3.** ჩვეულებრივ, რეიტინგის სისტემა აადვილებს ანალიზის პროცესს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კითხვარები წერილობითი სახით განიხილება. თუ განზრახულია ასეთი რეიტინგული სისტემა, მაშინ უნდა ვიზრუნოთ, რომ შეკითხვები მოითხოვდეს ცხად პასუხებს. მაგალითად, “როგორ ფიქრობთ ყოჩობის დონე უფრო მაღალია, თუ უფრო დაბალი, ვიდრე სამი წლის წინ?”

ასეთ შეკითხვაზე საპასუხოდ რეიტინგის სკალაზე შეიძლება სამი შესაძლო პასუხი დავიტანოთ – უფრო მაღალი, უფრო დაბალი, თითქმის იგივე. იმისათვის, რომ დავინახოთ სკოლის მუშაობის ეფექტიანობა ყველა იმ სფეროში, რომლისთვისაც აუდიტი ტარდება, რეკომენდებულია ყველა რაოდენობრივი მონაცემი ერთი და იმავე რიცხვობრივი სკალით გამოვსახოთ. იმისათვის, რომ სკოლის ეფექტიანობის სურათი ხუთ ბალიანი სისტემით შევაფასოთ, მათემატიკურად უფრო ადვილი იქნება კითხვარშიც ხუთ ქულიანი სკალა გამოვიყენოთ. არსებობს მოსაზრება, რომ რეიტინგის სკალაზე ასარჩევი რაოდენობა არ უნდა იყოს კენტი, რადგან ასეთ შემთხვევაში ადამიანები, როგორც წესი, შუაში მგდომ ციფრს ირჩევენ – ამ მოვლენას ცენტრირების ეფექტი ეწოდება.

**ეტაპი 4.** თუ კითხვები პასუხად “კი” ან “არას” ნაცვლად განვრცობას მოითხოვს, მაშინ რეიტინგის სკალის შემდეგ აუცილებელია ცარიელი სივრცის დატოვება, რათა რესპოდენტებს მინიჭებული ქულის შესაბამისი კომენტარების გაკეთების საშუალება მიეცეთ. ამის ალტერნატივაა კითხვარის ბოლოში რამდენიმე შეკითხვის დასმა, რომელიც ვრცელ პასუხს მოითხოვს. მაგალითად: “თქვენი აზრით, რა არის საჭირო სკოლაში სიტუაციის გასაუმჯობესებლად?”, “რომელია თქვენი ორგანიზაციის სუსტი წერტილები?”. ამ შეკითხვებზე გაცემული პასუხები შეიძლება ძალიან დაგვეხმაროს მოქმედებათა დაგეგმვის პროცესში, მაგრამ სკოლა უნდა ერიდოს ამგვარი ხარისხობრივი მონაცემების მრავლად დაგროვებას, რადგან მათი გაანალიზება ძალიან დიდ დროს წაიღებს.

**ეტაპი 5.** შეკითხვების შექმნის პროცესში სასურველია იმაზე დაფიქრებაც, თუ როგორ გაანალიზდება შეკითხვები. არსებობს ოთხი ძირითადი ვარიანტი:

- კითხვარები შეიქმნას ისე, რომ მათი შევსება შესაძლებელი იყოს “ონლაინ” რეჟიმში სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, რომელიც შედეგებს ავტომატურად გაანალიზებს;

- ყველა მონაცემი ჩაინეროს ამობეჭდილ ფორმებში და გაეგზავნოს მონაცემების დამუშავების კომპანიას (ჩვენი გამოცდილებით, დიდ ბრიტანეთში ეს ძალიან ძვირად ღირებული სიამოვნებაა);
- კითხვარები შეიქმნას ოპტიკური ნიშნის წაკითხვის სისტემის გამოყენებით, თუკი სკოლებს ასეთი სისტემა გააჩნიათ ან მასზე ადვილად მიუწვდებათ ხელი;
- მონაცემები სკოლაშივე გაანალიზონ. ზოგიერთ შემთხვევაში (თუ მონაცემები არ არის სენსიტიური ხასიათის და, მაგალითად, არ შეიცავს მოსწავლეთა ანონიმურ პასუხებს), სტატისტიკური ანალიზის პროცესსა და გრაფიკების შექმნაში შესაძლებელია მოსწავლეების ჩართვაც – ეს ჩაითვლება კურიკულუმის ფარგლებში მათ მიერ გასაკეთებელი სამუშაოს ნაწილად. მოსწავლეთა მონაცემების ერთად შეკრების ალტერნატიული ვარიანტია კითხვარებზე პასუხის გაცემა გაკვეთილის ნახევარი დროის განმავლობაში (მაგალითად, მოქალაქეობის გაკვეთილზე) და ქულების მინიჭება თითოეულ შეკითხვაზე პასუხის გაცემისთანავე.

ზემთ განხილულია მხოლოდ ერთ-ერთი მაგალითი, თუ როგორ უნდა შეიმუშაონ აუდიტის ჩატარების საშუალებები. მსგავსი სიფრთხილე და ყურადღება საჭირო ყველა საშუალების შესამუშავებლად. იმ ადამიანებმა, რომლებმაც აუდიტის ამ ასპექტზე უნდა იმუშაონ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

- სინამდვილეში რისი გაგება გვინტერესებს?
- ეს შეკითხვა ამ ფორმით მოგვცემს თუ არა იმას, რისი გაგებაც გვსურს? არის თუ არა ეს შეკითხვა ცხადად ჩამოყალიბებული?
- ხომ არ მოგვიტანს ეს შეკითხვა ბუნდოვან შედეგებს?
- რამდენად ადვილი იქნება მიღებული მონაცემების გაანალიზება?

სკოლებში აუდიტის ჩატარებისას, შეიძლება აუცილებელი არ იყოს ინტერვიუების განრიგის წინასწარ მომზადება, რადგან კითხვარების შედეგები ან დაკვირვების მონაცემები შეიძლება დისკუსიის საგნად იქცეს ნებისმიერი ინტერვიუსთვის. კითხვარებიდან და დაკვირვებებიდან მიღებული შედეგები, გამოვლენილი ტენდენციები ან გაურკვეველი საკითხები, აგრეთვე საკითხები საერთო ინტერესის სფეროში უფრო დეტალურად ინტერვიუს პროცესში განიხილება.

## სავარჯიშო 2.6: კითხვარების შემუშავება და დაკვირვება

კითხვარები და დაკვირვებები ნებისმიერი აუდიტის მნიშვნელოვანი ნაწილია. სასარგებლო იქნება წინასწარ განიხილოთ, რა შეკითხვების დასმა გსურთ სკოლაში მყოფი ადამიანებისათვის და როგორ დაუკავშირებთ მათ ერთმანეთს. ერთი და იმავე შეკითხვების სხვადასხვა ჯგუფისათვის დასმა ან სხვადასხვა მეთოდის გამოყენება საშუალებას

მოგვცემს, ერთმანეთს ჯვარედინად დაუუკავშიროთ აუდიტის შედეგად მიღებული მონაცემები. შედეგად, მივიღებთ ტრიანგულარულ მონაცემებს რაც მათ სანდოობას შემატებს.

ზემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველზე, ჯგუფმა შეიძლება მოამზადოს კითხვარი 2.4 სავარჯიშოში მითითებულ სფეროში აუდიტის ჩასატარებლად და შემდეგ გამოცადოს იგი. თუკი ამ აქტივობას რამდენიმე სკოლა ერთად განახორციელებს და ერთად შეიმუშავენ აუდიტის ჩასატარებელ საშუალებებს, მაშინ ყველაზე ხანგრძლივ პოზიტიურ შედეგებსა და შედარებისათვის საჭირო რეზულტატებს მიიღებენ.

## წერილობითი დოკუმენტაციის გადასინჯვა

როგორც ამ თავში უკვე ვახსენეთ, წერილობითი დოკუმენტების ფორმების შემოწმება აუდიტის მნიშვნელოვანი ასპექტია. აუდიტის ჩატარებისას დოკუმენტების შემოწმებას ის დამატებითი მნიშვნელობაც აქვს, რომ ყველა დოკუმენტს პრაქტიკულად გამოიყენებენ და დაინყებას არ მიეცემა. აუდიტის პროცესში უნდა გამოიკვეთოს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც სკოლაზე მცირე ან არანაირ ზეგავლენას არ ახდენს, იმის გამო, რომ არ აუმოქმედებიათ.

მაგალითად: როდესაც ვატარებთ ისეთი სფეროს აუდიტს, როგორც არის “კონვივენსიის გარემო სკოლაში, როგორც ეს გაცხადებულია მიზნებსა და წერილობით პოლიტიკაში”, მნიშვნელოვანი იქნება შემდეგი შეკითხვების დასმა:

- აქვს თუ არა სკოლას საკმარისი დოკუმენტაცია ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა ძალადობის აღმოფხვრის პოლიტიკა და პრაქტიკა?
- ეს დოკუმენტაცია ასახავს თუ არა სკოლის უმთავრეს ღირებულებებსა და პრინციპებს და ხელს უწყობს კონვივენსიას?
- ეფუძნება თუ არა ამ სფეროში არსებული პოლიტიკის ყველა დოკუმენტი იმავე პრინციპებსა და ღირებულებებს – არის თუ არა იგი თანმიმდევრული?
- აძლევს თუ არა ეს დოკუმენტები სკოლაში მყოფ ყველა ადამიანს სათანადო ახსნა-განმარტებას და სწორ მიმართულებას? სიტყვა “სათანადო” ამ კონტექსტში ნიშნავს, რომ დოკუმენტი უნდა აწესებდეს გარკვეულ სტანდარტებს, მაგრამ არ იყოს დირექტიული – ზედმეტმა დეტალიზაციამ, შესაძლოა, გაზარდოს დოკუმენტზე დამოკიდებულება და ჩაახშოს ინდივიდუალობა.
- მონაწილეობდნენ თუ არა ამ დოკუმენტების მომზადებაში სკოლის ყველა ჯგუფის წარმომადგენლები და უფრო ფართო საზოგადოება? (სკოლის პერსონალი, მოსწავლეები, მშობლები, სკოლის დირექტორები და ა.შ.).

- არის თუ არა დოკუმენტში მოცემული მიმართულებები სათანადოდ დეტალიზებული და არაბუნდოვანი იქ, სადაც საჭიროა?
- ეს დოკუმენტები ახდენენ თუ არა რეალურ ზეგავლენას მასზე, რაც სკოლაში და სკოლის გარშემო ყოველდღიურად ხდება?
- დოკუმენტები რეგულარულად გადაისინჯება და განახლდება?
- ხორციელდება თუ არა მონიტორინგი ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენებასა და მის ზეგავლენაზე?

## მონაცემთა ანალიზი და მონიტორინგი

გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ მთელი აუდიტის პროცესი მონაცემების ანალიზთან არის დაკავშირებული. თუმცა, განსაკუთრებით საყურადღებოა ის, თუ როგორ აგროვებს სკოლა ძალადობის აღმოფხვრასთან პირდაპირ დაკავშირებულ მონაცემებს და როგორ რეაგირებს მათზე. სწორედ ამას ეწოდება მონიტორინგი. მონაცემების რამდენიმე შესაძლო წყარო არსებობს, მაგალითად: სკოლიდან გარიცხვის შემთხვევები (ასეთ შემთხვევათა რიცხვი შეიძლება ძალიან დაბალი იყოს იმისათვის, რომ არსებული ვითარების ზუსტი სურათი მოგვცეს); მონაცემები ქცევითი ინციდენტების შესახებ (იხ. ქვემოთ მოცემული მაგალითი); მონაცემები პოლიციის მიერ დაკავების შესახებ; ინციდენტები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია მოსწავლეებიდან შემოვიდა; დამატებითი საჭიროებების მქონე მოსწავლეთა პროგრესი და ა.შ.

მონიტორინგის მონაცემების გაანალიზების შედეგად, შესაძლებელია არსებული პრობლემების ზუსტი სურათის დანახვა, სად, როდის, და ვის მიერ იქმნება ეს პრობლემები. მონიტორინგის მონაცემების რეგულარული ანალიზი, რომელიც, ალბათ, კვირაში ერთხელ მაინც უნდა ჩატარდეს, სკოლას საშუალებას მისცემს, გამოავლინოს ნებისმიერი ცვლილება მოსწავლეთა ქცევაში და მიიღოს ადრეული, იქნებ, პროფილაქტიკურიც, ზომები.

### მაგალითი: ინციდენტის აღრიცხვის ბარათი

**მოსწავლის სახელი და გვარი:**      **რომელი წლის ნაკადშია და რომელ კლასში:**      **თარიღი:**

ვისგან შემოვიდა მომართვა	ნეგატიური ინციდენტის აღწერა	პოზიტიური ინციდენტის აღწერა	
საგნის მასწავლებელი	თავდასხმა სკოლის პერსონალზე	დაეხმარა პერსონალს კონფლიქტის გადაჭრაში	

კლასის დამრიგებელი	თავდასხმა მოსწავლეზე	დაეხმარა მოსწავლეს კონფლიქტის გადაჭრაში	
სხვა პერსონალი (დაასახელეთ)	ვერბალური დამუქრება (ბულინგი)	მოახსენა ინციდენტის შესახებ	
ადგილმდებარეობა – საკლასო ოთახი	ქონების დაზიანება	დაეხმარა იმ მოსწავლეს, რომელსაც ემუქრებოდნენ	
ადგილმდებარეობა – საკლასო ოთახის გარეთ	საკუთარ ქცევაზე კონტროლის დაკარგვა	გააუმჯობესა გარემო	
დრო	საშინი / საფრთხის შემცველი ქცევა	გამოავლინა თანაგრძნობა	
ინციდენტის აღწერა			

ზემოთ მოცემული მაგალითი, აგრეთვე ინფორმაციის ჩანერა ნეგატიური ინციდენტების შესახებ შესაძლებლობას აძლევს სკოლას, რომ პოზიტიური ინციდენტების შესახებაც ჩაინეროს მონაცემები. ეს მეთოდი ძალიან კარგი საშუალებაა სკოლაში სასურველი და მოსაწონი ქცევის ფორმების გამოსაკვეთად და წასახალისებლად. ამ მონაცემთა გამოყენება ისევეა შესაძლებელი, როგორც ნეგატიური მონაცემების – მათი საშუალებით განისაზღვრება, სად და ვინ იქცევა პოზიტიურად, სკოლის თანამშრომელთაგან ვინ უწყობს ხელს კარგი ქცევის წახალისებასა და ჩამოყალიბებას, როგორ რეაგირებენ კარგი ქცევაზე?

### აუდიტის სქემის შექმნა

კარგად ორგანიზებული სკოლის მოდელში (იხ. დიაგრამა 22-ე გვერდზე), შემოთავაზებულია, რომ სკოლაში ძალადობის ანალიზი ჩატარდეს 6 ძირითადი მიმართულებით, რომლებიც სკოლის ორგანიზაციულ მონყობას უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა “სკოლის საერთო პრინციპები და პოლიტიკა არა-ძალადობასთან მიმართებით.” 32-ე გვერდზე მოყვანილია მაგალითი, აღნიშნული მიმართულების ფარგლებში, როგორ უნდა ჩატარდეს დოკუმენტაციის აუდიტი, რათა შეფასდეს “კონვიენსიის გარემო სკოლაში, როგორც ეს გაცხადებულია მიზნებსა და წერილობით პოლიტიკაში”.



სამოქმედო გეგმის შემუშავებას აუდიტის შედეგების საფუძველზე რამდენიმე უპირატესობა გააჩნია:

- სკოლა დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ სამოქმედოდ შერჩეული სფერო ნამდვილად პრობლემატურია და ამის მყარი მტკიცებულებები არსებობს;
- ეს მტკიცებულებანი ქმნიან ერთგვარ საწყის მდგომარეობას, რომელთან მიმართებითაც იზომება ღონისძიებათა ეფექტიანობა;
- უნდა გამოიკვეთოს ძლიერი მხარეები და საფუძველად დაედოს მოქმედებებს – რატომ არის ეს მხარე ძლიერი? როგორ გახდა ის ასეთი და როგორ “გადავიტანოთ” ეს სიძლიერე განსავითარებელ სფეროებში?
- შესაძლებელია რესურსების უფრო მიზანმიმართული გამოყენება იმ სფეროებში, რომლებიც, აუდიტის შედეგების თანახმად, ამას საჭიროებს;
- უნდა განისაზღვროს სკოლის პერსონალის ტრენინგის კონკრეტული საჭიროებანი.

შემდეგ გვერდზე მაგალითისათვის მოყვანილია სამოქმედო გეგმის ნიმუში. თუმცა, არსებობს კარგი სამოქმედო გეგმის ბევრი სხვადასხვა ფორმა.

### სამოქმედო გეგმის ნიმუში

საკითხის წამოწევა აუდიტის შედეგად		
საჭირო გაუმჯობესება		
დანყების თარიღი	გადასინჯვის თარიღები	დასრულების თარიღი
განხორციელების სტრატეგიები (ძლიერი მხარეების შემდგომი გაძლიერების ჩათვლით)		
სამიზნე შედეგები		
პროგრესის მონიტორინგის მეთოდები		
უშუალოდ ჩართული პერსონალი		
აღამიანები, რომელთაც ინფორმაცია უნდა მიენოდოთ		
სხვა შესაბამისი ინფორმაცია		



## სავარჯიშო 2.7: სამოქმედო გეგმების შემუშავება

იმისათვის, რომ მოემზადოთ მოქმედებების დასაგეგმად, განიხილეთ ქვემოთ მოყვანილი ორი მაგალითი და გადანყვიტეთ, რა ქმედებები უნდა მოჰყვეს ამ შემთხვევებში აუდიტს. თქვენი ოთხივე მოქმედებისათვის შეავსეთ ზემოთ მოყვანილი სანიმუშო სამოქმედო გეგმის ფორმა.

გახსოვდეთ, რომ სამოქმედო გეგმის შედეგები წარმატებულად ჩაითვლება მაშინ, თუ ისინი არიან:

- კონკრეტული;
- გაზომვადი;
- მიღწევადი;
- რეალისტური;
- დროში განწერილი.

### სკოლა A:

სკოლამ მაღალი ქულა მიიღო იმ დოკუმენტების შეფასებისას, რომლებიც მიზნად ისახავენ ძალადობის პრევენციასა და კონვივენსიის გარემოს შექმნას მთელ სკოლაში. ეს დოკუმენტები მომზადდა ძირითადი ჯგუფების ჩართვით: სკოლის პერსონალი, მოსწავლეები, მშობლები, დირექტორები. თუმცა, ისინი სამი წლის წინ შეიქმნა და მას შემდეგ არ გადასინჯულა. სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების გამოკითხვით გაირკვა, რომ ძალადობის აღმოფხვრის ეს პოლიტიკა გავლენას ვერ ახდენს პერსონალისა და მოსწავლეების ყოველდღიურ ქცევასა და პრაქტიკაზე.

### სკოლა B:

დოკუმენტების შეფასებისას სკოლამ დაბალი ქულა მიიღო. ძალიან ცოტაა წერილობითი დოკუმენტაცია, რომელიც პერსონალსა და მოსწავლეებს განუმარტავდა სკოლის მიზნებსა და ფასეულობებს ძალადობის აღმოფხვრის სფეროში. მიუხედავად ამისა, კითხვარებზე გაცემული პასუხები და დაკვირვებანი გვიჩვენებს, რომ სკოლაში გავრცელებული ქცევის მოდელები უმეტესწილად დამაკმაყოფილებელია და ძალადობის შემთხვევებიც იშვიათია. სკოლის ზოგი თანამშრომელი უკმაყოფილოა სახელმძღვანელო დოკუმენტის არარსებობის გამო, მაგრამ უმეტესობა არსებული ვითარებით აშკარად კმაყოფილი ჩანს.

## თავი 3 პოლიტიკის ჰარმონიზაცია და მისი გამოყენება

### კონვივენსიის გარემოს შექმნა სკოლებში ერთიანი სასკოლო პოლიტიკის მეშვეობით

*ჯული შოგენესი*

წინამდებარე თავი დაეხმარება სკოლებს:

- შეიმუშაონ ან გადასინჯონ ძალადობის აღმოფხვრის პოლიტიკა;
- ეს პოლიტიკა გამოიყენონ სკოლებში კონვივენსიის გაუმჯობესების გეგმის კონტექსტში;
- სკოლებში შექმნან ისეთი გარემო, სადაც ძალადობა არ იბატონებს.

### ერთიანი სასკოლო პოლიტიკის შექმნის კონტექსტი

წინამდებარე თავში განვიხილავთ ერთიანი სასკოლო გარემოს შექმნის საკითხს და ვიმსჯელებთ იმ სტრატეგიებზე, რომლებიც სკოლებს დაეხმარება ძალადობის პრობლემის მოგვარებაში. აღწერილი მიდგომები საგანგებო ყურადღებას მიაპყრობს საზოგადოების იდენტიფიკაციას, სადაც სკოლის ეთოსი და პრაქტიკა გაამყარებს სწავლასა და სწავლებას. სკოლებში კონვივენსიის გარემო განიხილება ადგილობრივი და ეროვნული პოლიტიკის კონტექსტში, რამდენადაც სკოლის კულტურა უცილობლად ასახავს უფრო ფართო სოციალურ კონტექსტს.

ერთიანი სასკოლო პოლიტიკის შემუშავება კომპლექსური და რთული სამუშაოა. შონი (1982) სკოლის ერთიანობის საკითხთა განხილვის იდეას ადარებს ჭაობს, სადაც ძალიან რთულია იპოვო მყარი საფუძველი, საიდანაც დაიწყებ. ეს კონცეფცია ასახავს სკოლებში სწრაფი რეფორმირების გარემოს, სადაც მოქმედებამ, შესაძლოა, წინ გაუსწროს ცვლილების მოდელის შემუშავებას. სინამდვილეში, სკოლებში ძალადობასთან დაკავშირებული კომპლექსური პრობლემების სწრაფად მოგვარებას ყოველთვის არ მოჰყვება გრძელვადიანი ეფექტი (შოგენესი და ჯენიფერი, 2003). მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შეცვლის რაციონალური მოდელები დამახასიათებელია ევროპისათვის, მათ ვერ წარმოაჩინეს ძალადობის კომპლექსურობა და გავლენა ორგანიზაცი-

ის შიგნით (ფულანი, 1999). ალბათ, ყველაზე მეტად სკოლებს სჭირდებათ საშუალებების მოძიება ცვლილებათა მხარდასაჭერად, აგრეთვე, მოქნილობის შენარჩუნება იმ წესების მიღებისა და შენარჩუნებისას, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა კეთილდღეობას.

## **სკოლები, როგორც სასწავლო დანესებულებები: ერთიანი სასკოლო მიდგომის შემუშავება**

ერთიანი სასკოლო თემები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა ქცევა (ან ძალადობა), რომელზეც პასუხს ერთპიროვნულად სკოლის არც ერთი წარმომადგენელი არ აგებს. მათ შორისაა რამდენიმე არსებითი პრობლემა, რომელიც სკოლებში იჩენს თავს. ღირებულ შედეგებს ვიღებთ, თუ ეს პრობლემები გვარდება ინტეგრირებულად და ერთობლიობაში (DfES 2004).

დიდ ბრიტანეთში ჩატარებული სკოლის ეფექტიანობის კვლევა მიუთითებს, რომ სკოლის ორგანიზაციულ სტრუქტურაში არის ცვლადები, რომლებიც მნიშვნელოვანია ქცევისა და ძალადობის აღმოფხვრის თვალსაზრისით. მე-2 თავი აუდიტის შესახებ სწორედ ამ ვარაუდს ეფუძნება. ზემოთ აღნიშნული კვლევა კონცენტრირებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ერთიანი სასკოლო მიდგომებისა და პოლიტიკის შემუშავებისათვის:

- პირველი ფაქტორი მმართველობის ისეთ სტილს უჭერს მხარს, სადაც ნახალისებულია გუნდური მიდგომა, უზრუნველყოფილია მთელი პერსონალის მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებაში და გაზიარებულია პასუხისმგებლობა;
- მეორე ფაქტორი უკავშირდება სკოლის მოლოდინს სწავლებისა და ქცევის მიმართ, მათ ურთიერთკავშირს.

როგორც მადენი და ჰილმანი (1996) აღნიშნავენ, კარგი სკოლები განსაზღვრავენ კონკრეტულ მიზნებს და ინვესტირებას ახდენენ მშობლებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობებში. რატერი და სხვ. (1979) ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა გამოცდილების ხარისხის მნიშვნელობაზე. სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან ელემენტებს შორის აღმოჩნდა:

- აკადემიური ზემოქმედება;
- მასწავლებელთა სტრატეგიები სასკოლო ოთახებში;
- ნახალისება და დასჯა;
- სასკოლო ცხოვრების პირობები;
- მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის შესაძლებლობები;
- ერთიანი მიდგომა სკოლაში.

მაგალითად, სკოლები, რომლებსაც ჰქონდათ ქვეყნის ერთიანი პოლიტიკა და მუშაობის სტანდარტები, უკეთეს შედეგებს იღებდნენ კონვივენსიის მხარდაჭერის თვალსაზრისით (თავი 1), ვიდრე სკოლები, რომლებიც არჩევდნენ მიდგომების მრავალფეროვნებას. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გავრცელებულ ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ორგანიზაციაში არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებზე ორიენტირებულ პროცესსა და შედეგებს, რათა გამყარდეს და დამკვიდრდეს სკოლის წინსვლა.

სხვადასხვა კვლევებში პოტერი და სხვ. (2002) განიხილავენ იმ ოთხ ძირითად საკითხს, რაც მნიშვნელოვანია სკოლის შეცვლისა და გაუმჯობესების კონცეფციისათვის:

- სკოლის ეთოსი და ხედვა – რამდენადაც კონცეფციის გარეშე, ზმნას „გაუმჯობესება“ აზრი არ აქვს;
- აუდიტი – უნდა ვიცოდეთ, სად ვართ ჩანაფიქრის მიმართ;
- დაგეგმვა – როგორ მივალწვეთ იმას, რაც გვსურს;
- სამუშაოს შესრულების ინდიკატორების გამოყენება – პროგრესის თვალყურის დევნება დროში იმ ასპექტებთან მიმართებით, რომელთა მონიტორინგსაც ვახდენთ.

რამდენადაც კვლევამ აჩვენა, რომ სკოლაში ცვლილებები კომპლექსური ხასიათისაა, წარმატების მნიშვნელოვანი შტრიხია სკოლის ერთიანი მიდგომა და სკოლის ეთოსი (კონვივენსიისათვის), რომელიც უმაღლეს ღირებულებას ანიჭებს სოციალურ და ემოციურ განვითარებას, სწავლისათვის ცენტრალური მნიშვნელობა რომ აქვს.

## **ძალადობის აღმოფხვრის სასკოლო პოლიტიკის შემუშავება ან გადასინჯვა**

### **რას უნდა ითვალისწინებდეს ერთიანი სასკოლო პოლიტიკა?**

ძალადობა სასკოლო ცხოვრების მრავალ ასპექტზე აისახება. შესაბამისად, ძალადობასთან გასამკლავებელი სტრატეგიები და მიდგომები მთელ რიგ ღონისძიებებში უნდა გამოიხატოს, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ ჩართულობას, მშვიდობიან გადაწყვეტას, პატივისცემას, თანასწორუფლებიანობას, ემოციურ კეთილდღეობასა და პოზიტიურ მოქცევას. პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია, რომ მიდგომა და სტრატეგიები დამუშავდეს. მომავალი განვითარებისათვის კი აუცილებელია დაწესებული ნორმების აუდიტი და გადასინჯვა.

### **ცოდნის ამალღება და კონსულტაცია**

ორგანიზაციული ცოდნის ამალღება იწყება სკოლის ეთოსის (კონვივენსიისათვის) და არაძალადობის ნახალისების მიდგომის გადასინ-

ჯვითა და გაზიარებით. უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს სკოლის, როგორც სასწავლო დაწესებულების, მიზნებისა და ამოცანების ერთიანი გაგება. ეს გულისხმობს უფრო ფართო საგანმანათლებლო ხედვას, რაც მოიცავს სკოლის იდენტობას და მოსწავლეთა განსაკუთრებული მონდომების გაღვივებას. ამ მოსაზრებაში მთავარია მოსწავლის გლობალური ხედვა, მნიშვნელოვანია კარგი ურთიერთობების ნახალისება, რაც აძლიერებს საკუთარი თავის პატივისცემას, მოტივაციასა და თვითდაჯერებულობას.

ძალადობის აუდიტი მხოლოდ მაშინ იქნება ეფექტიანი, თუ სკოლაში ყველამ განიხილა და გაიაზრა ეს პრობლემა, გაითვალისწინა ყველა ტიპის ძალადობა, რასაც კი წაწყდომია სკოლებში. ცოდნის ასეთი სახით ამალღება დაეხმარება ადამიანებს, გააანალიზონ პრობლემები და შეთანხმდნენ ძალადობის განმარტებაზე (იხ. თავი 1). კონსულტაცია საშუალებას აძლევს ყველას, გამოხატოს თავისი აზრი. აგრეთვე შესაძლებელს ხდის დისკუსიას პრობლემებისა და პერსპექტივების შესახებ მოსწავლეებს, მშობლებსა და საზოგადოებას შორის. სწორედ ეს ასულდგმულებს სამუშაო პროცესს და განსაზღვრავს სკოლის პრიორიტეტებს.

აღნიშნული საკითხები ამომწურავად არის განხილული მე-2 თავში. დისკუსია და ცოდნის ამალღება აუდიტის პოლიტიკად ქცევის საწყისი ეტაპია. ქვემოთ მოყვანილი სავარჯიშო ნიმუშის ან შესამოწმებელ მაჩვენებელთა ნუსხის სახით შეიძლება გამოიყენოს ჯგუფმა, რომელიც შეიმუშავებს ან ასწორებს სასკოლო პოლიტიკას ძალადობის აღმოფხვრის შესახებ.

### სავარჯიშო 3.1: სასკოლო პოლიტიკის შემუშავება ან გადასინჯვა

პოლიტიკის შემუშავების ერთ-ერთი გზაა, დაინეროს ისეთი კვლევა, რომელიც პასუხს გასცემს მთელ რიგ კითხვებს. რამდენად უპასუხებს თქვენი პოლიტიკა ქვემოთ დასმულ შეკითხვებს?

- როგორ განსაზღვრავთ ძალადობას – რა ქცევებს მოიცავს თქვენი პოლიტიკა?
- რა პრინციპები უდევს საფუძვლად თქვენს პოლიტიკას და რამდენად ვრცელდება ისინი სკოლის მთელ საზოგადოებაზე?
- რამდენად უკავშირდება ეს პრინციპები სკოლის ერთიან მიზნებსა და კურიკულუმს?
- რამდენად ეხმარება ეს სტრატეგია ძალადობის აღმოფხვრისა და კოფლიქტების მოგვარების ეფექტიან სწავლასა და სწავლებას?

- რა როლი და პასუხისმგებლობები აკისრიათ მმართველებს, თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს/მეურვეებს ძალადობის აღმოფხვრის დამკვიდრების საქმეში?
- როგორ უწესებს სკოლა მოსწავლეებს არაძალადობრივი ქცევის მაღალ სტანდარტებს?
- რა სახის ჯილდო არსებობს ძალადობის აღმოფხვრის წასახალისებლად?
- რა სახის სანქციები არსებობს ძალადობის აღმოსაფხვრელად?
- რა სახის დახმარებაა შესაძლებელი იმ მოსწავლეთათვის, რომელთა ძალადობრივი ქცევა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლასა და პირად ცხოვრებაზე?
- რა სახის დახმარება ან ტრენინგი არსებობს თანამშრომელთათვის, რაც დაეხმარება მათ მოსწავლეთა შორის ძალადობის შემთხვევების სამართავად?
- რამდენად არიან თანამშრომლები, მშობლები/მეურვეები და მოსწავლეები ჩართულნი პოლიტიკის ჩამოყალიბების ან გადასინჯვის პროცესში? რამდენად უწევენ მათ კონსულტაციებს ამ პროცესში?
- რა რესურსებს დებს სკოლა ისეთი ატმოსფეროს შესაქმნელად, სადაც არ იქნება ძალადობა?
- როგორ ხდება პოლიტიკის მონიტორინგი და შემოწმება? რის საფუძველზე ასკვნის სკოლა, რომ იგი ეფექტიანია?

### **განხორციელება**

სკოლის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ უნდა ითავოს ინიციატივა, რომ თანამშრომლებმა ცხადად გაისიგრძეგანონ, რა მოჰყვება პოლიტიკის თანმიმდევრულ გამოყენებას პრაქტიკაში და სხვებისათვის პირადი მაგალითის მიცემას. მსჯელობის დაწყება ძალადობის თემაზე მთელი სკოლის მონაწილეობით, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს საზოგადოების ცოდნის გაღრმავებისათვის, აგრეთვე, სხვადასხვა საკითხის ნათელსაყოფად. მაგალითად, იმის გასათვითცნობიერებლად, რომ ძალადობა ყველას აზიანებს და ყველას პასუხისმგებლობაა. ამ საწყისი ეტაპიდან, პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზებზე დისკუსია ღიაა სკოლის საზოგადოებისათვის, რომელსაც კარგად ესმის საკვანძო საკითხები.

### **მონიტორინგი**

მონიტორინგი აუდიტისგან იმით განსხვავდება, რომ ის გულისხმობს პოლიტიკის კონკრეტული ელემენტების უფრო ხშირ შემოწმებას.

მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის პრაქტიკა სკოლაში და საზოგადოების შიგნით ასახავდეს სკოლის ერთიან ხედვას და მსჯელობას იმის თაობაზე, ეფექტიანია თუ არა ეს პოლიტიკა. რეგულარული მონიტორინგი საშუალებას აძლევს სკოლებს, განსაზღვრონ ტენდენციები დროში, მაგალითად, იმატებს თუ იკლებს ყოჩობის შემთხვევები. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, კონკრეტულად რა სახის მონიტორინგი ჩატარდება და როგორ აისახება ამ პროცესზე მოსწავლეების, მშობლების/ მეურვეებისა და საზოგადოების შეხედულებები.

ასევე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ მონიტორინგს მოჰყვება გაუმჯობესება, პროგრესი, რათა სკოლებმა შეძლონ, იზიენონ წარმატება და დაეყრდნონ თავიანთ სიძლიერეს.

### სავარჯიშო 3.2: მონიტორინგი უნდა იყოს მარტივი და ადვილი განსახორციელებელი

მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბებისას, დაისმის შემდეგი შეკითხვები:

- რასისტემები არსებობს ძალადობის შემთხვევების დასაფიქსირებლად?
- რა სახის მონაცემების შეგროვებაა შესაძლებელი მარტივად და იოლად?
- ხელმისაწვდომია თუ არა პოზიტიური ან ნეგატიური ინფორმაცია?
- ასახავს თუ არა მონაცემები ტენდენციებს?
- განაცალკევებს თუ არა მონაცემები შეხედულებას ფაქტისაგან?
- ეხმარება თუ არა მონაცემები სკოლას ნებისმიერი ცვლილების გამომწვევი მიზეზის განსაზღვრაში?
- როგორ ხდება ამ ინფორმაციის ანალიზი, გაზიარება და გამოყენება პრაქტიკაში?
- დაეხმარება თუ არა ეს ინფორმაცია სკოლას წარმატების აღნიშვნაში?

### მიმდინარე გაუმჯობესებები

მონიტორინგის ღირებულება მხოლოდ წარმატების გამოვლენა როდია, არამედ უწყვეტი გაუმჯობესების ნახალისებაც. ამას აღიარებენ სკოლის დამკვირვებლებიც.

იგივე შეეხება სკოლებში არაძალადობის პოლიტიკასაც. მონიტორინგი და მისი უკუგება, რასაც მოჰყვება პოლიტიკის ცვლილება და

გაუმჯობესება, მნიშვნელოვანია მხოლოდ მაშინ, თუ ის ცოცხალია და გარდაიქმნება ეფექტიან მოქმედებად.

მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები და უკუგება თანამშრომლების, ოჯახების, ბავშვებისა და მმართველების მხრიდან, სკოლას ეხმარება პოლიტიკის გადასინჯვასა და განახლებაში სასწავლო წლის განმავლობაში. ცოდნის გაღრმავება ზრდის მოსწავლეთა ინფორმირებულობის დონეს ძალადობის შესახებ და, მეტად სავარაუდოა, რომ ისინი სათანადოდ უპასუხებენ და გამოააშკარავენ კიდევ ძალადობის შემთხვევებს სკოლებში.

აღსანიშნავია ის, რომ არ აქვს მნიშვნელობა რამდენად კარგად არის დანერგილი პოლიტიკა, ან რამდენად კარგად ხდება მისი ეფექტიანობის მონიტორინგი. პოლიტიკა არ იქნება წარმატებული, თუ მასში მონაწილე ყველა მხარე სრულად არ იზიარებს პასუხისმგებლობას მისი განხორციელების პროცესში. აქედან გამომდინარე, არსებითია მუდმივი ყურადღება ექცეოდეს მოსწავლეთა, მშობელთა, თანამშრომელთა და საზოგადოების თანამონაწილეობას კონვივენსიის გარემოს შესაქმნელად.

## **ყველას მონაწილეობა კონვივენსიის გარემოს შექმნისა და შენარჩუნების საქმეში**

რობსონი და სმედლი (1996) წარმოადგენენ მოდელს, რომელიც ითვალისწინებს მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობის ოთხ დონეს. პირველი სამი დონე ხშირად ინიცირებულია თავად სკოლების მიერ და მშობლებს პროაქტიულობისკენ უბიძგებს. მეოთხე, პარტნიორობის დონე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მშობლებისა და საზოგადოების, როგორც პარტნიორთა მუშაობას. ქვემოთ ჩამოთვლილია ეს ოთხი დონე, აგრეთვე კონკრეტული ღონისძიებები მათ განსახორციელებლად.

### **დონე 1: ინფორმაცია**

ვრცელდება შემდეგი წყაროების საშუალებით:

- ღია საღამოები;
- საინფორმაციო ბროშურები;
- წერილობითი ანგარიშები;
- პირადი კონტაქტები;
- მონვევები კრებებზე;
- მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის შეხვედრები;
- გამოფენები;
- ინფორმაცია წერილებში, სახელმძღვანელო წიგნებში და სხვ.



## **დონე 2: ჩართულობა**

მიიღწევა შემდეგი საშუალებებით:

- თანამშრომლებთან კავშირი სკოლის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდგომ;
- ნიგნის კვირეულების ორგანიზება;
- საინფორმაციო ბროშურების ორგანიზება;
- დამხმარე მშობლები;
- სოციალური ღონისძიებები;
- მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის წევრობა.

## **დონე 3: თანამშრომლობა**

მიიღწევა შემდეგი საშუალებებით:

- ერთობლივი მუშაობა კონკრეტული საკითხების მოსაგვარებლად;
- მშობელთა და მასწავლებელთა სემინარები;
- ერთობლივი ღონისძიებები;
- მშობელთა ოთახი;
- დახმარება სკოლის შემდგომი კლუბების ორგანიზებაში;
- საზოგადოებრივი ღონისძიებები;
- ერთობლივი სადილების ორგანიზება.

## **დონე 4: პარტნიორობა**

მიიღწევა შემდეგი საშუალებებით:

- პოლიტიკის ერთობლივი შემუშავება;
- ერთობლივი მენეჯმენტი;
- გადანყვეტილების ერთობლივად მიღება.

სკოლის პოლიტიკის ჩამოყალიბებისას მაქსიმალური ეფექტის მიღწევის მიზნით, სკოლებმა მეოთხე დონეზე (პარტნიორობა) უნდა იმუშაონ სკოლის მთელ საზოგადოებასთან. პარტნიორულ დონეზე გადანყვეტილების მიღების დამკვიდრებას დრო და მონდომება სჭირდება სკოლის მხრიდან და რთული გამოწვევაა უმაღლესი ხელმძღვანელობისთვის.

პოლიტიკის შემუშავებამდე და მის განხორციელებამდე სკოლისათვის აუცილებელი არ არის მეოთხე დონეზე ყოფნა. თუმცა, პროცესი გაცილებით ეფექტიანი იქნება, თუ გამოიყენება 1-3 დონეებით განსაზღვრული პუნქტების უმეტესობა. ეს ნიშნავს ისეთი სტრატეგიის შემუშავებას, გუნდურ მიდგომას რომ ნაახალისებს.

### სავარჯიშო 3.3: რამდენად ეფექტიანად ვუწყობთ ხელს კონვივენსიას?

ქვემოთ ჩამოთვლილი შეკითხვები შეგიძლიათ გამოიყენოთ თანამშრომლებთან, მშობლებთან, მოსწავლეებსა თუ უფრო ფართო საზოგადოებასთან დისკუსიის ბაზად, რათა განსაზღვროთ, რამდენად ეფექტიანად უწყობს ხელს სკოლა კონვივენსიას.

- რა ძლიერი მხარეები აქვს სკოლას?
- როგორ იძენენ მოსწავლეები თანაზიარობის განცდას?
- რამდენად არიან ჩართულნი მოსწავლეები სასკოლო ცხოვრებაში?
- რამდენად აქტიურად არიან ჩართულნი მოსწავლეები საკუთარ განათლებაში?
- რამდენად უწყობს ხელს სკოლა მოსწავლეთა და მოზრდილთა სწავლება-განვითარებას?
- როგორ შეუძლიათ მშობლებს სკოლების მხარდაჭერა?
- რამდენად არიან მშობლები ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
- რა სახით ურთიერთთანამშრომლობს საზოგადოება, რომ უზრუნველყოს სასწავლო გარემოს უსაფრთხოება და უშიშროება?
- რა დოზით არიან მშობლები და საზოგადოება ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში?

### სავარჯიშო 3.4: თქვენი ამჟამინდელი სიტუაციის შეფასება

იმ შემთხვევაში, თუ სკოლა დაინტერესებულია უზრუნველყოს ყველა მხარის ჩართულობა სკოლებში ძალადობის საკითხების მოგვარების საქმეში, აუცილებელია ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩამოთვლილი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ეს ცხრილი დაგეხმარებათ, შეაჯამოთ არსებული სიტუაცია 1-დან 10 ქულიანი სისტემით.

სიტუაცია ჩვენს სკოლაში	სკალა 1-დან (დაბალი) 10-მდე (მაღალი)
სკოლის ხედვა ნათელია ყველა მხარისათვის	1 - 10
პოლიტიკა გადაისინჯება, რათა ხელი შევუწყოს სკოლის უფრო ფართო მიზნების მიღწევას	1 - 10
გაზიარებულია არსებული პრაქტიკის აუდიტისა და გადასინჯვის მნიშვნელობა	1 - 10
გაზიარებულია გარემოს უსაფრთხოებისა და უშიშროების აუცილებლობა, სადაც მოსწავლეებს, თანამშრომლებსა და მშობლებს საშუალება აქვთ, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები და გრძნობები	1 - 10
ხალხი სკოლაში ქმნის იმის საშუალებას, რომ მოისმინონ მოსწავლეთა, თანამშრომელთა და საზოგადოების შეხედულებები	1 - 10
სკოლები დგამენ პოზიტიურ ნაბიჯებს მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად	1 - 10

**მაგალითი: კონვიენსიის შექმნა – დონე 1: ინფორმაცია**

*კრების კალენდარი*

იმისათვის, რომ სკოლის მთელმა საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია სკოლის პოლიტიკის შესახებ და კარგად გააანალიზოს იგი, ერთ-ერთი გზაა ღონისძიებათა ან კრებების ორგანიზება, რაც ავითარებს კონვიენსიას. მაგალითისთვის, ქვემოთ კალენდარში თავმოყრილია

აღსანიშნავ დღეთა ნუსხა, რაც გლობალურ მოქალაქეობას უკავშირდება. კალენდარში განზრახ არ შედის რელიგიური დღესასწაულები.

თვე/წელი	თემა	შემოთავაზებული ვარიანტები
იანვარი	მსხვერპლშენირვის ხსენების დღე	თემის განსახილველად გამოიყენეთ მოსწავლის წიგნი ან ანა ფრანკის დღიური  მიზეზებისა და შეგუდების განხილვა
თებერვალი	სოციალური სამართლის დღე	აქცენტი გააკეთეთ იმ ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრების მანძილზე სამართლიანობისთვის იღწვოდნენ (დედა ტერეზა, დალაი ლამა, ნელსონ მანდელა)
მარტი	მსოფლიო წიგნის დღე	გაუზიარეთ ისტორიები სხვადასხვა ტრადიციებიდან
აპრილი	შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ ცოდნის ამაღლების დღე	აღნიშნეთ რომელიმე ცნობილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის მიღწევები  მოსწავლეებთან ერთად წამოსწიეთ შეზღუდული შესაძლებლობების საკითხები
მაისი	საკუთარი თავის პატივისცემის დღე	აღნიშნეთ მშობელთა, მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა მიღწევები
ივნისი	გარემოს დაცვის მსოფლიო დღე	გამოიძიეთ ადგილობრივი ან გლობალური გარემოს დაცვითი პრობლემა
ივლისი	შემოქმედებითობის დღე	იზეიმეთ ვიზუალური და ლიტერატურული, თეატრალური ან მუსიკალური ხელოვნების დღე, განსხვავებული ტრადიციები
სექტემბერი	მდგრადი განვითარების დღე	შეისწავლეთ მდგრადი ცხოვრების სტილი – ნარჩენების შემცირება და სამყაროზე ზრუნვა

თვე/წელი	თემა	შემოთავაზებული ვარიანტები
ოქტომბერი	შავი ისტორიის თვე	შავი ისტორიის აღნიშვნა
ნოემბერი	ბავშვთა საერთაშორისო დღე	შეისწავლეთ და იმსჯელეთ ბავშვთა უფლებებზე
დეკემბერი	ადამიანის უფლებათა დღე	განიხილეთ კანონმდებლობა და მისი მნიშვნელობა მოსწავლეებისა და თანამშრომლებისათვის

ამ ციკლის ფარგლებში დასაშვებია, ერთი კვირით გვერდზე გადავდოთ სკოლაში ძალადობის აღმოფხვრის თემა. ეს შეიძლება დაუკავშირდეს მოქალაქეობის თემებს ან კურიკულუმს სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების ჩამოყალიბებისათვის (იხ. თავი 4), ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გათვალისწინების გზით:

- ემპათია – გრძნობები, საჭიროება და სხვების ცხოვრება, ჰუმანურობის, თანაგრძნობის შეგრძნება;
- იდენტობის განცდა – ადამიანის თვითღირებულებისა და ინდივიდუალურობის შეგრძნება (ყველა განსაკუთრებულია);
- მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა – იმის დაფასება, რომ შეგვიძლია ერთმანეთისგან ვისწავლოთ;
- სოციალური სამართალი და სამართლიანობა – ინტერესი და ნუხილი გლობალურ საკითხებთან დაკავშირებით და პატიოსნება;
- ზრუნვა გარემოზე – ყველას სიცოცხლის და ერთმანეთის პატივისცემა და ზრუნვა.

მე-4 დონის, ანუ პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად სკოლებმა, შესაძლოა, გამართონ ღია კარის დღეები და კონსულტაციები გაუწიონ მშობლებს ძალადობის აღმოფხვრის ხელშესაწყობად; ან წაახალისონ მოსწავლეები, წარმოაჩინონ ეს თემა თეატრალური, მუსიკალური ან საცეკვაო ნომრების მეშვეობით. ეს, შესაძლოა, უკავშირდებოდეს საბავშვო ლიტერატურასაც და სხვა მონაწილეთა ჩართულობას მოასწავებდეს.

## **მაგალითი: კონვივენსიის ჩამოყალიბება – დონე 2: ჩართულობა**

### *გამოფენები*

კონვივენსიის გარემოს შექმნის პროცესში სკოლის მთელი საზოგადოების მონაწილეობის წახალისების მიზნით, სკოლის კრებაზე უნდა წარმოადგინონ შესაბამისი თემა. აქ მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ, ისაუბრონ საკუთარ პერსპექტივებზე და თავიანთი მოსაზრებები

სხვა ასაკის მოზარდებსაც გაუზიარონ. ამ თემის ირგვლივ გამოფენის ორგანიზება სკოლის ტერიტორიაზეც შეიძლება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეები, თანამშრომლები, მშობლები და უფრო ფართო საზოგადოების წარმომადგენლებიც, ასევე შესაძლებელი იქნება ვიზიტორთა მიღებაც.

მეოთხე დონეზე (პარტნიორობა) სამუშაოდ, მოსწავლეებს, მშობლებს ან საზოგადოების წევრებს შეიძლება დაევალოს გამოფენის დაგეგმვა და ორგანიზება.

### **მაგალითი: კონვიენსიის ჩამოყალიბება – დონე 3: თანამშრომლობა**

#### *სკოლის მოსწავლეთა საბჭო*

სკოლის საბჭოების პრაქტიკა მოსწავლეთა სოციალური განვითარების ერთ-ერთ ეფექტიან გზად განისაზღვრა (შოგენსი და ჯენიფერი, 2003). მოსწავლეები თითოეული კლასიდან ირჩევენ წარმომადგენელს სკოლის საბჭოში, რომელიც მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ასეთი სახის მონაწილეობა ბავშვებს აქტიურ განვითარებაში ეხმარება, უფრო ღირებულს ხდის მათ ჩართულობას კონვიენსიის ჩამოყალიბებაში.

სკოლის საბჭოები ხელს უწყობს დემოკრატიულ და თანამონაწილეობით პროცესებს და მოსწავლეებს იმ რეალური პრობლემატიკის ასახვისაკენ უბიძგებს, რაც მათ და სხვების ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. „დიდი ბრიტანეთის სკოლების საბჭო“ (დევისი, 1998) აცხადებს, რომ სკოლის საბჭოები მოსწავლეებს უვითარებს შემდეგ უნარ-ჩვევებს:

... წარმოადგინონ დასაბუთებული არგუმენტები; მშვიდად მოისმინონ და რეაგირება მოახდინონ მათთვის მნიშვნელოვან შეხედულებებზე; მონაწილეობა მიიღონ საერთო პრობლემების გადაწყვეტაში; ეფექტურად იმუშაონ სხვებთან ერთად კლასში სოციალური ჰარმონიის შესაქმნელად; ისწავლონ თანატოლების შუამდგომლობა; საჭიროებისამებრ, ჰქონდეთ მამაცობა და თვითდაჯერებულობა, გამოსხატონ ისეთი აზრი, რაც ყოველთვის არ არის სხვებისათვის მისაღები.

ამგვარად, სკოლის საბჭო ხდება სკოლის შეფასების პროცესის ნაწილიც. სკოლის ეფექტიანი საბჭოები მეოთხე დონეზე გადაინაცვლებს და, იმავდროულად, პირველ და მესამე დონეებზე მუშაობს:

- იმ საკითხების წამოწვევით, რაც, ზოგადად, ყველას ანუხებს;
- თვალსაზრისთა გაზიარებით და მოსწავლეთა თუ მასწავლებელთა ინფორმირებით შედეგების შესახებ;
- მთელ რიგ საკითხებზე შესაძლო ქმედებათა შეთავაზებით;

- ღონისძიებების ორგანიზებით;
- გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღებით, მაგალითად, სკოლის სტრატეგიასა ან თანხის დახარჯვაზე.

### **მაგალითი: კონვივენსიის ჩამოყალიბება – დონე 4: პარტნიორობა**

#### *აღდგენითი სამართალი*

კონვივენსია ჰარმონიის უზრუნველყოფას, ასევე, მოსწავლეებს შორის, მოსწავლეთა და მოზრდილებს შორის არსებულ ურთიერთობებში შექმნილი ხარვეზების გამოსწორებას გულისხმობს. მაგალითისთვის, აღდგენითი მიდგომები ზოგიერთ სკოლაში სცდება სამართლის სისტემის ფარგლებს და დანგრეული ურთიერთობების მოგვარებას ესწრაფის. აღნიშნულმა მიდგომებმა, შესაძლოა, განსხვავებული ფორმალური და არაფორმალური სახე მიიღოს. თითოეული მათგანი გულისხმობს პარტნიორობის აღდგენას ერთობლივი გადანყვეტილებების მიღების გზით, ურთიერთობების მომავლისათვის.

ქვემოთ მოცემული მაგალითი აღწერს, თუ როგორ გამოიყენება აღდგენითი მართლმსაჯულების ტექნოლოგია პარტნიორობის აღსადგენად.

აღდგენით მართლმსაჯულებას სკოლა ახორციელებს პოლიციის ადგილობრივ სამსახურთან ერთად. მისი მიზანია, თავიდან ააცილოს მოსწავლეებს სასამართლო სისტემაში ჩართვა. ვთქვათ, ოთახში შესვლისას მოსწავლე განზრახ ჰკრავს ხელს მასწავლებელს, რის გამოც მასწავლებელი ძირს ეცემა და მხარს სერიოზულად იზიანებს. პოლიცია, სკოლა, მშობელი და მასწავლებელი თანხმდებიან, რომ უმჯობესია აღდგენითი მართლმსაჯულების აღსრულება - სხდომის გამართვა, ვიდრე მოსწავლის პირდაპირ დასჯა. მოსწავლე ამგვარად გააცნობიერებს მასწავლებლისათვის მიყენებულ ზიანს. მეორე მხრივ, მასწავლებელი გამოხატავს თავის გრძნობებს, ემოციებს და მდგომარეობას ერთობლივად გამოასწორებენ.

ამის საწინააღმდეგოდ, საჩივრის შეტანა ზემოხსენებულ არც ერთ შედეგს არ მოგვიტანდა. რასაკვირველია, ეს გამოინვევდა შემდგომ კამათს და მეტ ზიანს მიაყენებდა მშობლის, სკოლისა და მოსწავლის ურთიერთობებს, რადგან თითოეული მხარე შეეცდებოდა საკუთარი ინტერესების დაცვას.

ამ აღდგენითი სასამართლოს სხდომას თავმჯდომარეობს პოლიციის ოფიცერი მოსწავლესთან, მშობლებთან, მასწავლებელსა და უფროს მასწავლებელთან (რომელიც მასწავლებლის მხარდამჭერია და სკოლას წარმოადგენს) ერთად. თითოეული მხარე საუბრობს მომხდარის საკუთარ ვერსიაზე, შემთხვევის გამო შექმნილ გრძნობებზე, თითოეულისათვის მიყენებულ ზიანსა და პრობლემის გადასაჭრელად გადასადგმელ ნაბიჯებზე.

საბოლოოდ, მოსწავლე სინდისის ქეჯნით გულწრფელად იხდის ბოდიშს და დანაშაულის გამოსწორებას ცდილობს მასწავლებლისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენით, კერძოდ, გაკვეთილების შემდეგ სასწავლო მასალების დალაგებით. მასწავლებელი ამით კმაყოფილია. მშობელი სრულად მონაწილეობს სასურველი შედეგის მიღწევაში და სკოლასა და ოჯახს შორის პარტნიორობა ნამდვილად ძლიერდება.

### **კონვივენსიის გაძლიერება კურიკულუმში მოქალაქეობრივი პოზიციის შეტანის გზით**

მე-4 თავში განხილულია კონვივენსიის დანერგვა სასწავლო პროგრამებში. თუმცა, მოქალაქეობრივი პოზიციის სწავლება, რაც მრავალ ქვეყანაში კურიკულუმის მნიშვნელოვანი ასპექტი გახდა, ჩვენს დიდ ინტერესს იწვევს, რადგან იგი იძლევა შესაძლებლობას, მთელი საზოგადოება ჩართოს სკოლებში ძალადობის აღმოფხვრის საქმეში.

აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის შესწავლისას, მოსწავლეები:

- განიხილავენ სოციალური სამართლის, ადამიანის უფლებების, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის საკითხებს;
- გაიაზრებენ და გამოიმუშავენ თანაგრძნობის თუ პატივისცემის გრძნობებს მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით;
- ეჭვქვეშ დააყენებენ სტერეოტიპებს და მნიშვნელოვან საკითხებზე გადამწყვეტ პერსპექტივებს დასახავენ;
- აღიარებენ საკუთარ პასუხისმგებლობას სხვების მიმართ;
- გაითვალისწინებენ საკუთარი ქმედებების შედეგებს და დისკუსიაში ჩართვის აუცილებლობას არჩევანის გაკეთებისას.

იანგი და კომინსი (2002) განსაზღვრავენ სკოლის პოლიტიკის შემუშავებისას გასათვალისწინებელ მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც მოქალაქეობრივი პოზიციის სწავლებას უკავშირდება:

- ემპათია სხვების მიმართ – მგრძნობიარობა, თანაგრძნობისა და მოსმენის უნარი;
- იდენტობისა და საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობა; ამ გრძნობების სხვებში განვითარების უნარი;
- ვალდებულება სოციალური სამართლისა და თანასწორობის მიმართ;
- მრავალფეროვნების გააზრება და მისი პატივისცემა;
- რწმენა იმისა, რომ ადამიანებს ძალუძთ შეცვლა უკეთესობისკენ;



- მდგრადი განვითარების გააზრება და პასუხისმგებლობა მის მიმართ;
- მშვიდობისა თუ კონფლიქტების გააზრება და მათი მოგვარების უნარი და სურვილი;
- კრიტიკული აზროვნების, უსამართლობის წინააღმდეგ გალაშქრებისა და ეფექტიანი კამათის უნარი;
- გლობალიზაციისა და ურთიერთდამოკიდებულების გააზრება და ამ საკითხების უფრო ღრმად შესწავლის ვალდებულება.

მოქალაქეობრივი პოზიციის თვალსაზრისით ეფექტიანი კურიკულუმი მოსწავლეთა უნარებს განავითარებს შემდეგი მიმართულებებით:

- თანამშრომლობა და კონფლიქტების მოგვარება – სხვებთან ერთად მუშაობის უნარი; კონფლიქტების ეფექტიანად და ობიექტურად გაანალიზება; ყველა მხარისათვის მისაღები გადანაცვებების მიღება;
- კრიტიკული აზროვნება – შეხედულებებისა და ინფორმაციის ობიექტურად და კრიტიკულად შეფასების უნარი, სხვისი მოსაზრების შეცვლის, ეჭვქვეშ დაყენების და ეთიკური დასკვნების გამოტანის უნარი;
- უსამართლობისა და უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლა – უსამართლობისა და უთანასწორობის აღიარებისა და სათანადო ქმედების შერჩევის უნარი;
- ადამიანებისა და საგნების პატივისცემა – სხვათა საჭიროებების აღიარება და მათზე რეაგირება; არჩევანის გაკეთება და შედეგების აღიარება.

### სავარჯიშო 3.5: მოქალაქეობრივი პოზიციის სწავლების მნიშვნელობა

სავარჯიშო 3.1-ში მოცემული შეკითხვების თვალის კიდევ ერთხელ გადავლებით, გაანალიზებთ, ძალადობის აღმოფხვრის სასკოლო პოლიტიკის რომელი ელემენტების გამოყენებაა შესაძლებელი მოქალაქეობრივი პოზიციის სწავლების გზით.

რას შეცვლიდით მოქალაქეობრივი პოზიციის პროგრამაში კონვივენსიის ხელშესაწყობად?

## თავი 4 რა უნდა ისწავლებოდეს?

### სკოლის კურიკულუმის გამოყენება ძალადობის აღმოფხვრის მხარდასაჭერად

*ჯული კეისი*

წინამდებარე თავი დახმარებას გაუწევს სკოლებს:

- გაიაზრონ, რა უნდა ასწავლონ მოსწავლეებს სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების შესახებ;
- შეამოწმონ, რა კეთდება ამჟამად ამგვარი უნარების ათვისების ხელშესაწყობად;
- გადაწყვიტონ, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ თავის გაკონტროლება ძალადობის დასაძლევად.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა აგრესიისა და ძალადობის ინციდენტების შემცირებას თავად მოსწავლეების მონაწილეობით, რაც მიიღწევა კურიკულუმზე დამყარებული პრევენციული მუშაობით მოსწავლეთა სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების (SEBS) განსავითარებლად. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- რა სახის ცოდნას, უნარებსა და შეგნებას ემყარება არაძალადობრივი მიდგომა კონფლიქტების მოგვარებისა და სირთულეების დაძლევისადმი?
- რა ეფექტიანი გზები არსებობს იმისათვის, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განუვითარონ ეს უნარები, ცოდნა და შეგნება?

წინამდებარე თავი ეფუძნება კონკრეტულ მაგალითებს კურიკულუმისა, რომელიც შექმნილია დაწყებითი კლასების მოსწავლეებში (ასაკი - 3-11 წელი) სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზნით (დააფინანსა ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტმა (DfES)). უფრო ვრცელი ინფორმაცია ამ პროგრამის შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ ინტერნეტ გვერდზე: <http://www.standards.dfes.gov.uk/primary>

ამ კონკრეტული მაგალითებით, სკოლები შეძლებენ განიხილონ, რაოდენ დიდ გავლენას ახდენს კურიკულუმი არაძალადობის ეთოსის გაძლიერებაზე სკოლის გარემოში. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს მოვლენებს ევროპის სხვა ქვეყნებშიც ვხვდებით და ინგლისის გამოცდილება უნიკალური არ არის. ინგლისის ეროვნული კურიკულუმის თანახმად, სკოლა ვალდებულია:

- ყოველ ბავშვს მისცეს სწავლისა და წარმატების მიღწევის საშუალება;
- ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სულიერ, მორალურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას;
- მოამზადოს მოსწავლეები ცხოვრებისეული შესაძლებლობების, პასუხისმგებლობისა და გამოცდილებისათვის.

2003 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულ მთავრობის პოლიტიკაში წარმოდგენილია სტრატეგია სახელწოდებით: “ყოველი ბავშვი მნიშვნელოვანია”. იგი განსაზღვრავს ძირითად შედეგებს, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა და ახალგაზრდობის კეთილდღეობისათვის, მათი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ბედნიერი ცხოვრებისა და მიღწევებისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოზიტიური წვლილის შეტანისათვის.

2003 წელს განათლებისა და უნარების დეპარტამენტმა 10 მლნ. ფუნტი სტერლინგის ინვესტიცია (დაახლოებით 14,7 მლნ. ევრო) ჩადო საპილოტო პროგრამის შექმნისა და გავრცელების საქმეში, რომელიც ითვალისწინებდა მოსწავლის სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების განვითარებას. ეს პროგრამა სხვა მრავალი მსგავსი პროგრამისგან იმით განსხვავდება, რომ პირველად შეიქმნა სპეციალური კურიკულუმი დაწყებითი კლასების ყველა მოსწავლისათვის (3-11 წწ. ასაკი). გარდა ამისა, სკოლებს მოუწოდებენ დახმარების სხვა პროგრამების ჩართვას, რომლებიც ამოქმედდება, თუ მოსწავლე გამოავლენს სირთულეებს “სოციალურ უნარებში” ან “სიბრაზის მართვაში”.

ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტმა ეს მეთოდი განვითარა მტკიცებულებათა სულ უფრო მზარდი რაოდენობის ფონზე, რომელთა თანახმად, წინასწარი ყურადღების გამახვილება მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და შეგნების განვითარებაზე სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების ფართო არეალში არა მხოლოდ ეხმარება მოსწავლეებს პიროვნული და სხვებთან საურთიერთო უნარების განვითარებაში, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, არამედ დადებით გავლენას ახდენს მათ აკადემიურ მოსწრებაზე, სკოლაში დასწრების სიხშირესა და ყოფაქცევის გამოსწორებაზე; საგრძნობლად ამცირებს ძალადობისა და ყოჩობის შემთხვევებსაც; ამასთან, ხელს უწყობს სკოლებში ჩართულობის ზრდას. აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი ითვლება მთავრობის უმთავრეს ამოცანად განათლების სფეროში.

გარდა ამისა, “ჯანსაღი ეროვნული სკოლების პროგრამა”, რომელიც ჯანდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და განათლების დაპარტამენტის ერთობლივი ინიციატივაა (<http://www.wiredforhealth.gov.uk>), აცხადებს, რომ სკოლებში სოციალურ, ემოციურ და ქცევით ჩვევებზე საგანგებო ყურადღების გამახვილება ხელს უწყობს მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანასა და მათ შენარჩუნებას – ეს დიდი პრობლემაა განათლების ყველა საფეხურზე, განსაკუთრებით კი იმ სკოლებში, რომლებიც ყველაზე “გამომწვევად” ითვლება. უეჭველია, რომ ძალადობა და აგრესია (როგორც მოსწავლეთა, ისე მოსწავლესა და მასწავლებელს შორის) მასწავლებელთა სტრესისა და გულგატეხილობის უმთავრესი მიზეზია.

ეს მეთოდი მხოლოდ კონფლიქტების მოგვარების მეთოდულ კაზზე როდია კონცენტრირებული. მისი მიზნები სცილდება ძალადობისა და ყოჩობის შემთხვევათა შემცირების ფარგლებს. მისი ძირითადი ამოცანაა, მიაღწიოს ამ და სხვა შედეგებს მოსწავლეთა სოციალური, ემოციური და ქცევითი უნარების განვითარების გზით. თანამედროვე პირობებში, ძალადობისა და ყოჩობის შემთხვევათა რაოდენობის შემცირება საკვანძო მნიშვნელობის შედეგად ჩაითვლება.

## **რა სახის ცოდნა, უნარები და შეგნება უწყობს ხელს კონფლიქტებისა და სირთულეების არაძალადობრივი გზით მოგვარებას?**

ზოგადად ითვლებოდა, რომ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების უნარი სოციალურ, ემოციურ და ქცევით ჩვევებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ განათლების არსებული სისტემის პირობებში არ არსებობდა სრული თანხმობა იმაზე, თუ რას ნიშნავდა თავად ეს უნარები. სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების ადგილი განათლების სისტემაში რამდენადმე არეულ-დარეულია, რისი ნიშანიცაა ბევრი განსხვავებული ტერმინი, რომლებიც გამოიყენება განათლების სისტემაში ძალადობასთან დაკავშირებული სხვადასხვა (ზოგჯერ კი ურთიერთგადაფარული) ასპექტის აღწერისათვის: ემოციური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ემოციური განათლება, ემოციური ინტელექტი, ემოციური და სოციალური კომპეტენტურობა, სხვებთან საურთიერთო უნარები, საარსებო უნარები, სულიერი ჯანმრთელობა, პიროვნული, სოციალური და სანიტარული განათლება და ა.შ. სკოლებში ემოციურ განათლებაზე საგანგებო ყურადღება თანაბრად ხდებოდა როგორც მხარდაჭერის, ისე ირონიის საგანი. მას ხან მიესალმებოდნენ, როგორც ერთიან, კონცენტრირებულ მიდგომას განათლების მიმართ, ხან კი დასცინოდნენ, როგორც არასასურველ, მავნე გადახრას ჭეშმარიტი საგანმანათლებლო მიზნებისგან, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ აკადემიური მოსწრებით უნდა შემოფარგლულიყო.

განათლებაზე განახლებულმა ყურადღებამ მისი თეორეტიკოსები ძველი კრიტიციზმის დაძლევაზე მიიყვანა - ცოდნის, უნარებისა და შეგნების (რის დანერგვასაც ვესწრაფით) უფრო ცხად და ზუსტ გაგებამდე. უფრო ზუსტად, გაჩნდა სურვილი, რომ საცდელი პროგრამის ფარგლებში, სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების პროგრამით განხორციელებული სწავლის შედეგები ისეთივე სრულყოფილი ყოფილიყო, როგორც იქნებოდა წერა-კითხვისა და ანგარიშის ნაციონალური კურიკულუმის მიხედვით. ამან სასურველი ნაყოფი გამოიღო იმ თვალსაზრისით, რომ შემოგვთავაზა უფრო ცხადი განსაზღვრება და პარამეტრი საგანმანათლებლო სფეროში, რამაც პრაქტიკოსებს საშუალება მისცა, გამოეყენებინათ საერთო ლექსიკონი ადრე საკმაოდ ბუნდოვან თემასთან მიმართებით.

საცდელი პროგრამა ახდენს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების 5 ძირითადი სფეროს თვალსაჩინო კატეგორიზაციას, რომელიც აგებულია დანიელ გოლმანის მიერ თავდაპირველად (1969) შემოთავაზებული სქემის მიხედვით და რომელიც “ემოციურ ინტელექტს” ძირითად ელემენტებად ყოფს. ესენია:

- თვითანალიზი
- ემპათია
- გრძნობათა მართვა
- მოტივაცია
- სოციალური უნარები (კომუნიკაციის ჩათვლით)

ამათგან თვითანალიზი, გრძნობათა მართვა და მოტივაცია თავიდანვე ინტრაპერსონალურ უნარებად ითვლებოდა, ხოლო თანაგრძნობა და სოციალური უნარები – ინტერპერსონალურად. თითოეული სფერო აერთიანებს ბევრ ინდივიდუალურ უნარს, რომლებიც, თუ განვავითარებთ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ დროთა განმავლობაში ვითარდება მიმდინარე ცვლილებებთან ერთად. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ეს არ არის “ნამდვილი” დაყოფა – ძნელი წარმოსადგენია ადამიანური სიტუაცია, როდესაც ერთი სფერო სხვებისგან დამოუკიდებლად გამოიყენება. სინამდვილეში, უნარები ურთიერთდამოკიდებულია. ისინი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე სხვადასხვა გზით, რაც იწვევს სხვადასხვა სირთულის ქცევების წარმოშობას.

#### სავარჯიშო 4.1: უნარები, ცოდნა და შეგნება კონფლიქტის მოსაგვარებლად

თავდაპირველად, ცალ-ცალკე გაიაზრეთ თქვენს გარემოცვაში ბოლო დროს შექმნილი კონფლიქტური სიტუაცია. შემდეგ დაიყავით ჯგუფებად, იმსჯელეთ და შეთანხმდით, რა უნარები, ცოდნა და შეგნება უნდა გამოავლინოს მოზრდილმა ადამიანმა კონფლიქტის მშვიდობი-

ანად მოგვარებისათვის ისე, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს. შეეცადეთ, რომ თქვენი ნუსხა შეადართ სავარჯიშო 4.2-ში მოცემულ ცხრილს.

სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების 5 ძირითადი სფეროდან ყველა უნარი, ცოდნა და შეგნება გამოიყენეს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების დროს?

შეადარეთ თქვენი პასუხები ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტის სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების მეთოდის მოდელს, რომელიც მოყვანილია 76-ე გვერდზე.

თქვენი ნუსხა წარმოადგენს ზოგიერთ უნარს, ცოდნასა და შეგნებას, რომელთაც ემყარება კონფლიქტის მოგვარებისადმი არაძალადობრივი მიდგომა. ჩნდება საკვანძო კითხვა: უკეთ როგორ დავნერგოთ ისინი სკოლის გარემოში?

**სავარჯიშო 4.2: მოსწავლეები და კონფლიქტის მოგვარება**

მოიფიქრეთ და წინამდებარე ცხრილში შეიტანეთ ის გზები, რომელთა საშუალებითაც თქვენი სკოლა ეხმარება მოსწავლეებს, განივითარონ შეგნება, ცოდნა და უნარები კონფლიქტური სიტუაციების ეფექტიანი მოგვარებისათვის.

**კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება**

სფერო	აუცილებელი ცოდნა, უნარები, შეგნება კონფლიქტის ეფექტიანი მოგვარებისათვის	რა გზებით ეხმარებიან მოსწავლეებს, რომ განვითარდნენ?
თვითანალიზი		
ემპათია		
გრძნობათა მართვა		
მოტივაცია		
სოციალური უნარები		

კონფლიქტების მშვიდობიან გადაწყვეტაში ჩართული უნარები, ცოდნა და შეგნება გადმოღებულია თუ არა სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების ხუთივე სფეროდან? თუ არა, როგორ შეიძლება ამის გამოსწორება?

## კონფლიქტის მოგვარებაში გამოყენებული უნარები: ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტის მოდელი

ქვემოთ მოყვანილია უნარები, რომლებიც ისწავლება გაერთიანებული სამეფოს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების პროგრამაში:

სფერო	კონფლიქტების ეფექტიანი მოგვარებისათვის აუცილებელი ცოდნა, უნარები და შეგნება
თვითანალიზი	გრძნობების ამოცნობა და იდენტიფიკაცია; პრობლემის განსაზღვრა-გააზრება (“თავს ასე ვგრძნობ იმიტომ, რომ...”); საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებლობის აღება (კონტროლის კულმინაცია)
ემპათია	სხვა მხარეების განცდილი გრძნობების ამოცნობა და იდენტიფიკაცია; სხვა პიროვნების ჩადენილი მოქმედების მიზეზის გაგების უნარი; იმის მიხვედრის უნარი, თუ რატომ არის საჭირო, რომ მოლაპარაკების ნებისმიერი შედეგი ყველა მხარისთვის თანაბრად ხელსაყრელი და სამართლიანი იყოს.
გრძნობების მართვა	გაბრაზების დროს დამშვიდების უნარი; საკუთარი რიგის დაცდის უნარი – არავითარი შეწყვეტინება (თავის დაკმაყოფილების გადავადება)
მოტივაცია	კონფლიქტის მოგვარების სურვილი (გამართლება არ აქვს სხვა პიროვნებისათვის განწყობის გაფუჭებას); საკუთარი სურვილების ჩამოყალიბება: “რა გინდა, რომ მოხდეს?” (მიზნის დასახვა); გეგმის დასახვა, რომელსაც სხვა პიროვნებასთან ერთად განახორციელებს; გეგმის განხორციელება, სირთულეების გადალახვა და ა.შ.
სოციალური უნარები	მოსმენის კარგი უნარი; თავდაჯერებულობის უნარი საჭიროების შესაბამისად; პატივების თხოვნისა და მიღების ცოდნა.

## გარემოს მნიშვნელობა

მნიშვნელოვანი აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა იმის თაობაზე, რა არის სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევები (იმ სფეროების ჩათვლით, რომლებიც საფუძვლად უდევს კონფლიქტის დარეგულირებას): “გამოვლენა” თუ “სწავლება”? დიდი ხანია ცნობილია, რომ გარემო – გარემომცველი ფიზიკური ასპექტები, სხვა მნიშვნელოვან პირთა ქცევა, გზავნილები, რომელთაც თავად ვანვდით სხვადასხვა ფასეულობათა შესახებ - ის მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც ავითარებს სოციალურ, ემოციურ და ქცევით ჩვევებს მოსწავლეებში. აშკარაა, რომ მხოლოდ პრევენციული სასწავლო პროგრამებით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ. ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტის მიხედვით, ასეთ პროგრამებს

მხოლოდ მაშინ ექნება შედეგი, თუ შეესაბამება საერთო სიტუაციას სკოლაში და თუ სამუშაო გარემოცვა სკოლაში მხარს უჭერს ამ იდეებს... ამგვარად, ის, რაც ხდება საკლასო ოთახის გარეთ, უნდა განამტკიცებდეს იმას, რაც ხდება საკლასო ოთახის შიგნით. ეს ნიშნავს, რომ თავად მასწავლებლები უნდა აჩვენდნენ იმავე პატივისცემას, ტოლერანტობას, სიტბოსა და მხარდაჭერას, რის სწავლებასაც აპირებენ მოსწავლეთათვის.

კვლევა გვიჩვენებს, რომ გარდა ზოგადად ხელშემწყობი და პოზიტიური გარემოცვისა, უფრო და უფრო მეტი ფაქტი ადასტურებს ცხადი, აწყობილი და პროგრესული სასწავლო ელემენტების დანერგვის აუცილებლობას, რათა სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევები განვითარდეს რაც შეიძლება ეფექტიანი გზით (იხ. თავი 6).

## სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების კურიკულუმის წარმატებული სწავლებისათვის დამახასიათებელი ნიშნები

სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების სასწავლო კურიკულუმი სოციალურ, ემოციურ და ქცევით უნარებს გარდაქმნის მარტივად ჩამოყალიბებულ და, ამასთან, სპეციფიკურ საგნად, რომელსაც სესიებისათვის შესაფერისი სასწავლო მიზნები ექნება. კურიკულუმი მოსწავლეებთან არის შეთანხმებული და იმგვარად ჩამოყალიბებული, რომ მოსწავლეები მიხვდნენ, იყვნენ თუ არა წარმატებულნი. ყველაზე ეფექტიან პროგრამებში ერთვებიან მშობლებიც და გამოიკვეთება თანამშრომელთა განვითარების ზოგიერთი ფორმა.

სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების მოქმედების არეალში მოსწავლეების ცოდნისა და შეგნების სიღრმე დროისა და მიღებული გამოცდილების შესაბამისად იცვლება. გარდა ამისა, ქცევის ეფექტურობა (როგორიცაა კონფლიქტის დარეგულირება), იცვლება ასაკის შესაბამისადაც – ის, რაც მისაღებია 7 წლის ასაკში, 15 წლის ასაკისთვის შეიძლება შესაფერისი არ იყოს. ამდენად, არსებობს საგ-



ნის რეგულარულად გადახედვის აუცილებლობა. სწორედ ამის გამო, სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების ან კონფლიქტის მენეჯმენტის პროგრამები ხშირად იყენებენ სპირალური კურიკულუმის მოდელს, რომელშიც ერთსა და იმავე სფეროს რეგულარულად უბრუნდებიან, რითაც ქმნიან შესაძლებლობას, რომ ადრე დაწერგილ უნარებს დაამატონ იმავე ასაკისა ან განვითარების დონისთვის მეტად შესაფერისი სავარჯიშოები და რესურსები.

როგორი სრულყოფილიც უნდა იყოს პროგრამა ან პოზიტიური გარემოცვა, სწავლება სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების კურსებზე (მაგალითად, თემაზე: კონფლიქტისადმი მიდგომის ახალი გზები) მაინც აბსტრაქტულ დონეზე დარჩება, თუ რეგულარულად და თანმიმდევრულად არ განმტკიცდება. ახალ ცოდნას მსწრაფლ გადაფარავს "სტანდარტული", ავტომატური პასუხები, რომლებიც ინდივიდს ადრე აქვს შესწავლილი კონფლიქტის რეგულირებასთან დაკავშირებით. ჩვენი მიზანია, შევცვალოთ ამგვარი ავტომატური პასუხები და შევთავაზოთ ახალი, ცხოვრებისეული სიტუაციებიდან აღებული არჩევანი, რომელიც, საბოლოოდ, შეცვლის ადრე ნასწავლ პასუხებს, ხშირად უარყოფითი შედეგებიც რომ მოაქვს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მიზანი იმ პასუხების "აღმოფხვრა" კი არ არის, რომლებიც უკიდურესად საჭირო და გამოსადეგი აღმოჩნდება გარკვეულ სიტუაციებში, არამედ, არჩევანისა და სტრატეგიათა სფეროს გაფართოება. ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტის 2002 წლის გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ:

პროგრამები, რომელთა მიზანია ემოციური და სოციალური კომპეტენციების შექმნა, უნდა შეიცავდნენ ფართომასშტაბიან, ყოველდღიურ, რეგულარულ და წინასწარ განსაზღვრულ სამუშაოს, რათა კურიკულუმის პარალელურად განვითარონ სპეციფიკური უნარები და განამტკიცონ ისინი მოსწავლეთა რეალური ცხოვრებისეული გამოცდილებით, მთელი სკოლის მასშტაბით.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითი გვაჩვენებს, როგორ შეიქმნა საცდელი პროგრამა, რომელიც უბრუნველყოფდა "მრავალმხრივ, ყოველდღიურ და რეგულარულ" შესაძლებლობებს, სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების კურსებზე შესწავლილი მასალის სრულყოფის, გამყარებისა და პრაქტიკაში განხორციელებისათვის, აგრეთვე, სპირალური კურიკულუმის სასწავლო მიზნით გამოყენებისათვის.

## საცდელი პროგრამის მეთოდის მნიშვნელოვანი ასპექტები

მეთოდი გთავაზობს განსაკუთრებულ აქტივობებს მოსწავლეებში სპეციალურ გაკვეთილებზე სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების განვითარებისათვის, ამასთან, უამრავ შესაძლებლობას კურიკულუმის სხვადასხვა სფეროში, რათა უფრო განამტკიცოს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების კურიკულუმის შესწავლა

და ხელი შეუწყოს სწავლების განზოგადებას. მაგალითად, როდესაც სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების თემაა "არაკომფორტული გრძნობების მართვა", მასწავლებლებს მოეთხოვებათ ყურადღების გამახვილება ამ საკითხის სხვადასხვა ასპექტზე, სხვადასხვა საგნის გაკვეთილებზე. საგანგებო ყურადღება, შესაძლოა, დაეთმოს შემდეგ საკითხებს:

- როგორ უმკლავდებიან მოსწავლეები იმედის გაცრუებას, როდესაც ცუდი მოსწრება აქვთ პროექტირებასა და ტექნოლოგიურ საგნებში?
- როგორ ხვდებიან ნაწარმოებების მთავარი გმირები წინააღმდეგობას და სირთულეებს, როგორ მართავენ თავიანთ გრძნობებს და რა სიტყვებით გამოხატავენ ამას ინგლისურ ენაზე?
- რას გრძნობენ მოსწავლეები, როდესაც ჰგონიათ, რომ უნდა გაემარჯვებინათ, ან უკეთ ეთამაშებინათ – როგორ აგვარებენ უთანხმოებას და კონფლიქტებს სპორტში?
- როგორ მოხდა ზედმეტ დროსთან დაკავშირებული კონფლიქტის დარეგულირება ისტორიის კლასში?

მონოდებული გაკვეთილების მოდელთა გეგმები უნდა შეესაბამებოდეს თემებს.

სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების კურსებზე შესწავლილი მასალის განმტკიცებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელ სკოლაში თანმიმდევრულობის, საერთო პრაქტიკისა და საერთო ენის არსებობას. მაგალითად, თუ საცდელი პროგრამის მეთოდი სთავაზობს აკროსტიხს, რათა მოსწავლეებმა უკეთ დაიმახსოვრონ კონფლიქტის წარმატებით მოგვარებისათვის აუცილებელი ელემენტები, სასურველია, რომ სკოლაში მომუშავე ყველა ზრდასრულმა ადამიანმა (მასწავლებლებმა, მასწავლებელთა ასისტენტებმა, სადილის შესვენების ზედამხედველებმა, მომსახურე პერსონალმა და ა.შ.) შეისწავლოს და გამოიყენოს იგი.

სკოლისათვის გათვალისწინებულია ბევრი სხვა მეთოდიც. "კონფლიქტის დარეგულირების" აკროსტიხის გარდა, ესენია:

- პრობლემების გადაწყვეტის შემოთავაზებული ერთგვარი წესები;
- შემოთავაზებული წესები მოსწავლეების დასახმარებლად საკუთარ და სხვათა გრძნობების იდენტიფიკაციის, მარკირებისა და გაგებისათვის (პოსტერების, თამაშების, ფოტოების, მოთხრობებისა და ა.შ. ჩათვლით);
- "პრობლემების მოგვარების" სტრატეგია;
- იდეები "დამშვიდებისათვის".

ჩარევა ყველაზე წარმატებულია მაშინ, როდესაც მასწავლებლები და მშობლები/მეურვეები ერთ გუნდად მუშაობენ და მოსწავლეებს თანმიმდევრულ მითითებებს აძლევენ. საცდელი პროგრამის მეთოდი

მოსწავლეებს სთავაზობს მასალებსა და სასწავლო საშუალებებს, რომელთა შინ, მშობლებთან წაღებაც შეიძლება. აგრეთვე, უზრუნველყოფს მათ წერილებითა და საინფორმაციო ფურცლებით, რომლებიც ეხმარება სკოლას მშობლებისათვის ინფორმაციის მიწოდებაში, საქმის კურსში რომ ამყოფონ ისინი. სკოლებს ევალებათ, მოაწიონ რეგულარული შეხვედრები მშობლებთან და მაქსიმალურად ჩართონ ისინი მუშაობაში.

მოსწავლეებისათვის აუცილებელია, ჰქონდეთ ახალი უნარების პრაქტიკაში “უსაფრთხო” გამოყენების საშუალება. ჩვენ არ ვგზავნი ახალბედა მძღოლებს გადატვირთულ ტრასებზე მანქანის მართვაში სავარჯიშოდ. როცა მრისხანების მართვას ან ერთი პრობლემის მეორისგან განსხვავებას სწავლობენ, მოსწავლეებს სჭირდებათ გამბხევა, აღიარება, მხარდაჭერა და იქნებ კარნახი ან შეხსენებაც კი.

მეთოდი მოზრდილებს მოუწოდებს, ყურადღებით მოეკიდნონ SEBS-ის განმტკიცებისა და განვითარების ყოველდღიურ შესაძლებლობებს – მაგალითად, თანატოლების წაკინკლავება სასადილო დარბაზში გამოიყენონ იმისათვის, რომ “გამოსცადონ” კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით შესწავლილი მასალა. ეს განამტკიცებს ნდობას უსაფრთხო გარემოსადმი, სადაც მასწავლებელი “მსაჯის” როლში გვევლინება. იმისათვის, რომ ეს როლი შეასრულონ, მოზრდილებს თავადაც სჭირდებათ შესაძლებლობა, გამოცდილების, ცოდნისა და თავდაჯერებულობის გამოსავლენად.

საცდელი პროგრამის მეთოდში გამოყენებული სტრუქტურა არის სპირალური კურიკულუმის მოდელი. მეთოდი იყოფა შვიდ “თემად”, რომელთაგან თითოეული ორ თვეს გრძელდება და იწყება და მთავრდება საყოველთაო-სასკოლო კრებით. ეს “თემებია”:

- ახალი წამოწყებანი
- წარმატება და ამოვარდნა
- მიზნის მიდევნება
- კარგი განწყობილება
- არაკომფორტული გრძნობები
- ცვლილება
- დაშინება

ხუთივე ძირითადი სფერო (თვითანალიზი, ემპათია, გრძნობათა მართვა, მოტივაცია, სოციალური უნარები) მუშავდება ეტაპობრივად მთელი კურსის მანძილზე, ერთი წლის განმავლობაში. თითოეული ეტაპი მოიცავს მოქნილ იდეებს გაკვეთილებისათვის და მეთოდებს (ისევე, როგორც თანმიმდევრულ მუშაობას საკლასო ოთახებში), აგრეთვე, თვალსაჩინო ბმულებსა და აზრებს იმ თემასთან დაკავშირებით, რომელსაც კურიკულუმი ითვალისწინებს. ამგვარი მიდგომის მიზანია ის, რომ განსხვავებულმა ასაკობრივმა ჯგუფებმა იმუშაონ საერთო თემის სხვადასხვა ასპექტზე და საბოლოო კრებაზე წარმოად-

გინონ თავისი მიღწევები და ერთად გააშუქონ სწავლის შედეგები. ამგვარად, მოსწავლე, რომელიც 3 წლის ასაკში შედის სკოლაში და 11 წლის ასაკში ტოვებს მას, თითოეულ თემას შვიდჯერ “უბრუნდება”.

## **უწყვეტი უბრუნველყოფა ყველა მოსწავლის საჭიროების დასაკმაყოფილებლად**

სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების საყოველთაო სწავლების აზრი ის არის, რომ ყოველ ჩვენგანს ისევე სჭირდება დახმარება საკუთარი უნარების გაუმჯობესებაში ემოციური განათლების კუთხით, როგორც სხვა აკადემიურ სფეროებში. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ყოველთვის იარსებებენ მოსწავლეები, რომელთათვის ეს ძალისხმევა საკმარისი არ იქნება. ბავშვები, რომელთაც არ აქვთ შესაბამისი გამოცდილება, ან რომელთა ემოციური განვითარება რაიმე მიზეზის გამო დაბრკოლდა, ალბათ, მეტ ყურადღებას და მუდმივ მხარდაჭერას საჭიროებენ სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების თვალსაზრისით.

ამან, შეიძლება, სხვადასხვა ფორმა მიიღოს, კერძოდ, შეიქმნას დამატებითი ან დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობა, რათა იფიქრონ, გააანალიზონ და განივითარონ შეგნება, გამოავლინონ უნარები, მაგალითად, მრისხანების მართვის ან თავდაჯერებულობის გამტკიცების. ხშირად, ამან შეიძლება პატარა ჯგუფებთან მუშაობის ფორმაც მიიღოს.

ახალგაზრდებს დამატებითი დახმარება სჭირდებათ მაშინ, როცა ცდილობენ, თავად მოერიონ იმას, რაც აუცხოებს მათ თანატოლები-სა ან მოზრდილებისაგან. ეს დახმარება შეიძლება იყოს პიროვნული, ხშირად კი მულტი-პროფესიული. ყველაზე მგრძობიარე მოსწავლეებისთვის, ერთგვარად, პროგრესის წინაპირობაა სტაბილური ურთიერთობა მოზრდილ ადამიანთან, რომელიც მათთვის მნიშვნელოვანია. იდეალურ შემთხვევაში, ეს არის პირი, რომელსაც მოსწავლე თავად ირჩევს, თუ ეს შესაძლებელია და რომელიც რეალურ ინტერესს ამჟღავნებს ასეთი მოსწავლისა თუ მისი წარმატების მიმართ. მოსალოდნელია, რომ მოსწავლე მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევს, თუ არსებობს ასეთი პიროვნება და განსაკუთრებული დახმარების გეგმაც, რომელიც მის საჭიროებებს და სწავლების სტილს შეესაბამება.


პასუხი კითხვაზე – უკეთ როგორ შევუწყობთ ხელს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების დამკვიდრებას სკოლებში, სამ ფაქტორს გამოყოფს:

- გარემო პირობები, რომელშიც შესაძლებელი იქნება სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების გამოვლენა, რის სტიმულირებასაც ვესწრაფით;

- სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების სასწავლო კურიკულუმი, ზემოთ აღწერილი დამახასიათებელი ნიშნებით;
- უწყვეტი უზრუნველყოფა, რომელზეც ყველა მოსწავლეს აქვს უფლება და რომელიც მათ სთავაზობს დიფერენცირებულ დახმარებას საჭიროების შესაბამისად.

მოდელს, რომელსაც, ჩვეულებრივ, საცდელი პროგრამა იყენებს სკოლაში ან რაიონში არსებული აკადემიური საშუალებების სქემატური აღრიცხვისათვის, “ტალლოვანი სამკუთხედი” ეწოდება. სკოლებში სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის არსებული საშუალებები მარტივად გამოისახება სქემის სახით აღნიშნული სამკუთხედის მეშვეობით.

### მოსწავლეებში სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის არსებული საშუალებების “ტალლოვანი” მოდელი



პირველადი და საშუალო  
ნაციონალური სტრატეგია

DfES: ქცევისა და დანარების გაუმჯობესება

ტალლა 1 მხარდაჭერა გულისხმობს ნებისმიერი სახის ჩარევას, რომელსაც სარგებლობა მოაქვს მოსწავლისათვის. ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს მთლიანად სკოლის პერსონალის ტრენინგი

სამუშაო ადგილიდან მოუწყვეტლად ქცევის მენეჯმენტში ან ურთიერთობების ფორმირებაში; პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმების ან სკოლის საერთო პოლიტიკის განვითარება. SEBS-ის სრული კურიკულუმი აქ ძალზე გამოსადეგი იქნება, როგორც უნივერსალური საშუალება.

ტალა 2 მხარდაჭერა გულისხმობს ნებისმიერი სახის ჩარევას, რომელიც მხოლოდ ზოგიერთ მოსწავლეს სჭირდება. იგი შეიძლება ითვალისწინებდეს მოსწავლეთა მცირე ჯგუფების მხარდაჭერას, რომელთაც სჭირდებათ სოციალური, მრისხანების მართვის ან თანატოლებთან ურთიერთობის უნარების განვითარება.


ტალა 3 მხარდაჭერა გულისხმობს ყველაზე მგრძობიარე ინდივიდების ერთიერთზე ან ინტენსიურ მხარდაჭერას. ხშირად ასეთ მოსწავლეებს აქვთ ისეთი სერიოზული, ხანგრძლივი და მრავალფეროვანი პრობლემები, რომლებიც მოითხოვენ სპეციალისტების მრავალპროფილიანი გუნდის დახმარებას და ა.შ.

უეჭველია, რომ ამჟამადაც ბევრი რამ კეთდება სკოლებში მოსწავლეთა სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების განვითარების მხარდასაჭერად. ინგლისში არსებული ნაციონალური კურიკულუმი უკვე შეიცავს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების ელემენტებს, მაგალითად, საერო და რელიგიური განათლება, აგრეთვე, რეგულარული სასკოლო კრებები. ბევრმა სკოლამ უკვე დანერგა მთელი რიგი სიახლეები (მაგალითად, სასკოლო საბჭოები და თანატოლთა შუამდგომლობა), რაც ეხმარება მოსწავლეებს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების განვითარებაში. სხვები მიმართავენ წრიულ მეცადინეობებს და მეთოდებს, როგორცაა ფილოსოფია ბავშვებისათვის, რომელიც განავითარებს მოსწავლეთა შესაძლებლობას, გაიაზრონ სხვისი შეხედულებები და გააანალიზონ საკუთარი გრძნობები და ქცევა.

საცდელმა კვლევამ აჩვენა, რომ რესურსმა მრავალ სკოლას შესთავაზა ერთგვარი ჩარჩო, რომელმაც აღნიშნული ელემენტები გაამთლიანა სკოლის ძირითად კონცეფციებსა და ღირებულებებთან, სასწავლო მიზნებს, საერთო ენასა და ყველასათვის მისაღებ გაგებას რომ უკავშირდება.

**სავარჯიშო 4.3: არსებული მდგომარეობის უფრო ღრმა ანალიზი**

სავარჯიშო 4.2-ში მოცემულ თვალსაზრისებზე დაყრდნობით, ტალღოვანი მოდელის გამოყენება სხვაგვარადაც შეიძლება. კერძოდ, აღნიშნულის გარდა, შეიძლება გამოიხატოს ის, რასაც უკვე აკეთებს სკოლა სოციალურ, ემოციურ და ქცევითი ჩვევებს განვითარებისთვის თითოეულ ტალღაზე.



პირველადი და საშუალო  
ნაციონალური სტრატეგია

ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტის:  
ქცვისა და დასწრების გაუმჯობესება

შეგიძლიათ გაითვალისწინოთ შემდეგი დამატებითი საკითხები:

- რამდენად შეესაბამება სკოლის იდეალები და გარემო სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების მიზნებს, რომელთაც ვესწრაფით მოსწავლეთა საკეთილდღეოდ?
- რა ძირითადი ცოდნა, უნარები და შეგნება განუვითარდებათ მოსწავლეებს ამგვარი მუშაობით?
- რამდენად ეფექტიანია ამგვარი ჩარევა განვითარების სასურველი გზით წარმართვისათვის?
- რამდენად შესაფერისია სწავლების გამოყენებული მეთოდები მოსწავლეთა სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების განვითარებისთვის?
- როგორ უნდა შეფასდეს პროგრესი?
- რას ვაკეთებთ ნამდვილად კარგად?
- სად გვაქვს ხარვეზები?
- რა შეიძლება გავაკეთოთ განსხვავებულად?

## მზადება განხორციელებისათვის

საცდელმა პროგრამამ მოამზადა ნიადაგი იმისათვის, რომ წარმატებული ყოფილიყო სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების ინიციატივა. არსებობს ორი მთავარი ამოცანა, რომლებიც აუცილებლად უნდა შესრულდეს: პირველი - სკოლის საზოგადოების მოტივაცია და თანხმობის მიღება და მეორე - მოზრდილთათვის დამხმარე მექანიზმების მომზადება და ამოქმედება.

### სკოლის საზოგადოების მოტივაცია და თანხმობის მიღება

მოსალოდნელია, რომ თავს იჩენს გარკვეული ფაქტორები, რომლებიც ჩააქრობს თავდაპირველ ენთუზიაზმს, შემოთავაზებულ ცვლილებებს რომ ახლავს, საბოლოოდ კი, აქრობს დაინტერესებულ მხარეთა მოტივაციას, მხარი დაუჭირონ სიახლეს (როგორც ეს ხდება ხოლმე ახალი ინიციატივების შემთხვევაში). გამოცდილებამ უჩვენა, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების არსებობისას, იზრდება წარმატების მიღწევის შანსები:

- უფროსი ლიდერები კომპლექსურად და ვალდებულების გრძნობით ეკიდებიან პრინციპებს და გათვითცნობიერებული აქვთ, რომ მათი წარმატებული განხორციელებისათვის საჭიროა მხარდაჭერა;
- სარგებელისა და წარმატების კრიტერიუმები ნათელია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ეს არ გულისხმობს მხოლოდ “მოძალადე და წესრიგის დამრღვევი” უმცირესობის საჭიროებათა დაკმაყოფილებას. კონვივენსიის სარგებლობა მოაქვს ყველასათვის. დაინტერესებულ მხარეთაგან “მონაწილეობის შესყიდვა” ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მას მოჰყვება სარგებლობის “მიყიდვა” სკოლის პერსონალის, მშობლების, მოსწავლეებისა და საზოგადოებისათვის.
- სკოლის კრიტიკულად განწყობილი პერსონალი იზიარებს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების განვითარების მნიშვნელობას (შესაძლოა, თავიდანვე არ მიიღონ და საჭირო გახდეს მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება).
- მშობლები, მმართველები და ძირითადი დაინტერესებული მხარეები ადრეულ ეტაპზევე უნდა გაეცნონ ინიციატივას, იცოდნენ პოტენციური ხარჯებისა და სარგებელის შესახებ;
- მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რას და რისთვის აკეთებენ. მათ უნდა ჰქონდეთ ხმის უფლება დაგეგმვისა და შეფასების პროცესში (მაგალითად, ჩაერთონ იმ კრიტერიუმების განსაზღვრის პროცესში, რომელიც წარმატებას აჩვენებს).

ინიციატივის წარმატების სანინდარი ხშირად (ზემოაღნიშნულის გარდა) არის “დროის სწორად შერჩევა”. რა წარმატებასაც უნდა გპირდებოდნენ, პროგრამა განწირული იქნება, თუკი უბრალოდ, არასწორ



დროს დაიგეგმება. შემდეგი სავარჯიშო მკითხველს სთავაზობს შესაძლებლობას, გაითვალისწინოს ეს მნიშვნელოვანი საკითხი, ძალიან მარტივი მეთოდის გამოყენებით, რომელიც 1991 წელს ფულანმა შემოგვთავაზა. ამ ავტორის აზრით, ყოველთვის, როცა ვგეგმავთ რაიმე სახის ცვლილებას ან ჩარევას, გასათვალისწინებელია სამი ფაქტორი: შესაბამისობა, მზადყოფნა და რესურსი.

### **სავარჯიშო 4.4: შესაბამისობა, მზადყოფნა და რესურსი**

თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ, მზად არის თუ არა თქვენი სკოლა სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების კურიკულუმის ინიციატივის განსახორციელებლად მისი შესაბამისობის, მზადყოფნისა და რესურსების თვალსაზრისით. შეგიძლიათ დაიყოთ წყვილებად ან მცირე ჯგუფებად და იმსჯელოთ ქვემოთ დასმულ კითხვებზე, შემდეგ კი ერთ ჯგუფად გაერთიანდეთ შემდგომი საფეხურების ასარჩევად.

#### **შესაბამისობა**

რამდენად შეესაბამება სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების კურიკულუმის ინიციატივა ჩვენს საჭიროებებს? რისი მიღწევა გვსურს?

#### **მზადყოფნა**

რამდენად მზად ვართ ამ საქმის დასაწყებად? რა უნდა მოხდეს, რომ ჩვენი წარმატება უზრუნველყოს? შესაძლებელი იქნებოდა თუ არა სხვა დროს რამის შეცვლა?

#### **რესურსი**

რა რესურსები გვაქვს დროის, პერსონალისა და ფინანსების თვალსაზრისით, რათა დავინყოთ, განვახორციელოთ, ვაკონტროლოთ და შევაფასოთ ამგვარი ინიციატივა?

#### **სკოლაში მომუშავე მოზრდილების მომზადება და დახმარება**

იმის გამო, რომ სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების განვითარებაზე ზემოქმედება ექნება სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტს, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სასკოლო პერსონალს (სადილის შესვენების ზედამხედველების, მეურვეების, სამდივნო და ადმინისტრაციული პერსონალის ჩათვლით) ხელი მიუწვდებოდეს სათანადო ინფორმაციასა და განვითარების შესაძლებლობებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს მხარდაჭერისა და მომზადების საშუალებები მოზრდილთათვის, რომელთაც სხვადასხვა როლი აკისრიათ სკოლაში. აუცილებელია, რომ პერსონალი:

- იცნობდეს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების კურიკულუმის ფილოსოფიას თუ სტრუქტურას და პირადად მის როლს ამის მიწოდებაში;

- იცნობდეს პროგრამის ყველა საერთო-სასკოლო ელემენტს – როგორცაა, მაგალითად, კონფლიქტის მოგვარების ერთგვარი წესები;
- იცოდეს (და დამუშავებულიც ჰქონდეს) ის საკვანძო საკითხები, რომლებსაც თითოეული თემა შეისწავლის მოსწავლეებთან ერთად, ამასთან, როგორ შეძლებს თითოეული პირი სკოლაში მათ განმტკიცებას. მაგალითად, მოსწავლეთა “გამოჭერთ” სიკეთის ჩადენის/სიბრაზის დაოკების მომენტში და ა.შ. (NB: “გამოჭერთა” ერთ-ერთი ხერხია, მოსწავლეთათვის დამსახურებისამებრ მისაგებად);
- ჰქონდეს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების და კონფლიქტების გადაჭრის საკუთარი უნარების, ცოდნისა და გაგების განვითარების შესაძლებლობა, როგორც აფექტურ, ასევე შემეცნებით დონეზე.

გარდა ამისა, უნდა დაინერგოს ისეთი სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის რეგულარულად გაცემის, მიღების, დისკუსიების წარმოების, გადანყვეტილებების მიღებისა და შეფასების შესაძლებლობათა არსებობას და ეფექტიან მოქმედებას, აგრეთვე, მათი სკოლაში გატარების თანმიმდევრულობას.

მთელ რიგ მიზეზთა გამო, ტრენინგისა და განვითარების შესაძლებლობები, რომელთა განსაკუთრებული მიზანია, დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს მოსწავლეთა სოციალურ, ემოციურ და ქცევითი ჩვევებს განვითარებაში, უნდა განსხვავდებოდნენ იმ შესაძლებლობათაგან, რომლებიც ეხმარებიან მოზრდილებს მოსწავლეთათვის აკადემიური საგნების – მაგალითად, წერა-კითხვისა და მათემატიკის სწავლებაში. უმთავრესი განსხვავებანი და მათთან ბრძოლის გზები, რომლებიც გამოიყენებოდა საცდელ პროგრამაში, ჩამოყალიბებულია დოკუმენტში: “მასწავლებელთა დახმარება სოციალურ, ემოციურ და ქცევითი ჩვევებს კურიკულუმის განხორციელებაში: განათლებისა და უნარების დეპარტამენტის ექსპერიმენტი” (იხ. აგრეთვე, თავი 6);

**სავარჯიშო 4.5: რას ვფიქრობთ ჩვენს შესაძლებლობებზე სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების კურიკულუმის მიწოდებასთან დაკავშირებით?**

იმის გამოსაკვლევადა, თუ როგორია პერსონალის მოტივაციის, თავდაჯერებულობისა და აღქმის ამჟამინდელი დონე, სოციალურ, ემოციურ და ქცევითი ჩვევებს კურიკულუმის მიწოდების თვალსაზრისით, სთხოვეთ მათ, ინდივიდუალურად შეავსონ ქვემოთ მოცემული კითხვარი. იმისათვის, რომ საკითხზე საერთო წარმოდგენა შეგვექმნას, წყვილებსა და ჯგუფებს შეუძლიათ შემდგომ შეაჯერონ თავიანთი

პასუხები ან შეავსონ კითხვარები ანონიმურად და ამის შემდეგ ჩააბარონ გასაანალიზებლად.

მოათავსეთ თქვენი სკოლა ქვემოთ მოცემული სკალის რომელიმე პუნქტზე, რომელთაგან 1 აღნიშნავს ცუდ შედეგს, 10 კი - საუკეთესოს.

**კითხვარი**

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ურთიერთობების ხარისხს სკოლის შიგნით – ბავშვებს შორის, ბავშვებსა და მოზრდილებს შორის, მოზრდილებსა და მოზრდილებს შორის. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

კარგად ვმუშაობთ ერთად, როგორც გუნდი, გვაქვს მძიმე დღეებიც, მაგრამ საერთო განწყობილება, ძირითადად, კარგია. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

პერსონალი ერთად მუშაობს დაგეგმვაზე და ეხმარება ერთმანეთს რთული პრობლემების გადაწყვეტაში. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

თვალყურს ვადევნებთ პერსონალის კეთილდღეობას, ყურადღებას ვაქცევთ სამუშაო გარემოს და დახმარებას ვუნვეთ ერთმანეთს სტრესის დაძლევისა და მართვაში. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

უზრუნველვყოფთ, რომ სკოლაში იყოს კეთილგანწყობილი გარემო და ხელს ვუწყობთ ბავშვებისა და მოზრდილების კეთილდღეობას – ყურადღებას ვაქცევთ ისეთ დეტალებს, როგორცაა კომფორტული სამუშაო ადგილები, სივრცე, რომელსაც ბავშვები თავისად თვლიან და სადაც პირადი ნივთების შენახვა შეუძლიათ, წყლის შადრევნები, სუფთა და სასიამოვნო ტუალეტები, მრავალფეროვანი სათამაშო მოედნები. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

ბავშვებს ხშირად ვთხოვთ, გამოთქვან საკუთარი აზრი სკოლისა და სწავლების შესაძლებლობათა შესახებ, რომელსაც ის სთავაზობს. მათი აზრები, თუნდაც გამომწვევი, სერიოზულად მიიღება. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

პერსონალი აცნობიერებს, რა დიდ გავლენას ახდენს ბავშვებზე მათი ქცევა, ფესტიკულაცია და პასუხები. ისინი თავად ხდებიან იმგვარი ქცევის მოდელი, რასაც ქადაგებენ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

პერსონალი ცდილობს, ურთიერთობებში ყოველთვის შეინარჩუნოს პატივისცემა, მაშინაც კი, როცა საპასუხოდ ცუდ ქცევას იღებს. ისინი კიცხავენ ცუდ საქციელს, მაგრამ არა ბავშვს. ცუდ საქციელს განიხილავენ მოგვიანებით, როცა ემოციური დაძაბულობა განელდება. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

გვაქვს მრავალი სახის სტრატეგია, რათა ხელი შევუწყოთ ბავშვების კეთილდღეობას. მაგალითად, სასკოლო წრეები, თანატოლების შუამავლობისა და დამეგობრების სქემები, ყველა ბავშვს აქვს შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, პირისპირ ესაუბროს მოზრდილს. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

## პროგრამის მიწოდება

სოციალურ, ემოციურ და ქცევითი ჩვევების სასწავლო კურიკულუმმა ნათელი და გასაგები უნდა გახადოს სოციალურ, ემოციურ და ქცევითი ჩვევებს არსი. სასწავლო მიზნები ცხადი უნდა იყოს როგორც მოზრდილების, ისე მოსწავლეთათვის; ამ საკითხებზე, აგრეთვე, წარმატების კრიტერიუმებზე უნდა ჩატარდეს დისკუსიები მოსწავლეებთან.

იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა მოსწავლე, სწავლების სხვადასხვა სტილითა და განსხვავებული პირადი, კულტურული თუ გამოცდილების ისტორიით, ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს მუშაობაში, უნდა გამოვიყენოთ მთელი რიგი სასწავლო სტრატეგიებისა, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც მონაწილეობასა და გამოცდილებას მოითხოვს. სოციალურ, ემოციურ და ქცევითი ჩვევების მიწოდების ძლიერი საშუალებებია მოთხრობები, როლების შესრულება, ექსპრესიული ხელოვნება, რადგან ნაკლებად “საშიშია” მოსწავლეთათვის, რომელთაც უჭირთ პირად გამოცდილებაზე საუბარი. თუმცა, მოსწავლეებს ხშირად უჩნდებათ სურვილი, დაუკავშირონ საკლასო ოთახში ჩატარებული გაკვეთილები თავიანთ ახალ, კონკრეტულ გამოცდილებას – მაგალითად, სათამაშო მოედანზე მომხდარ შემთხვევას, ან კამათს კლასში - რაც ძალიან მნიშვნელოვანია სწავლების განზოგადებისათვის.

სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების გაკვეთილების სტრუქტურა (ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტის მეთოდი) ასეთია:

- გაკვეთილი მთელი კლასის, ჯგუფის, წყვილის და ინდივიდუალური მუშაობის ნაზავია;
- ხშირად გაკვეთილის დასაწყისში მიმართავენ “მოთელვას”, რათა შექმნან ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეები თავს თავისუფლად იგრძნობენ თავიანთი გრძნობებისა და გამოცდილების გასაზიარებლად. ამისათვის განსაკუთრებით გამოსადეგია წრეებში თამაშები და აქტივობა. გაერთიანებულ სამეფოში არის ბევრი პუბლიკაცია წრეებში თამაშების შესახებ, რომლებიც გვთავაზობს იდეებს ამგვარი აქტივობებისათვის.
- ძირითად თემაზე მოსწავლეთა აზროვნების კონცენტრაციისათვის, ჩვეულებრივ, მიმართავენ სტიმულირებას, ზოგჯერ სიტყვიერი ფორმით – მოთხრობის სახით, ზოგჯერ ვიზუალური ფორმით, ზოგჯერ კი კინესთეტიკურად.
- გაკვეთილის შემდეგ, ჩვეულებრივ, პლენარული სხდომა იმართება, რომელზეც გამოიყოფა სწავლის ძირითადი საკითხები, მონმდება აღქმა და ისმის კითხვა: მიღწეულია თუ არა სწავლის მიზანი?
- ბევრი გაკვეთილი მთავრდება მოსწავლეთა გამოკითხვით. მათ თხოვენ, წარმოადგინონ პირადი განცხადება იმის შესახებ, თუ რა

დადებითი ქმედების ჩადენას აპირებენ / შეუძლიათ მიღებული სწავლის შედეგად.

- ამ სამუშაოსთვის მოსწავლეებს განმტკიცებული უნდა ჰქონდეთ ძირითადი ნესები და სასურველია, რომ მათ იმეორებდნენ გაკვეთილთა უმეტესობაზე.

ალბათ, სასურველი იქნება, მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლეთა განსხვავებული მოტივაცია და კომფორტის დონე, რაც კულტურასა და სქესთა შორის სხვაობას ემყარება, ასევე რესურსში წარმოდგენილი აქტივობები. ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს კულტურული თავისებურებებიდან და განმტკიცების ფორმებიდან გამომდინარე. მაგალითად, ზოგიერთ კულტურაში ცუდ ტონად ითვლება თვალის გასწორება ახალგაზრდა ადამიანსა და საზოგადოების უფროს წევრს შორის. კონფლიქტის გადაწყვეტის სათანადო მოდელებზე მსჯელობისას, მასწავლებლები მეტი გაგებით უნდა მოეკიდნონ ამგვარ საკითხებს. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ აბსოლუტურად უსაფრთხო და ბუნებრივია (მეტიც, ღირებული), თქვან: “სახლში ჩვენ ვაკეთებთ/ვაკეთებდით ასე”, ან “ასე რომ მოვქცეულიყავი, ჩემი მშობლები იფიქრებდნენ, რომ...” ჯანსაღ საზოგადოებაში, სადაც აფასებენ და მიესალმებიან კულტურულ მრავალფეროვნებას, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა გამოარჩიონ განსხვავებანი და შექმნან ინტერესისა და პატივისცემის ატმოსფერო. მნიშვნელოვანია, რომ ნასწავლი მასალა არ “მიეზას” კონკრეტულ სიტუაციებს, არამედ განზოგადდეს სხვადასხვა კონტექსტში. დიდი ფასი არ ექნება სწავლას, თუ სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევებზე საგანგებო ყურადღება შემოიფარგლება სკოლის მხოლოდ ერთი შემთხვევითი კრებით და მომდევნო თითო-ოროლა გაკვეთილით. უკვე ამკარაა, რომ მოსწავლეებს სჭირდებათ ახლად შეძენილი უნარების პრაქტიკული გამოყენება, უპირველეს ყოვლისა, უსაფრთხო გარემოში - მასწავლებელთა ან მოზრდილთა მეთვალყურეობის ქვეშ, შემდეგ კი, თანდათანობით, შესაძლებელია დამოუკიდებელ მოქმედებაზე გადასვლა.

## **განზოგადების მხარდაჭერა - ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტის მეთოდი**

ზოგიერთი იდეა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს, განვამტკიცოთ სწავლება, მივცეთ მათ დრო, გაიაზრონ და განაზოგადონ მიღებული ცოდნა და მიუსადაგონ ცხოვრებისეულ სიტუაციებსა და კონტექსტს:

- იზრუნეთ, რომ სკოლის ყველა თანამშრომელმა, რაც შეიძლება ხშირად, მიმართოს დამშვიდებასთან ან პრობლემის გადანყვეტასთან დაკავშირებულ რომელიმე ნესს, ნაახალისოს ამგვარი სტრატეგიების გამოყენება და, საჭიროების შემთხვევაში, ქებაც არ დაიშუროს;

- როგორც მოზრდილებმა, ჩამოაყალიბეთ სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევები უნარები და დამშვიდების/ პრობლემათა გადაწყვეტის სტრატეგიები და ა.შ. მოდელირებისათვის განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება პროცესის ხმამაღლა გადმოცემა.
- მუდმივად მიაქციეთ ყურადღება მოსწავლეთა მხრიდან სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების გამოყენების შემთხვევებს, ნებისმიერ ადგილას (მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად);
- გამოიყენეთ შესწავლილი ძირითადი სტრატეგიები და პროტოკოლები, რათა დაეხმაროთ მოსწავლეებს მთელი დღის განმავლობაში, “ნამდვილ” ინციდენტებთან პირისპირ შეხვედრისას საკლასო ოთახში ან სათამაშო მოედანზე;
- სკოლაში ყველგან გააკარით კითხვები, რომლებიც დაისვა კრებაზე ისე, რომ მოსწავლეებს, მშობლებსა და თანამშრომლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიანერონ თავიანთ აზრები;
- დანიშნეთ საყოველთაო - სასკოლო ღონისძიება გარკვეული პერიოდისთვის, რომელზეც სკოლის ყველა წევრი, მოზრდილებიც და ბავშვებიც, გაფაციცებით დააკვირდებიან ერთსა და იმავე ქცევას (როგორიცაა დამშვიდების მეთოდების გამოყენება, ასევე პრობლემის გადაწყვეტა ყვირილის გარეშე);
- მოაწყვეთ საერთო-სასკოლო დაჯილდოების ცერემონია სკოლის მისაღებში, სასადილო დარბაზში და ა.შ.
- სთხოვეთ მოზრდილებს, რომ დღის განმავლობაში შეახსენონ მოსწავლეებს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების შესახებ, ხოლო მოსწავლეებმა გააშუქონ, როგორი წარმატებით იმუშავეს და ითამაშეს ერთად.

## ძირითადი საკითხები

უეჭველია, რომ ხელსაყრელ გარემოში გამოყენებისას, კურიკულუმზე დამყარებული სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების პროგრამები, რომლებიც გამოირჩევა ამ თავში აღწერილი მახასიათებლებით, იქნება ეს ფართო, თუ ვიწრო გაგებით (მაგალითად, ზოგადად სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების განვითარება ან მხოლოდ ცალკეული საკითხის, ვთქვათ, პრობლემის გადაწყვეტის მოგვარება), ახალგაზრდების წინაშე სულ სხვაგვარად წარმოაჩენს ძალადობისა და აგრესიის გამოყენებას. თუ მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს კონფლიქტის მართვის საშუალებებით აღვჭურვავთ და მეთოდოლოგიურად განვუვითარებთ სოციალურ, ემოციურ და ქცევით უნარებს, ასევე მივანვძიებთ ცოდნასა და შეგნებას, აღნიშნული უნარები რომ ეფუძნება, ამით შევთავაზებთ ძალადობისა და აგრესიის ალტერნატიულ გზას საკუთარი მიზნების მისაღწევად.

ამ თავში გაზიარებულია ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტის სწავლების გამოცდილება. საგანგებო ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტორებზე, რომლებიც, კვლევებისა და გამოცდილების შედეგებით, გავლენას ახდენს პროგრამის ეფექტიანობაზე. ეს ფაქტორებია:

- იმ ღონისძიებათა სქემატური გამოსახვის აუცილებლობა, რომლებიც უკვე ხორციელდება სკოლაში სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების მხარდასაჭერად;
- შესაბამისობის, მზადყოფნისა და რესურსების არსებობის გათვალისწინების აუცილებლობა;
- პერსონალის მომზადებისა და მხარდაჭერისათვის საჭირო საშუალებათა უზრუნველყოფის აუცილებლობა;
- მშობელთა ჩართვა;
- საერთო ენა და მოქმედება მოზრდილებს შორის;
- სწავლის განმტკიცების ხელშეწყობა კურიკულუმის ყველა სფეროში;
- სპირალური კურიკულუმის გამოყენება განვლილი მასალის გამეორებისა და პროგრესისათვის;
- ცოდნის მიღების ნათლად ჩამოყალიბებული მიზნის არსებობის აუცილებლობა;
- მასალის გადაცემა – სწავლებისა და შესწავლის გამოყენებული სტრუქტურა და სტილი;
- კულტურათა და სქესთა შორის სხვაობაზე დამყარებული პრობლემების გათვალისწინება და სწავლების განზოგადების გზები.

ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტის საცდელი მეთოდი წინამდებარე თავში წარმოდგენილია, როგორც საილუსტრაციო მაგალითი, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი არსებული პროგრამა – ამ სახელმძღვანელოს ბიბლიოგრაფიაში მითითებულია ინფორმაციის სხვა წყაროები და პროგრამები. ამ თავის მიზანი იყო, მოემზადებინა მკითხველი ზოგიერთი საკითხისათვის, რომელიც სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების კურიკულუმშია განხილული და რომელიც მიმართულია სკოლებში ძალადობისა და აგრესიის აღმოფხვრისაკენ. მართალია, ზოგიერთი საკითხი შეიძლება არ შეესაბამებოდეს სხვა ქვეყნების კონტექსტს, გარემო პირობებს, კულტურებს ან სხვადასხვა ასაკობრივ დიაპაზონს მოიცავდეს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ შეიცავს ზოგიერთ მინიშნებას და ამოსავალ წერტილს, რომელიც გარკვეულ დახმარებას გაუწევს ჩვენს კოლეგებს “სასწავლო მოგზაურობის მონაცხობაში”.

## მოსწავლეთა წინამძღოლობით ძალადობის აღმოფხვრის სტრატეგიის შემუშავება

ჰელენ კოუი

ეს თავი სკოლებს დაეხმარება:

- მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ მოსწავლეთა წინამძღოლობით ძალადობის აღმოფხვრის რა სტრატეგიები არსებობს ევროპულ სკოლებში;
- კონკრეტული მაგალითების განხილვის საფუძველზე გამოიკვლიონ, როგორ ჩაერთვებიან მოსწავლეები ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართულ პროცესებში;
- მიუსადაგონ ეს გამოცდილება თავიანთ სკოლებში არსებულ სიტუაციას;
- განსაზღვრონ, როგორ ამცირებს ყოჩობის შემთხვევებს ძალადობის აღმოფხვრის სტრატეგია, რომელსაც მოსწავლეები წარმართავენ.

### თანატოლთა დახმარების სისტემები

ამ თავში ყურადღებას გავამახვილებთ თანატოლთა დახმარების სისტემებზე – სტრატეგიებზე, რომლებსაც თავად ახალგაზრდები წარმართავენ სკოლებში ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად. აქ აღწერილი მეთოდები დაეხმარება სკოლებს ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, სადაც ფასეულია ურთიერთობები, ხოლო ადამიანთა ურთიერთობის საფუძველია ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობა.

არსებითად, ასეთ მიდგომებს მოიცავს თანატოლთა დახმარების ფართო კატეგორია. თანატოლთა დახმარების სისტემები ახალგაზრდებს განუზღვრავს ერთგვარ ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც ისინი წინ აღუდგებიან აგრესიას, როცა კი თავს იჩენს იგი. ამასთან, ისინი იძენენ გამოცდილებას არაძალადობრივი ფასეულობების გავრცელებაში სკოლის უფრო ფართო კონტექსტში. მნიშვნელოვანია, თანატოლთა დახმარების შესაძლო განსხვავებულ მოდელთა შორის შეირჩეს სწორედ ის, რომელიც უკეთ ერგება კონკრეტული სკოლის



საჭიროებებს. ქვემოთ მოყვანილია თანატოლთა დახმარების ის მოდელი, რომლებიც წარმატებითაა დანერგილი ევროპულ ქვეყნებში.

### **თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობა**

ეს არის თანატოლთა დახმარების ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური მეთოდი (კოუი და სხვ., 1994). მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, პერსონალი ამკვიდრებდეს თანამშრომლობის ღირებულებებს, აძლიერებდეს პროსოციალურ ქცევასა და ნდობაზე დამყარებულ თანამშრომლობით ურთიერთობებს. ამასთან, იცნობდეს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თვისებებს. თანამშრომლობითი ჯგუფური მუშაობა ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც სასწავლო პროცესის ნაწილია და სოციუმზე ორიენტირებულ ღირებულებებს ავითარებს. მისი ფორმებია: ინდივიდუალური მუშაობა ჯგუფში (მაგ: მოსწავლეები წარადგენენ და განიხილავენ საკუთარ პროექტებს ჯგუფში); ინდივიდუალური მუშაობა ცალკეულ ელემენტებზე ერთობლივი შედეგის მისაღებად (მაგ: მოსწავლეები განიხილავენ თემის სხვადასხვა ასპექტს, შემდეგ ერთად კრებენ მათ, ასაწყობი თავსატეხის ნაწილების მსგავსად, ჯგუფური პრეზენტაციისათვის ან ჯგუფის რესურსების პაკეტის შესაქმნელად); ერთობლივად მუშაობა საერთო შედეგისათვის (მაგ: მოსწავლეები ერთად გეგმავენ და ქმნიან “როლურ თამაშს” სკოლაში ძალადობის თემის გარშემო).

### **დამეგობრება /დამხანაგება**

დამეგობრების/დამხანაგების სისტემა ერთი ან რამოდენიმე მოსწავლის თანატოლ “მეგობარზე” ან “ამხანაგზე” მიმდგრებას გულისხმობს. ასეთი აქტიური მოსმენები ძირითადად არფორმალურ გარემოში ხდება, როგორცაა სათამაშო მოედანი შესვენებისას. ჩვეულებრივ, “მეგობრები” არიან მოხალისე თანატოლი ან უფროსი მოსწავლეები, რომელთაც ირჩევს პერსონალი მათი პიროვნული თვისებების გათვალისწინებით. ზოგიერთ სისტემაში მოქმედი “მეგობრები” “მოხალისეთა” ინტერვიუებისა და შერჩევის პროცესშიც არიან ჩართულნი. როგორც წესი, ეს ახალგაზრდები სპეციალურ ტრენინგს გადიან ინტერპერსონალურ უნარებში, როგორებიცაა აქტიური მოსმენა, დამაჯერებლობა და ლიდერობის უნარი.

### **თანატოლთა შუამავლობა /კონფლიქტების დარეგულირება / აღდგენითი მიდგომები**

აქ ბავშვები ინვრთნიებიან პიროვნებებს შორის წარმოქმნილი უთანხმოებების განმუხტვაში, რაც მიიღწევა მოდავე თანატოლებს შორის პრობლემის გადაჭრის გზით. ამ მეთოდის შედეგია აგრესიული მოქმედებებით გამოწვეული ინციდენტების მნიშვნელოვანი შესუსტება (კანიგემი და სხვ. 1998). ეს არის მეთოდი “არავინაა დამნაშავე”

და მისი მიზანია, მოკამათები დაშორდნენ “ყაიმით”, დადებითი განწყობით და შეგრძნებით, რომ შედეგი ორივე მხრისათვის თანაბრად სასარგებლო და სამართლიანია. შუამავლობა ემყარება მოსმენის უნარს, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ ეხმარება მოკამათე პირებს, შეთანხმდნენ ორივე მხარისათვის მისაღებ შედეგზე.

აღდგენითი მოლაპარაკებები, ისევე როგორც აღდგენითი მართლმსაჯულება (იხ. თავი 3) უზრუნველყოფს კონფლიქტისას შეთანხმების მიღწევას, წყენის მიზეზის გაცნობიერებას, სახავს ურთიერთობების აღდგენის გზებს.

### **თანატოლის მოსმენის განვითარებული ფორმა**

ამ მეთოდის საშუალებით (ზოგჯერ მას თანატოლთა კონსულტირებასაც უწოდებენ) მოსწავლეები რჩევის მიცემის ძირითად უნარებს იძენენ, რათა შეძლონ უფრო მონესრიგებული, სტრუქტურირებული მოსმენა. აქტიური მოსმენის მეთოდი დამეგობრებისა და შუამავლობის მიდგომებზე უფრო შორს მიდის და უკვე ისეთ ჩარევად იქცევა, რომელიც უფრო ღია კონსულტაციების განევას ითვალისწინებს (დეტალური მითითებები იხ. კოუი და უოლასი, 2000). მოსწავლეთა დამხმარე პირებს ასწავლიან (ჩვეულებრივ, კვალიფიციური კონსულტანტები და ფსიქოლოგები), როგორ გამოიყენონ აქტიური მოსმენა გასაჭირში მყოფი თანატოლის დასახმარებლად. ამ მიდგომის მიზანია, დამხმარე პირების აღჭურვა ისეთი უნარებით, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, გადაჭრან პრობლემური საკითხები თანატოლთა ურთიერთობებში; დაეხმარონ სოციალური გარიყვისა და ძალადობის მსხვერპლთ; პასუხი მოთხოვონ თანატოლთა მიმართ აგრესიულ მოსწავლეებს. ამ მიდგომის უმთავრესი ნიშანია მუდმივი ზედამხედველობა კვალიფიციური კონსულტანტის ან თანამშრომელთა მხრიდან, რომლებიც თანატოლთა დახმარების სქემას წარმართავენ.

### **ასაკობრივი ჯგუფები, რომელთა მომზადებაც მეტად ეფექტიანია თანატოლთა დახმარების სხვადასხვა ტიპისათვის**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია თანატოლთა დახმარების სხვადასხვა მოდელის შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფები:

	7-9 წელი	9-11 წელი	11-18 წელი
შეთანხმებული ჯგუფური მუშაობა	კი	კი	კი
დამეგობრება/დაამხანაგება	კი	კი	კი
მედიაცია /კონფლიქტების მოგვარება	არა	კი	კი
თანატოლის მოსმენის განვითარებული ფორმა	არა	არა	კი

## თანატოლთა დახმარების გამოყენების უპირატესობანი

ამ გზით მოსწავლეთა მობილიზებას თანატოლთა დახმარებლად ბევრი უპირატესობა აქვს. კერძოდ:

- თანატოლები ძალადობას აღმოაჩენენ გაცილებით ადრეულ სტადიაში, ვიდრე უფროსები;
- ახალგაზრდები მეტი ხალისით იხსნიებიან თანატოლებთან, ვიდრე უფროსებთან;
- ძალადობის მსხვერპლს უკვე ჰყავს ისეთი ადამიანი, ვისაც დახმარებისათვის მიმართავს და, მისი თვალთახედვით, სკოლა იღებს ზომებს პრობლემის წინააღმდეგ;
- ხშირად თანამშრომლებს არ ჰყოფნით დრო და რესურსები, გაუმკლავდნენ ყოველდღიურ ინტერპერსონალურ პრობლემებს;
- თანატოლი დამხმარეები იძენენ ღირებულ ინტერპერსონალურ უნარებს და ხედავენ იმ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც აქტიურ მოქალაქეობრივ ქმედებას სწავლობენ;
- დროთა განმავლობაში სკოლა მშობლებისა და საზოგადოების მხრიდან აღიქმება, როგორც ორგანიზაცია, რომელიც მისი მოსწავლეების კეთილდღეობაზე ზრუნავს;
- თანატოლთა დახმარების სისტემები სთავაზობს სასარგებლო კავშირებს სხვა სამსახურებსა და ორგანიზაციებს.

ფაქტობრივად, ისე ხდება, რომ “თანატოლ დამხმარეთა” შორის ყოველთვის ბევრია ისეთი ახალგაზრდა, რომლებიც თავად იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი. ისინი ძალადობის მსხვერპლთ მხოლოდ თანაგრძნობით კი არ ეკიდებიან, არამედ თავადაც გრძნობენ მხარდაჭერასა და დახმარებას მათივე თანატოლი ახალგაზრდების ჯგუფის მხრიდან.

## ევროპული ცოდნა და გამოცდილება

ინგლისის კანონმდებლობა მიზნად ისახავს ბავშვების აქტიურ მოქალაქეებად აღზრდას და სკოლების მიერ ბალანსის დამყარებას, ერთი მხრივ, უფლებებსა და მოლოდინებს, ხოლო მეორე მხრივ, პასუხისმგებლობას შორის. სხვა ევროპული სკოლები ესპანეთისა (ფერნანდესი და სხვ., 2002; ორტეგა, 1998) და იტალიის (მენესინიეტი და სხვ., 2003) ჩათვლით, აქცენტს აკეთებენ მოსწავლეთა თანამონაწილეობასა და ჩართვაზე იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც გავლენას ახდენს მათზე. ამ ქვეყნებში მოსწავლეები ჩართულები არიან ძალადობის პრობლემის გადაჭრაში, სწორედ იმ ძალადობის, რომელიც ბევრმა ახალგაზრდამ საკუთარ თავზე გამოსცადა ან თავად წააწყდა

ყოველდღიურ ცხოვრებაში. ევროპას, გაერო-ს ბაშვთა უფლებების კონვენციის შესაბამისად (United Nations 1991), კარგად ესმის, რომ საჭიროა შექმნას ბავშვთა უფლებების საბაზო ნაკრები, რომლის დარღვევაც მიუღებელი და არალეგალურიც კი იქნება. ამ მიზნით, გაერთიანებულ სამეფოში 2003 წელს დაარსდა ობსერვატორია არაძალადობის ხელშეწყობისათვის [www.ukobservatory.com](http://www.ukobservatory.com). ამ ორგანიზაციის მიზანია, წინ აღუდგეს სკოლებში ძალადობას, შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა, ნესები და პრაქტიკა, რომელიც მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს გაითვალისწინებს.

მთელს ევროპაში ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ თანატოლთა დახმარება არის სკოლებში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ეფექტიანი ჩარევა (კოუი და სხვ., 2002; ნეილორი და კოუი, 1999). მიუხედავად იმისა, რომ თანატოლთა დახმარების სისტემები ყოველთვის ვერ ამცირებენ ძალადობის ინციდენტებს, ისინი მაინც ეფექტიანია პრევენციის თვალსაზრისით. ესპანეთში შემჩნეული იყო, რომ თანატოლთა დახმარების სისტემები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კონვივენსიის გარემოს განვითარებას, რაც ერთად ჰარმონიული ცხოვრებისა და მუშაობის შესაძლებლობას ნიშნავს (ორტეგა, 1998). ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ თანატოლთა დახმარების სისტემები ამცირებენ აგრესიის უარყოფით იმპულსებს და, ძალადობრივი ინციდენტების შემთხვევაში, მსხვერპლსაც და მონაწილესაც უადვილებენ მასწავლებლებისათვის ინფორმაციის მიწოდებას ძალადობის შესახებ.

ფინეთში ჩატარებული გამოკვლევები (სალმივალი და სხვ., 1996) ცხადყოფს, რომ განუზომლად მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ მონაწილეს ან თვითმხილველებს, რომლებიც წინ აღუდგებიან (ან პირიქით) ძალადობას თანატოლთა შორის. სალმივალი და მისი კოლეგები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყოჩობის ეპიზოდში მონაწილედ შეიძლება ჩაითვალოს დამსწრე მოსწავლეთა 87%. ყოჩებსა და მსხვერპლთ ემატებიან სხვები: დამხმარეები, რომლებიც ფიზიკურად ეხმარებიან ყოჩს; ნამძეხებლები, რომლებიც აქეზებენ და ახელებენ ყოჩს; აუტსაიდერები, რომლებიც ინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს, არიან პასიურები და თავს იკატუნებენ, თითქოს არაფერი დაუნახავთ და დამცველები, რომლებიც მსხვერპლს ესარჩლებიან, ეხმარებიან და ეწინააღმდეგებიან ყოჩს. თუმცა, იმ სიტუაციებში, სადაც თანატოლთა დახმარების სისტემები არსებობს, მეტი ალაბათობაა, რომ თანატოლთა ჯგუფი მსხვერპლის დაცვას შეეცდება. მსხვერპლის დამცველები და აუტსაიდერები ხშირად იკვრებიან და ერთად ეხმარებიან მსხვერპლს, რომელიც, სხვა შემთხვევაში, გარიყული და უარყოფილი იქნებოდა თანატოლთა ჯგუფისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ თანატოლთა დახმარების სისტემები უაღრესად სასარგებლოა როგორც ინდივიდუალურად მოსწავლეების, ასევე

მთელი სკოლისათვის, მათი წარმატებისათვის აუცილებელია წინასწარი დაგეგმვა და მომზადება, აგრეთვე უწყვეტი შეფასება და მონიტორინგი.

## სტრატეგიების შემუშავება მოსწავლეთა წინამძღოლობით

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსწავლეები თავად არიან მეტად ეფექტიანი ცვლილებების ინიციატორები. ხშირად სკოლაში არსებობს ცალკეული, ნაკლებად ათვისებული მეთოდი, რომელიც კონვივენსიის გააუმჯობესებდა. დაგეგმვისას აუცილებელია სიფრთხილე და ყურადღება, ინიციატივები უნდა იყოს თანმიმდევრული, არარადიკალური. მოთხოვნები, რომელთაც აყენებს სტრატეგია, არ უნდა იყოს გადაჭარბებული და უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა რეალურ შესაძლებლობებს.

### სავარჯიშო 5.1: ვთხოვთ მოსწავლეებს, შეაფასონ თავიანთი მონაწილეობა თანატოლთა დახმარებაში

დაგეგმვა და შემუშავება იწყება თავად მოსწავლეებთან კონსულტაციით. ასეთი დასაწყისი დაგეგმვა, სწორად დავინახოთ, უკვე რა სისტემები არსებობს სკოლაში. ეს, შესაძლოა, რეგულარული აუდიტის ნაწილი გახდეს (იხ. თავი 2). დასაშვებია შეხვედრის მოწყობა წარმომადგენლობით ჯგუფთან, ვთქვათ, სკოლის საბჭოსთან. დისკუსიისათვის შესაძლო კითხვებია:

- რამდენად არიან ინფორმირებულნი ახალგაზრდები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც სკოლაში მოსწავლეთა წინამძღოლობით ხორციელდება?
- რომელი ღონისძიება ესახებათ მათ მოსწავლეთა დასახმარებლად ყველაზე ქმედითად?
- როგორ შეიძლება ამ ღონისძიებათა დახვეწა და უწყვეტი განხორციელება?
- კიდევ რა გზებით ეხმარებიან ერთმანეთს მოსწავლეები?
- თუ სმენიათ მოსწავლეებს თანატოლთა დახმარების ადგილობრივი ან ეროვნული პროგრამების შესახებ ან თუ აქვთ გამოცდილება, რომლის გაზიარებაც შესაძლებელია?
- რა არის საჭირო მოსწავლეებში ურთიერთდახმარების უნარჩვევების სრულყოფისათვის?

თანატოლი დამხმარეები თავიანთი სამუშაოს განხორციელებისას საჭიროებენ ისეთ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ურთიერთმომენას, მზრუნველობასა და ურთიერთპატივისცემას. თანატოლთა

დამხმარების ფასეულობა უნდა გაიაზრონ და დააფასონ სკოლის საზოგადოების ყველა დონეზე; სკოლის დირექტორი და პერსონალი აქტიურად უნდა უჭერდეს მხარს შემუშავებულ გეგმას. იდეალურ შემთხვევაში, სკოლის ორი თანამშრომელი მაინც უნდა მუშაობდეს თანატოლთა დახმარების სისტემაზე, ჩართული იყოს თავდაპირველ ტრენინგებში და ახორციელებდეს რეგულარულ ზედამხედველობას თანატოლ დამხმარებებზე. თუ სქემაში სულ მცირე, ორი სუბიექტი მაინცაა გაერთიანებული, ერთ-ერთის გასვლის ან ავადმყოფობის შემთხვევაში, თანატოლთა სისტემა წინანდებურად აგრძელებს ქმედებას. საჭიროა რესურსი, ოთახები ტრენინგებისათვის და საიმედო ადგილი ოქმებისა და ჩანაწერებისათვის. უნდა გამოიყოს შესაბამისი ფართი თანატოლთა დახმარების სამუშაოების ჩასატარებლად. გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები: გოგონებსა და ბიჭებს შორის ბალანსის დამყარება, სკოლის საზოგადოების ყველა სექტორის სათანადოდ წარმოდგენა, აგრეთვე თანატოლი დამხმარებების საქმიანობის მუდმივი წახალისება; მაგალითად სამადლობელი/საინფორმაციო წერილის განთავსება ადგილობრივ მედიაში, დაჯილდოება, საჩუქრების გადაცემა, თანატოლთა დამხმარების სქემებისადმი მიძღვნილი საგანგებო კრების ორგანიზება.

სრული დეტალური ინფორმაცია თანატოლთა დამხმარების სისტემების დაფუძნებისა და შენარჩუნებისათვის შეგიძლიათ იხილოთ რამდენიმე პუბლიკაციაში, მათ შორის:

კოუი და უოლასი (2000); ბავშვთა წინააღმდეგ ძალადობის პრევენციის ნაციონალური საზოგადოება (NSPCC 2004), შერერ-ტომპსონი (2002), სტიესი (2000). საინტერესო ვებ გვერდები:

- თანატოლთა დახმარების ფორუმი: <<http://www.ncb.org.uk>>;
- თანატოლთა დახმარების ქსელი: <<http://www.peersupport.co.uk>>;
- გაერთიანებული სამეფოს ობსერვატორია: <<http://www.ukobservatory.com>>.

## **კარგი პრაქტიკის კონკრეტული მაგალითები ევროპიდან**

ამ თავში წარმოდგენილია თანასწორთა დამხმარების ისეთი სისტემის მაგალითები, რომლებიც წარმატებით დაინერგა და განხორციელდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში.

### **კონკრეტული შემთხვევა 1: ჩარევა დამეგობრების გზით იტალიაში (მენესინი და სხვ., 2003)**

ეს კვლევა გვიჩვენებს ერთობლივი ჯგუფური მუშაობისა და დამეგობრების წარმატებულ გამოყენებას იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მოსწავლეთა უნარი, პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ ან სხვათა ქმე-

დებებზე, მით უფრო, თუ ეს ქმედებები აგრესიას შეიცავს. ამასთან, პროექტის სხვადასხვა სტადიაზე მკვლევარებმა გაითვალისწინეს მონაწილეთა როლის დიაპაზონი და ამით მიიღეს სისტემატური პერსპექტივა (სალმევალი და სხვ., 1996). ასეთი ჩარევა განხორციელდა იტალიის ორ საშუალო სკოლაში (11-14 წლის ასაკის ბავშვთა ჯგუფებში) და მიზნად ისახავდა:

- ყოჩობის შემთხვევების შემცირებას ყოჩებისათვის საკუთარი და სხვათა ქცევის განმარტების გზით;
- მოსწავლეთა უნარის გაუმჯობესებას, დახმარება შესთავაზონ ყოჩობის მსხვერპლთ;
- თვითმხილველთა მონაწილეობისა და პასუხისმგებლობის წილის გაზრდას;
- მოსწავლეთა ინტერპერსონალური ურთიერთობის ხარისხის გაუმჯობესებას კლასში;
- ჩარევის ეფექტის გაანალიზებას ასაკობრივი და გენდერული განსხვავების მიხედვით;

ჩარევა განხორციელდა სასწავლო წლის განმავლობაში, ოქტომბრიდან მაისამდე, ხუთ ფაზად:

- ჩარევა კლასში: ამ აქტივობის შედეგად, მთელ კლასს გაულრმავდა ცოდნა პროსოციალური ქცევისა და სხვისი დახმარების მნიშვნელობის შესახებ. ამ ფაზის ამოცანა გახლდათ, განევიტარებინა სწორი მიდგომა თანატოლთა დახმარების მიმართ მთელი სკოლის მასშტაბით;
- თანატოლ დამხმარეთა შერჩევა: თანატოლი დამხმარეები შეირჩნენ შერეულად – თვითნომინაციისა და ურთიერთნომინაციის საფუძველზე. თითოეულ კლასში შეირჩა სამი ან ოთხი დამხმარე;
- ტრენინგი: შერჩეულმა მოსწავლეებმა გაიარეს სპეციალური ტრენინგი იმ უნარების გასაძლიერებლად, რომლებიც ხელს უწყობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობების განვითარებას. მოსწავლეებს ავარჯიშებდნენ მოსმენისა და კომუნიკაციების ჩვევებში კოუჩისა და უოლასის 2000 წლის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით;
- მუშაობა კლასში: პერსონალმა ჩაატარა საკლასო შეხვედრები, რომლებზეც განისაზღვრა კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებები. შემდეგ კონფიდენციალურად დაუკავშირდნენ სამიზნე მოსწავლეს მათი თანხმობის მისაღებად, რომ ემუშავათ მომზადებულ დამხმარე თანატოლებთან რამოდენიმე სასარგებლო საქმეზე. ამ პერიოდის განმავლობაში თანატოლი დამხმარეები ყოველკვირეულად ხვდებოდნენ სკოლის პერსონალს და იღებდნენ ოპერატიულ მითითებებს სამიზნე მოსწავლესთან მათი მუშაობის შესახებ;

- როლების გადაცემა: თანატოლ დამხმარეთა პირველი ტალღა ჩაერთოს სხვა მოსწავლეთა ტრენინგში, რათა ამგვარად გაზრდილიყო პროგრამაში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა.

### კვლევის შედეგები

ამ კვლევის შედეგები მეტად დადებითი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ასეთი ჩარევა ხელს უშლის უარყოფითი განწყობისა და საქციელის ესკალაციას, რომელიც ხშირად იჩენს თავს ამ ასაკის ბავშვებს შორის. იგი ასევე ასუსტებს მონმეთა ფარულ თანხმობას სასტიკ საქციელზე და აძლიერებს თანაგრძნობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას მოსწავლეთა შორის. საინტერესოა, რომ ასეთმა ჩარევამ ყველაზე დიდი შედეგი ყოჩებსა და მონმეებთან გამოიღო. მათ, ადრინდელთან შედარებით, ძალზე განუფითარდათ საკუთარი ქცევის ნვდომის უნარი. აღსანიშნავია, რომ ეს შედეგი მეტად გააძლიერა ტრენინგებში იმ ბავშვების მონაწილეობამ, რომელთაც სხვები ყოჩებად აღიქვამდნენ. ერთმა ბიჭმა თქვა:

“მეჩემს თავზე ავიღე დამცველი მეგობრის როლი, მიუხედავად იმისა, რომ ადრე სხვა მოსწავლეებს ვჩაგრავდი... თავიდან ვერ ჩავერთე პროექტში, მაგრამ შემდეგ... ტრენინგების განმავლობაში და სხვა დამხმარებებთან ერთად მუშაობისას უფრო და უფრო მეტად გავაცნობიერე, თუ რას ვაკეთებდი. ეს ნამდვილად სასარგებლო იყო ჩემთვის” (14 წლის ყოფილი ყოჩი).

უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობის მსხვერპლნი, გასაგები მიზეზების გამო, სიფრთხილითა და უნდობლობით ეკიდებოდნენ დამცველებად მოვლენილ ყოჩებს და უპირატესობას იმ დამცველებს ანიჭებდნენ, რომელთაც ტრენინგი ჰქონდათ გავლილი. იმავდროულად, ისინი აცნობიერებდნენ, რომ წლის განმავლობაში პროექტის მიმდინარეობისას კლასში გარემო გაუმჯობესდა. ამასთან, აშკარა იყო, რომ ბავშვები ხდებოდნენ დამცველები და შემდეგ, დროთა განმავლობაში, ამ ფუნქციას სხვას გადასცემდნენ. ეს პროცესი ნამდვილად “ესტაფეტას” დაემსგავსა. შესაძლოა, ბავშვებს მოსწონთ ექსპერიმენტები, სადაც მათ სხვადასხვა როლის შესრულება უნევთ და ტრენინგის პროგრამა მათ აძლევს შესაძლებლობას, სასარგებლონი იყვნენ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სახით. ჩარევის შედეგი ბევრად უფრო პოზიტიური იყო უმცროსი ასაკის მოსწავლეებში, ვიდრე უფროსებში.

### სავარჯიშო 5.2: დამეგობრების კვლევის შედეგად წამოჭრილი საკითხების განხილვა

თქვენთვის საინტერესო უნდა იყოს ზემოთ მოცემული კვლევის განხილვა და თქვენი სკოლის სიტუაციასთან მისადაგება, კერძოდ, შემდეგ საკითხებთან მიმართებით:



- დამეგობრების მეთოდი კარგად ესადაგება იტალიური სკოლის სისტემას, რამდენადაც აქ ტრენინგების ჩატარება შესაძლებელია შედარებით მოკლე დროში და ის ეფუძნება მეგობრობის იმ ქსელებს, რომლებიც ყველა კლასში უკვე არსებობს;
- იტალიაში ახალი კანონპროექტი ითვალისწინებს საგანმანათლებლო ფსიქოლოგის მუშაობას უშუალოდ სკოლაში, რათა ხელი შეუწყოს ახალი ინიციატივების (როგორცაა თანატოლთა დახმარება) პოტენციურ განვითარებას. ეს ნიშნავს, რომ დამეგობრების სისტემა მარტივად დაინერგება, სამუშაო გრაფიკის შეცვლის გარეშე და წარიმართება პერსონალსა და ფსიქოლოგებს შორის თანამშრომლობის ფონზე;
- კვლევის შედეგები მეტად იმედისმომცემი აღმოჩნდა და დაადასტურა თვალსაზრისი, რომელსაც ამ სფეროს ბევრი პრაქტიკოსი სპეციალისტი იზიარებს: აგრესია და ძალადობა წარმატებით აღმოიფხვრება სისტემური მიდგომით, რაც ითვალისწინებს კლასის შიგნით განსხვავებულ როლთა განაწილებას.

### **კონკრეტული შემთხვევა 2: განვითარებული აქტიური მოსმენა უელსის საშუალო სკოლაში (კოუი და სხვ., 2004)**

ეს კვლევა აღწერს თანატოლთა წინამძღოლობით მოსმენის მეთოდს, რომელიც უელსის ერთ-ერთ სკოლაში განხორციელდა, როგორც თანატოლთა დახმარების სქემის შემადგენელი ნაწილი, ბავშვები სკოლებთან პარტნიორობაში პროგრამის (CHIPS) ფარგლებში თანამშრომლობით. თავდაპირველად CHIPS-ის ჯგუფი ავარჯიშებდა 12-13 წლის ბავშვებს აქტიური მოსმენის ჩვევებში დაახლოებით ორი დღის განმავლობაში. შემდეგ, სკოლის პერსონალთან თანამშრომლობით, უმცროსი ასაკის მოსწავლეებისთვის შექმნეს ყოველდღიური შემოვლის სამსახური სადილის შესვენების დროს. დრამის დეპარტამენტმა დადგა და წარმოადგინა მიუზიკლი “რატომ მე?”, რომლის მიზანიც იყო ცოდნის ამაღლება სკოლაში ყოჩობისა და ძალადობის პრობლემის შესახებ, რომელიც უსათუოდ საჭიროებს რეაგირებას.

თავიდან, ამ მომსახურების მიწოდებასა და სადილის შესვენების გრაფიკის დაგეგმვაზე პასუხს აგებდნენ თავად თანატოლი დამხმარეები. მაგალითად, სკოლაში ცნობიერების ასამაღლებლად მათ წარმართეს კამპანია პლაკატების გამოყენებით და ყოველკვირეულად აწყობდნენ სესიებს უმცროსი მოსწავლეებისათვის.

### **პროექტის შედეგები**

უმცროსი მოსწავლეები აღტაცებულნი იყვნენ სკოლაში თანატოლთა დამხმარების სისტემების არსებობით:

მე ვფიქრობ, მათ ჰქონდათ შეგრძნება იმისა, რომ იცნობენ უფროს თანაკოლეგებს და ქუჩაში რეალური პრობლემების შემთხვევაში, შეუძლიათ მათ მიმართონ. ვფიქრობ, ნამდვილად პოზიტიურია, როდესაც უფროსი ამხანაგები უზრუნველყოფენ დაცვას (თანატოლი დამხმარე).

მშობლებიც ასევე იყვნენ კმაყოფილნი სქემის არსებობით:

უფროსკლასელები იღებენ ვალდებულებას უმცროსკლასელებზე. ამ სქემის მუშაობა ნათელს ხდის უმცროსთათვის, რომ მომავალში, როდესაც ისინი წამოიზრდებიან, შეძლებენ მსგავსი პასუხისმგებლობის აღებას საკუთარ თავზე (10 წლის ბავშვის მშობელი).

თანატოლი დამხმარეები აღნიშნავენ, რომ ურთიერთობების, პრეზენტაციების გაკეთებისა და მოსმენის სფეროში ტრენინგების გავლის შედეგად მათ გამბედაობა და თავდაჯერებულობა შეიძინეს. ზოგიერთი მათგანი ჯეროვნად აფასებს იმ ფაქტს, რომ მათ მიეცათ შესაძლებლობა, წარედგინათ თავიანთი ნაშრომები სკოლის გარეთ – CHIPS-ის კონფერენციაზე. მშობლები აცნობიერებენ ამ სქემის უპირატესობას და ასეთივე ჩარევის განხორციელებას სხვა სკოლებშიც უწევდნენ რეკომენდაციას.

### **შესაძლო პრობლემები**

სისტემების პოტენციური მომხმარებლისათვის პერიოდულად იჩენს თავს კონფიდენციალობის საკითხი, კონკრეტულად კი, უფროსი ასაკის მოსწავლეებს ადარდებთ, რამდენად საიმედოდ დაიცავენ დამხმარე თანატოლები კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც მათ გაანდეს. 10 წლის ბიჭი ამბობს: “ძალიან სამარცხვინო იქნებოდა, ვინმეს რომ შეეტყო ამის შესახებ. ისინი დამცინებდნენ.”

თითო-ოროლა უმცროსი ასაკის დამხმარემ გამოხატა შემოფოთება, რომ შესაძლოა, ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის პირისპირ აღმოჩნდნენ, რომლის გადაჭრაც მათი კომპეტენციის ფარგლებს სცდებოდა. თუმცა, იცოდნენ, რომ მათ დასახმარებლად არსებობდა ყოველკვირეული შეხვედრები. ერთ-ერთ გამოსავლად დასახელდა მთელ სკოლაში ბროშურებისა და პლაკატების გავრცელება, რომლებშიც ჩამოთვლილი იქნებოდა, რა პრობლემებზე (მარტოობა, მეგობრებთან დაკავშირებული საკითხები, რჩევები ურთიერთობების ირგვლივ) მიმართონ თანასწორ დამხმარეებს, მათი უნარ-ჩვევებიდან გამომდინარე. თუ პრობლემის სირთულე აღემატება თანასწორ დამხმარეთა კომპეტენციას, ამ პლაკატებმა უნდა ურჩიონ მოსწავლეებს, დახმარებისათვის მიმართონ ისეთ სააგენტოებს, როგორცაა, მაგალითად, “ბავშვები სკოლებთან პარტნიორობაში” (CHIPS).

ზოგიერთი თანატოლი დამხმარის აზრით, საკმაოდ მძიმე იყო პროექტის ადმინისტრირება. განსაკუთრებით, 12-13 წლის მოსწავლეთა ეროვნული გამოცდების დროს. კარგი იქნებოდა, თუ პროექტის ორ-

განიზატორები მშობელთა შორის მოიძიებდნენ მოხალისეებს, ან გადაიხდიდნენ მცირე თანხას ადმინისტრაციული მხარდაჭერისათვის, რათა გაემრავლებინათ მასალების ასლები და ორგანიზაცია გაენიათ თანასწორ დამხმარეთა შეკრებებისა თუ მათი როტაციისათვის. გამოითქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა, უფროს დამხმარეებს თავიანთი მოვალეობები დამწყებთათვის დროის განსაზღვრულ პერიოდში გადაეცათ, ვთქვათ, საგაზაფხულო სემესტრის დასაწყისში. ამ შემთხვევაში უფროსი ასაკის და მეტად აქტიურ მოსწავლეებს დაეუფლებოდათ პოზიტიური განწყობა პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს გამო, ნაცვლად სინანულისა და დანაშაულის გრძნობისა, რომ ახლა სწავლას მეტ დროს უთმობენ, ვიდრე დახმარებას.

თანატოლი დამხმარეები და ფასილიტატორები თანამშრომელთაგან თვლიან, რომ საჭიროა მეტი საჯაროობა, რათა ცოდნის ამალგება შეეხოს ყველას მთელ სკოლაში. გარდა ამისა, წამოიჭრა საკითხი რომ აუცილებელია პერსონალის უწყვეტი ინფორმირებაც.

### სავარჯიშო 5.3: აქტიური მოსმენის კვლევიდან გამომდინარე შედეგების განხილვა

საინტერესო იქნება ზემოთ მოცემული კვლევის განხილვა და თქვენს სკოლებში არსებულ სიტუაციასთან მისადაგება, კერძოდ, შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

ტრენინგი, შესაძლოა, ხანგრძლივი აღმოჩნდეს. ჩვეულებრივ, რეკომენდებულია, რომ თანასწორმა დამხმარეებმა გაიარონ მინიმუმ 30 საათიანი ტრენინგი იმ მეთოდისტებთან, რომელთაც აქვთ კონსულტანტის ან თანატოლ დამხმარეთა ტრენინგის გამოცდილება. გაერთიანებულ სამეფოში რამდენიმე კარგი ხარისხის კურსი არსებობს, მაგალითად, ბავშვები სკოლებთან პარტნიორობისა (CHIPS) და საკონსულტაციო სამსახურ “რილეთ”-ის (Relate) მიერ ორგანიზებული კურსები.

**რესურსები:** თანატოლ დამხმარეებს სჭირდებათ ოთახები **მოსწავლეებთან** ინდივიდუალური ან ჯგუფური შეხვედრებისათვის, რეგულარული ტრენინგებისათვის, აგრეთვე დაცული ადგილი კონფიდენციალური მასალებისათვის.

თანატოლთა დახმარება აძლიერებს ახალგაზრდების კარგ ემოციურ განწყობას. ფართოდაა აღიარებული, რომ ეს არის ეფექტიანი მეთოდი ახალგაზრდების დასახმარებლად თანატოლთა ჯგუფებთან ურთიერთობისას წარმოქმნილი სირთულეების (მაგალითად, ყოჩობის) დასაძლევად. ამ მეთოდით სარგებლობენ თავად დამხმარეებიც: პიროვნულად ვითარდებიან, იძენენ ურთიერთობის ჩვევებს და ხდებიან თავდაჯერებულნი.

**კონკრეტული შემთხვევა 3: კონფლიქტების გადაწყვეტა თანატოლთა შუამავლობით ესპანეთის სკოლებში (ფერნანდესი და სხვ., 2002)**

ესპანეთში რამდენიმე წლის განმავლობაში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ (ორტეგა, 2001) ინტერპერსონალურ ურთიერთობებში წარმოქმნილ ყველა სირთულეს ყოველთვის არ მივყავართ რეპრესიებამდე. ზოგჯერ, აგრესია ორმხრივია და ძნელია დამნაშავესა და მსხვერპლს შორის განსხვავების პოვნა. კონფლიქტი, შესაძლოა, ინდივიდებს ან ჯგუფებს შორის წარმოიშვას და შეიძლება სხვადასხვა განვითარება ჰპოვოს. შედეგად, იქმნება რთული სიტუაციები, დგება იმის აუცილებლობა, რომ ნათელი მოეფინოს, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა და როგორ უნდა დაუბრუნდეს ურთიერთობები სამართლიან და მისაღებ ფორმას. კონფლიქტმა, თავისთავად, შეიძლება არც კი დააზიანოს ურთიერთობები. ყველაზე მნიშვნელოვანი კონფლიქტის გადაჭრის მეთოდია.

ფერნანდესი და სხვ., (2002) დეტალურად აღწერენ, როგორ მოხდა შუამავლობის მეთოდის წარმატებული დაწერვა და ადაპტირება სკოლებში ძალადობის პრობლემასთან საბრძოლველად. მათი აზრით, თანატოლ დამხმარეებს, რომელთაც წვრთნიან კონფლიქტების მოგვარების მეთოდებში, შემდეგი უნარები უნდა განუვითარდეთ:

- მოვლენის შესახებ თანასწორთა ნაამბობის გულისყურით მოსმენის უნარი;
- პრობლემის გადაჭრაში დახმარებისათვის მზადყოფნა;
- დავის დეტალებისა და კომპონენტების ანალიზის უნარი;
- განსაკუთრებული მგრძობელობა დავაში მონაწილეთა მიერ გამოვლენილი ემოციების მიმართ.

ფერნანდესმა და მისმა კოლეგებმა ჩამოაყალიბეს საფეხურები, რომელთაც თანმიმდევრულად გაივლიან თანატოლი მედიატორები:

**1-ელი საფეხური - დავის მიზეზების ანალიზი.** მონაწილეები ამზადებენ საკუთარ თავს დავის მიზეზების განსაზღვრისათვის. ისინი მონოდებულნი არიან, შეწყვიტონ მომენტალური ემოციური იმპულსებით მოქმედება და გაითვითცნობიერონ, რომ არ არიან გამოუვალ მდგომარეობაში. გამოსავალი არსებობს.

**მე-2 საფეხური – გამოსავლის ძებნა.** დავის მონაწილეები საკუთარ თავს განაწყობენ იმისათვის, რომ წინასწარ განიხილონ ბევრი სხვადასხვა გამოსავალი. უპირველესად, მათ უნდა შეაფასონ პოტენციური რისკები და სარგებელი. ამ ეტაპზე თანატოლი მედიატორები დავის მონაწილეებს ეუბნებიან, რომ ისინი არ უკარნახებენ მათ, თუ რა უნდა გააკეთონ.

**მე-3 საფეხური** - წინადადებების შემუშავება და შეფასება. დავის მონაწილეები შეიმუშავენ წინადადებებს შესაძლო მოქმედებებისათვის და განიხილავენ ყველა შემოთავაზებული მოქმედების დადებით თუ უარყოფით მხარეებს იმდენად ობიექტურად, რამდენადაც შეუძლიათ. მათ ძალიან დაეხმარებათ, თუ დაფაზე ჩამოწერენ ყველა შესაძლო მოქმედებასა და მათ პლუსებს თუ მინუსებს.

**მე-4 საფეხური** - საუკეთესო არჩევანი. თანატოლი მედიატორები სვამენ საკვანძო კითხვებს, რაც დავის მონაწილეებს საშუალებას აძლევს, განიხილონ თითოეული შემოთავაზებული მოქმედების შესაძლო შედეგები. მათი კითხვები ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ხელი შეეწყოს აზროვნების პროცესს. მედიატორები არ უნდა გვევლინებოდნენ მოსამართლეებად და არ უნდა იძლეოდნენ რჩევებს.

**მე-5 საფეხური** – შეთანხმების მიღწევა. დავის მონაწილეები მართლმართლ არიან, რომ მიაღწიონ ისეთ შეთანხმებას, რომელიც ყველაზე უკეთეს კმაყოფილებს ორივე დაინტერესებული მხარის საჭიროებებს. ხშირად, ეს გულისხმობს კომპრომისების გარკვეულ ფორმას ორივე მხარისათვის. მისი უპირატესობა ისაა, რომ გამორიცხავს იძულებით თავს მოხვევას და მიკერძოებას რომელიმე მხარისადმი მეორის სანაღმამდეგოდ. ეს არის ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტა, რომელიც, როგორც მინიმუმ, კომფორტულია ყველასათვის, თუნდაც არ იწვევდეს კმაყოფილებისა და სიამაყის შეგრძნებას (რაც საკმაოდ ხშირია).

**მე-6 საფეხური** – პრაქტიკული დეტალების დაგეგმვა. ამ ეტაპზე თანატოლი მედიატორები ხელს უწყობენ მიღწეული შეთანხმების პრაქტიკულად განხორციელებას. ქმედებები უნდა იყოს ზუსტი, რეალისტური, გასაგები და ექვემდებარებოდეს შეფასებას. ამ ეტაპზე საკვანძო კითხვები ასეთია: ვინ რა უნდა გააკეთოს, როგორ და როდის?

**მე-7 საფეხური** - მონიტორინგი და შეფასება. თანატოლმა მედიატორებმა უნდა შეარჩიონ დრო და ადგილი შეთანხმების შედეგის პრაქტიკული შეფასებისათვის. კითხვები ამ ეტაპზე ასეთია: იმუშავა თუ არა შეთანხმებამ პრაქტიკაში? საჭიროა თუ არა მისი კორექტირება და მოდიფიცირება? შემდგომი შეხვედრაც უნდა შედგეს, რომელზეც მონაწილეები გადახედავენ შეთანხმების წარმატებულობას და შეაფასებენ მათ მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინონ კორექტირება.

**სავარჯიშო 5.4: თანატოლთა მედიატორობის კვლევიდან გამომდინარე შედეგების შეფასება**

საინტერესო იქნება ზემოთ მოცემული კვლევის განხილვა და თქვენს სკოლებში არსებული სიტუაციისათვის მისადაგება, კერძოდ, შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

მედიატორობის პროცესის უმთავრესი ქვაკუთხედია აქტიური მოსმენის უნარი და მონაწილეთა გრძნობებსა და საჭიროებებზე სანდო და საიმედო პასუხის გაცემის შესაძლებლობა. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ თანატოლთა მედიატორებმა არ დათრგუნონ ან არ უარყონ ის ძლიერი ემოციები, რომლებიც, როგორც წესი, თან ახლავს კონფლიქტს. უნდა შეიქმნას თანაგრძნობისა და დახმარების გარემო, რომელშიც ეს ემოციები თავისუფლად გამოიხატავენ.

ამ პროცესში საკვანძო მნიშვნელობა აქვს თანატოლი მედიატორის დასმულ კითხვებს. ფერნანდესი და მისი კოლეგები აღნიშნავენ, რომ ის მედიატორები, რომელთაც გაიარეს ტრენინგი აქტიური მოსმენის უნარებში, სწავლობენ ისეთი შეკითხვების დასმას, რომლებშიც ჩანს მათი მგრძნობიარე მიდგომა სიტუაციისადმი და თანაგრძნობა დავაში მონაწილე ყოველი მხარის ემოციებისადმი.

ამასთან, მედიატორები უნდა გასცდნენ თანაგრძნობის ფარგლებს და პრობლემის გადაწყვეტაზე გადავიდნენ ისე, რომ დავის მონაწილეებმა შეძლონ კონფლიქტიდან გადაწყვეტილების მიღებაზე გადასვლა. სწორედ ამ ეტაპზე, ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს კომუნიკაციის უნარი. მედიატორებმა სიტყვების შერჩევით, ხმის ტონით, საუბრის რითმით უნდა აჩვენონ, რომ სჯერათ პრობლემის გადაწყვეტის რეალური შესაძლებლობის.

გარდა ამისა, მედიატორებმა სათანადო მომზადება უნდა გაიარონ, რომ ხელი შეუწყონ მთხრობელის მიერ ამბის პირველ პირში თხრობას, რათა თითოეულმა მონაწილემ მოყვეს თავისი თავგადასავალი, მაგრამ არ განსაჯოს და არ დასცინოს ჯგუფის სხვა წევრს მისი მონაყოლის გამო. პირველ პირში ნაამბობი იძლევა თვითდამკვიდრების შესაძლებლობას. თითოეული იწყებს იმის სწავლას, რომ მისი გამოცდილება არსებობს სხვა გარემოებებისგან დამოუკიდებლად, რომ საჭიროა სხვათა გამოცდილების პატივისცემა, რამდენად განსხვავებულადაც უნდა ჩანდეს თავიდან.

პარადოქსულია, რომ ინდივიდუალობის დამკვიდრების პროცესში მონაწილეები, არსებული განსხვავებების მიუხედავად, ღრმა ურთიერთთავაგებას აღწევენ, რადგან ხედავენ, რომ მათ შორისაც ბევრი რამაა საერთო.

## საკვანძო საკითხები

ამ თავში ჩვენ მიმოვიხილეთ თანატოლთა დახმარების ის მეთოდები, რომლებიც ნაცადი და აპრობირებულია ბევრ ევროპულ ქვეყანაში; გვსურს დავასრულოთ იმ საკვანძო შედეგების შეჯამებით, რომლებიც დღესდღეობით ინტენსიური მსჯელობისა და დებატების საგანია მოსწავლეთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის, აგრეთვე, მოქალაქეობრივი აღზრდის კონტექსტში. ფაქტობრივად, თანამშრომლები, რომლებიც ხელს უწყობენ მეთოდებს თანატოლთა მონაწილეობით, მოუწოდებენ ახალგაზრდებს, გამოამჟღავნონ სხვების პატივისცემა, თანაგრძნობა, კოლეგიალური და დემოკრატიული მოქმედება. მაგალითად, თანამშრომლობითი ურთიერთობების წამახალისებელ კლასში მოსწავლეები ეჩვევიან და სწავლობენ თანამშრომლობას, ურთიერთობების ფორმებს, მათ შორის, კონფლიქტურ ვითარებაშიც. არსებითი ნიშანია დრო და სივრცე, რომელიც ეძლევათ მოსწავლეებს კლასში განვითარებული მოვლენებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების შეჯამებისა და გააზრებისათვის. ხშირად, თანამშრომლები, თანამშრომლობითი ურთიერთობების კლასში რომ მუშაობენ, ოცდებიან მოსწავლეთა უნარით, იმოქმედონ პასუხისმგებობით და დაეხმარონ ერთმანეთს.

როგორც ვვარაუდობდით, უკიდურესად მნიშვნელოვანია იმ როლთა დიაპაზონის ცოდნა, რომელიც შეიძლება მოიხრგონ მოსწავლეებმა. თანატოლთა დახმარების სტრუქტურა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, სხვადასხვა როლში მოსინჯონ თავი: იყვნენ ლიდერები, ჩაინერონ საკლასო ოთახში მიმდინარე დისკუსიები, ცხადად გამოკვეთონ ჯგუფის მიზნები, მიმართონ იუმორს დაძაბული ვითარების განმუხტვისათვის, მოაგვარონ პრობლემა ან შეასრულონ დამხმარე სამუშაოები, მაგალითად, დაალაგონ ოთახი.

თანატოლთა წინამძღოლობით განხორციელებული სტრატეგია სამი ძირითადი მახასიათებლით გამოირჩევა:

პირველი, მოსწავლეები მომზადებულნი არიან მეგობრული წრის ფარგლებს გარეთ ერთობლივი მუშაობისათვის. ურთიერთობის ეს ფორმა ხელს უწყობს წინასწარი მიკერძოებულობის შემცირებას, ნდობის ამაღლებას ეთნიკურ და გენდერულ ჯგუფებს შორის, ეხმარება უარყოფილი და გარიყული ახალგაზრდების ინტეგრაციას თანასწორთა ჯგუფში.

მეორე, მოსწავლეებს ეძლევათ ხელსაყრელი შესაძლებლობა, შეიძინონ კომუნიკაციის უნარი, გაცვალონ ინფორმაცია, იფიქრონ საკუთარ წარმატებებზე. თანატოლთა დახმარების სისტემების შექმნით, მასწავლებლები მოსწავლეებს უქმნიან უწყვეტ შესაძლებლობას, რომ მუდმივად იყვნენ დაკავებულნი ისეთი დავალებებით, რომელთა შესრულებაც მხოლოდ ჯგუფურადაა შესაძლებელი. მაგალითად,

“ბრენსტორმინგის” (გონებრივი შტურმი იდეების შესაგროვებლად) მეთოდის გამოყენება სკოლის ეთოსის გასაუმჯობესებლად ან ჯგუფის წევრების შეგროვებული ინფორმაციის გაერთიანება ბუკლეტის და პოსტერის გამოსაცემად თემაზე, რომელიც ამ ახალგაზრდების საერთო ზრუნვის საგანია - “როგორ ვებრძოლოთ ძალადობას”.

მესამე, თანატოლთა დახმარების სისტემის მეშვეობით განიხილავენ კონფლიქტებს და ცდილობენ მათ გადაჭრას. მოსწავლეები იძენენ კონფლიქტებთან გამკლავების გამოცდილებას, აფასებენ თავიანთ შემოქმედებით პოტენციალს, რამდენად ძალუძთ დაეხმარონ კონფლიქტში მყოფ ინდივიდებს სანდო ურთიერთობების გზების გამოხატვაში. თანატოლთა დახმარების სისტემა იძლევა ერთგვარ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია მოსწავლეთა როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური უსაფრთხოება. მოსწავლეები იაზრებენ თავიანთ შესაძლებლობებს და აფასებენ, რამდენად აქვთ უნარი პასუხისმგებლობა აიღონ როგორც საკუთარი ურთიერთობების წარმართვაზე, ასევე იმ თანატოლთა დახმარებაზე, რომელნიც მოცემული მომენტისათვის სირთულეებს განიცდიან.

თანატოლთა დახმარების კვლევებმა ამ მიდგომის რამოდენიმე უპირატესობა გამოავლინა. მეტად ფაქიზი და ადვილად ტრამვირებადი მოსწავლეებისათვის მეგობრულ თანადგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკუთარი თავისადმი დადებითი ემოციური განწყობის ჩამოყალიბებისათვის. დახმარების პროცესში ასეთ მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გამოხატონ განცდები მათი ცხოვრების იმ ასპექტებთან დაკავშირებით, რომლებიც გულს ტკენს. თანატოლი დამხმარეები აღნიშნავენ, რომ დახმარების პროცესი მათთვის მეტად სასარგებლო იყო – უფრო თავდაჯერებულნი გახდნენ და ისწავლეს სხვების დაფასება. თანამშრომელთა ანგარიშებში ხშირადაა ხაზგასმული, რომ თანატოლთა დახმარების სისტემების დანერგვის შედეგად, სკოლაში უფრო მზრუნველი და უსაფრთხო გარემო შეიქმნა და თანატოლთა შორის ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა (კოუი და სხვ., 2002; კოუი და სარპი, 1996);

კვლევის შედეგები პოზიტიურია. ერთ-ერთი ფართომასშტაბიანი გამოკითხვისას თანატოლ დამხმარეთა 60%-მა აღნიშნა, რომ მათ მიიღეს სასარგებლო გამოცდილება კოლექტიურ მუშაობასა და სხვებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევებში, რაც ტრენინგში მათი მონაწილეობის უშუალო შედეგია. უმრავლესობას (63%) სჯერა, რომ თანატოლთა დახმარების სამსახურმა გავლენა მოახდინა სკოლაზე და გადააქცია ადგილად, სადაც უფრო მისაღებია საუბარი ემოციური და ურთიერთობის საკითხების ირგვლივ. უფროსი ასაკის მოსწავლეები, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ პროექტზე, ერთსულოვნად ადასტურებენ, რომ თანატოლთა დახმარების სამსახური გაცდა ინდივიდის საჭიროებისამებრ დახმარების ფარგლებს – რაც ყველაზე



ღირებულია – და გავლენა მოახდინა მთლიანად სკოლაზე (ნეილორი და კოუი, 1999).

თანატოლთა დახმარების სისტემები დღესდღეობით მისაღები და ღირებულია, რადგან უფრო და უფრო მეტ სკოლაში აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს (კოუი და სხვ., 2002) მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია თანატოლთა დახმარების სისტემების სარგებლიანობაში და მხარს უჭერს მის გამოყენებას როგორც თავიანთი, ასევე მეგობრების საჭიროებების მიხედვით. პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია პროექტზე, აღნიშნავს, რომ მათი კოლეგების დიდი ნაწილი ასევე ამ სისტემების მომხრეა. ამკარაა მშობელთა მხრიდან აღიარებაც. ამ სკოლებში დიდია ნდობა თანატოლთა დახმარების სისტემების მიმართ და რწმენა მათ სარგებლობაში.

დღემდე ჩატარებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ წარმატების გასაღები არის პოტენციური მომხმარებლის საჭიროებებზე დაკვირვება და მოქნილი მონიტორინგი. პერსონალმა, რომელიც ამ მეთოდს ახორციელებს, უნდა გაითვალისწინოს ის სოციალური გარემოც, რომელშიც ისინი მოქმედებენ და შესაბამისი გამოყენება მოუძებნონ ახალგაზრდა თანატოლი დამხმარეების გამოცდილებას. დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი ძალისხმევით მოეკიდებიან ახალგაზრდები ახალი უნარ-ჩვევების ათვისებას და რამდენად მოარგებენ ამ უნარებს კონკრეტულ კონტექსტს.

### სავარჯიშო 5.5: თანატოლთა დახმარება თქვენს სკოლაში

სავარჯიშო 5.1-ის შედეგების ფონზე, რამდენად გეგმავთ თანატოლთა დახმარების სქემის გამოყენებას და განვითარებას თქვენს სკოლაში?

- თქვენი აზრით, რა არის თანატოლთა დახმარების სქემების განვითარების უპირატესობა?
- როგორ ფიქრობთ, რა ძირითადი სირთულეების დაძლევა მოგიწევთ?

## უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა

*მონა ო'მური და სტივენ ჯეიმს მინტონი*

ეს თავი სკოლებს დაეხმარება:

- განიხილონ, რა იგულისხმება ძალადობრივ საქციელში და როგორია მისი ზეგავლენა;
- შეაფასონ სკოლის გარემოს ზეგავლენა მოსწავლეთა ქცევაზე;
- გამოძებნონ უსაფრთხო (უფრო უსაფრთხო) სკოლის გარემოს შექმნის გზები.

სასწავლო წლის განმავლობაში ახალგაზრდების უმრავლესობა სამუშაო დროის 25-30%-ს სკოლაში ატარებს. გონივრული ჩანს იმის მოთხოვნა, რომ სკოლა “იყოს მზრუნველობით სავსე, სადაც მუდმივად გარანტირებული იქნება ყოველი მოსწავლის უფლება, ჰქონდეს უსაფრთხო და ბედნიერი ბავშვობა”. ციტატა White Paper on Education in Ireland (მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო, 1995). ძალადობრივი საქციელის გამოაშკარავებასა და განხილვას დიდი გავლენა აქვს. შედეგად, მოსწავლეებს შიშისა და დაუცველობის ნაცვლად უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის შეგრძნება ეუფლებათ. ძალადობა სკოლაში სიახლე არაა და მსოფლიოს ხვადასხვა ქვეყანაში იგი სხვადასხვა დონეზეა (მინტონი და სხვ., 2005; სმიტი, 2003) დეტალურად იხილეთ პირველ თავში.

### ძალადობა სკოლაში და მისი გავლენა მასში ჩართულ ინდივიდებზე

მოსწავლეთა ძალადობის ტიპების ანალიზმა ევროპული ქვეყნებისათვის ცხადყო, რომ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ვეტენბურგისა და ჰიუბრეგტის (2001) მიხედვით, მოსწავლეთა 90% აღიარებს სიტყვიერი ძალადობის აქტის ჩადენას. ძალადობის ეს ფორმა გულისხმობს სხვათა გალიზიანებასა და შეურაცხყოფას, თან გარკვეული დოზით ტყუილსა ან ჭორს შეიცავს.

მეორე, ძალადობის მეტად განზოგადებული ფორმაა დესტრუქციული საქციელი საკლასო ოთახში. ვეტენბურგი და ჰიუბრეგტი (2001) აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა დაახლოებით ნახევარზე მეტი და ორ მესამედზე ნაკლები სხვადასხვა დროს მონაწილეობს ასეთ ქმედებაში. ძალადობის მესამე, მეტად გავრცელებულ ფორმად ავტორები ასახელებენ ვანდალიზმს. ევროპის მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი ამბობს, რომ ჰქონდა იარაღი ან იყო ბრალეული ისეთ ქმედებებში, როგორცაა ქურდობა, შანტაჟი, სექსუალური დაშინება, ნარკოტიკის ბოროტად გამოყენება. რაც შეეხება ფიზიკურ ძალადობასა და მუქარას, აქ, ძირითადად, მუშტიკრივს ვხვდებით. იმედის მომცემია ის გარემოება, რომ მიუხედავად მედიაში ნაჩვენები ძალადობის ეპიზოდებისა, ფიზიკური ძალადობა იარაღის გამოყენებით, საბედნიეროდ, იშვიათია.

რომ არა ძალადობის მავნე ზემოქმედება სკოლებში, კონკრეტულად კი პიროვნებათა შორის ძალადობა, არ იარსებებდა ჩარევისა და დაცვითი სტრატეგიების დანერგვის საჭიროება. მედიასა და სამეცნიერო ლიტერატურაში უხვადაა სკოლაში ძალადობის მაგალითები. ძალადობის მსხვერპლნი ხშირად განიცდიან ისეთ შეგრძნებებს, როგორცაა რისხვა, იმედგაცრუება, მარტოობა, იზოლაცია, დამცირება, სასონარკვეთა, ფიზიკური ტკივილი და ფიზიკური ტრავმის მიღების შიში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს სისტემატურად მეორდება. შედეგად, ჩნდება ნარუმატებლობის მძაფრი განცდა, ქვეითდება თავის პატივისცემა, რასაც მოსდევს აპათია, დეპრესია, ნერვული მოშლილობა და თვითმკვლელობაც კი (კალტიალა-ჰეინო და სხვები, 1999; ლოულორი, 2002; ო'მური, 2003 რიგები, 1998).

არსებითად, იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ძალადობისა და ყოჩობის მსხვერპლნი გახდნენ, აღნიშნებათ გაცილებით მეტი ფსიქიკური და ფიზიკური პრობლემები, ვიდრე მათ, ვინც დაცულნი იყვნენ ასეთი ქმედებებისგან. ასეთ შემთხვევებში მოსწავლეები ამჯობინებენ სკოლის გაცდენას აგრესიისა და შეურაცხყოფის გამეორების შიშის გამო. სავსებით შესაძლებელია, სკოლის ასაკში განცდილმა ძალადობამ პოსტტრავმული სტრესი გამოიწვიოს, რაც სერიოზული დარღვევაა და პროფესიულ თერაპიას მოითხოვს (ბემაკი და კეისი, 2000).

ძალადობის მსხვერპლთა თემაზე 20 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ორივე სქესისა და ყველა ასაკის მსხვერპლი იღებს ფსიქოსოციალურ სტრესს ნებისმიერი ტიპის აგრესიის შედეგად (ჰოუკერი და ბოულტონი, 2000). ავტორები აღნიშნავენ ემპირიული კვლევების დასკვნებს, რომ “ძალადობის შედეგად ჩნდება უბედურების განცდის ისეთი მოდელი, რომლის იგნორირებაც ველარ ხერხდება”.

მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა სკოლებში შეიძლება ჩაითვალოს პრობლემად, რომელიც ექმნება მხოლოდ ძალადობისა და ყოჩობის

მსხვერპლთ, სულ უფრო მზარდია იმ გამოკვლევების რაოდენობა, რომელსაც მიყვავართ აზრამდე, რომ თავზე დაბალი წარმოდგენის, დეპრესიისა და თვითმკვლელობის იდეის რისკქვეშ არიან ის მოსწავლეებიც, რომლებიც მონაწილეობენ ძალადობაში. რისკი განსაკუთრებით მაღალია იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ერთდროულად არიან როგორც მსხვერპლნი, ასევე – დამნაშავენი (კალტილა-ჰინო და სხვ., 1999; ო'მური და კირკჰემი, 2001; რიგბი, 2002). ამასთან, ზოგიერთი გამოკვლევის მიხედვით, არსებობს კავშირი ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ძალადობასა და ზრდასრულ ასაკში კრიმინალურ ქმედებებს შორის (ოლვეუსი, 1993).

მეტიც, არსებობს მეცნიერული დასაბუთება იმისა, რომ დამკვირვებლები – ძალადობის შემთხვევის პასიური მონაწილეები – თავადაც არიან დაზარალებულნი. იგივე ვრცელდება იმ ზრდასრულ ადამიანებზე, რომლებიც სამუშაო ადგილებზე ხდებიან ასეთი ძალადობის პასიური მონაწილეები (ო'მური, 2003). ინდივიდები, რომლებიც შეესწრნენ ძალადობის ინციდენტს სამუშაო ადგილზე, განიცდიან უფრო მეტ სომატურ სიმპტომს, როგორცაა: მოუსვენარი ძილი, ენერჯის კარგვა, თავის ტკივილი, გაძლიერებული მგრძნობელობა, ემოციური გამოფიტვა და ჩაკეტილობა, ვიდრე ისინი, ვინც ასეთ ინციდენტებს არ შესწრებიან.

ძალადობის ყველა ამ მავნე ზემოქმედების გათვალისწინებით, საკამათო აღარაა, რომ სკოლა ვალდებულია იზრუნოს მოსწავლეებზე და დაიცვას ისინი. ეს განსაკუთრებით ცხადი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლის მოსწავლეების 63% ჩართულია ყოჩობაში, როგორც ყოჩი ან მისი დამხმარე, ან როგორც მსხვერპლი და მისი დამცველი (სალმივალი და სხვ., 1996).

გამოკვლევების საფუძველზე ნათელია, რომ აუცილებელია საკითხისადმი ისეთი ერთიანი სასკოლო მიდგომის შემუშავება, რომელიც ხანგრძლივ დადებით გავლენას იქონიებს სასკოლო გარემოზე (მინტონი და სხვ., 2005). ყოველივე ამის გათვალისწინებით, როგორც ხაზგასმულია საქლინგისა და ტემპლის მიერ, მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ხელმძღვანელობისა და მართვის სტილი და ხარისხი;
- კურიკულუმის ხარისხი და მისი შესრულება;
- სათამაშო მოედანზე ჩასატარებელ აქტივობათა და კურიკულუმის ხარისხი;
- ყოჩობის ინციდენტზე რეაგირებისათვის შემუშავებული და შეთანხმებული პროცედურები;
- საკუთარ თავთან და სხვებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება.

## ძალადობრივი ქმედებები და სასკოლო გარემო

ფლამანდიელ მოსწავლეებზე ვეტენბურგისა და ჰიუბრეგტის (2001) ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი სოციუმის სანინაალმდეგო ქმედებებსა და მოსწავლეებისა და მასწავლებლების ურთიერთდამოკიდებულებას შორის. მათ აღმოაჩინეს, რომ მოსწავლეები ავლებენ მკაფიო ზღვარს კარგ მასწავლებლებსა (რომლებიც მოსწონთ, პატივს სცემენ და თანამშრომლობენ) და ცუდ მასწავლებლებს (რომელთაც უნდა ზღონ) შორის. თავად მოსწავლეების თვალსაზრისით, ეს დამოკიდებულია შემდეგზე:

- მასწავლების პიროვნება და სტილი;
- სწავლების მეთოდი;
- მათი დამოკიდებულება შეთანხმებებისა და წესებისადმი;
- მათი დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი.

მოსწავლეები ცხადად ამბობენ, რომ ძალადობასა და ყოჩობას თანამშრომელთა თუ მოსწავლეთა მხრიდან თავიდან ავიცილებთ, თუ სკოლის თითოეული თანამშრომელი:

- გამოიჩინს ინტერესს მათი საგნის მიღმა საკითხებისადმი;
- შეეცდება, არ იყოს მომაბეზრებელი;
- პერიოდულად ჩაერთვება ხუმრობებში;
- რეაგირებას მოახდენს აქტუალურ საკითხებზე, მოსწავლეთა ინტერესებსა და კულტურაზე;
- დაანებს მკაფიო შეზღუდვებსა და სტანდარტებს;
- იმოქმედებს თანამიმდევრულად წესების დარღვევის შემთხვევაში;
- შეაქებს და ნაახალისებს მოსწავლეების მოქმედებას, თუ ეს მოსწავლეები გამოამჟღავნებენ სოციუმზე ორიენტირებულ საქციელს;
- ანტისოციალური ქცევის გამო მოსწავლის დასჯამდე წინასწარ გააფრთხილებენ მას ამის შესახებ;
- იმოქმედებენ თანამიმდევრულად და სამართლიანად მოეპყრობიან მოსწავლეებს;
- აქტიურად მოუხმენენ მოსწავლეებს, სერიოზულად მიუდგებიან მათ არგუმენტებს;
- იქნებიან თანამედროვენი (თვით ჩაცმის სტილის ჩათვლითაც კი).

### სავარჯიშო 6.1: მოსწავლეთა აზრით, როგორია სკოლის პერსონალის როლი უსაფრთხო საკოლო გარემოს ჩამოყალიბებაში

ქვემოთ წარმოდგენილი ჩამონათვალი მოსწავლეებმა შეადგინეს. თქვენთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, იმჯგუფოთ მის ირგვლივ თქვენი სკოლის მოსწავლეებთან ერთად, ან შესთავაზოთ მათ, შექმნან ანალოგიური ნუსხა. ამასთან, თქვენი სათანადოდ შერჩეული ინფორმაცია დამატებით წვლილს შეიტანს მეორე თავში წარმოდგენილი აუდიტისა და დახმარების გეგმების შემუშავებაში.

რომელი კითხვების ჩართვაა საჭირო აუდიტში იმისათვის, რომ განსაზღვროთ, რამდენად ეფექტიანია თქვენი სკოლის მასწავლებლების მოქმედება ისეთი გარემოს შესაქმნელად, ძალადობრივ საქციელს რომ ამცირებს?

ვეტენბურგისა და ჰიუბრეგტის კვლევაში მოყვანილია მოსწავლეთა განმარტებები ძალადობის შესახებ, საიდანაც ჩანს, რომ სასკოლო მუშაობა მათ გარკვეული წნეხის ქვეშ აქცევდა. ისინი აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის წაყენებული (განსაკუთრებით) მაღალი მოთხოვნები მათ ზედმეტად ღლიდა. “სამუშაო” დღეები ძალიან გრძელი იყო. მუდმივად აკლდათ თავისუფალი დრო, არც გასართობი ადგილები ჰქონდათ საკმარისად გაკვეთილებს შორის და გაკვეთილების შემდეგ დასვენებისათვის, საშინაო დავალებების, ტესტებისა და გამოცდებისათვის მომზადებაც დამლელი იყო.

გარდა ამისა, სკოლაში არის სხვა ელემენტებიც, რომლებიც სწავლის პერიოდში მოსწავლეებს უბიძგებს, რომ საკუთარი თავი ძალადობრივი საქციელით გამოხატონ. ეს ფაქტორებია:

- დიდი რაოდენობით “არ გააკეთო” და “უნდა გააკეთო”, რაც სრულიად ზედმეტია და ზღუდავს მათ თავისუფლებას;
- მასწავლებლები არღვევენ ბევრ წესსა და შეთანხმებას ან თანმიმდევრულად არ ასრულებენ;
- მოსწავლეები არ მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღებაში;
- სკოლის არაადეკვატური ნაგებობა და ინფრასტრუქტურა;
- ელემენტარული კომფორტის მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა.

იმავედროულად, ვეტენბურგის კვლევა არ უარყოფს, რომ სკოლის გარეშე ფაქტორებმა შეიძლება გარკვეული როლი ითამაშოს სასკოლო ძალადობაში. უდავოა, რომ სოციალურმა პირობებმა შეიძლება მოსწავლეებს სკოლაში ძალადობრივი საქციელისაკენ უბიძგოს. თუმცა, სკოლის არსებული გარემო, ამ თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვან-

ნია. ისრაელიდან მიღებული შედეგები ასევე ამყარებს მოსაზრებას, რომ სკოლის გარემომ შეიძლება უფრო მეტი გავლენა იქონიოს ძალადობის ხარისხზე, ვიდრე სკოლის გარეთ არსებულმა მახასიათებლებმა, როგორცაა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ან კრიმინალური ვითარება (ბენბენიშტი და ასტორი, 2003).

უახლესი ევროპული კვლევები უდავოდ იმასვე ამტკიცებს, რაც უფრო ადრე (1979) ნათლად აჩვენა თავის გამოკვლევებში რუტერმა და სხვ.: სკოლას აქვს შესაძლებლობა, რომ არაკეთილისმყოფელი გარემო ფაქტორების მიუხედავად, წარმატებით მოახდინოს სკოლის შიგნით დადებითი ქცევის ნორმების სტიმულაცია და ფორმირება.

## **უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა სკოლებში**

სკოლებში უსაფრთხოებას დღეს იგივე შინაარსი აქვს, რაც შეიმუშავა კონფერენციამ “უფრო უსაფრთხო სკოლების შესახებ” (1997 წლის თებერვალი), რამაც განაპირობა ევროპის კავშირის დანიის საპრეზიდენტო საგანმანათლებლო პროგრამის ფორმირება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უსაფრთხოება სკოლაში გულისხმობს არა მარტო მოსწავლეთა დაცვას, არამედ იმ გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლეები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, შეუძლიათ ისაუბრონ პედაგოგებთან და გახდნენ თავდაჯერებულნი.

როგორ შეიძლება უსაფრთხოების შეგრძნების შექმნა?

## **ტრენინგები კონფლიქტების მოგვარების სფეროში**

სკოლებში უსაფრთხო და (მეტად უსაფრთხო) ატმოსფეროს შესაქმნელად, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ცნობილ რისკ-ფაქტორებზე, რომლებიც ყოჩობასა და ძალადობას უკავშირდება (ვარნავა, 2002). ეჭვგარეშეა, რომ კონფლიქტი ყოველთვის იარსებებს. როგორც ჯონსონი და ჯონსონი (1995) აღნიშნავენ, კონფლიქტი მოსალოდნელია, მაგრამ, გარკვეულწილად, შესაძლებელია მისი კონსტრუქციული მართვაც.

ჯონსონი და ჯონსონი აღნიშნავენ, რომ კონფლიქტს შეიძლება მოჰყვეს დადებითი შედეგებიც, კერძოდ:

- სწავლის მოტივაციის გაზრდა;
- აზროვნების მაღალ დონეზე აყვანა;
- ინფორმაციის ხანგრძლივად დამახსოვრება;
- საღი სოციალური აზროვნების განვითარება;
- მოსწავლეთა გართობა.

- მას ასევე შეუძლია:
- გაამდიდროს ურთიერთობები;
- უზრუნველყოს სიცხადე და გამჭვირვალობა;
- გააძლიეროს ინდივიდის პიროვნული თვისებები;
- გაზარდოს “ეგოს” სიძლიერე;
- ხელი შეუწყოს გამძლეობასა და მდგრადობას არასასურველი ვითარების მიმართ;
- აჩვენოს, რომ მოსწავლეს სჭირდება შეცვლა.

ჯონსონი და ჯონსონის მტკიცებით, ესაა მცდელობა, ხელი შეემალოს და შეფერხდეს იმ კონფლიქტების განვითარება, რომლებიც სკოლებში ძალადობის ინცინდენტებს უწყობენ ხელს. ამის საფუძველზე, მეტად შედეგიანი ჩანს მოსწავლეთა მომზადება კონფლიქტების გადაჭრის საკითხებში. დღემდე არსებული ინფორმაციით, ასეთი ტრენინგების შედეგები მეტად საინტერესოა (კოუი და სხვ. 2002; ფარელი და სხვ., 1998; ო’მური და მაკგუაიერის, მინტონისა და სხვათა ნაშრომში, 2005).

მაგალითად, ო’მური და მაკგუაიერი ასაბუთებენ, რომ თანატოლთა მედიაციის პროგრამა, რომელშიც გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის ყველა მოსწავლე იყო ჩართული, სკოლებს ძალიან დაეხმარა ყოჩობის დონის შემცირებაში. ამ ტრენინგის შედეგად, დადებითად შეიცვალა მოსწავლეთა ხედვა, რაც დაეხმარა მათ, გარკვეულიყვნენ სახლში, მეზობლებსა თუ ნათესავებში წარმოქმნილ კონფლიქტებში და მიელოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. დღესდღეობით, პროგრამა მტკიცეა და დანერგული სასკოლო სტრუქტურაში. სკოლის თითოეული მოსწავლე, დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ, პირველსავე წელს გადის ასეთ ტრენინგს (გოდსილი, 2002).

გარდა ამისა, ტრენინგი შუამავლობაში, კონფლიქტების გადაჭრასთან ერთად, ხელს უწყობს მოსწავლეებში თავდაჯერებისა და საკუთარი ღირსების გრძნობის ამალლებას. შედეგი მიიღწევა ფუნდამენტური უნარების გავარჯიშებით, როგორებიცაა: თანაგრძნობა, ურთიერთ-მოსმენა, თვითდამკვიდრება და თანამშრომლობა. მოსწავლეებს, რომელთაც ეს უნარები აქვთ განვითარებული, შეუძლიათ საკუთარი ემოციების მართვა და სხვათა გრძნობების უკეთესად აღქმა (ფარელი და სხვ., 1998). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უსაფრთხო სკოლის შენეებისას აუცილებელია სათანადოდ შეფასდეს ის როლი, რომელსაც თვითშეფასება თამაშობს ამ პროცესში (სალმივალი და სხვ., 1999; ო’მური და კირკჰემი, 2001).

მე-4 თავში აღწერილია, როგორ შეიძლება კურიკულუმში სოციალური, ემოციური და ქცევის უნარების ჩართვა. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორ ჩაერთვება ტრენინგი კონფლიქტთა გადაჭრის უნარების შესახებ. კანადური პროგრამა “წყნარი გზა” (The



Pacific Path (ICCRM 2001) (იხ. ქვემოთ, სავარჯიშო 6.2) კარგი მაგალითია, რომელიც ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმავალ ერთ-ერთ გზას გვიჩვენებს.

## სავარჯიშო 6.2: კონფლიქტების მოგვარების სწავლებისათვის საჭირო რესურსების ანალიზი

ევროპაში სწრაფად იზრდება მოსწავლეთა ტრენინგების რაოდენობა კონფლიქტების მოგვარებისა და შუამავლობის საკითხებში. შესაძლოა, ასეთი პროგრამა თქვენს სკოლაშიც მოქმედებს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს თქვენს დაინტერესებას სხვა არსებული რესურსებით, როგორცაა წყნარი გზის პროგრამა, რომელიც ხელმისაწვდომია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე <http://www.iccrm.com>.

გაერთიანებულ სამეფოში დღეს უკვე შესაძლებელი ხდება სკოლის პერსონალის განვრთვა ისეთ ორგანიზაციებში, როგორცაა “კონფლიქტთა გარდაქმნა” (Transforming Conflict) <http://www.transforming-conflict.org> და “რეალური სამართლიანობა” (Real Justice) <http://www.realjuiste.org>.

### **კონკრეტული მაგალითი: ოჯახი/სკოლა/გარემო – პროექტი გრენის სკოლაში**

მოსწავლეთა და თვით მასწავლებელთათვის უსაფრთხო და მზრუნველი გარემოს შესაქმნელად უმთავრეს ფაქტორთა მნიშვნელობას წარმოაჩენს კონკრეტული მაგალითი ნორვეგიის სკოლაში, სადაც სერიოზულმა სირთულეებმა იჩინა თავი ძალადობის ესკალაციის გამო.

გრენის სკოლა მდებარეობს ფურუსეტში, ოსლოს მრავალკულტურულ რაიონში. ამ სკოლაში სწავლობს 6-დან 15 წლამდე ასაკის 450 მოსწავლე. მოსწავლეთა 62% არანორვეგიული წარმოშობისაა (სოლოი, 1998), 68.3%-ის მშობლიური ენა არ არის ნორვეგიული (ო’მური და მინტონი 2002). 1997 წლის იანვარში ეროვნულმა ჟურნალმა Astnposten დაბეჭდა:

“ძალადობა, იარაღის გამოყენება, მუქარა მოსწავლეებისა და მასწავლებლების მისამართით, ვანდალიზმი გრენის სკოლაში ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა. მოსწავლეთა ჯგუფები აკონტროლებდნენ სკოლას ტერორის გზით, პერსონალი და ხელმძღვანელობა უკიდურესად საჭიროებდა დახმარებას... დირექტორმა და პერსონალმა მთლიანად დაკარგეს სიტუაციაზე კონტროლი (როლანდი და სხვ., 2001, გვ.24-5).

1997 წლის აგვისტოში დაიწყო პროექტი ოჯახი/სკოლა/გარემო (სკოლის მმართველი ხელმძღვანელობისა და სტავანგერის უნივერსიტეტის კოლეჯის ბიჰევიორისტული კვლევის ცენტრის ერთობლივი პროექტი). პროექტს ეკონომიკურად დაეხმარა ბავშვთა და ოჯახის

საქმეთა სამინისტრო და ოსლოს თემი. ოთხი წლის განმავლობაში დაინერგა ჩარევის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის:

- ბიჰევიორისტული კვლევის ცენტრის ტრენინგები სკოლის თანამშრომელთათვის;
- მშობელთა და სკოლის პერსონალს შორის, აგრეთვე სკოლის პერსონალის შიგნით თანამშრომლობის გაუმჯობესება და სრულყოფა;
- მოსწავლეთათვის განკუთვნილი აქტივობანი;
- სკოლის ფიზიკურ-ესთეტიკური გარემოს გაუმჯობესება;
- სპეციალისტებისა და არანორვეგიული წარმოშობის პერსონალის სამუშაოზე აყვანა;
- სკოლის ტრადიციების შექმნა; სკოლის, როგორც “კულტურული სახლის” ფორმირება;
- განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება სოციალურ კომპეტენტურობაზე.

2001 წლის აგვისტოში, დამოუკიდებელმა შემფასებელმა ჯგუფმა (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. ო’მური და მინტონი, 2001) გამოავლინა რამოდენიმე რეალური მიღწევა:

შემცირდა:

- ძალადობა სკოლის ზრდასრული პერსონალის მიმართ;
- მოსწავლეთათვის მიყენებული ძალადობით გამონვეული ზიანი;
- ბანდების ჩადენილი ძალადობა სკოლაში;
- გარიცხვის შემთხვევები;
- ვანდალიზმი.

გაუმჯობესდა:

- თანამშრომლობა მშობლებთან;
- პერსონალის შერჩევა და შენარჩუნება;
- სკოლის შეფასება მოსწავლეთა მხრიდან.

გარემონტდა და სრულიად შეიცვალა სკოლა, რომელიც ოცდაოთხი წლის განმავლობაში არ შეკეთებულა. სკოლა გადაიღება იმ ფერებით, რომლებიც თავად მოსწავლეებმა შეარჩიეს. კარგად მოფიქრებული სვლა იყო მოსწავლეთა შემოქმედებითი ნამუშევრების გამოფენა, სპეციალური დეკორაციები ფესტივალებისა და არდადეგებისათვის.

მნიშვნელოვნად შემცირდა სკოლის ხარჯები ვანდალური აქტების შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენაზე. 1996 წელს დამ-

ტვრეული ფანჯრებისა და კარების აღდგენის საფასურმა 120 000 ნორვეგიული კრონერი შეადგინა (15 023 ევრო), ხოლო კედლის წარწერებისა და ნახატების გადაღებვას 113 000 ნორვეგიული კრონერი დასჭირდა (14 147 ევრო). 2000 წლისათვის ეს ხარჯები, შესაბამისად, 5990 (750 ევრო) და 20 040 (2 509 ევრო) კრონერამდე შემცირდა (ო'მური და მინტონი, 2002).

გრენის სკოლის პროექტმა წარმოაჩინა წარმატების ხუთი საფუძველი:

- მედიაციის სამსახურის დანერგვა;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის გამოყენება;
- საგნის სპეციალისტი მასწავლებლების გამოყენება;
- მშობლებთან თანამშრომლობა;
- ტრენინგების ჩატარება სკოლის პერსონალისათვის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან (მოსწავლეებსა და მშობლებთან) ურთიერთობის საქმეში.

გრენის პროექტის წარმატების მთავარ გასაღებად მიდგომათა ფართო სპექტრის გამოყენება აღიარეს. როგორც სკოლის დირექტორმა თქვა: “ეს იყო არა ერთი გონივრული მიგნება, არამედ ბევრი პატარა-პატარა მოქმედების ჯამი, რომელმაც წარმატებამდე მიგვიყვანა” (როლანდი და სხვ., 2001).

აღნიშნული პროექტის წყალობით, გრენის სკოლამ რამოდენიმე წამახალისებელი ჯილდო და პრიზი დაიმსახურა. 1998 წლის ნოემბერში, პროექტის მოქმედების დაწყებიდან 14 თვის შემდეგ (უფრო მცირე დროში, ვიდრე პროექტის ხანგრძლივობის ნახევარი), ჟურნალი Aftenspoten-ი (ადრე რომ სკოლას ძალიან აკრიტიკებდა) თავის წამყვან სტატიაში იუწყებოდა: “გრენის სკოლამ ყოველდღიური ძალადობის ანტიდოტი აღმოაჩინა” (სოლოი, 1998).

### **ფიზიკური უსაფრთხოების ხელშეწყობის საფეხურები**

მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიაში სასკოლო ძალადობის დონე “ზომიერად დაბალია” (მეცნიერებისა და განათლების დეპარტამენტი, 1999), საზოგადოების აღქმით, ძალადობის მსგავსი პრობლემები პროგრესირებს (გლენდენინგი, 1999, გვ. 353). ამ ვითარებაზე რეაგირების მიზნით, მეცნიერებისა და განათლების დეპარტამენტმა, 1999 წელს გამოსცა “სახელმძღვანელო პრინციპები სკოლაში ძალადობაზე”, რომელიც საშუალო სკოლების ხელმძღვანელებისათვის არის განკუთვნილი და რეკომენდაციას იძლევა, გაითვალისწინონ შემდეგი:

- სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების, ჯანდაცვისა და კეთილდღეობის აქტის (1989) მიხედვით, სკოლის ადმინისტრაციას ეკისრება

ვალდებულება, რომ იზრუნოს დაქირავებულთა უსაფრთხოებაზე, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე და სკოლაში შესაბამისი გარემოს შექმნაზე;

- სკოლებში უნდა დაინერგოს პროცედურები ძალადობასთან დაკავშირებით, მათ შორის, საჩივრის წარდგენის ადეკვატური პროცედურა;
- სკოლასა და ოჯახს შორის აუცილებლად უნდა არსებობდეს კარგი ურთიერთობები;
- ამალდეს სკოლის პერსონალის ცოდნა ძალადობის, ყოჩობის, დისციპლინის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პოლიტიკის ირგვლივ, პერსონალმა განიხილოს ამ თემასთან დაკავშირებული საკითხები;
- სკოლაში შეიზღუდოს ვიზიტორთა დაშვება, სათამაშო მოედანზე გამოიყენონ ნიშნულები; ვიზიტორებმა იქონიონ საშვები და იმყოფებოდნენ მათთვის განსაზღვრულ ადგილას;
- გარკვეულ ადგილებზე შესვლის უფლება მხოლოდ მასწავლებლებს უნდა მიეცეთ, ხოლო მშობელთა და მასწავლებელთა შეხვედრები სასკოლო გეგმის მიხედვით ჩატარდეს;
- დაინერგოს და გატარდეს უსაფრთხოების ღონისძიებები;
- შედგეს დისციპლინის კოდექსი, რომლის მიხედვით, მასწავლებელთა წინააღმდეგ ძალადობრივი საქციელი სერიოზულ დარღვევად განიხილება, და, შესაძლოა, დაკავების მიზეზიც გახდეს.

### **ძალადობრივ ქმედებებში ჩართვის რისკის შეფასება**

ირლანდიის მასწავლებელთა ნაციონალური ორგანიზაციის (INTO) 1993 წლის და მეცნიერებისა და განათლების დეპარტამენტის 1997 წლის მონაცემების მიხედვით, ირლანდიის სკოლებში არადისციპლინირებულობის დაბალი დონის მიუხედავად, ბევრ სკოლაში (კერძოდ, ქალაქის ეკონომიკურად სუსტ და საშუალო სკოლებში) ჯერ კიდევ არსებობს “განუხრელად დესტრუქციულ” მოსწავლეთა ბირთვი.

1993 წლის ნოემბერში INTO-მ წარმოადგინა “ანგარიში დანყებით სკოლებში დისციპლინის შესახებ”, რომელიც 452 სკოლის გამოკითხვას დაეყრდნო. მათგან 91%-მა განაცხადა, რომ ფიზიკური ყოჩობა მათ სკოლაში პრობლემაა, 77% სერიოზულ დისციპლინარულ პრობლემად მოსწავლეთა 5%-ის საქციელს აფასებდა, 70% აზრით კი, მოსწავლეთა 10%-ის საქციელი ქმნის მცირე დისციპლინარულ პრობლემას.

INTO-ს მიხედვით, სკოლებში დისციპლინის პრობლემას განაპირობებს ოჯახური და ფსიქოლოგიური ფაქტორები, ასევე სასკოლო გარემო. მათ შორის: ოჯახის დაბალი სოციალური და მატერიალური

დონე, მშობლების უმუშევრობა, ღარიბული საცხოვრებელი ადგილი და სასკოლო გარემოცვა.

ო'მურმა ჩაატარა კვლევა ირლანდიის სკოლებში ყოჩური ქცევის შესახებ. კვლევის შედეგები ნათელს ჰფენს საკითხს, როგორ იქნან იდენტიფიცირებული მოსწავლეები რისკის ჯგუფიდან. ყოჩური ქცევა გაცილებით ხშირია იმ საშუალო სკოლებში, სადაც დიდნილად დაბალი სოციალური და ეკონომიკური ფენიდან გამოსული მოსწავლეები იყრიან თავს (ო'მური და სხვ., 1997).

გარდა ამისა, მართალია, ირლანდიაში სხვა ეროვნების რეზიდენტთა რიცხვი მცირეა, ეთნიკური კუთვნილება, როგორც ჩანს, მაინც ერთ-ერთი ფაქტორია: დაწყებითი სკოლის მოსწავლე გოგონათა 7% და ბიჭების 9%, ხოლო საშუალო სკოლის გოგონათა 4.8% და ბიჭების 8.1% აღნიშნავენ: “მე მომმართავდნენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით ჩემი ფერისა და რასის გამო” (ო'მური და სხვ., 1997). INTO-ს გამოკითხულ სკოლათა ერთმა მესამედმა დაადასტურა ყოჩობის შემთხვევების არსებობა ეთნიკურ-რასობრივი ნიშნით.

როგორც კარლსონი და კასავანტი აღნიშნავენ, ირლანდიაში დროებით ჩამოსული მოსწავლეები “ხშირად ხდებიან წინასწარი განწყობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი”. ამაზე მიუთითებს სხვადასხვა სკოლაში შეგროვებული მონაცემები. ზოგიერთი სკოლა უარს ეუბნება დროებით ჩამოსულ მოსწავლეებს სკოლაში მიღებაზე. თავად მასწავლებლებიც ცოტას მოეღიან მათგან აკადემიური მოსწრების თვალსაზრისით. დროებით ჩამოსულ მოსწავლეებს, ძირითადად, ბიჭებს, კლასში დისციპლინის დამრღვევებისა და ჩხუბისთავების რეპუტაცია აქვთ. კარლსონი და კასავანტი ამას იმით ხსნიან, რომ განსხვავებულია ადგილობრივი და დროებით ჩამოსული მოსახლეობის კულტურა აგრესიულ ქცევასთან მიმართებით: “აგრესია დროებით ჩამოსულთა კულტურის ნაწილია და ბიჭებში “კარგ ტონადაც” კი ითვლება, რამდენადაც გაბატონებულია აზრი, რომ ცხოვრება დაუნდობელია და თავის გასატანად ჩხუბიც უნდა ისწავლო.”

წინა სამმა კვლევამ ცხადყო, რომ ყოჩური ქცევა უფრო ხშირია იმ მოსწავლეთა შორის, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ ემოციური, ქცევის და შეთვისების თვალსაზრისით. ო'მურისა და ჰილერის (1989) კვლევების მიხედვით, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთა დაწყებით კლასებში 35.8% ჩაგრავს თანატოლებს, სხვა კლასებში კი - 26.5%. ბირნიმ (1987) აღმოაჩინა, რომ განსაკუთრებული საჭიროებების მოსწავლეთა საშუალო კლასებში ყოჩობს 9%, სხვა კლასებში კი - მხოლოდ 5%. ნიირგჰაილი (1992) იკვლევდა დუბლინის ოთხ დაწყებით სკოლას. შედეგებმა გამოავლინა, რომ ჩვეულებრივ კლასებში ხშირად ყოჩობს ან მსხვერპლი ხდება მოსწავლეთა 9.2%, ხოლო განსაკუთრებული საჭიროებების მოსწავლეთა კლასებში - 25.9%. გარდა ამისა, ჩვეულებრივ კლასებში შიგადაშიგ ყოჩობს

მოსწავლეთა 33.3%, ხოლო განსაკუთრებული საჭიროებების ბავშვთა კლასებში ეს მაჩვენებელი 61.1%-მდე იზრდება. თუმცა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, განსაკუთრებული საჭიროებების კლასებსა და სპეციალურ სკოლებში ძალადობის პრობლემას ვერ უპასუხებს თანამედროვე ევროპული ფართომასშტაბიანი კვლევითი პროექტები.

### სახიფათო ადგილების განსაზღვრა

ირლანდიის სკოლებში, ო'მურის კვლევის ფარგლებში (ო'მური და სხვ., 1997), მოსწავლეებს ეკითხოვდნენ, სად მოხდა მათზე ყოჩობა. დაწყებითი და შემდგომი კლასების მოსწავლეთა პასუხები ასეთია:

ყოჩობის ადგილი	დაწყებითი კლასების მოსწავლეები	შემდგომი კლასების მოსწავლეები
სათამაშო მოედანზე	74%	27%
საკლასო ოთახში	31%	47%
დერეფანში	7%	37%
სხვა ადგილებში*	16%	15%

\* "სხვა ადგილებში" იგულისხმება: ტუალეტი, გასახდელი, ნივთების შესანახი ადგილები და საძინებელი სკოლა-ინტერნატებში

კვლევისას მოსწავლეებს თხოვეს, ჩამოეწერათ, მათი აზრით, როგორ აღმოიფხვრებოდა ყოჩობა. გამოიკვეთა საინტერესო შედეგები: მოსწავლეთა 65%-მა საერთოდ არ უპასუხა კითხვას; 2.6% განაცხადა, რომ საჭიროა ეზოში მორიგე მასწავლებლების რაოდენობის გაზრდა; 1.3%-ის აზრით კი, სკოლაში სათვალთვალ კამერები უნდა დამონტაჟდეს (ო'მური და მინტონი, 2003). გრენის სკოლაში განხორციელებული პროექტის - ოჯახი/სკოლა/გარემო ფარგლებში, მოსწავლეთა და მოზრდილთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ძალადობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, დაწესდა მასწავლებლთა მორიგეობა ეზოში. თან, მორიგეებს მკვეთრი, თვალში საცემი ფერის ჟილეტები ეცვათ (ო'მური და მინტონი, 2002). იგივე ღონისძიებას ითვალისწინებს ყოჩობის საწინააღმდეგო პროგრამა "ზერო" (Zero) ნორვეგიული სკოლებისათვის, რომელსაც ბიჰევიორისტული კვლევითი ცენტრი ახორციელებს.

**სავარჯიშო 6.3: სახიფათო ადგილების გაუვნებელყოფა**

სკოლას შეიძლება ჰქონდეს მონაცემები ძალადობის, მათ შორის, ყოჩობის შემთხვევებისა და სხეულის დაზიანებების შესახებ. შესაძლებელია ამ მონაცემთა გაანალიზება შემთხვევის ადგილისა და დროის იდენტიფიკაციისათვის.

თუ მსგავსი ინფორმაცია არ გაქვთ, გამოგადგებათ მე-2 თავში მოცემული ინციდენტის ანგარიშის ფორმა. აქვეა განმარტებული მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის წესი აუდიტის პროცესში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ინციდენტის ანგარიშის ფორმა ზუსტად ვერ ასახავს მოსწავლეთა პირადი უსაფრთხოების განცდას. სასურველია, მოგვიანებით ჩატარდეს მცირე, უფრო მრავალმხრივი გამოკითხვა, რათა დადგინდეს, სად და როდის გრძნობენ მოსწავლეები თავს უსაფრთხოდ.

განსხვავებული სახიფათო ადგილებისთვის პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზები არსებობს. ამ და მე-5 თავში მოცემული იდეები დაგეხმარებათ, მოსწავლეთა მხარდაჭერით კარგად დაგეგმოთ ღონისძიებები ვითარების გასაუმჯობესებლად.

**არაძალადობის ეთოსის შექმნა ხელოვნების საშუალებით**

ქვემოთ წარმოდგენილი მაგალითები გვიჩვენებს, თუ როგორ გამოიყენება გამომსახველობითი და საშემსრულებლო ხელოვნება სკოლაში არაძალადობის გარემოს გასაუმჯობესებლად და კონვივენსიის დასამკვიდრებლად. ამ პროცესში მოსწავლეები თავად ცვლიან სამუშაო გარემოს და ითვისებენ სხვებთან ურთიერთობისა თუ გამოხატვის უნარებს, რაც განავითარებს სოციალურ, ემოციურ და ბიჰევიორისტულ უნარ-ჩვევებს.

*პოსტერები და ნახატები.* ბევრ ახალგაზრდას ძალიან უყვარს ხატვა და გაფორმება. სხვებს შეუძლიათ კომპიუტერით პოსტერები, ფლაერები და დოკუმენტები დაამზადონ მაღალ პროფესიულ დონეზე. გამომსახველობითი ხელოვნება მარტივი და, ამასთან, ეფექტიანი გზაა ახალგაზრდების შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოსავლენად. ამ გზით ისინი თავიანთ მესიჯს აგზავნიან ძალადობის წინააღმდეგ. უმცროსი ასაკის მოსწავლეებიც კი ისე ხატავენ, რომ გასაოცრად გამოსახავენ ყოჩობის მათეულ გაგებას. უფროსი ასაკის მოსწავლეები კი პოსტერების დასამზადებლად იყენებენ თავიანთ გამოცდილებას, კერძოდ, ნიმუშებს პოპულარული მედიიდან თუ რეკლამებიდან და ამგვარად უპირისპირდებიან ყოჩობას.

*სკულპტურა.* მეტად ფაქიზი ემოციური ბუნების ახალგაზრდებს (და თვით ზრდასრულ კურატორებს) შეუძლიათ არატრადიციული სკულ-

პტურის მეშვეობით გადმოსცენ თავიანთი ყველაზე სუფთა ნლების აღმადგენა. ასეთი ხელოვნების ნიმუშები ამდიდრებს სკოლის გარემოს. ამასთან, შემოქმედებითი პროცესის გამოყენება შესაძლებელია სკულპტორთათვის ძალადობის წინააღმდეგ მიმართული გზავნილების ჩასანერგად. მაგალითად გამოდგება სკულპტურა, რომელიც ბოთლებისაგან გააკეთეს. მოსწავლეებს შეუძლიათ გადააკეთონ ბოთლები რადაც უნდათ, მისცენ მათ ნებისმიერი ფორმა, მაგრამ აუცილებლად უნდა დაიცვან ერთი ძირითადი წესი: ნამუშევარი რამეს უნდა ამბობდეს ძალადობის აღსაკვეთად ჩატარებული სამუშაოს შესახებ.

მეორე ძირითადი წესი ასეთია: სკულპტურაზე ერთობლივი მუშაობის პროცესში, დაახლოებით, 15 წუთში ერთხელ, კურატორი მოსწავლეებს აჩერებს და სთხოვს წრეში ჩადგენ, რათა ერთად განიხილონ, როგორ მიდის სკულპტურის კეთება. კურატორი უნდა შეეცადოს, რომ ჯგუფს საინტერესო კითხვები დაუსვას, რათა ხელი შეუწყოს დისკუსიის წარმართვას კლასში: “მოცემული დავალება ადვილია, თუ იმაზე რთული, ვიდრე ვარაუდობდით?”, “რას უნდა ნიშნავდეს საკუთარი ფიქრებისა და განცდების გადმოცემა სკულპტურაზე მუშაობის გზით?”, “გეხმარებათ ეს პროცესი, იფიქროთ ყოჩურ ქცევაზე და წინ აღუდგეთ მას სხვადასხვა გზით?”, “რას ფიქრობთ ნამუშევრების გამოფენაზე?”.

და ბოლოს, საჯარო გამოფენა: ბოთლებისაგან გაკეთებული სკულპტურები, ხშირად, ძალიან მიმზიდველია. მათი ზომების გამო გამოფენის მონყობაც ძალიან მარტივია. თუმცა, თუ მოსწავლეებს ეს არ სურთ, მათი აზრი აუცილებლად გასათვალისწინებელია.

*მუსიკა.* მუსიკალური კომპოზიცია ძალიან პოპულარულია მოსწავლეთა ერთ ნაწილს შორის და ეფექტისათვის დამატებითი გაფორმება არ სჭირდება. სიმღერის ტექსტის დაწერა, რითმისა და მარტივი ვოკალური მელოდიების შექმნა შეუძლია ყველას, უმცროსი ასაკის მოსწავლეებსაც და მათაც, ვინც თავს “ძალიან არამუსიკალურად” თვლის.

*დრამა, ფილმი და წარმოდგენა.* წარმოდგენების გამართვა ძალიან სასარგებლოა მოსწავლეთა ცოდნის გასაღრმავებლად სხვადასხვა საკითხის გარშემო. თუმცა, არსებობს ერთი საშიშროება: არასწორმა შერჩევამ შეიძლება გამოიწვიოს იმ მოსწავლეთა ხელახალი ტრამვირება, რომლებიც “რეალურად” იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი. შესაძლოა, უმჯობესი იყოს, მათი გამოყენება ძალადობისა და ყოჩური ქცევის გარშემო საკვანძო საკითხების მიმოხილვაში, როგორებიცაა თანატოლთა ზეწოლა, მეგობრობის დინამიკა და “გრძნობების მართვა”.

დრამა არის ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეუძლია იყოს ძლიერი მედიუმი, რომელსაც მითითება ახასიათებს. სკოლებს შეუძლიათ წარ-



მატებით გამოიყენონ რამდენიმე პიესა ყოჩობის საწინააღმდეგო შინაარსით. შესაძლებელია სკოლაში ორიგინალური პიესის დადგმაც, მაგრამ ამ შემთხვევაში მოსწავლეებს სცენარის რედაქტირება უნდა შეეძლოს. ფილმის სცენარის შექმნის პროცესი დაეხმარება ბავშვებს ძალადობისა და ყოჩობის პრობლემისა და მისი შედეგების აღქმასა და შეფასებაში.

### **ძირითადი სოციალური უნარების განვითარება: სიბრაზის მართვა**

ბევრი ახალგაზრდა ხდება ძალადობის თანამონაწილე იმიტომ, რომ მას არ შეუძლია ან ეძნელება გააკონტროლოს თავი გაბრაზების დროს. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე სიბრაზეს გამოხატავს ორი შესაძლო ფორმით. პირველი, მოსწავლეს გარეთ გამოაქვს სიბრაზე (გაბრაზება შეიძლება გამოიწვიოს შემთხვევამ სახლში (მაგალითად, კონფლიქტი მშობლებს შორის) ან სკოლაში (მაგალითად, მოსწავლემ შეიძლება ჩათვალოს, რომ მასწავლებელი უსამართლოდ მოექცა)). ასეთ დროს მოსწავლე ბოლმას ანთხევს “უსაფრთხო სამიზნეზე”, რაც ტიპურია ყოჩობის დროს. მეორე, მოსწავლე სიბრაზეს გულში იკლავს. ამ დროს ემოცია გროვდება საკუთარ თავში, რაც იმედგაცრუებისა და სიძულვილის მძაფრ განცდას იწვევს. შესაძლოა, ამან მოსწავლე საკუთარი თავისადმი ზიანის მიყენებამდე ან თვითმკვლელობის იდეამდეც კი მიიყვანოს. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია, მოსწავლეები წავახალისოთ, რომ მათ თავიანთი მძაფრი განცდებისა და ემოციების მიზეზები სხვებსაც გაუზიარონ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსწავლეებმა თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა შეისწავლონ სიბრაზის ფენომენი და მასთან ურთიერთობა.

### **სავარჯიშო 6.4: როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს სიბრაზის მართვაში**

ქვემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციები დაეხმარება სკოლებს, რომ ურთიერთობების, ემოციური და ქცევითი უნარების სწავლებაში სიბრაზის მართვის ტრენინგი ჩართონ.

სიბრაზის მართვის საკითხზე რამდენიმე პროგრამა მომზადდა და გამოიცა. ეს პროგრამები კონფლიქტის მოგვარების პროგრამების უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენენ. ქვემოთ მოცემული სავარჯიშოები დაეხმარება სკოლებს სიბრაზის მართვის პროგრამის შემუშავებაში საწყის ეტაპზე.

ქვემოთ მოყვანილია ტიპური შეკითხვები, რომლებიც შეიძლება დაისვას საკლასო განხილვებისა ან უფრო ფორმალური მეცადინეობების დროს:

- როგორია სიბრაზის განცდა? როდესაც ინდივიდი ბრაზდება, მისი ფიზიოლოგია იცვლება - გულისცემისა და სუნთქვის სიხშირე იზრდება, სისხლის მიმოქცევა ძლიერდება, კუნთები იჭიმება, მუცლის არეში და ზემოთ აფრიალებთ (“პეპლების შეგრძნება”). ეს სიმპტომები ახალგაზრდებმა უნდა აღიქვან, როგორც სხეულიდან მიღებული “გამაფრთხილებელი ნიშნები”: “თუ თავს ამგვარად გრძნობთ და თან რაღაც გალიზიანებთ, იზრუნეთ თავის დამშვიდებაზე!”
- როგორ იქცევით როცა ბრაზდებით? ისაუბრეთ იმის შესახებ, რომ სიბრაზის დროს სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვაგვარად იქცევა. ერთმა სიბრაზე, შესაძლოა, კვილით და ყვირილით გამოხატოს, მეორემ შეიძლება იტიროს (ეს არის სიბრაზისა და ფრუსტრაციის ცრემლები, და არა სევდით გამოწვეული ცრემლი). ზოგ ადამიანს შეუძლია სრული სიჩუმე შეინარჩუნოს. მოსწავლეებმა უნდა იფიქრონ მათი გაბრაზების სტილზე;
- რა გვაბრაზებს? მოსწავლეებთან უნდა ვისაუბროთ იმაზე, რომ ადამიანები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ საგნებს და სხვადასხვა რამეზე ბრაზდებიან. მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ და, იქნებ, ჩამოწერონ კიდეც, რა აბრაზებთ. “თუ თქვენი სიბრაზე პრობლემებს გიქმნით, შეგიძლიათ თავი აარიდოთ, რაც გაბრაზებთ, ან სხვაგვარად შეხედოთ მას?”
- სიბრაზის გრძნობასთან გამკლავების რა გზები შეიძლება გამოვინახოთ? მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ მრავალი განსხვავებული გზა არსებობს. ზოგჯერ ადამიანი მარტივად დაოკდება გონებაში ათამდე დათვლით. ეს აშოშმინებს მას და იძლევა დამშვიდებისა და თავის გაკონტროლების შანსს. ზოგი სიბრაზის დასაცხრომად ამჯობინებს სასიამოვნო, მშვიდი ან სახალისო ამბის გახსენებას. სხვები იწყებენ ან უერთდებიან ისეთ თემაზე საუბარს, რომელიც განსხვავდება მათი სიბრაზის წყაროსაგან. არიან ისეთებიც, ვინც განიტვირთება სანდო ადამიანთან განდობით ისე, რომ ზიანს არ მიაყენებს არავის. და ბოლოს, ზოგი სიბრაზეს განდევნის სპორტული ან სხვა სახის ვარჯიშით. თუ მოსწავლეებს აქვთ სიბრაზის კონტროლის პრობლემა, მით უფრო, თუ ადრე ამის გამო პრობლემებს წაწყდომიან, ხელი უნდა შევუწყოთ სიბრაზესთან გამკლავების გზების გამოძებნაში. თან უნდა გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა ვითარებაში სხვადასხვა მეთოდი გამოდგება.

**ძირითადი სოციალური უნარების განვითარება: ხასიათის სიმტკიცე**

ხასიათის სიმტკიცე შესანიშნავი თვისებაა იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ძალადობის მსხვერპლად იქცნენ ან მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. თუმცა, ეს თვისება უნდა გამოიყენონ მხოლოდ სიტყვიერ

აგრესიასა ან ყოჩობასთან გასამკლავებლად. თუ მოსწავლეები ფიზიკურ ზენოლას განიცდიან, მათ აუცილებლად უნდა მიმართონ ვინმეს დახმარებისათვის.

მარტივი ასახსნელია, რატომ ეხმარება ხასიათის სიმტკიცე ძალადობასთან გამკლავებას: მოსწავლეებს უნდა განუზრტოთ, რომ აგრესიული ადამიანების მიზანია თავიანთი მსხვერპლის წყობიდან გამოყვანა. ეს შეიძლება იყოს ტირილი, გაბრაზება, წყენა და კონტროლის დაკარგვა. აქედან გამომდინარე, თუ ვინმე შეძლებს, არ შეიმჩნიოს წყენა, აგრესორი შეეცდება ამისთვის სხვა გზა გამოიხატოს. თუ მსხვერპლი მოახერხებს წყენის უგულვებელყოფას, აგრესორი ნებდება, ან ვინმე სხვაზე გადაინაცვლებს. მაშინაც კი, თუ მსხვერპლი გულში ნაწყენი რჩება, მაგრამ გარეგნულად სიბრაზეს არ ამჟღავნებს, ამით აგრესორს ეუბნება: “შენ ვერ მიაღწიე საწადელს!” ხასიათის სიმტკიცე ახალგაზრდებს უნდა განუზრტოთ, როგორც გვერდში ამოდგომა აგრესიისა და ძალადობის გარეშე. გვერდში ამოდგომა კი უნდა ნიშნავდეს ბრძოლას, ოღონდ არაფიზიკურს.

### სავარჯიშო 6.5: როგორ ჩავუნერგოთ ხასიათის სიმტკიცე

6.4 სავარჯიშოს მსგავსად, სკოლებმა შეიძლება იმსჯელონ, როგორ ჩავუნერგონ მოსწავლეებს (და მომსახურე პერესონალს) ხასიათის სიმტკიცე - ეს სოციალური, ემოციური და ქცევითი ჩვევების პროგრამის ნაწილია. ხასიათის სიმტკიცის განსავითარებლად დასაშვებია პროგრამაში შემდეგი საკითხების ჩართვა და სწავლება:

- იდეით წელში გამართული, გქონდეთ თვითდაჯერებული გამომეტყველება, ილაპარაკეთ მკაფიოდ და მტკიცედ, აგრესიულ ადამიანებს უყურეთ პირდაპირ თვალებში (თვალებს ნუ დახრით!) და უთხარით, რომ გინდა ის გაჩერდეს;
- უთხარით აგრესიულ ადამიანებს, რომ არად დაგიდევთ, რას ფიქრობენ თქვენზე და სალანძღავი სიტყვებით ვერ გაგანაწყენებენ;
- უთხარით აგრესიულ ადამიანებს, რომ სრულებით არ განაღვლებთ ის, რაც, მათი აზრით, საწყენია. მაგალითად: “მერე რა, რომ დაბალი ვარ? სულ არ მედარდება!” ან “რა მოხდა, რომ სათვალეს ვატარებ? მგონი, ძალიანაც მიხდება!”;
- გახსოვდეთ, რომ პრობლემა სწორედ აგრესიულ ადამიანს აქვს და არა მის სამიზნეს. ჰკითხეთ მას მშვიდად და თავდაჯერებით: “რა პრობლემაა?”

კარგი იქნება ამ ტაქტიკის წინასწარი რეპეტიცია მის გამოყენებამდე. მოსწავლეებმა ეს შეიძლება განახორციელონ საკუთარ წარმოდგენაში ან ამხანაგებთან ერთად, ან, საუკეთესო შემთხვევაში, სახლში

- მშობლების დახმარებით. ასეთ დროს კარგი იქნება თუ მშობლები “მწვრთნელის” როლში მოგვევლინებინან. მოსწავლეები უნდა შეეცადონ, წარმოიდგინონ ყველაზე უარესი, რაც კი აგრესორმა შეიძლება თქვას, ისეთი რამ, რისი მოსმენაც მათ ყველაზე მეტად აშინებთ და დაგეგმონ, როგორ გასცენ აგრესიას დამაჯერებელი პასუხი (ან დაუცხმართ სწორი რეაგირების დაგეგმვაში).

**სკოლის საზოგადოების ძალისხმევა უსაფრთხო (და მეტად უსაფრთხო) სასკოლო გარემოცვის შესაქმნელად**

ყოჩობის საწინააღმდეგო კვლევისა და ჩარევის პრაქტიკის აღიარებული შტრიხია სკოლის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართვა სკოლაში ძალადობისა და, მით უფრო, ყოჩობის აღმოფხვრისა და პრევენციის საქმეში. ის ცნობილია საერთო სასკოლო მიდგომის სახელით (იხ. ოლვეუსი, 1983; ოლვეუსი, 1997, ო’მური და მინტონი, 2005, სმიტი და შარპი, 1994). მე-3 თავში ეს საკითხი დეტალურად არის განხილული. ამ ნაწილში, მაგალითებზე დაყრდნობით, ყურადღებას გავამახვილებთ სასკოლო გარემოს უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე უფროსების მონაწილეობით.

*კონკრეტული შემთხვევა: მუშაობა ოჯახებთან*

1990 წელს ირლანდიის რესპუბლიკაში განხორციელდა საცდელი პროექტი სახლი/სკოლა/საზოგადოების კავშირი. შეარჩიეს რაიონები, რომლებშიც სოციალური განვითარების დონე შედარებით დაბალი იყო. 55 დაწყებით სკოლაში 30 მასწავლებელი გაათავისუფლეს სასწავლო დატვირთვისაგან 1-დან 3 წლამდე პერიოდით და დააკისრეს მეკავშირე-კოორდინატორთა ფუნქცია. 1993 წლის სექტემბრიდან კი პროექტში მონაწილეობდა 86 კოორდინატორი 106 დაწყებით და 26 საშუალო სკოლაში (განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი, 1993წ). პროექტის საინიციატივო ჯგუფის მთავარი მიზანი გახლდათ: “მშობელთა და მასწავლებელთა პარტნიორობის განვითარება ბავშვთა აღზრდის გასაუმჯობესებლად. ინიციატივები ფოკუსირებული იყო პირდაპირ უფროსებზე (მშობლებსა და მასწავლებლებზე) და ნაკლებად მოსწავლეებზე, მაგრამ ირიბად ზემოქმედებდა ბავშვთა ცხოვრებაზე დროთა განმავლობაში. (განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი 1993, გვ.149-50).

პრაქტიკულად, სახლი/სკოლა/საზოგადოების კავშირის პროექტის ფარგლებში, მასწავლებლის მუშაობა მოიცავს:

- ვიზიტებს ოჯახში;
- ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას მშობლებთან ერთად მათი საჭიროებების გათვალისწინებით (პიროვნული განვითარება, ბავშვთა აღზრდა, თავისუფალი დრო, საშინაო

დავალების შესრულებაზე კონტროლი, სასკოლო შეხვედრები, ერთად კითხვის პრაქტიკა);

- საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და სხვა საგანმანათლებლო ცენტრებთან კავშირების დამყარება და შენარჩუნება.

გრენის სკოლაში განხორციელებული სახლი/სკოლა/საზოგადოების კავშირის პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის გაძლიერება და ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი – მშობლებთან თანამშრომლობის გაუმჯობესება. სიახლეებს შორის იყო დედების ჯგუფის შექმნა, მასწავლებლების შეხვედრები პირველკლასელთა მშობლებთან, დანაშაულებრივი ბანდების მონაწილეთა მშობლებსა და ემიგრანტ/არანორვეგიული წარმოშობის მშობლებთან. და ბოლოს, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ არანორვეგიული წარმოშობის მასწავლებლები (თითოეული მათგანი მუშაობდა მათი ენობრივი ჯგუფის მშობლებთან) ასრულებდა თარჯიმნის როლს მშობლებსა და დირექტორს შორის შეხვედრებზე (ო'მური და მინტონი, 2002).

### **სკოლის ფართო საზოგადოების ჩართვა**

ძალადობისა და ყოჩობის პრობლემისადმი ერთიანი სასკოლო მიდგომის მახასიათებელია სკოლის ფართო საზოგადოების ჩართულობა. 1983 წელს ნორვეგიის სკოლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა პირველი კამპანია “ყოჩი-მსხვერპლი” პრობლემის აღმოფხვრის მიზნით. პროგრამის ავტორი დენ ოლვეუსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროგრამის ორი უმთავრესი კომპონენტია: “მოზრდილი ადამიანების ცოდნის გაღრმავება და მათი ჩართვა” და “საკონფერენციო დღეების ორგანიზება სკოლაში” (ოლვეუსი, 1999). ასეთი იყო ერთიანი სასკოლო მიდგომა ყოჩობის პრობლემისადმი უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში და დარჩება კიდევ, ირლანდიის სკოლებში ყოჩობის წინააღმდეგ ჩარევის პროგრამის მიხედვით (ო'მური და მინტონი, 2003; ო'მური და მინტონი, 2005).

მაგალითად, ნიდერლანდებში ჰოლანდიელ მშობელთა ოთხი ასოციაციის მხარდაჭერით შეიქმნა ეროვნული საგანმანათლებლო პროტოკოლი ყოჩობის წინააღმდეგ. მათ დაიწყო ერთობლივი მუშაობა სკოლებში ძალადობის პრობლემის აღმოსაფხვრელად (ბონგერსი, 2001). გამოიცა ბროშურა სათაურით “როგორ გავუმკლავდეთ ყოჩობას სკოლაში: რეკომენდაციები, შედეგები და დეტალური ინფორმაცია”. ბროშურაში მოცემულია შვიდ საფეხურიანი სახელმძღვანელო პრინციპები დაწყებითი და საშუალო სკოლებისათვის, ყოჩობის საწინააღმდეგო პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც მოიცავს მშობელთა ასოციაციების, სათემო საბჭოებისა და სკოლის ხელმძღვანელობის ერთობლივ მოქმედებას (ბონგერსი, 2001; ბონგერსი და სხვ., 2003). 1998 წელს ამოქმედდა კანადის მთავრობის ნაციონალური

სტრატეგია საზოგადოების უსაფრთხოებისა და სისხლის სამართლის დანაშაულთა პრევენციისათვის და გამოქვეყნდა ყოჩობის ფაქტები. ეს სტრატეგია ითვალისწინებს მუშაობას საზოგადოებასა და სკოლასთან, მათ შორის, მოსწავლეებთან, მშობლებთან, აღმზრდელებთან, პრაქტიკოსებსა და სხვ., ყოჩობის აღკვეთისათვის მასობრივი ინიციატივების შემუშავებისა და გაზიარებისათვის (საზოგადოების უსაფრთხოებისა და სისხლის სამართლის დანაშაულთა პრევენციის ეროვნული სტრატეგია, 2004).

გრენის სკოლაში განხორციელებული ოჯახი/სკოლა/გარემო პროექტის ორი შემდგომი მიზანი იყო: სკოლის გადაქცევა ძლიერ ადგილობრივ ცენტრად და ადგილობრივ მოხალისე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

პროექტის განხორციელების პროცესში, საგანგებო ძალისხმევით მოეკიდნენ სკოლის ტრადიციების დამკვიდრებას. ეს მოიცავდა თეატრალურ და შემოქმედებით მუშაობას, კარნავალების მოწყობას, საშობაო და სააღდგომო სადღესასწაულო საუზმეებს, მეოთხედან მეხუთე და მეშვიდედან მერვე საფეხურზე გადასვლისას სპეციალური ცერემონიების ორგანიზებას, მეშვიდე და მეთექვსმეტე საფეხურების ბოლოს დიპლომების გადაცემას. შედეგად, სკოლა იქცა ერთგვარ “კულტურის სახლად” – აქ აღინიშნება გაეროს დღეები, ვიეტნამური ახალი წელი, რამადანი, მუსულმანური დღესასწაულები, იდგმება სპექტაკლები, ცეკვები და მუსიკალური წარმოდგენები, კონცერტები. აქვეა ინტერნეტ-კაფე და “ღია სახლი” – მოსწავლეების, სკოლის თანამშრომლების და ადგილობრივი საზოგადოების წევრთა ინტენსიური შეხვედრების ადგილი (ო’მური და მინტონი, 2002).

### **პროფესიული დახმარების ქსელის შექმნა**

1996 წელს მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა ყოჩობის საწინააღმდეგო მეორე პროგრამა ნორვეგიის სკოლებისათვის. ეს მრავალმხრივი და პრევენციული პროგრამა ითვალისწინებდა სკოლისა და კლასების მართვის ორგანიზაციულ ასპექტებს და იყენებდა დამხმარე ქსელს, რომელშიც ჩართული იყო 350 პროფესიონალი: მკვლევარები, განათლების ფსიქოლოგები და მეთოდისტი მასწავლებლები (როლანდი, 2000);

შემდგომი ეროვნული პროგრამა, “სამტაკი” (Samtak), რომელიც იგივე პრინციპებს ეფუძნებოდა, განხორციელდა 2002-2003 წლებში. ეს იყო უფრო ფართო პროგრამა რომელიც აქცენტს აკეთებდა არა მხოლოდ ყოჩობის პრობლემაზე, არამედ მოიცავდა აგრეთვე სოციალურ, ქცევით და ემოციურ სირთულეებს, ძალადობასა და ანტისაზოგადოებრივ ქცევას (როლანდი, 2000).

ირლანდიაში ჩვეულებრივ მასწავლებელთა გარდა, რომლებიც მთელი დატვირთვით მუშაობენ, არიან დამხმარე მასწავლებლებიც, კლასის სპეციალური მასწავლებლები, ქცევის მაკორექტირებელი მასწავლებლები, მეთოდისტები, ვიზიტორი მასწავლებლები, სახლი/სკოლა/საზოგადოების კავშირის პროექტის მასწავლებლები და მრჩეველ-ინსტრუქტორებიც. ეს “დამხმარე” მასწავლებლები შეადგენენ მთელი ქვეყნის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 8%-ს (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 1993).

დუბლინში დღესდღეობით დაბალი სოციალური განვითარების რაიონების 42 სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მხარდაჭერი პროგრამა, რომელიც დაწყებითი განათლებისთვისაა განკუთვნილი. ეს ის სკოლებია, სადაც შესამჩნევია მოსწავლეთა დესტრუქციულობისა და უდისციპლინობის პრობლემები (ჯორდანი, 1999). დამხმარე მასწავლებლებს ევალუბათ, მეტად გააძლიერონ ბავშვის კომპლექსურ განვითარებაზე მიმართულ ღონისძიებათა ეფექტიანობა და მთლიანად სასკოლო მუშაობა (სხვა მასწავლებლებთან, მშობლებსა და სკოლის სამსახურებთან ერთად).

1998 წელს საფრანგეთის განათლების მინისტრის დირექტივით ამოქმედდა ძალადობის საწინააღმდეგო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 21-29 წლის ასაკის განათლების ასისტენტების ჩართვას. ისინი, როგორც ერთგვარი მედიატორები, მონაწილეობდნენ სხვადასხვა სამუშაოთა შესრულებაში, ხელს უწყობდნენ ურთიერთობას მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის და თავადაც იღებდნენ გამოცდილებას აღმზრდელობით-საგანმანათლებლო საკითხებში. დებარბიუ და მონტოია (1999 დებარბიუ და სხვ., 2003) აღნიშნავენ, რომ ამ მიდგომამ იმუშავა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც: (1) სკოლას ჰქონდა ძლიერი კულტურა; (2) პერსონალის გადინება დაბალი იყო და (3) სკოლა კეთილგანწყობით ხვდებოდა განათლების ასისტენტებს, ხოლო ისინი ასრულებდნენ თავდაპირველად განსაზღვრულ ფუნქციას და მხოლოდ ზედამხედველობით არ შემოიფარგლებოდნენ.

გრენის სკოლაში განხორციელებული პროექტი - “ოჯახი/სკოლა/საზოგადოება” - მიზნად ისახავდა პროფესიონალთა თანამშრომლობის გაძლიერებას. თავდაპირველად, ბიჰევიორისტული კვლევის ცენტრი უზრუნველყოფდა ყველა მასწავლებლის ტრენინგს კლასის მართვის საკითხებში. ტრენინგი მოიცავდა ისეთ თემებს, როგორებიცაა: კლასისა და საკლასო ოთახის მართვა, რჩევების მიწოდება მასწავლებლებისათვის თანატოლთა მხრიდან, მშობლებთან შეთანხმებული მუშაობა, დისციპლინის დამრღვევ მოსწავლეთა ჯგუფების დაშლა და საინტერესო, მიზმიდველ ღონისძიებათა განრიგის შედგენა (როლანდი და სხვ., 2001 წ.). დაინერგა მუდმივი შეხვედრები სკოლასა და ბავშვთა სოციალური დახმარების ორგანოებს შორის. ამასთან, შეიქმნა პროფესიონალთა ფორუმი, რომელიც ხელს უწყობდა თანამშრომლობას

კონკრეტულ შემთხვევებში. პროექტის საქმიანობის ხელშესაწყობად და გასაფართოებლად სამუშაოზე აიყვანეს სპეციალისტები: მუსიკალური ჯგუფის ხელმძღვანელი, ცეკვის მასწავლებელი, კომპოზიტორი, ზღაპრული ისტორიების მთხრობელი, თამაშების ხელმძღვანელი, ბიბლიოთეკარი დაწყებითი კლასებისათვის. აღნიშნული სპეციალისტები არ იყვნენ დაკავებულნი სრულ სამუშაო დღეს. სამაგიეროდ, სრული დატვირთვით მუშაობდნენ სკოლის ბიბლიოთეკარი და მოსწავლეთა მედიატორი. აქტიური ძალისხმევა მოხმარდა არანორვეგიული წარმომავლობის თანამშრომლების სამუშაოზე აყვანას – თანამშრომლები ეთნიკურ უმცირესობათაგან მეტად ერგებოდნენ მშობლებსა და მოსწავლეებს ლინგვისტური და კულტურული თვალსაზრისით (ო'მური და მინტონი, 2002).

გრენის სკოლაში აქტიურად აყავდათ სამუშაოზე დამატებითი სპეციალისტები, თუმცა, ეს აუცილებელი არაა ყველა სკოლისათვის, ძალადობრივ ქცევას რომ ეჭიდება. სკოლის ხელმძღვანელობამ შენიშნა, რომ ამ პროექტის წარმატების ერთ-ერთი საკვანძო მიზეზია თანამშრომელთა ერთიანი ფრონტის შექმნა ძალადობის წინააღმდეგ და შესაბამისი სტრატეგიის განუხრელი დანერგვა. თუ ვინმე ეცდებოდა, რაც შეიძლება უკეთ გამოიყენოს მის ხელთ არსებული პიროვნული რესურსი, თვალსაჩინო შედეგს მიაღწევს მაშინ, როცა ყველა თანამშრომელი შეთანხმებულად “მღერის ერთ ჰიმნს ერთი და იმავე სანოტო ფურცლიდან”. ამ ფუნდამენტური ფაქტორის იგნორირება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, თუ სკოლა მთლიანად ცდილობს ძალადობის აღმოფხვრას ან ნებისმიერ სხვა რამეს.





## თავი 7 მხარდაჭერა სკოლის პერსონალს

### ტრენინგის ჩარჩო: “მშვიდობის ვირუსის” დანერგვა – კონვივენსიის გარემოს ხელშეწყობა

ჯორჯ რობინსონი, ბარბარა მაინსი, რობინ ჰრომეკი

ეს თავი დაეხმარება სკოლებს:

- განიხილონ, თუ რა საკითხები უნდა იცოდეს პერსონალმა სკოლაში არსებული ძალადობის სწორად გააზრებისა და, საერთოდ, ამ მიმართულებით თანამშრომელთა განვითარებისათვის;
- მთელი სკოლისათვის შეიმუშაონ პროგრამა ძალადობის აღმოფხვრის შესახებ ტრენინგის ჩასატარებლად;
- გამოიყენონ სხვადასხვა აქტივობანი ძირითადი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მთელ სკოლაში ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით;
- შეიმუშაონ პერსონალის ტრენინგისა და დახმარების პროგრამა.

ამ თავში განხილულია ბევრად მეტი სხვა აქტივობა, რადგან შექმნილია იმისათვის, რომ პრაქტიკულად დაეხმაროს პერსონალის ტრენინგისა და დახმარების პროცესს.

„მშვიდობის ვირუსი“ — ეს სახელი ეწოდა პროცესს, რომელიც ითვალისწინებს სკოლების მიერ ძალადობის ნებისმიერი ფორმის საწინააღმდეგო სტანდარტების მიღწევასა და შენარჩუნებას, დემოკრატიული და ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული ერთობლივი მუშაობით. უნივერსალური, მიზნობრივი და კლინიკური პროგრამების საშუალებით იქმნება ისეთი სოციალური გარემო, სადაც პიროვნებათა შორის კონფლიქტის გადასაჭრელად დაწესებულ და ყველასთვის მისაღებ ნორმად ითვლება პროსოციალური მიდგომების გამოყენება. ამ თავში ჩამოყალიბებული მიდგომა სტიმულს აძლევს უფროსებს, სანიმუშო მაგალითი მისცენ მოსწავლეებს სხვებისადმი პატივისცემის გამოხატვის თვალსაზრისით, გახდნენ ემოციების ერთგვარი მწვრთნელები და დაეხმარონ იმ მოსწავლეებს, რომელთაც არ აქვთ სოციალურ-ემოციური უნარ-ჩვევები, უხელმძღვანელონ მათ პრობლემათა გადაჭრის პროცესში. უნივერსალური პროგრამები მოქმედებს როგორც საკლასო ოთახებში, ასევე სათამაშო მოედნებზე, ხოლო სირთულეების წარმოშობის შემთხვევაში, ინერგება მიზნობრი-

ვი პროგრამები. თუ პრობლემის აღმოფხვრა გაძნელდა, პროცესში მშობლები და მეურვეები ჩაერთვებიან. ამგვარ სისტემატურ მიდგომას სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა აქვს, რადგან დროულად გამოავლენს ქრონიკული ქცევითი სირთულეების მქონე მოსწავლეებს და შესაძლებელი ხდება ჩარევა ადრეულ ეტაპზე. „მშვიდობის ვირუსს“ კი შემდეგი ელემენტები ქმნიან:

## ხელმძღვანელობა მოზრდილთა მხრიდან

ხელმძღვანელობას საკვანძო მნიშვნელობა აქვს პიროვნებათა შორის მაღალი ხარისხის ურთიერთობების დასამკვიდრებლად და გაუმჯობესების პროგრამების დასაწერად. პატივისცემით განმსჭვალული და ღირსეული დამოკიდებულება “ტონს აძლევს” სკოლას. წარმატებული ლიდერები ღია დისკუსიებს ატარებენ სკოლის პირობითეობის შესახებ, უზრუნველყოფენ საზოგადოების ჩართულობას და ინფორმირებას. სკოლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ერთუზიანი გამოვლენა ახალი იდეების წამოჭრის, რესურსებით მომარაგებისა და სკოლის პერსონალის მხარდაჭერის საქმეში. იდეალურ შემთხვევაში ლიდერის ფუნქციას სკოლის დირექტორი ასრულებს, თუმცა, ეს ფუნქცია შეიძლება თავის თავზე აიღოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა და თანამშრომელთა ჯგუფმა კოლეგებთან შეხვედრებისას ან მშობელთა კრებაზე აქტიუალური საკითხების წამოწვევითა და არაძალადობრივი, პატივისცემაზე დაფუძნებული ქცევის დანერგვით.

### სავარჯიშო 7.1: სკოლის კულტურა

განიხილეთ შემდეგი განცხადება:

„ისტორიულად, პედაგოგიკა დისციპლინასა და დასჯას ეფუძნებოდა. სწავლის კონკურენტულ სისტემებსა თუ ინდივიდუალურ ძალისხმევას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აკადემიური წარმატებისათვის. უმეტესობას ასეთი რამ, გარკვეულწილად, საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი და როდესაც პრობლემებს აწყდება, ხვდება, რომ ეს მიდგომები მაინცდამაინც გამოსადეგი ვერ არის. ბევრი სკოლა მუშაობს „სადავო“ მიდგომით, თითქოს ძალადობისა და მიუღებელი ქცევის მოსწავლეს ეუბნება, რომ ასეთი ქმედება შეწყნარებული არ იქნება, პროსოციალურ ქცევას მათ დასჯა ასწავლის. სამწუხაროდ, დასჯისა და სკოლიდან გარიცხვის აქცენტირება და მასზე ზედმეტად დაყრდნობა სკოლაში მტრულ გარემოს ქმნის და სიძულვილისა და შურისძიების უწყვეტ ციკლს ბადებს. კვლევები გვიჩვენებს, რომ სასჯელზე დაფუძნებული ჩარევები, ჩვეულებრივ, პრობლემური ქცევის სიხშირის ზრდას იწვევს“ (დონელანი და სხვები, 1988; გ.რ. მიეირი, ბ. სულზერ-აზაროფი, 1990).

მშობლები და განათლების სფეროს სპეციალისტები, ჩანს, ეთანხმებიან არაძალადობრივ ფილოსოფიას სკოლებსა და ოჯახებში. შეიძლება შევეთანხმდეთ იმაზეც, რომ პოზიტიურზე ორიენტირებული, კარგად ორგანიზებული, პატივისცემაზე დაფუძნებული და უსაფრთხო სკოლები ხელს უწყობენ სწავლების პროცესს. თუმცა, ურთიერთობათა ფორმებისა და ამ თვალსაზრისით არსებული პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ხშირად ძალადობა სიტყვებსა და მოქმედებებში ვლინდება. ასე რომ, აუცილებელია კულტურის შეცვლა.

არის თუ არა თქვენი სკოლა უსაფრთხო საზოგადოების ყველა წევრისათვის?

შეგისწავლიათ თუ არა:

- მოზრდილები, როგორც ნიმუშები;
- რა შესაძლებლობებს აძლევთ თქვენს მოსწავლეებს იმისათვის, რომ ისწავლონ არაძალადობრივი ქცევა და იმოქმედონ შესაბამისად?
- რა საშუალებებით ებრძვით მიუღებელ ქცევებს – ძირითადად, სასჯელს მიმართავთ, თუ სხვაგვარ ქცევას ასწავლით?

## სავარჯიშო 7.2: მასწავლებლები, როგორც მოსწავლენი

განიხილეთ შემდეგი განცხადება:

„თანამედროვე ეპოქა მასწავლებლებისათვის ყველაზე საინტერესო პერიოდია მათ პროფესიაში. კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ პედაგოგის როლი იცვლება. იმ პირობებში, როდესაც მასწავლებლის ტრადიციულ ფუნქციას უფრო და უფრო ხშირად ტექნოლოგიები ენაცვლება, პედაგოგებს კვლავ უწევთ მოსწავლეთათვის კრიტიკული აზროვნების სწავლება და ემფატიკურად მათ გვერდში დგომა. კრიტიკული აზროვნება მომავალი მოქალაქეებისა და მუშაკების ერთ-ერთი უმთავრესი უნარია, ხოლო ისეთი მასწავლებელი, რომელიც იცნობს თავის მოსწავლეებს, ესმის მათი და უაღრესად დაინტერესებულია მათი სწავლითა და აკადემიური მოსწრებით, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს მთლიანად პიროვნების სწორად ჩამოყალიბებას“ (პრომეკი, 2004 წ.).

ინფორმაცია იზრდება და იცვლება, შესაბამისად, იცვლება სწავლების პრაქტიკაც, რათა უპასუხოს ამ გამოწვევებს, მაგრამ იგივე რჩება მასწავლებლის ერთი ფუნქცია — იყოს მენტორი. პედაგოგებს, ხშირად, თავიანთი მოსწავლეების პიროვნულად და ემფატიკურადაც ესმით, რაც მათ იმის საშუალებას აძლევს, რომ დაეხმარონ საგნის არჩევაში, უნარ-ჩვევების ათვისებაში, შეუქმნან მოსწავლეებს მოტივა-

ცია, სოციალური და ემოციური განვითარების პირობები. ყოველივე ეს მასწავლებლის ტრადიციული ფუნქციებია, მაგრამ აუცილებელია პიროვნებათაშორისი სირთულეების დაძლევის ახალი გზებისა და საშუალებათა ძიება.

ქვემოთ ჩამოთვლილი სფეროებიდან რომელში ესაჭიროება თქვენი სკოლის პერსონალს ტრენინგის გავლა:

- კონფლიქტების მოგვარება;
- შუამავლობა;
- ემოციების მართვა;
- ყოჩობის პრობლემის გადასაჭრელი მიდგომები;
- მოსწავლეთა ფსიქოლოგია – მოტივაცია, სწავლა, განვითარების ეტაპები;
- განათლება ემოციების სფეროში;
- სააგენტოთა შორის თანამშრომლობა?

## მონდომება

იმ სკოლაში, სადაც ძალადობის პრობლემებია, საზოგადოებამ დაუყოვნებლივ უნდა მიაქციოს ყურადღება სიტუაციას და შეიმუშაოს რეაგირების გეგმა. შესაძლოა, საჭირო გახდეს სხვა პროგრამების დროში გადადებაც, რათა გზა ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართული პროგრამის განხორციელებას დაეთმოს მანამ, სანამ სკოლა უსაფრთხოდ არ ჩაითვლება. ყველა მოზრდილ ადამიანს შეუძლია თავისი როლი შეასრულოს ამ ხანგრძლივ და უსასრულო გზაზე. მონდომების გარეშე პროექტები წარმატებით ვერ ხორციელდება, ადამიანებიც მოტივაციას კარგავენ და პრობლემების გადაჭრის გზად ძალადობა რჩება.

### სავარჯიშო 7.3: რა ენაზე უნდა ვილაპარაკოთ მოზრდილებმა?

აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, თუ რა სიტყვებსა და შესტიკულაციას ვიყენებთ ჩვენ — მასწავლებლები და რა მაგალითს ვაძლევთ მოსწავლეებს. სიტყვებისა და გამოთქმების სწორად შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლესთან ისეთი ურთიერთგაგების დასამყარებლად, რომელიც მას პროსოციალური არჩევანის გაკეთებაში დაეხმარება. ჩვენმა ენამ უნდა გამოხატოს ურთიერთპატივისცემა, უფლებები, პასუხისმგებლობანი და არჩევანი. სიტყვების საშუალებით ჩვენ ისეთ მხარდამჭერ გარემოს ვქმნით, რომელშიც მოსწავლეებს პრობლემების გადაჭრა ძალადობის გარეშე შეუძლიათ და, ამასთან, შეცდომების გამოსწორების საშუალებაც ეძლევათ. განიხილეთ ფრაზების გამოყენების სხვადასხვა მაგალითი და ის ძირითადი პრინციპები, რომელსაც ეს წინადადებები ასახავენ.

პროსოციალური ენა	ანტიპროსოციალური ენა
<p><b>არჩევანი და პასუხისმგებლობა:</b> „როგორ მოხდა, რომ გადანუვიციე მისთვის დაგერცყა?“</p> <p>ეს შეკითხვა გულისხმობს, რომ ამ მოქმედების ჩადენამდე არსებობდა არჩევანის საშუალება, პასუხისმგებლობის ელემენტი და ეს ყველაფერი, შესაბამისად, ურთიერთობისათვის განაწყობს მოსწავლეს.</p>	<p><b>ბრალდებითი ტონით:</b> „რატომ დაარტყი მას?“</p> <p>ამ შეკითხვაში მოსწავლის დადანიშნულების ელემენტი ნაგულისხმევი, რაც ბავშვებში სიძულვილს ნერგავს და ამცირებს ურთიერთობის შესაძლებლობას.</p>
<p><b>მხარდამჭერი მიდგომა:</b> „შენ ახლა ცალკე ოთახში განმარტოვდი და იფიქრე, როგორ გადაჭრი ამ პრობლემას.“</p> <p>ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვს აქვს უნარი, გადაჭრას თავისი პრობლემა და თუ დასჭირდება, დაეხმარებიან კიდევ.</p>	<p><b>სადამსჯელო მიდგომა:</b> „მე შენ ახლა დაკავების ოთახში შეგიყვან.“</p> <p>ეს არის დასჯა და თუ ის ზედმეტი დოზით გამოიყენეს, შესაძლოა, ამან ბავშვებში შურისძიებათა მთელი ციკლი გამოიწვიოს.</p>
<p><b>ემფატიკა:</b> „შენი აზრით როგორ იგრძნო მან თავი, როდესაც ეს უთხარი?“</p> <p>ასეთი ნათქვამი ბავშვს საშუალებას აძლევს გამოუმუშავდეს სხვების მიმართ თანაგრძნობა (ემფატიკა) და ურთიერთობისათვის განაწყობს.</p>	<p><b>ემოციური ძალადობა:</b> „ხედავ რა გააკეთე? გოგონა აატირე კიდევ.“</p> <p>ამ წინადადების ბრალდებითი ტონის გამო ბავშვმა, შესაძლოა, თავი დამნაშავედ იგრძნოს და თავის მართლება დაიწყოს. ეს მასში სიძულვილს ბადებს და შეამცირებს ურთიერთობის შესაძლებლობას.</p>
<p><b>პრობლემის გადაჭრა და ჩადენილის გამოსწორება:</b> ამ პრობლემის გადასაჭრელად რა გზებს მოსინჯავდი?</p> <p>ეს გამონათქვამი გულისხმობს, რომ მასწავლებელს სჯერა, — ბავშვს აქვს პრობლემის გადაჭრის უნარი და თავისი საქციელის გამოსწორებაც შეუძლია.</p>	<p><b>სარკაზმი:</b> „უმჯობესი იყო რამე უფრო კარგი მოგეფიქრებინა შენი საქციელის ასახსნელად.“</p> <p>ასეთ წინადადებაში არსებობს სარკაზმის ელემენტი, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ბავშვს პრობლემის გადაჭრის უნარი არ აქვს.</p>

აქვს თუ არა გავლენა მოზრდილთა ენას მოსწავლეებსა და სკოლაში მყოფ სხვა ადამიანებზე? უნდა ავარიდოთ თუ არა თავი ბრალდებითი ტონის წინადადებების გამოყენებას? ძალადობა უამრავი ფორმით გვევლინება, ხოლო ენა, შესაძლოა, იქცეს ძალიან ბასრ იარაღად, რომელსაც მოსწავლეთა მეხსიერებაში ღრმა ქრილობის წარმოქმნა შეუძლია.

### სავარჯიშო 7.4 მოზრდილთა ენა

სიტყვებს არსებითი მნიშვნელობა აქვს პრობლემების გადასაჭრელი იდეების გადმოსაცემად, ხოლო შესტიკუალაციასთან ერთად, მათ შეუძლიათ მოსწავლეთათვის ემოციების კონტროლის კარგი მაგალითის მიცემა.

განიხილეთ, რას გამოხატავენ ქვემოთ მოყვანილ სცენარში გამოყენებული სიტყვები და მოქმედებები.

#### სცენარი 1 – ბიჭების ჩხუბი:

მასწავლებელი A ხედავს, როგორ ჩხუბობს ორი ბიჭი სათამაშო მოედანზე. შემდეგ:

მასწავლებელი A: (ყვირის). “ახლავე მოდიტ ორივე აქ! რას ჩადით, თუ იცით?”

ბიჭი 1: (განითლებული სახითა და ქოშინით) „ამან დაიწყო.“

ბიჭი 2: (განითლებული სახითა და ტირილით, ცდილობს, კიდევ ერთხელ დაარტყას 1 ბიჭს).

მასწავლებელი A: „უყურე ამათ!“ (უყვირის ბიჭებს). „ახლავე წადით დირექტორის ოთახში!“

თუ ამ სიტუაციას ზედაპირულად შევხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებელი ძალადობას დაუპირისპირდა.

ამ ურთიერთობის ფორმიდან მოსწავლეებმა, უნებურად, გარკვეული გაკვეთილი მიიღეს:

- დაყვირება მისაღებია, განსაკუთრებით მაშინ, როცა მართალი ხარ;
- უხეში სიტყვების გამოყენება მისაღებია, მით უფრო, თუ მართალი ხარ;
- ინფორმაციის შეგროვება და ადამიანების მოსმენა არ არის ძალიან მნიშვნელოვანი;

- ბავშვებს უფროსები სჭირდებათ, რადგანაც უფროსებმა უნდა მართონ სხვები;
- სიტყვიერი ძალადობა პრობლემის გადაჭრის მისაღები გზაა.

იგივე სიტუაცია შეიძლება სხვა დიალოგით წარმართულიყო. განიხილეთ ქვემოთ მოყვანილი დიალოგი:

## **სცენარი 2 – ბიჭები ჩხუბობენ**

მასწავლებელი B ხედავს, როგორ ჩხუბობს ორი ბიჭი სათამაშო მოედანზე. შემდეგ:

*მასწავლებელი B:* (მიდის ბიჭებისაკენ). „დაიცათ ბიჭებო, დამშვიდდით ახლა, მოეშვით, რა ხდება აქ?“

*ბიჭი 1:* (განითლებული სახითა და ქოშინით) „ამან დაიწყო.“

*ბიჭი 2:* (განითლებული სახითა და ტირილით ცდილობს, კიდევ ერთხელ დაარტყას I ბიჭს).

მასწავლებელი A: „დაიცადეთ, დაიცადეთ, ღრმად ჩაისუნთქეთ, თქვენ ორივე გაბრაზებული ხართ, მოდით, თითო ჭიქა წყალი დავლიოთ და დავილაპარაკოთ — რა ხდება აქ.“

ამ სცენარში, ემოციების კონტროლისა და პრობლემის გადაჭრისაკენ მიმართულმა ენამ ვითარება განმუხტა და შექმნა იმის მოლოდინი, რომ ორივე ბიჭს მიეცემა საშუალება, განმარტოს, რატომ მივიდა საქმე ძალადობამდე, რამ შეუწყო ამას ხელი?

ასეთი ურთიერთობის მაგალითით ბავშვები ისწავლიან, რომ:

- ემოციების მართვა შესაძლებელია;
- უფროსებს სურთ, დაეხმარონ ბავშვებს;
- უფროსებს სჯერათ, რომ ბავშვებს პრობლემების გადაჭრა შეუძლიათ;
- ძალადობის ალტერნატივაა საუბარი;
- წყლის დაღვევა და საუბარი სიბრაზის მართვაში გვეხმარება.

რომელ სცენარს არჩევდით თქვენი სკოლისათვის?

## **მაგალითის ჩვენება**

უფროსები, თავიანთი ქცევით, ყოველთვის სანიმუშონი არიან მოსწავლეთათვის. ხანდახან ავტორიტარულ და „ძალაუფლებაზე დამყარებულ“ ქცევას არჩვენებენ. მოსწავლეები ქცევის მაგალითად აღიქვამენ



ჩვენს ნათქვამ სიტყვებს თუ ჩვენს მოქმედებებს და ცდილობენ მის გადმოღებას ან, პირიქით, უარყოფას. ენას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სამყაროს აღქმისათვის. სიტყვებს შეიძლება დავაყრდნოთ მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური განვითარება. ამ თემებზე ფიქრი და ასეთ ფაქტორთა გათვალისწინება დაგვეხმარება ძველი მიდგომების შეცვლაში. დაწერილი ტექსტიც შეიძლება გამოვიყენოთ ურთიერთთანამშრომლობითა და პატივისცემით განმსჭვალული მეტყველების ჩამოსაყალიბებლად მანამ, სანამ ეს ურთიერთობის ბუნებრივ ფორმად არ იქცევა.

**სავარჯიშო 7.5: სკოლის პერსონალი, როგორც უმთავრესი მაგალითი**

განიხილეთ შემდეგი:

„ჩვენ ყოველთვის, როგორც მაგალითს, ისე აღგვიქვამენ; მოსწავლეები უყურებენ და უსმენენ ყველაფერს, რასაც ვაკეთებთ და ვამბობთ. ისინი კონფლიქტის მოგვარების არაძალადობრივ მოდელებს მაშინ ირჩევენ, როცა მათ სოციალურ გარემოში მეტყველება და ქცევა ემოციების კონტროლისა და პრობლემის გადაჭრისაკენ არის მიმართული. თუ მოსწავლეებს პატივისცემით ვეპყრობით, ვაჩვენებთ ემოციების კონტროლის მაგალითს, სიტყვებს სიფრთხილით ვარჩევთ, მივმართავთ შუამავლობისა და კონფლიქტთა გადაჭრის მსგავს მიდგომებს, წარმოვაჩინებთ ერთად მუშაობისა და ცხოვრების მთელ რიგ უნარებს“ (პრომეკი, 2004).

ბანდურას სოციალური კოგნიტიური თეორიის მიხედვით (1986), მოსწავლეთა სწავლის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მათ გარშემო არსებულ სოციალურ გარემოზე, არამედ შინაგან, თანდაყოლილ მახასიათებლებზეც. გარშემომყოფთა ქცევაზე დაკვირვებითა და მიბაძვით, მოსწავლეები ქცევებს შინაგანი სამყაროს ჩარჩოში მოაქცევენ. იგი ასკვნის, რომ პროგრამები, რომლებიც ემყარება მაგალითის ჩვენებას, ნვრთნას, კარგი ქცევის გამეორებასა და სოციალურ გამყარებას, მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა. მოსწავლეთა განვითარების თეორეტიკოსი ლ.ს. ვიგოტსკი (1976) ხაზს უსვამს ენის, როგორც მედიატორული ფაქტორის მნიშვნელობას მოსწავლესა და რაიმე მოვლენას შორის. იგი აცხადებს, რომ მოზრდილებს, მედიაციური სწავლის მეშვეობით, შეუძლიათ მოსწავლეებს დაეხმარონ ძლიერი აზროვნების უნარის გამომუშავებაში. მედიაციური სწავლა კი არის მოსწავლეთა სწავლების პროცესი, სწავლების გამოცდილების საფუძველზე, როცა ენას იყენებენ სააზროვნო კონცეფციების ჩამოსაყალიბებლად, რაც საჭიროა გამონვევების შესახვედრად. მედიაციური სწავლა მოსწავლეებს ისეთ რესურსებს აწვდის, რომელთაც გამოიყენებს პრობლემის გადასაჭრელად, გადაჭრის გზაზე საგანგებო მითითებების გარეშე. თუ ვინმე მოსწავლეს პირდაპირ მიანიშნებს

გამოსავალზე, ამით შეუმცირებს შანსს განივითაროს ძლიერი აზროვნების უნარი.

## ურთიერთპატივისცემა

კითხვაზე, ვინ არის მათი საყვარელი მასწავლებელი, მოსწავლეები ხშირად ახსენებენ პატივისცემის ხარისხს. იმავდროულად, მასწავლებლები და მშობლები ხშირად აღნიშნავენ მოსწავლეების მხრიდან უფროსებისადმი პატივისცემის ნაკლებობას. პატივისცემა მჟღავნდება იმაში, თუ რამდენად აღიარებენ და იცავენ ადამიანები ერთმანეთის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს. პატივისცემა გამოსჭვივის იმ სიტყვებში, დამოკიდებულებებსა და ქმედებებში, სხვებთან ურთიერთობისას რომ ვავლენთ. მოსწავლეებთან პატივისცემით საუბრისას ჩვენ ქცევის იმ მაგალითს ვაჩვენებთ, ადამიანთა ურთიერთობებს რომ აუშჯობესებს. ასეთ შემთხვევაში, უფრო მაღალია ალბათობა, რომ ისინიც არჩევენ პატივისცემით მოპყრობას ინტერპერსონალური პრობლემების გადაჭრისას. პატივისცემის მისაღებად პატივისცემას უნდა გავცემდეთ.

ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხთაგან, რომელია გასაუმჯობესებელი თქვენს სკოლაში?

- მისაღები ქცევის მოდელთა გამოკვეთა და განხილვა სკოლაში „მშვიდ“ დროს;
- განუხრელი გამოყენება ბუნებრივი და ლოგიკური შედეგების, რომლებიც ზომიერი და თანამიმდევრულია;
- ოპტიმისტური და მხარდაჭერის გამომხატველი ენის გამოყენება;
- ძლიერი მხარეებისა და ფასეულობების გამოკვეთა;
- ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად საუბრის დანყებამდე, „გასაგრძილებელი“ დროის მიცემა – პირველი ემოციური დახმარება;
- დახმარება პრობლემების გადაჭრაში;
- ფაქტების სწორად აღქმა, სიტუაციაში გარკვევის მცდელობა – ცნობისმოყვარე მიდგომა;
- ჩაურთველობა მოსწავლეებთან კამათში;
- შესაძლებლობის მიცემა შეცდომის გამოსასწორებლად.

## გუნდური მუშაობა

გუნდური მუშაობის დროს სამუშაო დატვირთვა ნაწილდება და იზოგება ენერჯია, სკოლის კულტურის შესაცვლელად რომაა საჭირო. სკოლის საზოგადოების სახელით მოქმედი გუნდის მხარდასაჭერად

საჭიროა დრო, რესურსები, პროფესიული განვითარება და დამხმარე სტრუქტურები. გუნდური მუშაობა ხელმძღვანელობის შესაძლებლობას იძლევა, ხოლო დემოკრატიული პრაქტიკის დანერგვის შემდეგ, გუნდის წევრებს საშუალება ექნებათ, შექმნან და გამოსცადონ ინოვაციური პროგრამები (ეს საკითხი მე-3 თავში უფრო დანვრილებით არის გაშლილი).

### სავარჯიშო 7.6 ღია დისკუსიები და გუნდური მუშაობა

სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისაკენ მიმართული ძალისხმევების წარმატების ერთ-ერთ საფუძველი გუნდური მუშაობის ძლიერი კულტურა და უწყვეტი პროფესიული განვითარებაა. კოლეგიალურობის შეგრძნება და ურთიერთდახმარება პერსონალს შორის ურთიერთნდობასა და რწმენას ბადებს და, ასეთ გარემოში, უფრო ადვილი ხდება ახალი იდეების მიღება. ენთუზიაზმი კი არ ჩაქრება თუ წარმატებასა და კარგ მუშაობას ადამიანის აღიარება და დაფასება მოჰყვება. სერიოზული და ხანგრძლივი მუშაობისას გუნდის წევრებს ძალიან ეხმარებათ იუმორის გრძნობა. ღია დისკუსიები კი იმ ურთიერთგაგებას ბადებს, რომელიც აუცილებელია ძალადობაზე რეაგირების ღონისძიებათა თანამიმდევრულად განხორციელებისა და შესაბამის მონაცემთა უწყვეტი შეგროვებისათვის.

გამოყენებულ ტერმინთა ერთნაირად აღქმისა და სკოლაში არსებული ძალადობის ბუნებაზე შესათანხმებლად, მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა მოცემული საკითხები განგებნილათ?

- რა ძირითადი პრობლემებია ჩვენს სკოლაში? სად იჩენს ეს პრობლემები თავს?
- რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ძალადობა და უხეში თამაში?
- რით განსხვავდება გაბრაზება ძალადობისაგან? სხვადასხვაგვარად იმართება თუ არა ისინი?
- რით განსხვავდება ძალადობა გოგონებისა და ბიჭების შემთხვევაში?
- კონფლიქტთა გადაჭრის სწავლება ხომ არ გამოიწვევს ბიჭების ფემინიზაციას?
- როგორ დავეხმაროთ შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვებს ჩვენს სკოლაში, განსაკუთრებით კი მათ, ვისაც სირთულეები აქვთ ემოციური თვალსაზრისით?
- რა განსხვავებაა დისციპლინასა და სასჯელს შორის და როგორია მათი გავლენა ქცევაზე?
- როგორ უნდა გამოასწორონ ბავშვებმა ანტისოციალური ქცევა?

- რა განსხვავებაა თვითდამკვიდრების მცდელობასა და აგრესიას შორის?
- რა როლი უნდა ითამაშონ მოზრდილებმა მოსწავლეების დასახმარებლად პრობლემების გადაწყვეტაში?
- როგორია მოსწავლის, როგორც ლიდერის და მედიატორის როლი?
- რა იგულისხმება გალიზიანებაში, შეურაცხყოფასა და ყოჩობაში?

## მშობელთა ჩართვა

მოსწავლეთა სასწავლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობა. მოქნილი პროცედურები, რომელიც მიმართული იქნება პროცესში მშობელთა თუ მეურვეთა ჩართვისაკენ, ხელს შეუწყობს სკოლაში პასუხისმგებლობის გაზიარებას მხარეებს შორის. ღია ურთიერთობები და ხედვა სკოლისა თუ ოჯახის მხრიდან ქმნის გარემოს, სადაც მხარს უჭერენ პრობლემის მოგვარებაზე მომართულ მიდგომას. ისეთი პოზიტიური სტრატეგიები, როგორცაა მშობელთა რესურს ცენტრების შექმნა ან მოსწავლეთა ოჯახებში კარგი ახალი ამბების შესახებ წერილის გაგზავნა, ეხმარება ურთიერთნდობის გარემოს შექმნას ოჯახსა და სკოლას შორის (მშობლებთან პარტნიორობის გაძლიერების სტრატეგიებისათვის იხ. აგრეთვე თავი 3).

### სავარჯიშო 7.7: მშობლებთან კავშირის შენარჩუნება

დადებითი გარემოს შექმნა საჭიროებს ძალისხმევას მშობლებთან კავშირის შესანარჩუნებლად. ამისთვის სხვადასხვა სტრატეგია არსებობს. მაგალითად, მისასალმებელი ნიშნებისა და სლოგანების მოფიქრება, საოჯახო სამხიარულო საღამოების, საუზმეების, მულტიკულტურული სადილების მოწყობა, მშობელთა და მასწავლებელთა რეგულარული შეხვედრების ორგანიზება, სკოლის დირექტორთან მშობელთა მიღების საათების გამოყოფა, ახალი მშობლებისათვის გაცნობითი შეხვედრის მოწყობა, სკოლის სახელმძღვანელოების გამოცემა, სკოლის კრებების მოწვევა. მშობლებმა უნდა იგრძნონ, რომ სასურველი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტუმრები არიან. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტი სწრაფად და ღირსეულად მოგვარდება. ფიზიკური გარემო მიმზიდველია, საზოგადოებას ეამაყება, რომ მას ასეთი სკოლა აქვს.

ძალიან ხშირად მხოლოდ მიპატიჟება საკმარისი არ არის პროცესში მშობლებისა და საზოგადოების ჩართვისათვის. სკოლაში მისვლა უფრო ადვილია, თუ მშობელს პირადად მასწავლებელი ან სხვა მშობელი მიიწვევს. ზოგ მშობელს ან მომვლელს დამატებითი დახმარება

სჭირდება — მაგალითად, ტრანსპორტის, ან მოსწავლეზე ზრუნვის სახით, ანდა, მათთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, თარჯიმანი იყოს საჭირო.

თქვენ რა გზებს გამოიხატავთ მშობლების მოსაზიდად, ჩასართავად, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ისინი ძნელად მისაწვდომნი არიან?

## ეფექტიანი სწავლება

ძალადობაზე რეაგირების აუცილებლობით გამონვეული ჩარევა დიდ ძალისხმევას, დროსა და ფულს მოითხოვს. ამიტომ საჭიროა სწავლებისა და სწავლის აპრობირებული მეთოდი, მორგებული ადგილობრივ საჭიროებებზე. ყველაზე გადამწყვეტია სწავლა დაწყებით საფეხურზე. ამისთვის მიმართავენ საკლასო ოთახში საყოველთაო სოციალურ-ემოციური უნარ-ჩვევების სწავლებას, სათამაშო მოედნებზე პროგრამების დაგეგმვას, მშობელთა რესურს ცენტრების შექმნას. მიზნობრივი პროგრამები გამოიყენება იმ მოსწავლეებთან, რომელთაც უფრო ინდივიდუალური სწავლება და საგანგებო მონიტორინგი სჭირდებათ. მაგალითად, მცირე ჯგუფებთან მუშაობა უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, ქცევითი კონტრაქტები, შუამავლობა, სიბრაზის მართვა და ა.შ. თუ ასეთი მიზანმიმართული ყურადღების შემდეგ ძალადობა კვლავ გრძელდება, მაშინ საჭირო ხდება კლინიკური ჩარევა (იხ. თავი 4, „ტალღოვანი მოდელი“). ასეთ მოსწავლეებთან დაკავშირებულ სირთულეთა ბუნების განსაზღვრასა და ინდივიდუალური რეაგირების გეგმათა შემუშავებაში მონაწილეობს ყველა — მშობლები, ჯანმრთელობისა და განათლების დარგთა სპეციალისტები, საზოგადოება და სოციალური მუშაკები (იხ. თავი 4, „სოციალური, ემოციური და უნარ-ჩვევების სწავლების“ პროგრამა, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში ხორციელდება).

### სავარჯიშო 7.8: ემოციური ინტელექტი

გოლემანის (1996) და სხვათა მიერ ჩატარებული პრევენციული კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ სკოლებს შეუძლიათ: ერთი მხრივ, თავიდან აიცილონ პრობლემური მდგომარეობის გავლენის, ყოჩობის, კრიმინალური საქმიანობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების და ძალადობის გაბატონება, მეორე მხრივ კი, შეამცირონ აღნიშნული პრობლემების სიმძიმე და ხანგრძლივობა. ამას ემოციური ინტელექტის განვითარებით მიაღწევენ.

სამწუხაროდ, სკოლათა უმეტესობის კურიკულუმებში წერა-კითხვისა და არითმეტიკის სწავლებას მეტი ადგილი ეთმობა, ვიდრე სოციალურ და ემოციურ განვითარებას. როგორც მასწავლებელთა უმეტესობა აცხადებს, მოსწავლეებს სჭირდებათ სოციალური უნარები და ემო-

ციების მართვა თავიანთ თანატოლებთან საურთიერთოდ სასწავლო გარემოში. საკლასო ოთახში ყველაზე დიდ დროს მოითხოვს მოსწავლეთა დახმარება ურთიერთობებში არსებული პრობლემების გადასაჭრელად. მასწავლებლებს შეუძლიათ, ჩვეულებრივ, გააკეთებინონ ან მაგალითის საშუალებით დაეხმარონ მოსწავლეებს სოციალური და ემოციური ინტელექტის განვითარებაში.

ცდილობს თუ არა თქვენი სკოლა მოსწავლეებს ასწავლოს ემოციურად გონიერი ადამიანის ქცევა და თან კარგი მაგალითი აჩვენოს მათ?

**სავარჯიშო 7.9: პირდაპირი ინსტრუქტაჟი / სწავლება**

პირდაპირ ასწავლის თუ არა თქვენი სკოლა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმეს ყველა მოსწავლეს, ან იმათ მაინც, ვინც ამ ჩვევებს სხვა გზით ვერ ითვისებს?

კი / არა      როგორ და როდის?

ემოციების ცოდნა

კონფლიქტების მოგვარება

სიბრაზის მართვა

მეგობრობის უნარ-ჩვევები

აგრესიის ალტერნატივები

პრობლემის გადაჭრის უნარები

მოსმენის უნარი

თვითდამკვიდრების უნარი

ფასეულობანი და მორალური განვითარება

**რეაგირების გეგმები**

რეაგირების გეგმაში მკაფიოდ უნდა იყოს განწერილი ის პროფილაქტიკური ღონისძიებები, რომელიც უნდა განხორციელდეს ძალადობის პრობლემის არსებობისას. ეს გეგმა უზრუნველყოფს მასწავლებელთა რეაგირების თანამიმდევრულობას და სამართლიანობას მოსწავლეების მიმართ. ძალადობის შემთხვევაში, მას აუცილებლად

უნდა მოჰყვეს თანამიმდევრული და დაუყოვნებელი ზომები, რომლის შესახებაც უნდა იცოდეს ყველამ – მასწავლებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა. აუცილებელია ბავშვები სასწრაფოდ მოვარიდოთ კონფლიქტის ადგილს, პედაგოგი უნდა გაესაუბროს მოსწავლეებს და მათთვის უნდა ამოქმედდეს მიზნობრივი პროგრამა. ამ გეგმის ერთ-ერთ უმთავრესი ელემენტია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და მშობლების ჩართვა პროცესში.

## სავარჯიშო 7.10: როცა ძალადობა ხდება

განიხილეთ შემდეგი ორი განცხადება:

### განცხადება 1

ძალადობა სასკოლო გარემოში მიუღებელია. ძალადობის მრავალი მიზეზი არსებობს და იგი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ სკოლები, რომლებიც საგანგებო ყურადღებას მიმართავენ და კონსტრუქციულად მუშაობენ ამ საკითხზე, ახერხებენ ძალადობისა და აგრესიული მოქმედების შემთხვევათა შემცირებას, კონვივენსიის რომ უშლის ხელს. ფორმულა მარტივია: მთელ სკოლაში ასწავლეთ პიროვნული განვითარებისათვის საჭირო უნარები, მათ შორის, ემოციები და სოციალური უნარები; მყარად დადექით პრინციპზე — „არავითარი ძალადობა“; მხარი დაუჭირეთ სკოლაში არსებულ ძალადობაზე რეაგირების გეგმას, მათ შორის, მიზნობრივი პროგრამების ამოქმედებას. თუ აღნიშნულ ზომებს მოსწავლე არ უპასუხებს, მოუწოდეთ მათ შემდგომი ჩარევისაკენ. ბავშვებს, რომლებიც არ ემორჩილებიან საყოველთაო და მიზნობრივ პროგრამებს, სჭირდებათ ინტენსიური ინდივიდუალური მხარდაჭერა, რაშიც ჩაერთვებიან განათლების ფსიქოლოგები, სპეციალიზირებული მასწავლებლები, მშობლები, სხვა სპეციალისტები და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებები.

### განცხადება 2

ძალადობა სოციალურ კონტექსტში ხდება, ხოლო მასწავლებლებმა, ჩვეულებრივ, კარგად იციან იმ მოსწავლეთა ისტორია, რომლებიც ძალადობას მიმართავენ. ამ ბავშვებისათვის ძალიან სასარგებლო იქნება თუ ეყოლებათ ემოციების ერთგვარი ინსტრუქტორი (მაგალითად: კლასის დამრიგებელი, განათლების ფსიქოლოგი, დამხმარე პროფესიონალი ან მოხალისე საზოგადოებიდან). ასეთი ადამიანი მოსწავლეებს დაეხმარებოდა ემოციების კონტროლის, ურთიერთ-თანამშრომლობისა და პრობლემების გადაჭრის უნართა გამოუმუშავებაში. ემოციების უკონტროლობა ყოველთვის არ არის ძალადობრივი აქტის საბაზი, მაგრამ ძალადობის ადგილიდან მოსწავლეების დაუყ-

ოვნებლივ გაყვანა და მათთან გასაუბრება, მიზეზის მიუხედავად, მოსწავლეებს დაეხმარება იმის გააზრებაში, რომ ძალადობა მიუღებელია და მათ თავიანთ ქცევაზე პასუხისმგებლობა მოუწევთ. ამავდროულად, ისინი უნდა დაფიქრდნენ იმაზეც, აგრესიის რა ალტერნატივა არსებობს და როგორ შეიძლება ჩადენილის გამოსწორება.

- თქვენს სკოლაში არსებული მიდგომები შეესაბამება თუ არა ზემოთ მოყვანილ განცხადებებს?
- რამე ხომ არ არის გამორჩენილი?
- რა სახის რეაგირების გეგმები გაქვთ შემუშავებული?
- ამ გეგმებში გათვალისწინებულია თუ არა ძალადობის მიზეზები, ძალადობის მსხვერპლის მხარდაჭერა და ძალადობის შედეგთა აღმოფხვრა?

ზოგადად, ძალადობაზე სასწრაფო რეაგირება ითვალისწინებს შემდეგს:

- ყველა მოსწავლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა – საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დახმარების მოხმობა, აგრესორების განცალკევება, მეთვალყურეების დაგზავნა;
- საჭიროების შემთხვევაში, პირველადი ფიზიკური და ემოციური დახმარების განწევა;
- საბაზისო ფაქტების შეგროვება ინციდენტის შესახებ მოხსენების დასაწერად;
- სათამაშო მოედნიდან მოძალადე ბავშვების დაუყოვნებლივ გამოყვანა – მათი გაგზავნა ან გაცილება წინასწარ მოწყობილ „გასაგრილებელ“ ოთახში, სადაც მათ გასაუბრებამდე უნდა მოიცადონ;
- მოსწავლის უსაფრთხო შებოჭვის მეთოდის გამოყენება, მაგრამ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

ეს ჩამონათვალი სკოლამ უნდა გამოიყენოს როგორც შესამოწმებელ მაჩვენებელთა ერთგვარი ნუსხა რეაგირების გეგმის შესამოწმებლად.

### სავარჯიშო 7.11: რეაგირების შერჩევა – დასჯა თუ აღდგენითი მიდგომა?

წარმოიდგინეთ ქვემოთ აღწერილი სიტუაცია, რომელიც რეაგირებას მოითხოვს.

13 წლის მოსწავლე რამდენიმეჯერ ურტყამს კლასში მყოფ სხვა მოზარდს. სკოლის ჩვეული ჩარევით მსგავსი ქცევა არ აღიკვეთა.



მსხვერპლის მშობლები მიმართავენ პოლიციას და სურთ, პოლიციამ საქმე აღძრას. სკოლაში მოქმედი რეაგირების ერთ—ერთი გეგმა ითვალისწინებს აღდგენითი მართლმსაჯულების დახმარებას (იხ. თავი 3). სკოლის დირექტორი და პოლიციის ოფიცერი ერთმანეთს ხვდებიან, რათა განიხილონ, რამდენად არის საჭირო მართლმსაჯულების სისტემის ჩარევა. თუ მსხვერპლის მშობლები დათანხმდებიან, მაშინ სისხლის სამართლის საქმე აღარ აღიძვრება და გამოიყენებენ გამოსწორებაზე ორიენტირებულ მართლმსაჯულებას.

შეადარეთ ორი ალტერნატივა:

სისხლის სამართლის გამოყენება	აღდგენითი მართლმსაჯულების ჩართვა
მოსწავლეს დააპატიმრებენ	ტარდება მოსამზადებელი შეხვედრა, რომელშიც ყველა მხარე მონაწილეობს. ისინი თანხმდებიან გამოსწორებაზე ორიენტირებული მართლმსაჯულების ჩართვაზე.
ჩვენებები მიაქვთ პოლიციის განყოფილებაში;	ტარდება კონფერენცია, რათა გაირკვევს თუ რამდენად სწორად არის აღქმული ფაქტები და ემოციები;
ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საქმე სასამართლომდე მივიდეს;	შედეგებზე ყველა ერთად თანხმდება;
ბავშვს აფრთხილებენ და ინფორმაცია ოფიციალურად შეაქვთ პოლიციის სარეგისტრაციო ჟურნალში;	სავალდებულოა მიღწეული შეთანხმება შეასრულონ მოსწავლეებმა, ოჯახებმა და სკოლამ;
დანაშაულის ჩადენიდან საბოლოო შედეგის მიღწევამდე ბევრი კვირა გადის.	ყველაფერი ერთ კვირაში სრულდება.

თქვენს სკოლაში რომ მომხდარიყო ანალოგიური შემთხვევა, მიზანშეწონილი იქნებოდა თუ არა გამოსწორებაზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება? უნდა განიხილოთ შემდეგი:

- როგორი იქნებოდა ბიჭებისა და მათი ოჯახების რეაქცია ზემოთ აღნიშნულ ორ ალტერნატიულ ვარიანტზე?
- როგორი შედეგების მიღებას ისურვებდა თქვენი სკოლა და რომელი ალტერნატივა მოიტანდა უკეთეს რეზულტატს?
- რომელ ალტერნატივას გამოიყენებდით თუ მოძალადე:
  - სხეულზე მხოლოდ ერთხელ დაარტყამდა;
  - ძირს დაგდებულ მოსწავლეს რამდენიმე მუჯღუგუნსა და ნიხლს დაარტყამდა;
  - დარტყმები ძლიერი და ხანგრძლივი იქნებოდა და, შესაბამისად, შეეძლო მსხვერპლისათვის სერიოზული ტრავმის მიყენება.

## **კრიზისულ სიტუაციაში ჩარევა.**

### **მასწავლებლის მიერ მიდგომებისა და უნარ-ჩვევების შეფასება**

აგრესიულ ან მოძალადე ბავშვებთან მუშაობისას მასწავლებელი მათ აცნობს რამდენიმე მოსალოდნელ შედეგს და, იმავდროულად, აძლევს საშუალებას, რომ მოსწავლემ პრობლემა გადაჭრას, მიზანი დაისახოს, საჭირო უნარ-ჩვევები განივითაროს და მდგომარეობის გამოსწორება შეძლოს. კრიზისულ სიტუაციაში ჩარევის ვალდებულება, შესაძლოა, კლასის დამრიგებელს ან დანიშნულ მასწავლებელს დაეკისროს. ალტერნატიულად, სკოლაში მომუშავე ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ეს გამოსადეგი სტრატეგიები. მოსწავლეებთან მუშაობისას საჭირო ფასეულობებს, დამოკიდებულებებსა და უნარ-ჩვევებს შორისაა:

- პატივისცემა – ნეიტრალურობა, ადამიანის ღირსებაზე ზრუნვა, პატივსაცემი ენის გამოყენება;
- ემპათია ემოციური აშლილობის, ძალადობის, მოსწავლის განვითარების თავისებურებებისა და სამედიცინო მდგომარეობის (როგორცაა, მაგალითად, ასპერგერის სინდრომი) გათვალისწინებით;
- ოპტიმიზმი – რწმენა იმისა, რომ მოსწავლეს აქვს უნარი განივითაროს სოციალური და ემოციური უნარ-ჩვევები;
- სიმშვიდის, საკუთარი ემოციების გაკონტროლებისა და პრობლემის გადაჭრის უნართა მაგალითის ჩვენება;
- რეაგირებათა თანამიმდევრულობა;
- ემოციების მართვის სწავლება და პირველი დახმარება ემოციების სფეროში;

- კრიზისულ სიტუაციაში ინტერვიუს ჩატარება – ემოციების კონტროლი, ფასეულობათა გამოკვეთა, პრობლემების გადაჭრა, მიზნების დასახვა, უნარ-ჩვევების განვითარება – მათი გამომუშავება, შედეგები და მდგომარეობის გამოსწორება;
- შუამავლობა;
- ყოჩობის შემთხვევაში მიდგომა „არავითარი ბრალდება“;
- გამოსწორება.

ეს მოდელი შეესაბამება თუ არა თქვენს სკოლას?

### სავარჯიშო 7.12: რეაგირების გეგმა

თქვენი სკოლის საჭიროებები.

ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებზე პასუხი, შესაძლოა, დაგეხმაროთ თქვენი რეაგირების გეგმების დახვეწასა და საჭირო ინფორმაციის მოგროვებაში.

- არის თუ არა თქვენი სკოლის პრობლემა ძალადობა და აგრესია? სად ხდება ის? ვინ არის მასში ჩართული? რას გვიჩვენებს ეს მონაცემები? (მონაცემების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად იხ. თავი 2);
- პატივისცემით ეპყრობიან თუ არა მოსწავლეებს მასწავლებლები, დირექტორები და მშობლები?
- არსებობს თუ არა სასკოლო დისციპლინის პოლიტიკა თქვენს სკოლაში?
- იყენებენ თუ არა მასწავლებლები კვლევაზე დაფუძნებულ, ეფექტიან სასწავლო სტრატეგიებს?
- არის თუ არა რეგულარული სასკოლო პროგრამის ნაწილი ისეთი პრევენციული პროგრამები, როგორცაა სოციალურ-ემოციური განვითარება და თანატოლთა ლიდერობა?
- არსებობს თუ არა სკოლაში მიუღებელ ქცევაზე მონიტორინგის სტრატეგია? მარტივია თუ არა მონაცემების შეგროვებისა და მართვის პროცედურები?
- ურთიერთთანამშრომლობდნენ თუ არა სკოლის პერსონალი, მშობლები და მოსწავლეები სკოლისათვის მისაღები ქცევის მოდელების შემუშავებისას (უფლებების, პასუხისმგებლობის და შედეგების გათვალისწინებით)?
- არის თუ არა მკაფიო და ყველასათვის ცნობილი ძალადობაზე რეაგირების გეგმები?

- არსებობს თუ არა მიზნობრივი პროგრამები, მიმართული იმ ბავშვებისაკენ, რომელთაც სოციალურ-ემოციური უნარების დეფიციტი აქვთ?
- ერთგებიან თუ არა მშობლები პროცესში სირთულეების გამოვლენის ადრეულ ეტაპზე და იღებენ თუ არა რჩევებსა და დახმარებას სხვა ორგანიზაციების მხრიდან?

## აუდიტი

მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის საშუალებით პროგრამების განხორციელებაზე სისტემატურ მონიტორინგს დიდი მნიშვნელობა აქვს ძალადობაზე რეაგირების პროცესში აქცენტების სწორად დასმისათვის. მონაცემების შეგროვების მარტივი და პრაქტიკული ფორმები სკოლის პერსონალს გაუადვილებს ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სამუშაოს ჩატარებას. საგანგებო მონიტორინგი სათანაშო მოედანზე საშუალებას გვაძლევს შევიმუშაოთ და საზოგადოებასაც გავაცნოთ მკაფიო პროცედურები ძალადობის წინააღმდეგ. გარდა ამისა, მონიტორინგი ერთგვარი ბუფერის როლსაც ასრულებს ძალადობისათვის, რადგან ბავშვები არეგულირებენ ქცევას, როცა იციან რომ მათ აკვირდებიან. აუდიტისა და მონიტორინგის საშუალებით სასკოლო გეგმებისათვის საჭირო ინფორმაციის მოგროვების შესახებ უფრო დეტალურად მე-2 და მე-5 თავებში შეიტყობთ.

## გამამხნეველი სიტყვა

ძალადობაზე რეაგირების გეგმის განხორციელების პირველი რამდენიმე თვე, წელიც კი, შესაძლოა, ინტენსიური და დატვირთული აღმოჩნდეს, იმის გათვალისწინებით, თავიდან როგორი იყო გარემო და ძალადობის დონე. ეს ინტენსიური ფაზა საგანგებო მონიტორინგისა და სასწრაფო რეაგირებისაკენ მიმართული დროებითი საშუალებაა. ეს არის გარდამავალი ფაზა უფრო სტაბილურ პერიოდამდე. გარდა ამისა, არ გქონდეთ იმის მოლოდინი, რომ ყველაფერი ერთბაშად გაკეთდება. გჯეროდეთ, ნებისმიერი ნაბიჯი მუშაობს ძალადობისა და შეურაცხყოფის შესამცირებლად, განსაკუთრებით კი, სკოლის პირველი 5 წლის განმავლობაში. სკოლის თანამშრომლებს უნდა სწამდეთ, რომ ძალადობა სულაც არ არის გარდაუვალი მოვლენა და ის აბსოლუტურად მიუღებელია. რაც მთავარია, სათანადო კულტურისა და ინსტრუქტაჟის საშუალებით, ძალადობა შეიძლება მნიშვნელოვანწილად აღმოვფხვრათ სკოლებიდან.

თქვენი სკოლის რეაგირება, რა თქმა უნდა, ინდივიდუალური იქნება, მაგრამ საკუთარი მოდელის მომზადებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ტრენინგის გავლა ორ სფეროში:

- პროაქტიული – რა თვისებები და უნარ-ჩვევები უნდა განავითაროს სკოლამ მოსწავლეებსა და პერსონალში ისეთი გარემოს შესაქმნელად, სადაც ძალადობის შემთხვევები ნაკლებად არის მოსალოდნელი?
- რეაქტიული – თუ თქვენს სკოლაში ძალადობა მოხდა, როგორია თქვენი რეაგირება – პროაქტიული, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული და არაძალადობრივი? ასწავლით თუ არა უფრო პროაქტიულ უნარებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც ძალადობისაკენ მიდრეკილებას ავლენენ?

Ainscow, M., Hopkins, D., Souhworth, G., and West, M. (1994). *Creating the conditions For school improvement*. London: Fulton

Ananiadou, K. and Smith, P.K. (2002). “Legal requirements and nationally circulated materials against school bullying in European countries.” *Criminal Justice*, 2, 471-491

Antidote (2003). *The emotional literacy handbook:: promoting whole-school strategies*. London: Fulton

Arnett, J. (1992). “Reckless behavior in adolescence: a developmental perspective.” *Developmental Review*, 12, 339-373

Astor, R.A., Benbenishty, R. and Marachi, R. (2004). “Violence in schools”, in P.A. Meares (ed.), *Social work services in schools* (4 th edition), 149-182, New York: Allyn And Bacon

Atria, M. and Spiel, C. (2003). “The Austrian situation: many initiatives against violence, Few evaluations”, in P.K. Smith (ed.), *Violence in schools: the response in Europe*, 83-99. London: Routledge Falmer

Bandura, A. (1986). *Social foundations of thought and action: a social cognitive theory*. Englewood Cliffs, NJ: Prentice-Hall

Bemak, F. and Keys, S. (200). *Violent and aggressive youth: intervention and prevention strategies for changing times*. California: Corwin Press Inc.

Bebenishty, R. and Avi Astor, R. (2003). “*Violence in schools: the view from Israel*”, in P.K. Smith (ed), *Violence in schools: the response in Europe*. London: Routledge-Falmer

Bebenishty, R. and Astor, R., in press. *School violence embedded in context*. Oxford: Oxford University Press

Bongers, C. (2001). “Talcking violence in schools: a report from the Netherlands”, presented at the EC Connect Project UK-001 (Talcking Violence in Schools on a European-wide Basis) European Conference, Goldsmiths’ College, London, 6-8 April

Bongers, C., Prior, F. and Walraven, G. (2003). “From combating bullying and violence To fostering pro-social behaviour: a report from the Netherlands”, in P.K. Smith (ed.), *violence in schools: the response in Europe*. London: Routledge-Farmer

Byrne, B. (1987). *A study of the incidence and nature of bullies and whipping boys (victims) in a Dublin city post-primary school, unpublished Master's thesis*, Trinity College, Dublin

Canadian Safe School Network.. *Violence in schools: a pointed discussion*. E-mail: [cssn@interlog.com](mailto:cssn@interlog.com)

Carlson, H.M. and Casavant, C.M. (1995). “Education of Irish Traveler children: some social issues”, *Irish Journal of Psychology*, 16:2, 100-116

Children in Partnership with Schools (CHPS) : <http://www.childline.org.uk>

Cook, T.D. and Campbell, D.T. (1979). *Quasi-experimentation*. Chicago: Rand McNally

Council of Europe (2003). *Violence in schools - a challenge for the local community*. Strasbourg: Council of Europe Publishing

Council of Europe (2005). *Preventing school violence- a handbook for local partner-ships*, Doc. PAEV(2005) 12E, action programme “Children and violence”

Cowie, H. Smith, P.K., Boulton, M.,J. and Laver, R. (1994a). *Co-operative group work in. in the multi-ethnic classroom*. London: David Fulton

Cowie, H. Smith, P.K. and Boulton, M. (1994b). *in the multi-ethnic class-room* London: David Fulton

Cowie, H., Sharp, S. (1996). (eds.) *Peer counseling in schools*. London: David Fulton

Cowie, H., and Wallace, P. (1998). *Peer support: a teacher's manual*. London: the Prince's Trust

Cowie, H. (2 000). “Bystanding or standing by: gender issues in coping with bullying”, *Aggressive Behaviour*. 26, 85-97

Cowie, H., Wallace, P. (2000). *Peer support in action*. London: Sage

Cowie, H., Naylor, P., Talamelli, L., Ctianham, P. and Smith, P.K. (2002). “Knowledge, use of and attitudes towards *peer support*”. *Journal of Adolescence*, 25:5, 453-467

Cowie, H., Dawn, J. and Sarp, S. (2003). “School violence in the United Kingdom-addressing the problem”, in P.K. Smith (ed.) *Violence in schools: the response in Europe*. London: Routledge Falmer

Cowie, H., Boardman, C., Dawkins, J and Jennifer, D. (2004). *Emotional health and well-being: a practical guide for schools.*: Sage.

Cunningham, C., Cunningham, L., Martorelli, V., Tran, A., Yong, J. and Zacharias, R. (1998). “The effects of primary division, student-mediated conflict resolution programs on playground aggression”, *Journal of Child Psychology and Psychiatry*, 39, 5, 653-662

Davis, L. (1998). *Research project report. School councils and pupil exclusions*. School Council UK

Debarbieux, E. and Blaya, C. (2001). (eds.) *La violence en milieu scolaire: dix approches en Europe* [Violence in schools: Ten approaches in Europe]. Issy-les-Moulineaux:: ESF

Debarbieux, E. and Blaya, C. (2001). (eds.) *Violence a l’ecole et politiques publiques* [Violence in schools and public policies]. Issy-les- Moulineaux:: ESF

Debarbieux, E., Blaya, C. and Vidal, D. (2003). “Tackling violence in schools. A report from France”, in P.K. Smith (ed.), *Violence in schools: the response in Europe*, 17-32. Ondon and New York: Routledge Falmer

Department of Education and Science (1993). *Report of the Special Education Review Committee*. Dublin: the Stationery Office

Department of Education and Science (1995). *Charting our education future. The White Paper on education in Irland*. Dublin: Government Publications

Department of Education and Science (1999). *Guidelines on violence in schools*. Dublin: the Stationery Office

DfES (1989). Department for Education and Skills. *Discipline in schools: report of the Committee of Inquiry*, chaired by Lord Elton. London: HMSO  
 DfES (2002). Department for Education and Skills research report 456:”What works in developing pupil’s emotional competence and well-being”



DfES (2004). English Department for Education and Skills Donnellan, A.M., LaVigna, G.W., Negri - Shoultz, N. and Fassbender, L.L. (1988). *Progress without punishment: effective approaches for learners with behaviour problems*. New York and London: Teachers College Press, Teachers College, Columbia University

Dusenbury, L., Falco, M., Lake, A., Brannigan, R. and Bosworth, K. (1997). “Nine critical elements of promising violence prevention programs”, *Journal of School Health*, 67(10),409-414

Education Leeds website:<<http://www.educatioleeds.co.uk/development>> - ინტერნეტ გვერდი, რომელშიც მოცემულია საინტერესო ბმულები განათლების სფეროში;

Encarta (1999). Encarta World English Dictionary. London: Bloomsbury Publishing

Farrell, S., Hartop, B., Tyrrell, J. (1998). *Six of the best: an interim report of a survey on the impact of peer mediation in six primary schools in North Ireland*. University of Ulster

Fernandez, I., Villaosalada, E. and Funes, S. (2002). *Conflicto en el Centro Escolar*. Madrid: Catarata Fullan,M.G. (1999). *Change forces: the sequel*. London: Falmer Press

Fullan,M (1991). *The new meaning of educational change*. (chaoter 4 and 5), London: Cassell

Glendenning, D. (1999). *Education and the law*. Dublin: Butterworths Goleman, D. (1996). *Emotional intelligence: why it can matter more IQ*. London: Bloomsbury

Godsil, A. (2002). “Peer mediation and its potential for reducing the incidence of bullying in schools”, in *Proceedings of the second national conference on bullying and suicide in schools*. Tralee, Co. Kerry, 28-29 November

Gray, J., Reynolds, D., Wilcox, B., Farrell, S., and Jesson, D. (1999). *Improving schools: performance and potential*. Buckingham: Open University Press

Hanewinkel, R. (2004). “Prevention of bullying in German schools: an evaluation of an anti-bullying approach”, in P.K. Smith, D. Pepler, and K. Rigby (eds.), *Bullying in schools: How successful can interventions be?* Cambridge: Cambridge University Press.

Hart,R. (1992). “Tokenism to citizenship” in Symons, G. (1998), *Making it happen: agenda 21 and schools*. Surrey: WWF

Hawker, D.S.J. and Boulton, M.J. (2000). “Twenty years’ research on peer victimization and psychosocial maladjustment: a meta-analytic review of cross-sectional studies.” *Journal of Child Psychology and Psychiatry*, 411,4,441-455

Henderson, D. (2003). “Primary seniors help improve relationships.” *Times Educational Supplement*, 12 december 2003. London TES

Hromerk, R. (2004). *Planting the peace virus: early intervention to prevent violence in schools*. Bristol: Lucky Duck Publishing

ICCRM (2002). International Centre for Conflict Resolution and Mediation. *The Pacific Path Programme: Conflict resolution in elementary school and : conflict resolution in Preschool*. iICCRM: < ttp://www.iccrm.com>

Johnson, D.W. and Johnson, R.T. (1995). “Why violence prevention programmes don’t work-and what does,” *Education Leadership*, February, 63-68

Jordan, R. (1999) . “Ireland: national activities, programmes and policies”, in *Policies in member states on safety at school and on measures to counter violence in schools*. European Commission

Kaltiala-Heino, R., Rimpela, M., Marttunen, M., Rimpela, A. and Rantanen, P. (1999). “Bullying, depression and suicidal ideation in Finnish adolescents: school survey”. *British Medical Journal*, 319,348-351

Lawlor, M. (2002). “The ‘cool school’ response to school bullying.” *Proceedings of the second national conference on bullying and suicide in schools*. Tralee, Co. Kerry, 28-29 November

Lykken, D.T. (1968). “Statistical significance in psychological research”. *Psychological Bulletin*, 70, 151-159

Maden, M. and Hillman, J. (1996). “Lessons in success” in *Success against the odds*. National Commission on Education: Routledge

Maines, G. and Robinson, B. (1992). *Michael’s story: “no blame” approach*. Bristol: Lane Duck Publishing

Maslow, A.H. (1968). *Towards a psychology of being*. New York: Nostrand

Mayer, G.R., Sulzer-Azaroff, B. (1990). “Interventions for vandalism”, in G. Stoner, M.R. Shinn, and H.M. (eds.) *Interventions for achievement and behaviour problems, Mono-graph*, 559-580. Washington, DC: National Association of School Psychologists

Menesini, E., Codecasa, E., Benelli, B. and Cowie, H. (2003). “Enhancing children’s responsibility to take action against bullying: evaluation of a befriending intervention in Italian middle schools”, *Aggressive Behavior*, 29,1,1-14

Minton, S.J., O’Moore, A.M., Cahill, K. Lynch, J. McGuire, L. and Smith, M.J. (2005). “A review of scientifically evaluated good practices of preventing and reducing bullying at school in the EU member states”. Project commissioned by and submitted to the European Commission (Directorate-General Justice Crime Prevention)

Morgan, D.L. and Morgan, R.K. (2001). “Single participant research design,” *American Psychologist*,” 56, 119-127

Nabuzoka, D. (200). *Children with learning disabilities*. Leicester: British Psychological Society

National Strategy on Community Safety and Crime Prevention (Government of Canada) (2004). Fact sheet on bullying: [http://www.prevention.gc.ca/en/library/publications/fact\\_sheets/bullying](http://www.prevention.gc.ca/en/library/publications/fact_sheets/bullying);

Naylor, P. Cowie, H. (1999). “The effectiveness of peer support system in challenging school bullying: the perspectives and experiences of teachers and pupils.” *Journal of Adolescence*, 22,4,467-479

NSPCC 2004. National Society for the Prevention of Cruelty to Children. Peer support manual. London: NSPCC

Ni Irgihle, M. (1992). *Bullying and the special class*, unpublished B.ed. thesis, Trinity College, Dublin

Olweus, D. (1993). *Bullying at school: what we know and what we can do*. Oxford: Blackwell

Olweus, D. (1997). “Bully/victim problems at school: knowledge base and an effective intervention programme.” *Irish Journal of Psychology*, 18:2, 191-201

Olweus, D. (1999a). :Sweden” in P.K. Smith, Y. Morita, J.Junger-Tas, D. Olweus, R. Catalano and P. Slee (eds.), *The nature of school bullying: a cross-national perspective*, 2-27. London and New York: Routledge

Olweus, D. (1999b). "Norway", in P.K. Smith, Y. Morita, J. Junger-Tas, D. Olweus, R. Catalano, and P. Slee, (eds.). *The nature of school bullying: a cross-national perspective*. London: : Routledge

Olweus, D. (2004). "The Olweus bullying prevention program: design and implementation Issues and a new national initiative in Norway", in P.K. Smith, D.Pepler, and K. Rigby, (eds.), *Bullying in schools: how successful can interventions be?* Cambridge: Cambridge University Press

O'Moore, A.M. and Hillery, B. (1989). "Bullying Dublin schools". *Irish Journal of Psychology* 10:426-441

O'Moore, A.M. (1997). "Foreword: bullying behavior in schools". *Irish Journal of Psychology*, 19:2, 135-137

O'Moore, A.M., Kirham, C. and Smith, M. (1997). "Bullying behavior in Irish schools: a nationwide Study." *Irish Journal of Psychology*, 18:2, 141-169

O'Moore, A.M. and Kirham, C. (2001). "Self-Esteem and its relationship to bullying behavior." *Aggressive behavior* 27, 269-283

O'Moore, A.M. and Minton, SJ. (2002). Tackling violence in schools in Norway: an evaluation of the "broad approach", available at:<http://www.gold.ac.uk/connect>

O'Moore, A.M. and Minton, SJ. (2003a). "The hidden voice of bullying", in M. Shevlin and R. Rose (eds.), *Encouraging voices: respecting the insights of young people who have been marginalised*. Dublin: National Disability Authority.

O'Moore, A.M. and Minton, SJ. (2003b). "Reshaping young people's attitudes towards aggression and bullying: towards a nationwide intervention in Irish schools." Presented at the 4<sup>th</sup> International conference of PH.D Students, University of Miskolc, Hungary, 11-17 August

O'Moore, A.M. and Minton, SJ. (2005). *Dealing with bullying in schools: a training manual For teachers, parents and other professionals*. London: Paul Chapman Publishing

Ortega, R. (1998). *La Convivencia Escolar que es y como abordarla*. Sevilla: Consejeria de Education y Ciencia

Ortega, R. (2001). "The Seville project against school violence: an educational intervention model of an ecological nature", in E. Debarbieux and C. Blaya (eds) *Violence in schools: ten Approaches in Europe*. Paris: ESF

Patterson, G.R., DeBryshe, B.D. and Ramsey, E. (1989). “A developmental perspective on anti-social behavior.” *American Psychologist*, 44, 329-335

Person, G. (1983). *Hooligan: a history of respectable fears*. London: Macmillan Press

Pellegrini, A.D. and Bartini, M. (2001). “Dominance in early adolescent boys: affiliative and aggressive dimensions and possible functions.” *Merrill-Palmer Quarterly*, 47, 142-163

Pikas, A. (2002). “New developments of the shared concern method.” *School Psychology International*, 23, 307-326

Potter, D. Reynolds, D. and Chapman, C. (2002). “school improvement for schools facing Challenging circumstances.” *School Leadership and Management* 22(3), 243-256

Rigby, K. (1998). “Suicidal ideation and bullying among Australian secondary school children.” *Australian Educational and Developmental Psychologist*, 15, 1, 45-61

Rigby, K. (2002). *New perspectives on bullying*. London: Jessica Kingsley Publishers

Robson and Smedley (1996). “First things first.” *Roehampton Teaching Studies*

Roland, E. (2000). “Bullying. In school: three national innovations in Norwegian schools in 15 years.” *Aggressive Behaviour*, 26:1, 135-143

Roland, E., Bjornsen, G. and Mandt, G. (2001). “Tackling violence in schools: a report from Norway”, presented to the EC CONNECT Initiative UK-001: Tackling Violence in Schools on a European-Wide Basis Symposium, Goldsmiths College, London, 6-8 April

Roland, E., and Munthe, E. (1997). “The 1996 Norwegian program for preventing and managing bullying. In schools.” *Irish Journal of Psychology*, 18:2, 233-247

Roland, E., and Galloway, D. (2002). “Classroom influences on bullying.” *Educational Research*, 44,299-312

Roland, E., and Galloway, D. (2004). “Is the direct approach to reducing bullying always the best?, in P.K. Rigby, (eds.) *Bullying. In schools: how successful can interventions be?* Cambridge University Press

Rutter, M., Maugham, B., Mortimer, P., Ousten, J and Smith, A. (1979) *Fourteen thousand hours: secondary schools and their effects on children*. Cambridge: Harvard University Press

SAlmivalli, C., Lagerspetz, K., Bjorkqvist, K., and Kaukianen, A. (1996). "Bullying. In as a group process: participant roles and their relations to social status within the group." *Aggressive Behaviour*, 22,1-5

SAlmivalli, C., Kankinen, A., Kaistanemi, L., and Lagerspetz, K.M.J. (1999). "Self-evaluated, self-esteem, peer- evaluated self-esteem and defensive egotism as predictors of adolescents' participation in bullying situations." *Personality and Social Psychology Bulletin*, 25, 1268-1278

Sammons, P., Hillman, J., Mortimore, P. (1995). *Key characteristics of effective schools*. London: Institute of Education/Office for Standards in Education

Schafer, M and Korn, S (2003). "Numerous programmes – no scientific proof", in P.K. Smith (ed.) *Violence in schools: the response in Europe*, London: Routledge Falmer

Scherer-Thompson, J. (2002) *Peer support manual*. London: Mental Health Foundation

Schon, D. (1982). *The reflective practitioner*. New York: Basic Books

Sgaughnessy, J. and Jennifer, D. (2003). "An evaluation of checkpoints for schools." Report for Birmingham LEA. P.K. Smith (ed.) (2003). *Violence in schools: the response in Europe*. London: Routledge Falmer

Smith, P.K. and Sharp, S. (1994). *School bullying: insights and perspectives*. London: Routledge

Smith, P.K. Cowie, H., Olafsson, R., and Liefoghe, A. (2002). "Definitions of bullying: a Comparison of terms used, and age and sex differences, in a 14-country international comparison." *Child Development*

Smith, P.K. (ed.) 2003. *Violence in schools: the response in Europe*. London and New York Routledge Falmer

Smith, P.K., Ananiadou, K. and Cowie, H. (2003). "Interventions to reduce school bullying." *Canadian Journal of Psychiatry*, 48, 591-599

Smith, P.K Pepler, D. and Rigby, K. (2005). (eds.) *Bullying in schools: how successful can interventions be?* Cambridge: Cambridge University Press

Soloy, M. (1998). “Gran scole fant medisn mot hverdagvold.” [Gran School has found the antidote to daily violence.] *Aftenposten*, Fridy 27 November

Stacey, H. (2000). “Mediation and peer mediation”, in H. Cowie and P. Wallace, *Peer support in action*. London: Sage

Stevens, V., Van Oost, P. and de Bourdeaudhuij, I. (2004). “Interventions against bullying in Flemish schools: programme development and evaluation”, in P.K. Smith, D. Pepler and K. Rigby (eds.), *Bullying in schools: how successful can interventions be in* Cambridge: Cambridge University Press

Suckling, A. and Temple, C. (2002). *Bullying: a whole-school approach*. London: Jessica Kingsley Publishers

Underwood, M.K. (2002). “Sticks and stones and social exclusion: aggression among girls and boys”, in , P.K. Smith and C.K. Hart (eds.), *Blackwell handbook of children social development*. Oxford: Blackwell

United Nations (1991). United Nations Convention on the Rights of the Child. *Innosenti Studies*. Florence: Unicef

Varnava, G. (2000). *Towards a non-violent society: checkpoints for schools*. London. National Children’s Bureau

Varnava, G. (2000). *How to stop bullying in your school: a guide for teachers*. London: David Fulton

Vettenburg, N. (1999). “Violence in schools. awareness-raising prevention, penalties, general raport”, in *Violence in schools. awareness-raising prevention, penalties*. Strasburg: Council of Europe Publishing

Vettenburg, N and Huybregts, I. (2001). “Anti- social student behaviour and feelings of unsefety among teachers.” Presentation at the International Conference on Violence in Schools and Public Policies, Paris, 5-7 March

Vitaro, F., Trembay, R.E., Kerr,M., Pagani, L. and Bukowski, W.M. (1997). “Disruptiveness, friend’s characteristics and delinquency in early adolescence”. *Child Development*, 68, 676-689

Vygotsky, L.S. (1976). *Thought and Language*, Cambridge, Mass: MIT Press

Weare, K. and Gray, G. (2003). “What works in developing children’s emotional and social competence and well-being?”, DFES Research report 456, The Health Education Unit, Research and Graduate School of Education, University of Southampton

Welsh, W.N. Greene, J.R. and Jenkins, P.H. (1999). "School disorder: the influence of individual, institutional and community factors". *Criminology*, 37, 73-115

WHO fi-006. World Health Organisation: <<http://www.health.fi/connect>>

Wolke, D., Samara, M. and Woods, S. (in prep.). "Creating characters and social relationships of those involved in bullying: description and implications for new approaches to intervention." Submitted manuscript, University of Bristol

Young, M. and Commins, E. (2002). *Global citizenship*. Cambridge: Chris Kingston Publishing





## ავტორების შესახებ

კრის გიტინსი (Chris Gittins) გახლავთ ამ სახელმძღვანელოს შექმნის კოორდინატორი. იგი არის წამყვანი მრჩეველი ქცევის, სკოლაში დასწრების გაუმჯობესებისა და ძალადობის აღმოფხვრის სპეციალისტი ინგლისის განათლებისა და უნარების დეპარტამენტში.

პროფესორი პიტერ კ. სმიტი (Peter K. Smith) გახლავთ ლონდონის უნივერსიტეტის გოლდსმიტის კოლეჯის სკოლისა და ოჯახის კვლევის განყოფილების უფროსი;

პიტერ გალვინი (Peter Galvin) გახლავთ განათლების სფეროს უფროსი ფსიქოლოგი, რომელიც ლიდის განათლების სისტემაში მუშაობს. იგი არის ავტორი ქცევის მენეჯმენტზე შექმნილი წიგნისა და ლიდის მონაცემთა ბაზისა და სკოლაში ქცევისა და დასწრების აუდიტის მეთოდის შემქმნელი;

დოქტორი ჯული შონესი (Julie Shaughnessy) გახლავთ მასწავლებელთა დაწყებითი განათლების სკოლის უფროსი ლექტორი სურეის უნივერსიტეტში, როჰამპტონში. იგი გალხდათ პროგრამის ინიციატორი PGCE დაწყებითი განათლების კურიკულიუმისა და გაერთიანებული სამეფოს ობსერვატორიის დამფუძნებელი.

ჯული კეისი (Julie Casey) გახლავთ ემოციების შესახებ სწავლების ფსიქოლოგი და კონსულტანტი. ის არის იმ გუნდის წევრი, რომელმაც ინგლისში ქცევისა და დასწრების ნაციონალური სტრატეგია შეიმუშავა.

პროფესორი ჰელენ კოუი (Helen Cowie) გახლავთ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ახალგაზრდების სფეროს პროფესორი, გაერთიანებული სამეფოს სურეის უნივერსიტეტის ჯანდაცვისა და სამედიცინო მეცნიერებათა ევროპული ინსტიტუტის არაძალადობის ხელმეწიფის ობსერვატორიის დირექტორი;

პროფესორი მონა ო'მური (Mona O'Moore) გახლავთ განათლების დეპარტამენტის თავმჯდომარე (დამფუძნებელი და კოორდინატორი), ხოლო სტივენ ჯეიმს მინტონი (Stephen James Minton) - განათლების სფეროს მკვლევარი. ისინი ერთად მუშაობენ ყოჩობის კვლევებისა და რესურსების ცენტრში დუბლინის ტრინიტის კოლეჯში.

ჯორჯ რობინსონი და ბარბარა მეინსი (George Robinson, Barbara Maines) გახლავთ გამომცემლობა Lucky Duck Publishing-ის მფლობელები და დამფუძნებლები. ისინი წერენ და აქვეყნებენ ბავშვთა განვითარების ამ სფეროსადმი მიძღვნილ წიგნებსა და სახელმძღვანელოებს. რობინ ჰრომეკი (Robin Hromek) ავსტრალიაში მუშაობს, როგორც განათლების სფეროს ფსიქოლოგი. ორივე ამ ავტორს განათლების ფსიქოლოგად, სკოლის ხელმძღვანელად, მასწავლებელთა ტრენინგად, ქცევის მართვის კონსულტანტად და ლექტორად მუშაობის უზარმაზარი გამოცდილება და სტაჟი აქვთ.



## დანართი – ბავშვები და ძალადობა

სამოქმედო პროგრამა სახელწოდებით “ბავშვები და ძალადობა” არის ნაწილი ევროპის საბჭოს უფრო ფართო ინიციატივისა – “ვაშენოთ ევროპა ბავშვებთან ერთად და ბავშვებისათვის”. ამ ინიციატივის მიზანია, ბავშვთა უფლებები აისახოს და ჰარმონიულად ინტეგრირდეს ევროპის საბჭოს ყველა საქმიანობაში.

ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანაში ბავშვები ძალადობის ყველაზე საშიშელი ფორმებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლნი ხდებიან. ბევრი მიზეზის გამო, წევრი ქვეყნების უმეტესობაში მთავრობათა დღის წესრიგში პრიორიტეტული ადგილი უჭირავს ბავშვთა უფლებების დაცვასა და ბავშვთა უფლებას, რომ დაცულნი იყვნენ ყოველგვარი ძალადობისაგან. ყველა ამ ქვეყანამ მოახდინა გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება. მათ ევალემატ, შეიმუშაონ სამოქმედო გეგმა ამ კონვენციის სრულად შესრულების უზრუნველსაყოფად.

ის ძალადობა, რომელიც ბავშვებზე ახდენს გავლენას მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალადობის უფრო ფართო ფორმებსა და, საერთოდ, ორგანიზებულ დანაშაულთან. ძალადობის ფაქტებს შეხვედებით სკოლებში, ქუჩაში და ოჯახურ გარემოშიც. გარდა ამისა, ბავშვები ხდებიან ისეთი გლობალური პრობლემის მსხვერპლნი, როგორცაა ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტერორიზმი, შეიარაღებული კონფლიქტები და კომპიუტერული დანაშაულებანი.

ამ საკითხთა სირთულე და კომპლექსურობა მოითხოვს თანამიმდევრული სტრატეგიის შემუშავებას, რომელმაც კოორდინაცია უნდა გაუკეთოს ყველა ძირითადი მოქმედი ორგანიზაციისა თუ პირის საქმიანობას და მოახდინოს ყველა ხელმისაწვდომი მეთოდის მობილიზაცია.

ამ პროგრამის მიზნებია:

- ბავშვთა უფლებებისა და ძალადობის ყველა ფორმისაგან მათი დაცვის ხელშეწყობა და უზრუნველყოფა;
- ძალადობის საწინააღმდეგო პოლიტიკაში ბავშვებისა და ახალგაზრდების პირდაპირი ჩართვა;
- ბავშვთა წინააღმდეგ ძალადობის სხვადასხვა კონტექსტისა და ტიპისათვის პრაქტიკული მოქმედების სტრატეგიის ჩარჩოს ჩამოყალიბება. გამოიკვეთა ხუთი სფერო, რომლებიც ჩარევას საჭიროებს: ოჯახი, სკოლა, საცხოვრებელი დაწესებულებები, საზოგადოება, ექსპლუატორი ექსპლუატაცია და ბავშვთა უპატიოდ მოპყრობა;
- პრევენციის ნაციონალური სტრატეგიების ჩარჩოს შექმნა;
- პრევენციის ადგილობრივი ინტეგრირებული სტრატეგიების განაცხადების მომზადება;
- ბავშვთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ინფორმაციის გავრცელება.

